



ევროკავშირის ერთიანი საგარეო პოლიტიკა და გამოწვევები: აღმოსავლეთ სამეზობლოში
უსაფრთხოების კრიზისების ინსტიტუციური ანალიზი

სამადაშვილი სალომე

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს უნივერსიტეტის სოციალურ
მეცნიერებათა სკოლის პოლიტიკის მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მისაღებად

ხელმძღვანელი: პროფესორი შალვა ძეგისაშვილი

თბილისი

2023

მიმოხილვა

წინამდებარე ნაშრომი სწავლობს ევროკავშირის ერთიანი საგარეო პოლიტიკის ორი ძირითადი ინსტრუმენტის, ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკისა და სამეზობლო ინიციატივის განსახორციელებლად შექმნილ ინსტიტუციურ მოწყობას და ამ ინსტიტუციურ მოწყობაზე ევროკავშირის ორი წამყვანი წევრი სახელმწიფოს, გერმანიისა და საფრანგეთის გავლენას. კონკრეტულად, ნაშრომი იკვლევს: არსებობს თუ არა ამ ორ პოლიტიკურ ინსტრუმენტს შორის ინსტიტუციური სინერგია, რომელიც განისაზღვრება, როგორც ბიუროკრატიული რესურსების კოორდინირების მექანიზმი; რამდენად შეუწყო ხელი ევროკავშირის ინსტიტუციურმა რეფორმამ, რომელიც ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ შევიდა ძალაში, მსგავსი სინერგიული მიდგომის განვითარებას; დარჩა თუ არა პოლიტიკური გადაწყვეტილების ძირითადი ბერკეტები წევრი სახელმწიფოების ხელში და, რა ზეგავლენას ახდენს ეს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ეფექტიან წარმართვაზე არსებულ ინსტიტუციურ ჩარჩოში.

ნაშრომი აღნიშნულ საკითხებს შეისწავლის თვისობრივი კვლევის მეთოდით, რომელიც სწავლობს, როგორც არსებულ ბიუროკრატიულ ჩარჩოს, ასევე გადაწყვეტილებების მიღების პროცესს და კონკრეტულად ანალიზებს ევროკავშირის, როგორც საგარეო პოლიტიკური მოთამაშის როლს მის აღმოსავლეთ სამეზობლოში-საქართველოსა და უკრაინის მაგალითზე. გასული 20 წლის მანძილზე საქართველოსა და უკრაინაში წარმოქმნილი უსაფრთხოების კრიზისი ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური ამოცანების განხორციელებაში შექმნილი სერიოზული გამოწვევაა. შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩოს და წევრი ქვეყნების როლის ანალიზის გზით, ნაშრომი ცდილობს დაადგინოს, რა კავშირია ამ უსაფრთხოების გამოწვევებსა და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის განსახორციელებლად შექმნილ ინსტიტუციური მოწყობას შორის, იყო თუ არა ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების პოზიცია დაბრკოლება, რომ სამეზობლო ინიციატივა განმტკიცებულიყო უსაფრთხოების განზომილებაში და არსებობს თუ არა, ამისთვის აუცილებელი ინსტიტუციური ჩარჩო დღეს ევროკავშირში.

ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმისა და ნეო-ფუნქციონალიზმის თეორიული ჩარჩოს გამოყენებით, წინამდებარე კვლევა დამატებით ღირებულებას ქმნის ევროკავშირის, როგორც საგარეო პოლიტიკური და გეოპოლიტიკური მოთამაშის როლის შესწავლაში, როგორც ისტორიული ანალიზის, ასევე არსებული ინსტიტუციური მოწყობის ეფექტიანობის შეფასების და სამომავლო რეკომენდაციების შემუშავების

თვალსაზრისით. ევროკავშირის მოსალოდნელი გაზრდა 35 სახელმწიფომდე, რუსეთ-უკრაინის ომი და ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში ცვალებადი დინამიკა, ყველა ფაქტორი უბიძგებს ევროკავშირს, რომ გადახედოს მისი, როგორც უსაფრთხოების სფეროში მნიშვნელოვანი მოთამაშის როლს. შესაბამისად, უსაფრთხოების მიმართულებით ევროკავშირის მთავარი პოლიტიკური ინსტრუმენტის, ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის და სამეზობლო ინიციატივის ფარგლებში ამ ინსტრუმენტის ათვისების გამოცდილების კვლევა, მნიშვნელოვანია ევროკავშირის შემდგომი რეფორმის და საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტების ფუნქციონირებაში შესაძლო ცვლილებებზე დისკუსიაში, რომელიც დღეს აქტუალური თემაა ევროკავშირის მომავლისთვის.

სარჩევი

შესავალი.....	8
სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანი და საკითხები.....	13
ჰიპოთეზა და კვლევის მეთოდოლოგიის მოკლე აღწერა	14
დისერტაციის სტრუქტურა.....	17
თავი 1 ლიტერატურის მიმოხილვა, დისერტაციის თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომები.....	18
ლიტერატურის მიმოხილვა.....	18
სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომა.....	37
თეორიული მიდგომა	37
კვლევის მეთოდოლოგია	48
სადისერტაციო ნაშრომის აკადემიური ღირებულების შესახებ დასკვნა	55
თავი 2-ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა და სამეზობლო პოლიტიკა-ფორმირება, ისტორიული ექსკურსი.....	58
ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა.....	58
სამეზობლო პოლიტიკა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა.....	79
თავი 3-სამეზობლო ინიციატივა და ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა-ინსტიტუციები და გადაწყვეტილების მიღების პროცესი.....	95
ლისაბონის ხელშეკრულება.....	96
ზედა დონე/საბჭოს სტრუქტურები.....	98
ევროპის საგარეო მოქმედების სამსახურის სტრუქტურები	102
ევროკომისია.....	106
განახლებული კრიზისების მართვის მენეჯმენტის პროცედურები	109
ევროპარლამენტი.....	111
CSDP-სა და სამეზობლო ინიციატივას შორის ინსტიტუციური კავშირების შექმნის მცდელობა	113
თავი 4-წევრი სახელმწიფოების გავლენა და ახალი გეოპოლიტიკური რეალობა.120	
წევრი სახელმწიფოების პოზიცია.....	120
გერმანიის და საფრანგეთის სტრატეგიული კულტურა ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კონტექსტში.....	122
გერმანიისა და საფრანგეთის დამოკიდებულება რუსეთთან საერთო სამეზობლოში არსებული კონფლიქტების მიმართ	128
გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციის ზეგავლენა-ანალიზი	136
აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივიდან გაფართოვების პოლიტიკისკენ	138
რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საზოგადოებრივ აზრზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში	139

ახალი გეოპოლიტიკური რეალობის გავლენა გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციებზე 141

ევროკომისიის, როგორც საგარეო პოლიტიკური მოთამაშის როლის გაძლიერება..... 144

შემდგომი გაფართოვების მოლოდინში ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩოს შესაძლო ცვლილებები..... 146

ევროკავშირის, როგორც კოლექტიური პასუხისმგებლობის საგარეო პოლიტიკური მოთამაშის როლის გაძლიერება..... 150

დასკვნა და ძირითადი მიგნებები..... 152

ბიბლიოგრაფია..... 159

წიგნები..... 159

სტატიები 167

ოფიციალური დოკუმენტები 178

ინტერნეტ წყაროები 189

აბრევიატურების სია

AA	Association Agreement
AFET	Committee on Foreign Affairs / Affaires étrangères
BIH	Bosnia and Herzegovina
CFSP	Common Foreign and Security Policy
CIS	Commonwealth of Independent States
CIVCOM	Committee for Civilian Aspects of Crisis Management
CivOpsCdr	Civilian Operations Commander
CMP	Coordinated Maritime Presences concept
CMPD	Crisis Management and Planning Directorate
COEST	Working Party on Eastern Europe and Central Asia
COREPER	Committee of Permanent Representatives / Comité des Représentants Permanents
CPCC	Civilian Planning and Conduct Capability
CROC	Crisis Response Operation Core
CRS	Crisis Response System
CSDP	Common Security and Defence Policy
DCFTA	Deep and Comprehensive Free Trade Areas
DG DEVCO	Directorate-General for International Cooperation and Development
EAEU/EEU	Eurasian Economic Union
EAP	Eastern Partnership
ECHO	Humanitarian Aid department of the European Commission / European Commission's Civil Protection and Humanitarian Aid Operations
ECU	Eurasian Customs Union
EEAS	European External Action Service
ENP	European Neighbourhood Policy
EP	European Parliament
EPC	European Political Co-operation
EPI	Eastern Partnership Initiative
ESDP	European Security and Defence Policy
ESS	European Security Strategy
EU	European Union
EU INTCEN	European Union Intelligence and Situation Centre
EU OPSCEN	European Union Operations Centre
EUAM	European Union Advisory Mission
EUBAM	European Union Border Assistance Mission
EUMAM	European Union Military Assistance Mission
EUMC	European Union Military Committee
EUMM	European Union Monitoring Mission

EUMS	European Union Military Staff
EUPM	European Union Partnership Mission in the Republic of Moldova
EUSR(s)	European Union Special Representative(s)
GAERC	General Affairs and External Relations Council
HR	High Representative
IIA	Interinstitutional Agreement
NATO	North Atlantic Treaty Organization
OpCdr	Operation Commander
PESCO	Permanent Structured Cooperation
PFCA	Political Framework for Crisis Approach
PMG	Politico-Military Group
PSC	Political and Security Committee
SEDE	Subcommittee on Security and Defence
TEU	Treaty on European Union (The Maastricht Treaty, 1992)
VP	Vice President
WTO	World Trade Organization

შესავალი

ევროკავშირი და მისი წინამორბედი ორგანიზაცია-ევროპული გაერთიანებები (European Communities), პირველ რიგში, ეკონომიკური თანამშრომლობის მიზნით დაარსდა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ევროპის წინაშე მდგარი ეკონომიკური გამოწვევების დაძლევის მიზნით. შესაბამისად, ევროკავშირის ერთიანი საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბება არასდროს ყოფილა გაერთიანების დაარსების თავდაპირველ მიზნებსა და ამოცანებს შორის. ევროპული პროექტის წარმატებამ და გაერთიანების კომპეტენციების გაღრმავებამ, ასევე, მისმა გეოგრაფიულმა გაფართოვებამ, დღის წესრიგში საერთო ევროპული საგარეო პოლიტიკის ელემენტების განვითარების აუცილებლობა დააყენა. საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ თანამედროვე ამოცანად კი, ევროკავშირმა მის სამეზობლოში-როგორც აღმოსავლეთით, ასევე სამხრეთით, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა დაისახა მიზნად (*A Strategy for the EU Foreign Policy*. 2008). აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად ევროკავშირი სხვადასხვა პოლიტიკურ ინსტრუმენტებს იყენებს. მათ შორის ორი მთავარი ინსტრუმენტი-ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაა. ნაშრომის კვლევის საგანია, თუ რამდენად მოახერხა ევროკავშირმა საკუთარი საგარეო პოლიტიკური ამოცანების განხორციელება ამ ორი პოლიტიკური ინსტრუმენტის გამოყენების გზით ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში, როგორია პოლიტიკის განსახორციელებლად შექმნილი შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩო და შესაბამისი გამოწვევები. ნაშრომი ასევე განიხილავს იმ გავლენას, რომელიც ევროკავშირის ორი წამყვანი ქვეყნის-გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციამ მოახდინა შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩოს ფორმირებაზე და რამდენად შესაძლებელია, რომ რუსეთ-უკრაინის ომმა ბიძგი მისცეს შემდგომ ინსტიტუციურ ცვლილებებს, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტების გაძლიერების მიმართულებით.

რატომ არის მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლა? 1950-იან წლებში ევროპული გაერთიანების შექმნის პროექტი მიზნად არ ისახავდა და არც გეგმავდა, რომ ევროპულ გაერთიანებაში შესული სახელმწიფოები დათმობდნენ სუვერენულ უფლებებს საგარეო, უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის წარმოებაზე. ევროპული გაერთიანების მიზანი, პირველ რიგში, ეკონომიკური თანამშრომლობა იყო და ის 'სამოქალაქო' უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციად შეიქმნა, განსხვავებით ნატოსგან (Parsons,

C./პარსონსი 2002, 47-84). ევროპულ გაერთიანებას დაარსებისას წევრი სახელმწიფოებს არ გააჩნდა რაიმე ერთი, დიდი გეოპოლიტიკური ამოცანა, გარდა ევროპული გაერთიანების შიგნით მშვიდობიანი თანაცხოვრების და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის შექმნისა. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა რჩებოდა წევრი სახელმწიფოების უშუალო კომპეტენციაში და ევროკავშირის, როგორც დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური მოთამაშის როლი საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, არ იყო გამოკვეთილი. გასული ათწლეულების მანძილზე, ევროპული გაერთიანების გარდაქმნამ 'ევროკავშირად,' ევროპულ კონტინენტზე და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა, ევროკავშირის გაფართოებამ 6-დან 27 წევრ სახელმწიფომდე, გამოიწვია კომპლექსური პროცესი, რომლის შედეგადაც დღეს ერთ-ერთი მთავარი კითხვაა, რამდენად შეძლებს ევროკავშირი საკუთარი ეკონომიკური შესაძლებლობების გარდასახვას მისი, როგორც ერთიანი საგარეო პოლიტიკური მოთამაშის გავლენაში. ეს კითხვა განსაკუთრებით აქტუალურია ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ, რომელიც ერთგვარი კულმინაცია უნდა ყოფილიყო იმ პროცესის, რომლითაც ევროკავშირის, როგორც საგარეო პოლიტიკური მოთამაშის როლი, ეტაპობრივად განვითარდა. ამ პროცესს ორი მთავარი თანმდევი თვისება აქვს-ერთი, ეს არის მუდმივი ევოლუციის პროცესი, მეორე-ფრაგმენტულობა. შეცვალა თუ არა ფრაგმენტულობა ლისაბონს შეთანხმებამ-ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მკვლევარებისთვის დღეს აქტუალური თემაა.

მაასტრიხტის და ლისაბონის ხელშეკრულებების შედეგად ევროკავშირმა ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით დადგენილი ერთიანი ჩარჩო განავითარა (European Parliament, *Lisbon Treaty and Its Implications for the CSFP/CSDP*, 2008). პოლიტიკის დეკლარირებული ამოცანების განხორციელება-მაგალითად, სამეზობლო ქვეყნებში უსაფრთხოების განმტკიცება-სხვადასხვა პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით ხდება, თუმცა ყველა მათგანი საბოლოოდ ერთიანი უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის მიზნების განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს. ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა (ENP/EAP) (EEAS, European Neighbourhood Policy), ისევე, როგორც ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP), მიზნად ისახავს სწორედ ევროკავშირის და მისი სამეზობლოს სტაბილურობის უზრუნველყოფას (CSDP Factsheets). ამავე დროს, ამ პოლიტიკური ინსტრუმენტების განხორციელების ინსტიტუციური ჩარჩო, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზებით-

ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულია და ორივე მათგანის ათვისების პარამეტრები საბოლოო ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოლიტიკურ პოზიციაზეა დამოკიდებული.

თუ ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შექმნას ევროკავშირში ბიძგი 1990-იან წლებში ბალკანეთის ქვეყნებში შექმნილმა კრიზისებმა მისცა (Gross/გროსი, 2007), 2009 წელს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის შექმნა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგი იყო. 2008 წელს ევროკავშირმა ნათლად დაინახა, რომ მის სამეზობლოში შეიარაღებულ კონფლიქტს უშუალო და პოტენციურად უმძიმესი შედეგი ჰქონდა მისი უსაფრთხოებისთვის და შესაბამისად, გადაწყვიტა თანამშრომლობა გაემყარებინა აღმოსავლეთ სამეზობლოში მყოფ ქვეყნებთან. შედეგად, შვედეთისა და პოლონეთის ინიციატივის საფუძველზე, 2009 წელს ახალი პოლიტიკური ინსტრუმენტი, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა შეიქმნა. (Bildt/ბილდტ, Carl, 2009)

ინიციატივის შექმნიდან 13 წლის შემდეგ, 2022 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის ომი, რომელსაც წინ უძღვოდა 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია, კიდევ უფრო სერიოზული გამოწვევა გახდა ევროკავშირისთვის. უსაფრთხოების ვითარების სწრაფი ჩამოშლა, რომელიც კონფლიქტს თან ახლდა და შესაბამისი ეკონომიკური და პოლიტიკური დესტაბილიზაცია, პირდაპირ ეწინააღმდეგება ამოცანებს, რომელსაც ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და სამეზობლო პოლიტიკა/აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა ისახავს მიზნად. ევროკავშირმა თავი ვერ აარიდა შეიარაღებული კონფლიქტის შედეგების გადაღვრას უსაფრთხოების გამოწვევების სახით მის ტერიტორიაზე. რუსეთ-უკრაინის ომმა სამხედრო, ეკონომიკური დახმარების აუცილებლობის გარდა, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვა ევროკავშირს, ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების სრულიად ახლებური გადალაგების აუცილებლობა და მიგრაციული ტალღებიც გამოიწვია. ეს კი, თავის მხრივ, პირველ რიგში ევროკავშირის შიდა გამოწვევად იქცა. შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის სამეზობლო მისი აღმოსავლეთით უფრო არასტაბილური მეორე მსოფლიო ომის შემდგომ არ ყოფილა.

შესაბამისად, ამ ისტორიული რეალობის ფონზე, განსაკუთრებით აქტუალური გახდა შეკითხვა-რამდენად არის ევროკავშირის, როგორც საგარეო გეოპოლიტიკური მოთამაშის როლი რეალიზებული და თუ არ არის, რა არის ამის მიზეზები? იმ ინსტიტუციური და პოლიტიკური ჩარჩოს ანალიზი და შესწავლა, რომელსაც ევროკავშირი იყენებს მის სამეზობლოში უსაფრთხოების განსამტკიცებლად და

ევროკავშირის წევრი ქვეყნების გავლენა ამ პროცესზე, მნიშვნელოვან შესაძლებლობას ქმნის ამ შევითხვაზე პასუხის გასაცემად.

ინსტიტუციური მოწყობის ფორმა მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს ამა თუ იმ პოლიტიკის წარმატებას და წარუმატებლობას, რამდენადაც წარმოადგენს მექანიზმს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პოლიტიკის ამოცანების გახორციელება. ევროკავშირის პოლიტიკის განსახორციელებლად აუცილებელი ინსტიტუციური ჩარჩო, თავის მხრივ, იქმნება წევრი ქვეყნების პოლიტიკური პოზიციების და ევროპული ბიუროკრატის ურთიერთქმედების პროცესის შედეგად. სისტემური პრობლემები, რომელიც ამ პროცესის წარმართვისას შეიძლება შეიქმნას, გადაითარგმნება ევროკავშირის პოლიტიკის შესაძლო წარუმატებლობაში.

ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის განსახორციელებლად შეიქმნა, ბაზირებულია ევროკომისიის სტრუქტურებში. ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის განხორციელება კი, წევრი ქვეყნების პრეროგატივად რჩებოდა ლისაბონის ხელშეკრულების მიერ გატარებულ რეფორმებამდე. გარკვეული წინააღმდეგობა, ევროკომისიის ბიუროკრატისა და ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის განმახორციელებლ სტრუქტურებს შორის პოლიტიკის შექმნის დღიდან არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდგომ რიგი ნაბიჯები გადაიდგა ბიუროკრატული და ინსტიტუციური სინერჯის შექმნის მიზნით, მნიშვნელოვნია-1. შეფასდეს საკმარისია თუ არა ეს ძალისხმევა ევროკავშირის, როგორც საგარეო პოლიტიკური მოთამაშის წარმატების უზრუნველსაყოფად; 2. ორი გავლენიანი მოთამაშის-გერმანიის და საფრანგეთის პოზიციის გათვალისწინებით, როგორ შეცვალა ეს პოზიცია 2022 წლის ომმა და რა პერსპექტივაა სამომავლოდ ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გასაძლიერებლად. შესაბამისად, დისერტაციის თემა მხოლოდ დღემდე არსებული განვითარების შესწავლის თვალსაზრისით არ არის საინტერესო, კვლევის მიგნებებს შესაძლოა საკუთარი ღირებულება ჰქონდეს სამომავლო რეკომენდაციების სახითაც.

აღნიშნული ანალიზი, ასევე ფართო შესაძლებლობებს ქმნის ევროკავშირის, როგორც საგარეო პოლიტიკური აქტიორის შემსწავლელი სხვადასხვა თეორიული მიდგომების გამოცდისა და სინთეზისთვის. შესაბამისად, როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავების ღირებულის თვალსაზრისით, ასევე ემპირიული კვლევის თვალსაზრისით, კვლევის საგანი მნიშვნელოვან კონტრიბუციას შეიტანს ევროკავშირის საგარეო

პოლიტიკის თემაზე აკადემიური კვლევის დარგში. ნაშრომს პოტენციალი აქვს მნიშვნელოვნად შეავსოს ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკისა და სამეზობლო ინიციატივის მიმართულებით დღემდე შექმნილი აკადემიური კვლევის მასალა, დამატებითი ღირებულება შეიტანოს ევროკავშირის, როგორც საგარეო პოლიტიკური და გეოპოლიტიკური სუბიექტის არსის კვლევაში და ამ მიმართულებით პოლიტიკის განმსაზღვრელი ნაშრომებისთვისაც ღირებული წყარო გახდეს.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანი და საკითხები

კვლევის მიზანს წარმოადგენს დაადგინოს, თუ რამდენად ეფექტიანად აითვისა ევროკავშირმა ევროკავშირის ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტრუმენტები აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ქვეყნებში უსაფრთხოების გამოწვევებთან გამკლავების მიზნით.

მთავარი კითხვა, რომლებსაც სადისერტაციო ნაშრომმა უნდა უპასუხოს არის შეზღუდა თუ არა ევროკავშირის უფრო ეფექტიანი როლი აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ქვეყნებში უსაფრთხოების გამოწვევებთან გამკლავებაში ინსტიტუციურმა მოწყობამ. ქვე-კითხვები ამ მთავარ კითხვაზე საპასუხოდ კი არის რა ინსტიტუციური ჩარჩოს არსებობს ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის განსახორციელებლად, რა როლს ასრულებენ ევროკავშირის გავლენიანი წევრი ქვეყნები, როგორცაა საფრანგეთი და გერმანია ამ ინსტიტუციურ ჩარჩოში და არის თუ არა ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში ჩამოშლილი უსაფრთხოების გარემო დაკავშირებული ამ ორი პოლიტიკური ინსტრუმენტის წარუმატებელ ათვისებასთან. ამ კონტექსტში განხილული იქნება, თუ რა ზეგავლენა მოახდინა წევრი ქვეყნების-გერმანიის და საფრანგეთის პოზიციამ ამ ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნაზე, შეზღუდულია თუ არა ევროკავშირის, როგორც გეოპოლიტიკური მოთამაშის როლი ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების მიუხედავად, რადგან არსებული ინსტიტუციური ჩარჩო კვლავ წევრ სახელმწიფოებს აძლევს საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტების მართვისას საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პრეროგატივას. თანამედროვე კონტექსტი ასევე მოითხოვს განიხილოს შეცვალა თუ არა 2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულმა ომმა წამყვანი ქვეყნების პოზიცია და, შესაბამისად, რა პერსპექტივა არსებობს მომავალში შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებებით ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გასაძლიერებლად.

კვლევის კითხვაზე პასუხის გასაცემად ნაშრომი შეისწავლის ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტების-აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივისა და ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკას, მის განსახორციელებელ ბიუროკრატიულ/ინსტიტუციურ ჩარჩოს. ამ თვალსაზრისით, დისერტაციის დაკვირვების

ერთეული ინსტიტუციური/ბიუროკრატიული მოწყობაა, რომელიც ევროკავშირმა ერთის მხრივ ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის და, მეორეს მხრივ, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის განხორციელების მიზნით შექმნა, ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ. ნაშრომი ასევე შეისწავლის, რა პოზიცია აქვთ ევროკავშირის ორ წამყვან ქვეყანას, გერმანიას და საფრანგეთს, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის გეოპოლიტიკურ განზომილების თაობაზე, ასევე ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის გამოყენებაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის უსაფრთხოების ასპექტების გასაძლიერებლად. ამ თვალსაზრისით დისერტაციის დაკვირვების ერთეული ორი მნიშვნელოვანი ქვეყნის-გერმანიის და საფრანგეთის პოზიციაა. დისერტაცია ასევე შეისწავლის, თუ როგორ შეიცვალა ეს პოზიცია 2022 წელს რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად და გამოიკვეთა თუ არა შესაძლო ცვლილებები, ევროკავშირის, როგორც საგარეო პოლიტიკური მოთამაშის როლის გასაძლიერებლად. დისერტაცია მიმოიხილავს სუპრა-ნაციონალური აქტიორების როლს ამ პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენების პროცესში და მათი გაძლიერების პერსპექტივას.

ჰიპოთეზა და კვლევის მეთოდოლოგიის მოკლე აღწერა

დისერტაციის ჰიპოთეზაა, რომ ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) და სამეზობლო ინიციატივის/აღმოსავლეთ პარტნიორობის (ENP/EAP) წარუმატებლობა, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის წარუმატებლობას ნიშნავს, რომლის შესაძლო მიზეზი ინსტიტუციური სინერჯის სისუსტეა, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის უსაფრთხოების განზომილებასთან მიმართებაში არსებობდა და ასახავდა გერმანიის და საფრანგეთის დამოკიდებულებას რუსეთთან საერთო სამეზობლოში არსებული კონფლიქტების მიმართ.

ჰიპოთეზის ფარგლებში შეფასდება: 1. დააყენა თუ არა ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის შექმნის აუცილებლობა ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნებმა? 2. იყო თუ არა ინსტიტუციური სისუსტე აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის უსაფრთხოების განზომილების 'ყველაზე დაბალ საერთო მნიშვნელოვან' დაყვანის და ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკასა და აღმოსავლეთ პარტნიორობის

ინიციატივას წარუმატებლობის მიზეზი? 3. იყო თუ არა გერმანიის და საფრანგეთის პოზიცია, რომელთა პრიორიტეტი საგარეო პოლიტიკაზე სუვერენული კონტროლის შენარჩუნება და რუსეთთან ურთიერთობების დინამიკა ამ ინსტიტუციური სისტემის მიზეზი.

კვლევის ჰიპოთეზაში დამოკიდებული ცვლადი-ანუ კვლევის ერთეული, რომელიც ცვლილებას ექვემდებარება ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა, მათი განხორციელების მიზნით შექმნილი ინსტიტუციური ჩარჩოები და ამ ჩარჩოებს შორის სინერგიული მიდგომაა.

ონტოლოგიური თვალსაზრისით ეს ერთეული წარმოადგენს პირველ რიგში თავად პოლიტიკის არსს და შინაარსს-რა ამოცანების განსახორციელებლად შეიქმნა როგორც ერთი, ასევე მეორე პოლიტიკური ინსტრუმენტი და როგორ უკავშირდება ეს ინსტრუმენტები ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური ამოცანების განხორციელებას. დაკვირვების ობიექტია ერთის მხრივ ევროკავშირის პოლიტიკის დოკუმენტები და მეორეს მხრივ, ის გეოპოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც იქმნებოდა პოლიტიკური ინსტრუმენტები. პოლიტიკური ინსტრუმენტების განსახორციელებლად შექმნილი ბიუროკრატიულ ინსტიტუციურ ჩარჩო, რომელიც ამ ინსტრუმენტების განსახორციელებლად გამოიყენება დამოკიდებული ცვლადის შემადგენელი მთავარი კომპონენტია და მის ერთეულს შეადგენს, როგორც ბიუროკრატიული სტრუქტურების, ასევე გადაწყვეტილების მიღების პროცესის სტრუქტურირების თვალსაზრისით შექმნილი პროცესები. დაკვირვების ერთეულს წარმოადგენს არსებული ინსტიტუციური მოწყობა და მისი განვითარება-ევროკომისიის, ევროპული საბჭოების, წევრი ქვეყნების როლი ამ ინსტიტუციურ მოწყობაში და ის ინსტიტუციური პროცესები, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ანუ პოლიტიკის განხორციელებისას გამოიყენება. შესაბამისად, დამოკიდებული ცვლადის შესასწავლად წყაროები, რომელსაც ნაშრომი იყენებს არის როგორც ევროკავშირის ბიუროკრატიული ჩარჩოს და გადაწყვეტილების მიღების პროცესის მართვის აღმწერი დოკუმენტები, ასევე ის ინფორმაცია, რომელსაც კონკრეტული შემთხვევების განხილვის პროცესი (case studies) იძლევა.

‘სინერგია’ კვლევის მიზნისათვის განისაზღვრება, როგორც რესურსების, ინსტიტუციური მართვის მექანიზმების და პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავების პროცესში აუცილებელი ფაქტორების გათვალისწინებისას ევროკავშირის ამ ორ მნიშვნელოვანი პოლიტიკურ ინსტრუმენტებს შორის კოორდინაცია. ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზი, შესაძლებლობას მოგვცემს შევაფასოთ-არის თუ არა ინტეგრირებული

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ბიუროკრატიულ სისტემაში უსაფრთხოების გამოწვევებზე რეაგირების მექანიზმები, რომელსაც ქმნის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა. იმისათვის, რომ დადგინდეს სინერჯის არსებობა, კვლევა შეისწავლის წყაროების, რომელიც შესაბამისი პოლიტიკური ინსტრუმენტების შექმნის ისტორიას ასახავს. იგივე მიზნით მოხდა ორივე პოლიტიკურ ინსტრუმენტის განსახორციელებლად შექმნილი არსებული ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზი. კონკრეტულად-დაკვირვების ობიექტი არის პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ბიუროკრატიული აპარატის სტრუქტურა და ანგარიშვალდებულების სისტემა. დაკვირვების ამ ერთეულის შესწავლა ხორციელდება პირველადი წყაროების-ევროკავშირის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ევოლუციის, შესაბამისი ევროპული საბჭოების გადაწყვეტილებების, რეგულაციების და დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, ისევე, როგორც აღნიშნულ თემაზე მეორადი აკადემიური კვლევების ანალიზის გზით.

გერმანიისა და საფრანგეთის პოზიცია აღმოსავლეთ სამეზობლოში ევროკავშირის პოლიტიკის განსახორციელებლად შექმნილ ინსტიტუციურ ჩარჩოზე კვლევის დამოუკიდებელი ცვლადია. რამდენადაც ევროკავშირის ინსტიტუციური მოწყობა განისაზღვრება წევრი სახელმწიფოების პოზიციით, კორელაცია ამ შემთხვევაში წევრი სახელმწიფოების პოზიციასა და ინსტიტუციურ მოწყობას შორის იგულისხმება, რომ არსებობს. ონტოლოგიური თვალსაზრისით, წევრი სახელმწიფოების პოზიციას შეადგენს ის ხედვები, რომელიც ასახული მათ მიერ გამოქვეყნებულ სტრატეგიულ დოკუმენტებში, ოფიციალური პირების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და პოზიციებში, რომელიც მოლაპარაკებების დროს ფიქსირდება. შესაბამისად ის წყაროები, რომელიც დამოუკიდებელი ცვლადის შესასწავლად იქნა გამოყენებული სწორედ მსგავსი დოკუმენტებია. ანალიზი, რომელიც ერთის მხრივ შეისწავლის დამოუკიდებელი ცვლადის-გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციების განვითარებას და, მეორეს მხრივ დამოკიდებული ცვლადის-შესაბამისი პოლიტიკური ინსტრუმენტების ინსტიტუციური ჩარჩოს განვითარებას-შესაძლებლობას იძლევა დავადგინოთ კორელაციის ხარისხი ამ სახელმწიფოების პოზიციასა და ინსტიტუციურ ევოლუციას შორის.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება ოთხი თავისგან. პირველი თავი მიმოიხილავს ანალიტიკურ და მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რომელიც ევროკავშირის, როგორც საგარეო პოლიტიკური მოთამაშის როლს შეისწავლის. ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ კი, იმ თეორიულ და მეთოდოლოგიურ ჩარჩოს წარმოგიდგენთ, რომლითაც სადისერტაციო ნაშრომმა იხელმძღვანელა.

დისერტაციის მეორე თავი მიმოიხილავს ერთიანი თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის და სამეზობლო ინიციატივის/აღმოსავლეთ პარტნიორობის, როგორც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტების შექმნის ევოლუციას და ევროკავშირის ორი წამყვანი ქვეყნის, გერმანიის და საფრანგეთის პოზიციებს ამ კონტექსტში.

მესამე თავი შეისწავლის ამ ორი პოლიტიკური ინსტრუმენტის განსახორციელებლად დღემდე არსებულ ინსტიტუციურ ჩარჩოს.

მეოთხე თავი დაეთმობა გერმანიის და საფრანგეთის გავლენას ან ინსტიტუციური ჩარჩოს მუშაობაზე და შედეგებს, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ქვეყნებში უსაფრთხოების განზომილების თვალსაზრისით იქნა მიღწეული არსებული ინსტიტუციური ჩარჩოს გამოყენებით. ასევე, 2022 წლის უკრაინა-რუსეთის ომის შედეგად არსებულ ახალ რეალობას-გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციების ევოლუციას და ლისაბონის შეთანხმების შემდეგ არსებული ინსტიტუციური ჩარჩოს განახლების შესაძლებლობებს.

დისერტაციის დასკვნაში აისახება ავტორის შეფასებები შესაძლო სამომავლო განვითარებების თაობაზე.

თავი 1 ლიტერატურის მიმოხილვა, დისერტაციის თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომები

ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის მიმოხილვის მიზანია, დაადგინოს, საკვლევი საკითხის, როგორც ემპირიულად გასაანალიზებელი თემის ლიტერატურაში განხილვის ინტენსიურობა. ასევე, პროცესში გამოყენებული თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომები და თავისებურებები. მიზანია, რომ პასუხი გავცეთ სამ კითხვას-რამდენად ინტენსიურად არის განხილული საკვლევი საკითხი? რა თეორიული მიდგომებია გამოყენებული? და რა მეთოდოლოგიური მიდგომებით?

ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის, უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის დარგის კვლევისას, როგორც შესწავლილი ლიტერატურა აჩვენებს, მკვლევარები სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ, იმის მიხედვით, თუ აღნიშნული პოლიტიკის რომელ ასპექტებს შეისწავლიან. დისერტაციის პირველი თავი დეტალურად განიხილავს ამ მეთოდებს.

მეთოდი, რომელსაც მკვლევარები ხშირად იყენებენ პოლიტიკის განვითარების შესასწავლად, ისტორიული მეთოდია. ისტორიული მეთოდის გამოყენებისას ძირითადად ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ევოლუციასა და ისტორიულ მოვლენებს შორის ურთიერთკავშირი დგინდება. ამ მეთოდის ძირითად თეზად, შეიძლება ჩაითვალოს განაცხადი, რომ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას, მიმდინარე მოვლენები განსაზღვრავს, რომელიც თავის მხრივ ზეგავლენას ახდენს ინსტიტუციურ განვითარებაზე. ისტორიული მეთოდის გამოყენებით დაწერილი ნაშრომებიდან აღსანიშნავია, მაგალითად, 'ევროპული საგარეო პოლიტიკა' საიმონ ნუტალის (Simon Nuttall) ავტორობით. ნუტალი ცდილობს აღწეროს ევროპის საგარეო პოლიტიკის განვითარების დინამიკა ადრეულ ეტაპზე 1987 წლიდან 1994 წლამდე ისტორიული ასპექტებისა და პერსპექტივებიდან გამომდინარე (Nuttall, Simon J./ნუტალი, 2000). მისი კვლევა ეფუძნება საკითხის შესწავლას და ინტერვიუები-ს მეთოდებს. ნუტალი აღნიშნავს, რომ ისტორიკოსის მოვალეობაა "წარსულის სურათის დახატვა, რათა იგი იოლად გასაგები გახდეს" და ხაზს უსვამს, რომ ამ წიგნის მიზნებია ახსნას, თუ რატომ მოხდა ესა თუ ის მოვლენა და მოვლენების განვითარება უფრო ფართო პოლიტიკურ კონტექსტში მოათავსოს. ეს წიგნი მისი წინამორბედი პუბლიკაციის გაგრძელება, რომელიც

ევროპის პოლიტიკურმა საბჭომ 1992 წელს გამოაქვეყნა, რომელშიც ხაზგასმულია ისტორიკოსის როლი ევროპული საგარეო პოლიტიკის შესწავლის პროცესში. ნუთალი აღწერს ევროპის საგარეო პოლიტიკის მოვლენებს და ასახავს მონათხრობებს, როგორც ინტერპრეტაციულ ისტორიულ სოციოლოგების ჩვენებას. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ნუთალი წერს იმ პროცესებზე, რომლებმაც რეალურად შეცვალა ევროპის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა; მაგალითად, რა გავლენა მოახდინა მასზე სპარსეთის ყურის ომმა და იუგოსლავიის კონფლიქტმა.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ისტორიული ევოლუციის ასპექტების შესწავლას, თითქმის ყველა ავტორი უთმობს ყურადღებას, ვინც ამ საგანზე წერს. ძირითადი დასკვნა, რომელიც კეთდება კი, არის ის, რომ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბება, სწორედ გარემო ფაქტორებზე რეაგირების პროცესით აიხსნება. მაგალითად, მაიკლ სმიტი (Michael Smith) თავის ნაშრომში აღწერს თუ რატომ იყო საერთო უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბება ძნელად მიღწევადი ამოცანა ევროკავშირისთვის. ავტორი განიხილავს ევროკავშირში საგარეო პოლიტიკის თანამშრომლობის კონკრეტულ გზებს, თუ როგორ მოქმედებს ინსტიტუციური განვითარება საგარეო პოლიტიკაში ერთობლივ შედეგებზე და როგორ იწვევს ეს შედეგები, თავის მხრივ, ახალ ინსტიტუციურ რეფორმებს. სმიტი განმარტავს ევროკავშირის ინსტიტუციური პროცედურების ევოლუციას და განხორციელებას იმ ანალიტიკური ჩარჩოს გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა ინტერვიუებს, კონკრეტული მაგალითების შესწავლის, ოფიციალური დოკუმენტებისა და მეორადი წყაროებიდან მიღებული ფართო ემპირიული მტკიცებულებების ანალიზს. მისი აღქმა და კარგად ინფორმირებული ანალიზი მოიცავს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური თანამშრომლობის ისტორიას, მისი შექმნიდან-1960-იანი წლების ბოლოდან და 2003 წლის საკონსტიტუციო კონვენციის დაწყებამდე (Smith, M. E./სმიტი, 2004).

ფრეიზერ კამერონმა (Cameron) ასევე მნიშვნელოვანი კონტრიბუცია შეიტანა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ისტორიულ-ევოლუციური ანალიზის თვალსაზრისით. ავტორი განიხილავს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის წარმოშობას, მუშაობას და პრიორიტეტებს, მის როლს მსოფლიო პოლიტიკაში, როგორ გარდაიქმნა ევროკავშირი ახალ და გავლენიან მოთამაშედ (Cameron, F./კამერონი, 2012). ეს ნაშრომი მიმოიხილავს ევროკავშირის საერთაშორისო როლის ევოლუციას ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში და ასახავს ევროკავშირის მზარდ გავლენას ტრადიციულ სფეროებში, როგორცაა ვაჭრობა და განვითარება, ასევე ახალ სფეროებში, როგორცაა

გარემო და გლობალური მმართველობა. ევროკავშირის სამხედრო შესაძლებლობების განვითარება ასევე შეფასებულია, როგორც ევროკავშირის ურთიერთობების ფართო სპექტრი მსოფლიოს მთავარ აქტიორებთან (აშშ, ჩინეთი, რუსეთი) და რეგიონებთან (ხმელთაშუა, შუა აღმოსავლეთი, აფრიკა) მთელ მსოფლიოში. ეს ნაშრომი ევროკავშირის წინაშე მდგარ ამოცანებს იმ ისტორიული განვითარებით ხსნის, რომელიც მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს ეხება და განსაზღვრავს ევროკავშირის რეაქციას.

ზოგადად ის ზღვა მასალა, რომელიც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კვლევას ეხება, მეთოდოლოგიური მიდგომების თვალსაზრისით ყველაზე სრულად ასახულია კრისტოფერ ჰილისა და მიქაელ სმიტის (Hill and Smith) ნაშრომში 'საერთაშორისო ურთიერთობები და ევროკავშირი.' (Hill, C./ჰილი, & Smith M./სმიტი, 2011) თუმცა სხვა ნაშრომები ასევე საინტერესოა საგნის შესწავლის ყველა არსებული მეთოდოლოგიის გასაცნობად. მაგალითად, დაკვირვებისა და თვისობრივი კვლევის მეთოდი (Tonra, B./ტონრა & Christiansen, T./კრისტიანსენი, 2004), რომელიც მოიცავს თეორიულ ვარაუდებს ევროკავშირის და მისი წევრი სახელმწიფოების ბუნების, მათი ურთიერთდამოკიდებულების, საერთაშორისო სისტემის შესახებ, რომელშიც ისინი მოქმედებენ და ევროინტეგრაციის ბუნების შესწავლას. ბენ ტონრა და თომას კრისტიანსენი (Tonra and Christiansen) 'დაკვირვების მეთოდის' და 'თვისობრივი კვლევის' პრინციპებზე დაყრდნობით ცდილობენ ამ დარგში სამეცნიერო ნაშრომი უფრო მარტივად გასაგები გახდეს აუდიტორიისთვის. წიგნში მოყვანილი კითხვარების საშუალებით სტუდენტებს, დამკვირვებლებსა და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ანალიტიკოსებს შეუძლიათ განიხილონ მთელი რიგი ინსტრუმენტები და თეორიული მონაცემები, რომლიდანაც შესაძლებელია ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შემუშავება და ტრაექტორიის განსაზღვრა. წიგნი ასახავს, თუ როგორ ურთიერთქმედებს ევროკავშირი დანარჩენ მსოფლიოსთან და ხსნის მის ძალისხმევას სანდო, ეფექტური და პრინციპული საგარეო, უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის შესაქმნელად. წიგნში ასახულია დისკურსის ანალიზის გამოყენების შესაძლებლობები ევროპის საგარეო პოლიტიკის შესწავლისას. იგი მოიცავს კვლევის პრობლემის შესწავლას პოლიტიკურ-კულტურული მიდგომის გამოყენებით და ცდილობს კოგნიტიური გონების რუქების გაანალიზებას, რომლითაც პოლიტიკოსები ინტერპრეტაციას უწევენ თავიანთ პოლიტიკურ 'რეალობას'. წიგნი განიხილავს საგარეო პოლიტიკის შესწავლის არა-რეალიზმის (non-realism) მიდგომებს და გვთავაზობს ანალიტიკურ ჩარჩოს, რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს ევროპის საგარეო პოლიტიკაზე გავლენის ფაქტორების კომპლექსური ინტერპრეტაცია.

ავტორების მიზანია თეორიული ცოდნის სიმწირის შემცირება და ამ ცოდნის გაფართოვების გზის ძიება, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ემპირიული ცოდნის გაღრმავება.

ვოლტერ კარლსნაესი (Walter Carlsnaes) საკუთარ ნაშრომში თანამედროვე ევროპული საგარეო პოლიტიკის შესახებ მიმოიხილავს, თუ როგორ შეიცვალა საგარეო პოლიტიკის ბუნება ევროპაში და აანალიზებს ევროპული პოლიტიკის თანამედროვე შეხედულებებს, წიგნის პირველ ნაწილში, ავტორი უახლესი თეორიებისა და კონცეფციების მოკლე მიმოიხილვას გვთავაზობს, ამ მზარდ სასწავლო და კვლევის სფეროში. მეორე ნაწილი მოიცავს და მიმოიხილავს მთელ რიგ თანამედროვე გამოწვევებს, მათ შორის უსაფრთხოების და თავდაცვის, ეკონომიკური საგარეო პოლიტიკის, დიპლომატიის, ეროვნული თანამშრომლობის, ადამიანის უფლებების და სუვერენიტეტის საკითხებს (Carlsnaes, W./ კარლსნაესი, Sjurssen, H./სიურსენი & White, B./ვაიტი, 2004).

შესწავლილი ლიტერატურიდან იკვეთება, რომ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის განშტოების-ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის და სამეზობლო ინიციატივის შესწავლისას, საერთაშორისო ურთიერთობების სამი ძირითადი თეორიული სკოლის-რეალიზმის, ლიბერალიზმის და კონსტრუქტივიზმის ანალიტიკური ჩარჩო გამოიყენება.

ავტორები, რომლებიც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას რეალიზმის პრიზმიდან უყურებენ, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს განიხილავენ როგორც თვით-ინტერესის და ძალაუფლების გადანაწილების სურვილით მოტივირებულ გადაწყვეტილებებს (Mearsheimer, J. John/მეარშაიმერი, 2001, & The Atlantic Monthly 266, 1990). რეალიზმის სკოლის წარმომადგენლები, როგორც არიან ჯონ მეარშაიმერი (John Mearsheimer), სებასტიან როზატო (Sebastian Rosato) (Rosato, Sebastian/როზატო, 2011, 47), რობერტ არტი (Robert Art) (Art, Robert/არტი, 2004) სხვადასხვანაირად აფასებენ მოვლენებს, რომელიც ევროპაში ცივი ომის შემდეგ განვითარდა, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მათ აერთიანებთ ერთი რამ -ყველა მათგანი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის წარმმართველი ძალა არის საკუთარი ინტერესების დაცვა ჰეგემონისგან. შესაბამისად, ზოგიერთი ავტორი, მაგალითად როზატო, მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლას, აუცილებლად მოყვებოდა ევროკავშირის ინსტიტუციური შესუსტება, რადგან საბჭოთა კავშირის დაბალანსება აღარ იყო საჭირო (როზატო, 2010). მარშეიმარი კი, თვლიდა, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევას, თან მოყვებოდა აშშ-ს

სტრატეგიული გასვლა ევროპიდან, რაც თავისთავად აუცილებელს გახდოდა ევროკავშირის გაედლიერებინა საკუთარი როლი, როგორც გლობალური საერთაშორისო აქტიორის და საკუთარი ინტერესები დაეცვა (როზატო, 2010). შესაბამისად, ეს ევროკავშირის ინსტიტუციურ გარდაქმნასაც მოითხოვდა. ის რეალისტები, რომლებიც 'თავდაცვითი' სკოლის წარმომადგენლები არიან (Stephen Van Evera/ვან ევერა, 2011) მიიჩნევენ, რომ გარე საფრთხის არ არსებობის პირობებში და იმდენად, რამდენადაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები ერთმანეთისგან არანაირ საფრთხეს არ გრძნობენ, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა და მისი განშტოება, როგორცაა თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა-შემდგომ ინტეგრაციას და გაძლიერებას არ საჭიროებდა. თუმცა არსებობენ რეალისტი ავტორები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის წევრი ცალკეული სახელმწიფოების ინტერესები-როგორცაა საფრანგეთი (იყო დიდი ბრიტანეთი) ევროკავშირის გლობალური როლის გაძლიერებისკენ უბიძგებენ, სწორედ ძალთა ბალანსის ლოგიკიდან გამომდინარე (Hyde-Price, Adrian/ჰაიდ-ფრაისი, 2006, 217-234 & Posen, Barry/პოზენი, 2006, 149-186).

ორი ძირითადი მიმართულება, რომელიც ლიბერალიზმის თეორიიდან იკვეთება ევროკავშირის ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების და სამეზობლო პოლიტიკის ანალიზის კუთხით ფუნქციონალიზმი და ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის (liberal intergovernmentalism) თეორიაა. ორივე თეორია აგებულია იმ ხედვის გარშემო, რომ საერთაშორისო ურთიერთობები უნდა ეფუძნებოდეს საერთო ინტერესებს და, საერთაშორისო თანამშრომლობა ემსახურება 'საერთო სიკეთის' შექმნას. ასევე ხედვას, რომ საერთო სიკეთის უზრუნველსაყოფად უნდა მოქმედებდნენ როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე შესაბამისი ინსტიტუტები. 'ფუნქციონალიზმი' ამ თვალსაზრისით უპირატეს მნიშვნელობას აძლევს ინტერესების დასაცავად შექმნილ წესებსა და პროცედურებს (Mitrady, Davit/მიტრადი, 1975, Haas/ჰაასი, 1958, & Deutsch et al/დოიხ, 2007). ამ ხედვით სხვადასხვა მიზეზებით, მაგალითად ინტერესთა ჯგუფების ზეწოლის შედეგად (ჰაასისთვის) (ჰაასი, et al., 2004), პრაქტიკული აუცილებლობიდან გამომდინარე - (მიტრადისთვის) (მიტრადი, 1975), ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შემდგომი ინტეგრირება გარდუვალი იყო.

ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის მიდგომა მიიჩნევს, რომ ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება ორ საფეხურიანი პროცესის სახით მიმდინარეობს. პირველი, ეს არის ეროვნული ინტერესის განსაზღვრა და მეორე, მოლაპარაკებების წარმოება, ამ ინტერესების დასაცავად. ეს მიდგომა აგებული სამ ძირითად წანამძღვარზე:

რაციონალური ქცევა სახელმწიფოს მხრიდან, ეროვნული ინტერესების განსაზღვრისადმი ლიბერალური მიდგომა და მოლაპარაკებების პროცესში სამთავრობათაშორისო ანალიზის მიდგომის გამოყენება (Gegout, Catherine/გეგუტი, 2010). ამ მიდგომის ყველაზე ზუსტი განსაზღვრება ენდრიუ მორავსიკს (Moravcsik) ეკუთვნის, რომელიც ევროკავშირის ისტორიაში მიღებულ გადაწყვეტილებებს ორ-საფეხურიანი სისტემით ხსნის. მიდგომა რობერტ პუტნამის (Robert Putnam) 'ორ საფეხურიანი თამაშის' თეორიის მსგავსია (Putnam, Robert D./პუტნამი, 1988, 427-470). პირველ საფეხურზე, ეკონომიკური თანა დამოკიდებულების გათვალისწინებით განისაზღვრება ეროვნული ინტერესები; მეორე საფეხურზე კი, მთავრობათაშორისი მოლაპარაკებების შედეგს განსაზღვრავს შესაბამისი ქვეყნის მთავრობის ბერკეტები და უპირატესობა და ის ფუნქციური მოტივაცია, რომელიც შექმნილია ინსტიტუციონალიზაციის მიმართულებით ტრანზაქციის მაღალი ღირებულებით და შიდა პოლიტიკური დღის წესრიგით.' (Moravcsik, A./მორავსიკი, 1993) მორავსიკის თანახმად, ევროკავშირის ინსტიტუციურ ჩარჩოს, ფედერალისტური იდეოლოგია, ტექნოკრატიული მენეჯმენტი და წევრი ქვეყნების სანდო პირობის დადება განსაზღვრავს (მორავსიკი, 1998, გვ. 18). მორავსიკი და შიმელფენინგი (Schimmelfening) ვრცლად აღწერენ თეორიას საკუთარ ნაშრომში და ასკვნიან, რომ აღნიშნულმა თეორიამ ე. წ. 'საბაზისო თეორიის' სტატუსი მიიღო და სწორედ მასთან შედარებით ჭრილში უნდა განიხილოს ყველა სხვა თეორიული მიდგომა (Wiener, Antje/ვაინერი, Borzel, Tanja/ბიორზელი & Risse, Thomas/რიზე, 2009, 64-84). მათი აზრით, ეს დომინანტური როლი განაპირობა მიდგომის თეორიულმა სანდოობამ, ემპირიულმა ძალამ და იმან, რომ აღნიშნული მიდგომა, სხვა მიდგომებთან დიალოგში, შესაძლოა ძალიან მყარი საფუძველი გახდეს სინთეზისთვის (ვაინერი, ბიორზელი, რიზე, 2009, 64-84).

ასევე ლიბერალურ სკოლას განეკუთვნება მიდგომა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კულტურას საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. პოლიტიკური ერთეულები, მათ შორის ევროკავშირი იყენებენ კულტურას რბილი ძალის პოტენციალის გასაძლიერებლად, კეთილგანწყობისა და საერთაშორისო დღის წესრიგის ამოცანების შესასრულებლად. ევროკავშირის საგარეო ურთიერთობებში კულტურის გამოყენების თანამედროვე ტენდენციები, როგორც ევროკავშირში ინსტიტუციური განვითარებების, პოლიტიკისა და პრაქტიკის, ისე ევროკავშირის კულტურული პოლიტიკით ჩართული ქვეყნების პერსპექტივიდან, მკვლევარების შესწავლის საგანია (Batora, J./ბატორა & M. Mokre/მოკრე (eds.), 2011). ამ თვალსაზრისით ევროპის საგარეო პოლიტიკა დიდ წილად 'იდენტობის შექმნას' უკავშირდება და შესაბამისად, ახლოსაა კონსტრუქტივიზმის

თეორიასთან, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალიზაციისა და იდენტობის განვითარების მნიშვნელობას.

‘ფუნქციონალიზმის’ მთავარი ახსნა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის განვითარების განსაზღვრისას ე. წ. გვერდითი ეფექტის ფენომენია. ისტორიული ანალიზის მეთოდის მსგავსად, ‘ფუნქციონალიზმი’ მიიჩნევს, რომ საგარეო პოლიტიკისგან დამოუკიდებელი პროცესები განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკის ევოლუციის სახეს. თუმცა, განსხვავებით ისტორიული მიდგომისგან, რომლის ცენტრში ისტორიული ფაქტები თუ მოვლენებია, ფუნქციონალისტები ევროკავშირის ინსტიტუციურ განვითარებას ანიჭებენ მნიშვნელოვან როლს და მიაჩნიათ, რომ უკვე შექმნილი ევროპული ინსტიტუტები უბიძგებს ევროკავშირის ინტეგრირებული პოლიტიკისკენ სხვა მიმართულებებითაც (Sanholtz & Stone Sweet/სანჰოლტი & სთოუნი, 2004). ევროკავშირის „ჩარჩო მიდგომის“-ს არსი, თუ როგორ გავლენას ახდენს და როგორ მოქმედებს ჩარჩოების გავლენა ინტერესებისა და იდეების დამუშავებაზე, ასევე მნიშვნელოვანია ‘ფუნქციონალიზმის’ თეორიის თვალსაზრისით. ევროკავშირის პოლიტიკის ჩარჩოების ბოლოდროინდელი კვლევების მიმოხილვაში განხილულია, თუ როგორ შეიძლება ჩარჩოების ჩამოყალიბებამ გამოიწვიოს პოლიტიკური კონფლიქტი და მწვავე კონკურენცია ევროპულ დონეზე (Daviter, F./დავიტერი, 2011).

ალექსანდრ ვენდტი (Wendt) კონსტრუქტივიზმის თეორიას განასხვავებს სხვა თეორიებისგან იმით, რომ არ იღებს პოსტულატად, რომ პროცესები და ინსტიტუტები ცვლიან საქციელს, მაგრამ არა იდენტობას და ინტერესებს (Wendt, Alexander/ვენდტი, 1992). კონსტრუქტივიზმის თანახმად, მოლაპარაკებების პროცესში იცვლება, როგორც ინტერესები, ასევე იდენტობები. მიუხედავად იმისა, რომ კონსტრუქტივიზმის ჩარჩოში ბევრი სხვადასხვა მიმდინარეობა იკვეთება, ერთი, საერთო მიდგომა, რომელიც ახასიათებს კონსტრუქტივიზმის სკოლას არის რწმენა, რომ პოლიტიკა განისაზღვრება ინტერაქციის შედეგად, გარკვეულ ინსტიტუციურ ჩარჩოში. შესაბამისად, ევროკავშირი, მისი ბუნებიდან გამომდინარე, კონსტრუქტივიზმის თეორიის საცდელად, ძალიან ნაყოფიერ ნიადაგს იძლევა. მკაცრი კონსტრუქტივისტებისთვის ევროკავშირი, მისი საგარეო პოლიტიკაც, პირველ რიგში არის საერთო იდეების და კულტურის ნაწილი (Jeffrey Checkel L./ჩეკელი (ed), 2007, & Christiansen, T./კრისტიანსენი, Jorhensen, E./იორჰენსენი, and Wiener, A./ვაინერი, 2001). შესაბამისად, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაც განისაზღვრება იმით, არსებობს თუ არა საერთო ‘სტრატეგიული კულტურა’ ევროკავშირის წევრებს შორის. ამ მიმართულებით შესწავლილი ლიტერატურის ნაწილი

ასკვნის, რომ საერთო 'სტრატეგიული კულტურა' ევროკავშირში სოციალიზაციის პროცესში ჩამოყალიბდა (Cornish, P./კორნიში & Edwards, G./ედვარდსი, 2001). თუმცა, ამავე დროს არსებობს მოსაზრებაც, რომ მიუხედავად ინტეგრაციის პროცესებისა, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა დანაწევრებულად რჩება სწორედ იმიტომ, რომ წევრ სახელმწიფოებს საკმაოდ განსხვავებული მიდგომები აქვთ საგარეო პოლიტიკის მიმართ და ერთიანი სტრატეგიული ხედვა, ვერ ჩამოყალიბდა (Mayer/მეიერი, 2004). ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ რეალურად ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში ხუთი მიმართულებაა: სტრატეგისტების, გლობალისტების, ლოკალისტების (ადგილობრივი ინტერესების მიმდევრების), თავშეკავების პოლიტიკის მიმდევრების და დინებას მიყოლილი ქვეყნების. სწორედ ამ მრავალფეროვნების დამსახურებით, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა, ზოგიერთი კონსტრუქტივისტის აზრით, კვლავ სუსტ რგოლად რჩება (De France, Olivier/დე ფრანსი & Witney, Nick/ვითნი, 2013).

Principal-agent (მთავრის და ქვემდგომის) თეორია მოიცავს რაციონალური არჩევანის მოდელირების ტრადიციას, რომელშიც ზოგიერთი მოთამაშე იყენებს ყველა შესაძლო მოქმედებას, რომ სტიმული მისცეს სხვა აქტიორებს მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებსაც პრინციპული (მთავარი) მოთამაშე უპირატესობას ანიჭებს. თეორია ფოკუსირებულია ქვემდგომის გადაწყვეტილებების რეაგირებაზე მთავარი მოთამაშის მიზნების მიმართ და, იმაზე, თუ როგორ ხდება ამ პასუხისმგებლობის გადანაწილება თითოეულ აქტიორზე. ინსტიტუციური პარამეტრები, რომლებშიც ისინი ურთიერთქმედებენ, ბუნებრივი ჩარჩოა პოლიტიკურ ინსტიტუციებში პასუხისმგებლობების გადანაწილების შესასწავლად (Delreux, T./დელრექსი, Adriaensen, J./ადრიაენსენი (eds), 2017). თეორია ფართოდ გამოყენებული პარადიგმა გახდა საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების ანალიზისთვის. ამის მიზეზი ისაა, რომ იგი მოქნილ ჩარჩოებს იყენებს ინსტიტუციური მოწყობის მხრივ მრავალფეროვანი ცვალებადობის მოდელირებისა და მათი პოტენციალის შედარების მიზნით. 'მთავრის და ქვემდგომის' მოდელს დიდი წვლილი მიუძღვის ევროკავშირის ინსტიტუციური კომპლექსურობის ახსნა-განმარტებაში და ინტერგავარმენტალიზმისა და ნეო-ფუნქციონალიზმს შორის დებატების მიღმა დისკუსიის გადატანის თვალსაზრით. თეორია, ლიბერალურ ინტერგავარმენტალიზმის, ინსტიტუციურ ინტერგავარმენტალიზმის, ისტორიულ ინსტიტუციურ ზე-ნაციონალიზმს და რაციონალური არჩევანის ზე-ნაციონალიზმის, მსგავსად ამტკიცებს, რომ წევრი ქვეყნები ეფექტურად აკონტროლებენ მათზე დაქვემდებარებულ, ანუ ზე-ნაციონალურ

ინსტიტუტებს, როგორცაა ევროკომისია და სხვა ევროპული სტრუქტურები (Kazim, H./კაზიმი & Menon, A./მენონი, 2003, 121-139).

რიგი ავტორების, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ და წერენ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაზე, ე. წ. საშუალო დიაპაზონის თეორიებს მიეკუთვნებიან. მათი ნაშრომები ნაკლებად საინტერესოა თეორიული თვალსაზრისით, მაგრამ იმსახურებს ყურადღებას. ემილ კირხნერი და ჯეიმს სპერლინგი, (Kichrner and Sperling) ნაშრომში 'ევროკავშირის უსაფრთხოების სფეროს მართვა'-აღწერენ, თუ როგორ აისახება გარე შოკები ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებაში (Kichrner and Sperling/კირხნერი და სპერლინგი, 2007). ავტორების აზრით, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მთავარი მამოძრავებელი იმპულსი 'პოსტ-ვესტფალიის' ხასიათისაა, რამდენადაც განცალკევებით მდგომი ქვეყნები არ არიან მზად გაუმკლავდნენ გამოწვევებს და უწევთ თანამშრომლობა საერთო სიკეთის დასაცავად, მათ შორის საკუთარი სუვერენიტეტის დათმობის ხარჯზე. ამის მოტივაცია კი, ბენჯამინ პოლის აზრით, (Benjamin Pohl) როგორც აშშ-ს დაბალანსება, ასევე ევროკავშირის, როგორც 'ნორმატიული' ძალის დემონსტრირებაა, რომელსაც სურს ხელი შეუწყოს სხვა ქვეყნებთან დაახლოვებას და მათ გარდაქმნას. შიდა პოლიტიკური მოტივაცია-დემონსტრირება, რომ ხელისუფლება რეაგირებს პრობლემებზე, ასევე მნიშვნელოვანი მოტივაციაა (Pohl, B./პოლი, 2013).

ევა გროსი, (Eva Gross) ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ანალიზისას გამოყოფს სამ პოტენციურად ურთიერთდაპირისპირებულ ვალდებულებას, რომელსაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები განიხილავენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში (გროსი, 2009). ეს სამი ურთიერთდაკავშირებული ინტერესი და ვალდებულება არის შიდა პოლიტიკური საკითხები, ტრანსატლანტიკური ურთიერთობები და ევროკავშირის ფარგლებში აღებული ვალდებულებები. მისი ნაშრომი ასევე საინტერესო ანალიტიკურ ჩარჩოს ადგენს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზისთვის, თუ რა არის მთავარი მოტივატორი წევრი სახელმწიფოებისთვის.

'ელიტების თეორია' ასევე გამოიყენება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ანალიზისას. ამ თეორიის გამოყენებისას, ავტორები აანალიზებენ, თუ როგორ და რანაირად მოქმედებს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაზე დელეგირების მექანიზმი-გადაწყვეტილების მიღების და პოლიტიკის განხორციელების გადაცემა ევრო-ბიუროკრატებზე (Dijkstra, H./დიქსტრა, 2013). ამ თეორიის თანახმად, ევროკავშირის

პოლიტიკას დიდ წილად ე. წ. 'ელიტების' დამოკიდებულება განსაზღვრავს-ელიტებში იგულისხმება დიპლომატები, ექსპერტები, ბიუროკრატები (Cross, D./კროსი, 2011). შესაბამისად, თეორია საინტერესოა გადაწყვეტილების მიღების პროცესის ანალიზისთვის. თანამედროვე ელიტური თეორია პოლიტიკურ სოციოლოგიასა და პოლიტიკურ მეცნიერებაში ემყარება იმ აზრს, რომ ყველა საზოგადოება ფლობს მმართველ უმცირესობას, ჯგუფს, რომელიც აკონტროლებს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს. ელიტური თეორიის ბირთვია ელიტარული ქცევის ახსნა, ელიტების ურთიერთქმედება, ელიტური ტრანსფორმაცია და, საბოლოოდ, კავშირი მათსა და სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოლიტიკის შედეგებს შორის. 'ელიტების თეორია' ევროკავშირის შესასწავლად ფართოდ გამოიყენება და სწავლობს ევროინტეგრაციის პროცესს, როგორც პოლიტიკური ელიტების მიერ წარმართულ მოვლენას (Cotta, M./კოტა, 2012, 167-92).

რამდენადაც კვლევის საგანი კონკრეტულად ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკას უკავშირდება, აქამდე განხილული მასალის გარდა, აუცილებელია მიმოვიხილოთ ის თეორიული მოდგომები, რომელიც აღნიშნული პოლიტიკის ანალიზისას გვხვდება ლიტერატურაში. ისევე, როგორც არცერთი თეორია არ ხსნის ევროპულ ინტეგრაციის სირთულეს, ასევე შეუძლებელია CSDP და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ახსნა ერთი თეორიული პერსპექტივის პრიზმით. CSDP-ის განვითარების პარალელურად, ვითარდება თეორიული ანალიზიც, მეცნიერები ცდილობენ პრინციპულად გამოსცადონ კონცეფციები ნეორეალიზმიდან, ინსტიტუციონალიზმიდან და კონსტრუქტივისტული ლოგიკიდან.

ნეორეალისტები CSDP-ში ხედავენ მექანიზმს ეროვნული საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ინტერესების გასატარებლად. ჯონსი (Jones, S./ჯონსი, 2007) CSDP-ს არსებობას კონტინენტზე მშვიდობის შენარჩუნების მნიშვნელობას ანიჭებს; ევროკავშირის გავლენის სფეროს გაზრდას საკუთარ საზღვრებს გარეთ ამერიკული ჰეგემონიის საპასუხოდ. ევროკავშირის უსაფრთხოების თანამშრომლობა ეხება იმ პროცესს, რომლითაც სახელმწიფოები საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას სხვების უპირატესობებთან ადაპტირებენ. ჯონსის დამოუკიდებელი ცვლადი არის უსაფრთხოების მიმართულებით თანამშრომლობა ოთხ კატეგორიასთან მიმართებაში: უსაფრთხოების ინსტიტუტებთან, ეკონომიკურ სანქციებთან, იარაღის წარმოებასთან და სამხედრო ძალებთან. ჯონსი, რომელიც პროგნოზირებს, რომ უსაფრთხოების თანამშრომლობა გაიზრდება, რადგან ევროკავშირსა და აშშ-ს სტრატეგიული

ურთიერთობები უფრო ყოვლისმომცველი გახდება, სხვა ახსნასაც გვთავაზობს CSDP-ს განვითარების თვალსაზრისით - საშინაო და ტრანსნაციონალური აქტივობების მხრიდან ზეწოლა სახელმწიფო პრეფერენციებზე; საერთაშორისო ინსტიტუციური თანამშრომლობის გზით ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების პერსპექტივა; ევროპული თვითმყოფადობის ცნება; ევროპული ეკონომიკური ინტეგრაციის ფუნქციური გაფართოება უსაფრთხოების თანამშრომლობის საკითხებში.

რეალისტები ან ნეორეალისტები, მაგალითად რობერტ კაგანი და ჯონ მერშაიმერი, (Kagan and Mearsheimer) გვთავაზობენ შეხედულებას, რომელიც კონცენტრირდება უნიტარული სახელმწიფოების როლზე. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მოქმედებების ნორმების ღირებულებები არ წარმოადგენს რეალისტების ყურადღების პირველ რიგს, მაგრამ ისინი მთავარი კონსტრუქტივისტები არიან. მაგალითად, მერლინგენი და ოსტრაუსკაიტი (Merlingner and Ostrauskaite) განმარტავენ, თუ როგორ წარმოადგენს ევროკავშირის პოლიტიკის მისიები ეთიკური პროექტებს მშვიდობის შენარჩუნების მიზნით. ავტორები მიიჩნევენ, რომ CSDP განიხილება, როგორც ღირებულებებზე ორიენტირებული საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს მშვიდობას ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან არასტაბილურობას. ამ ადრეულ და საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომებს შორის, მერლინგენი და ოსტრაუსკაიტე ასახავს პროცესს, CSDP პოლიტიკური მისიები ბოსნია-ჰერცეგოვინაში და მაკედონიაში როგორ ახდენს ძალაუფლების ფორმების მობილიზებას, პოზიციონირებას, კლასიფიკაციასა და ორგანიზებას უწევს ადგილობრივ პოლიციელებს და მოქალაქეებს (Merlingen & Ostrauskaite/მერლინგენი და ოსტრაუსკაიტე, 2008).

სოციალური კონსტრუქტივისტები ვარაუდობენ, რომ საერთო გაგება იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ევროკავშირის როლი და ინტერესი მსოფლიოში, მნიშვნელობას ანიჭებს ევროკავშირის პოზიციებს, განხორციელების პოლიტიკას და იმას, თუ როგორ აღიქვამს მას სამყარო. ანდერსონი (Anderson), რომელიც ცდილობს ახსნას, რატომ არის CSDP ასეთი პარადოქსი, ასევე გამოყოფს კონსტრუქტივისტულ მიდგომას (Anderson, S./ანდერსონი, 2008). თუ CSDP ემყარებოდა რეალისტურ ვარაუდს, რომ მხოლოდ სახელმწიფოებს შეუძლიათ საგარეო პოლიტიკის გატარება, ანდერსონს სურს იცოდეს, რატომ დაუჭირეს მხარი ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოლიტიკურმა ლიდერებმა CSDP-ს და რატომ უჭერენ ევროკავშირს მხარს საზოგადოებაში, რატომ უწყობენ ხელს ევროკავშირის როლს საერთაშორისო უსაფრთხოებაში. მისი თეზისის არსი არის ის, რომ CSDP უნდა იყოს ევროკავშირის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი. იგი პროგნოზირებს,

რომ CSDP-ს გამოწვევების კოლექტიურად დაძლევისთვის მიმართული ყველა მოქმედება გააძლიერებს კავშირის თვითმყოფადობას და გადამწყვეტია ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის წარმატების მისაღწევად. ევროკავშირმა უნდა განაგრძოს CSDP-ის პროგრამა ევროპული ინტეგრაციის გასაძლიერებლად.

მეიერი (Meyer) კონსტრუქტივისტულ პერსპექტივას წარმოადგენს, რათა გამოიკვლიოს საერთო სტრატეგიული კულტურის შესაძლებლობები კავშირის პოლიტიკურ და უსაფრთხოების კომიტეტში. იგი ასკვნის, რომ ამჟამად არ არსებობს ევროკავშირის საერთო სტრატეგიული კულტურა; განსხვავებული ეროვნული ნორმები და მიდგომები არსებობს სამხედრო ძალის გამოყენების თაობაზე; 90 –იანი წლებიდან გამომდინარე, წევრი სახელმწიფოებს შორის სტრატეგიული აზროვნების დაახლოება მოხდა. ვითარდება იდეალისტური და ნორმატიული სივრცე საერთო სტრატეგიული კულტურის წარმოქმნისათვის. განსაკუთრებით ჰუმანიტარული მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით (მეიერი, 2006).

გინგსბერგმა (Gingsberg) ერთმანეთს დაუკავშირა ნეორელიზმი, სოციალური კონსტრუქტივიზმი და რაციონალური ინსტიტუციონალიზმის არჩევანი. იგი მიიჩნევს, რომ ცივი ომის შემდეგ საერთაშორისო სისტემურმა ცვლილებებმა გააფართოვა ევროკავშირის როლი, როგორც საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი აქტორის, სადაც ეროვნული და ევროპული ფასეულობები რეზონირებს ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში (Ginsberg, R.H./გინგსბერგი, 2007).

ვონგი (Wong) ემხრობა ევროპეიზაციის კონცეფციას ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში - კონცეპტუალური ობიექტივი, რომელსაც ის იყენებს, სწავლობს, თუ როგორ ხდება ინსტიტუციური განვითარება და როგორ მიიღება გადაწყვეტილება საბჭოს CSDP-ს ორგანოებში (Hill & Smith).

ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მოქმედებების ასახვის თეორია ნამდვილად აბსტრაქტული და ამორფული იქნება კონკრეტული შემთხვევების კვლევების გარეშე, პირველადი წყაროების და მყარი მონაცემების საფუძველზე. როგორც შესწავლილი ლიტერატურა აჩვენებს, მკვლევარებმა და პრაქტიკოსებმა შეისწავლეს CSDP-ის მრავალი ოპერაცია. ეს კვლევები ორიენტირებული კონკრეტულად მისიის ეფექტიანობის, მიმღებ ქვეყანაზე მათი გავლენის შესწავლის მიმართულებაზე. მაგალითად-იოანიდესი (Ioannides) იკვლევს ევროკავშირის ოპერაციებს ბოსნია-ჰერცეგოვინაში (BIH) ში და მაკედონიაში (Ionnides, I./იოანიდესი, 2007). პენკსა (Penksa) თავის კვლევაში, ევროკავშირის პოლიტიკის მისიები BIH-ში, გამოყოფს თანამშრომლების

უკეთესად გადამზადების აუცილებლობას, აგრეთვე დამატებითი პერსონალის აყვანის საჭიროებას, კოორდინაციას, პროგრამული დიზაინისა და იმპლემენტაციის დანერგვას. პენქსა მიმართავს პოლიციური მისიების გაკვეთილებს BIH-ში და კოსოვოში. იგი ასკვნის, რომ ევროკავშირი აგრძელებს ინსტიტუციონალური გამოცდილების მიღებას CSDP- ის ოპერაციების შესახებ, გაზრდილ ინსტიტუციონალიზებულ გარემოში (Penksa, S.E./პენქსა, 2010).

CSDP- ის ოპერაციების კვლევების ევროკავშირის შიდა პოლიტიკური ასპექტები მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც შეისწავლის მიზეზებს, თუ რატომ განხორციელდა კონკრეტულად ოპერაციები და არა სხვები და, ანალიზებს CSDP მისიების გავლენას თავად ევროკავშირზე. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ერთი მიდგომა ევროკავშირის სტრატეგიული დოკუმენტების გავლენის შესწავლაა. ბისკოპი და ანდერსონი (Biscomp and Andersen) იკვლევენ ამ დოკუმენტის ფარგლებში შექმნილ საგარეო პოლიტიკის განხორციელების საშუალებებს. ისინი ასკვნიან, რომ სტრატეგიული დოკუმენტები გავლენა ახდენს არა ახალი ორიენტაციის განსაზღვრის გათვალისწინებით, არამედ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების კოდირებით, რომლებიც ჩამოყალიბდა მრავალწლიანი თანამშრომლობის განმავლობაში. გროსი (E.Gross) ამტკიცებს, რომ - სანამ გადაწყვეტენ, უნდა იყოს თუ არა ევროკავშირი კრიზისის მართვის მთავარი ფორუმი - წევრი ქვეყნები მოლაპარაკებებს აწარმოებენ ერთმანეთთან, პოტენციურად წინააღმდეგობრივი ვალდებულებების საფუძველზე; შიდა პოლიტიკური გარემოებები, ტრანსატლანტიკური ურთიერთობები და ევროპული ინტერესები. იგი ამ რეალობის დემონსტრირებას სამი მაგალითის შესწავლის საფუძველზე ცდილობს: ლიბანი, მაკედონია და ავღანეთი (Biscomp, S. & Anderson, J.J./ ბისკოპი და ანდერსონი, 2008).

2006 წლის ლიბანის შემთხვევაში, რომელსაც სხვა ავტორებიც სწავლობენ-გროსი (E. Gross) ამტკიცებს, რომ წევრი ქვეყნები არჩევენ პრიორიტეტულ CSDP- ს ოპერაციებს, იმის გათვალისწინებით, რომ მათ არ სურთ მაღალი რისკის ქვეშ, მაგალითად შუა აღმოსავლეთის რეგიონში, CSDP ოპერაციების განხორციელება. 2001 წელს ავღანეთში განლაგების შემთხვევაში, ნატო იყო ის ფორუმი სადაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ჯარების მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა იყო ჩართული, თუმცა გაერთიანებამ იკისრა ლიდერის როლი იმის შემდგომ რეკონსტრუქციისა და იქ განლაგებული პოლიციური ჯარების გაწვრთნის კუთხით. 2003 წელს ევროკავშირმა განლაგებული ჯარები მიუერთა ნატოს ძალებს მაკედონიაში, წევრი სახელმწიფოების

სურვილის გამო. ამრიგად, გროსი ასკვნის, რომ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ევროპეიზაცია არ არის მხოლოდ ნატოს მხრიდან ავტონომიის მიღწევა ევროკავშირის უსაფრთხოების ინსტრუმენტებისთვის, არამედ, აგრეთვე წევრ სახელმწიფოებში კავშირის სახელით სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ დამოკიდებულების შეცვლაზეცაა დამოკიდებული (გროსი, 2009).

პირველთაგან, რომლებმაც დაიწყეს CSDP-ის ადრეული ოპერაციების სისტემატური შეფასება იყვნენ მერლინგენი და ოსტრუსკაიტი. (Merlingen and Ostrauskaite) მათ კონცენტრირება მოახდინეს CSDP-ის ოპერაციების ორგანიზებისა და გატარების პროცესზე და მათ ურთიერთქმედებაზე საერთაშორისო და ადგილობრივ ხელისუფლებასთან (მერლინგენი და ოსტრუსკაიტი, 2008). ავტორები განიხილავენ სხვა და სხვა ოპერაციებს, მაგრამ პასუხობენ მნიშვნელოვან თემებს შეფასებისთვის: მისიის მიზანი, მისიის მოქმედება, მისიის შედეგი. ავტორები ასკვნიან, რომ CSDP-ს მრავალმა ოპერაციამ საგარეო პოლიტიკური გავლენა მოახდინა მასპინძელ ქვეყნებზე, განსაკუთრებით დასავლეთ ბალკანეთსა და ინდონეზიაში.

ლიტერატურის მიმოხილვა იძლევა შერეულ შედეგებს. ერთი მხრივ, კონკრეტული შემთხვევების შესწავლა ანალიზისა და ემპირიული მტკიცებულებების სიღრმეს ქმნის CSDP პრაქტიკის უკეთ გასაგებად, როგორც ბრიუსელში, ისე წევრი ქვეყნის დედაქალაქებში მიმდინარე ინსტიტუციური პროცესების თვალსაზრისით. საკმაოდ ბევრი აკადემიური მასალაა განვითარებული როგორც რეკომენდაციები პოლიტიკის გასაძლიერებლად. აღნიშნული მასალა მოიცავს იმ სფეროებს, რომელშიც ევროკავშირს შეუძლია გააუმჯობესოს CSDP ოპერაციები და აღმოფხვრას განსხვავება მის რიტორიკასა და სამოქალაქო და სამხედრო შესაძლებლობების რეალურად ეფექტიანად განლაგებას შორის. მეორეს მხრივ, ჯერ კვლავ არ არსებობს საკმარისი კვლევა, რომელიც შეადარებს და განასხვავებს CSDP ოპერაციებს მათი დროის, ადგილისა და ფუნქციების მიხედვით. მსგავსი შედარებითი ანალიზი აუცილებელია რათა CSDP-ის გამოყენებას და მის ეფექტიანობას თეორიული ახსნა მოეძებნოს. დღემდე არსებული ნაშრომები უფრო ემპირიული და აღწერილობითი ხასიათისაა, ვიდრე თეორიული. ნათელია, რომ შედარებითი ანალიზი ემპირიული ცოდნის გაფართოვებას და გენერირებული მონაცემების საფუძველზე თეორიული კონცეფციების გამოცდის შესაძლებლობას შექმნის.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკასა, ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ დაწერილი რიგი აკადემიური ნაშრომები პოლიტიკას რომელიმე

‘დიდი თეორიების’ აკადემიური პრიზმიდან არ აანალიზებს. ბევრი ნაშრომი უბრალოდ ემპირიულად სწავლობს და აღწერს ევროკავშირის შესაბამისი პოლიტიკის განვითარებას, ამ პოლიტიკის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებს და განხორციელებულ საქმიანობას.

მაგალითისთვის, ევროკავშირის როლი, როგორც გლობალური მოთამაშის, ლისაბონის ხელშეკრულების შემდეგ დეტალურად არის შესწავლილი მარიო ტელოს და ფრედერიკ პონჯარტის (Telo and Ponjaert) მიერ (Telo, M. & Ponjaert, F./ტელო და პონჯარტი, 2013). ნაშრომის სწავლობს ლისაბონის ხელშეკრულებას და მის გავლენას ევროკავშირზე, როგორი ზეგავლენა იქონია ხელშეკრულებამ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაზე, პოლიტიკურ ინსტრუმენტებზე, როგორ შესაძლებლობებს აძლევს მას და ა.შ. ნაშრომი განმარტავს, თუ როგორ შეიძლება ჩამოაყალიბოს ევროკავშირმა სხვადასხვა საგარეო პოლიტიკური მიდგომები განსხვავებული პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით, რათა შეძლოს გლობალურად საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი დამოუკიდებელი მოთამაშის როლის შენარჩუნება. ნაშრომი ხაზს უსვამს ევროკავშირის ევოლუციის პროცესის ლეგიტიმურობასა და ეფექტურობას, როგორც საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიურ მოთამაშის რეგიონალურ და გლობალურ დონეზე.

ევროპული საგარეო პოლიტიკის მომავალზე წერენ ერიკ ჯონსი და სასია ვან გენუგტენი, (Jones and Van Ganugten) რომელიც, მათი აზრით, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა განვითარებადი მსოფლიო წესრიგისთვის (Jones, E. & van Genugten, S. (eds.)/ჯონსი და გენუგტენი, 2013). ერაყში აშშ – ს პოლიტიკის მარცხმა, ავტორების აზრით, ხაზგასმით ცხადყო, რომ ევროპამ უნდა შეასრულოს კონსტრუქციული გლობალური როლი. მიუხედავად ამისა, ერაყის ომმა და ევროკავშირის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით ევროპაში არსებულმა განხეთქილებებმა კითხვები გააჩინა, რამდენად შესაძლებელია ეფექტიანი ევროპული საგარეო პოლიტიკის წარმართვა, ევროკავშირის ინსტიტუტების თუ ცალკეული წევრი სახელმწიფოების მეშვეობით. ნაშრომი განიხილავს, თუ რატომ უნდა აიღოს ევროპამ გლობალური პასუხისმგებლობები, როგორ უნდა იყოს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა ორგანიზებული ინსტიტუციონალურად, რამდენად ადეკვატური იქნება რეგიონალური და უსაფრთხოების პრობლემების მოგვარებისთვის და როგორ ასახავს პოლიტიკა ევროპის ძირითადი ძალების საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს. ნაშრომი მოიცავს როგორც თემატურ, ისე ქვეყნისთვის სპეციფიკური საკითხების გაშუქებას, ევროპის პასუხისმგებლობის საკითხს, გლობალური

აქტიორებს და ევროკავშირ-ნატო ურთიერთობებს, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიისა და გაერთიანებული სამეფოს გავლენას პოლიტიკის ფორმირებაზე.

ევროკავშირის მიერ სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული პოლიტიკის გლობალური ზეგავლენა ასევე ხშირად ხდება მკვლევარების შესწავლის საგანი. მაგალითად, ტომ დელრექსი და სტეფან კუეკელიერი (Tom Delreux Stephan Keukeleire) სწავლობენ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას ნაშრომში, რომელიც სრულად აანალიზებს პოლიტიკის ყველა ასპექტს (დელრექსი და კუეკელიერი, 2014). საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის მიღმა ავტორები ცდილობენ წარმოადგინონ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მრავალფეროვნება და, ახსნან თუ რატომ არის ვაჭრობა, განვითარება, გარემო და ენერგეტიკა ამ პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი. წიგნი განიხილავს ევროკავშირის საკვანძო საგარეო ურთიერთობებს - მის მეზობელ სახელმწიფოებთან, აშშ-სთან, ჩინეთთან და რუსეთთან და მზარდ ძალებთან და ამტკიცებს, რომ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა უნდა იყოს გაგებული არა მხოლოდ როგორც კრიზისისა და კონფლიქტების საპასუხო რეაქცია, არამედ როგორც საერთაშორისო სტრუქტურების ფორმირებისა და გრძელვადიანი პროცესებზე გავლენის მოსახდენი საშუალება. აქცენტი კეთდება ლისაბონის ხელშეკრულების შემდგომ განვითარებულ აქტუალურ საკითხებზე და ავტორები ამას განიხილავენ ისტორიულ ჭრილში კვლევის იმ მეთოდების გამოყენებით, რომლებიც უფრო მარტივად გასაგებს ხდის ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელობას.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შესწავლისთვის მთავარი სახელმძღვანელო ტექსტი 'SAGE სახელმძღვანელო ევროპული საგარეო პოლიტიკისთვის' (Jorgensen, K.E./იორგენსენი, Aarstad, K.A./აარსტადი and B. Tonra (eds.)/ტონრა, *The SAGE Handbook of European Foreign Policy*) დეტალურად სწავლობს ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ევროპის საგარეო პოლიტიკას (იორგენსენი, აარსტადი და ტონრა (eds), 2015). ნაშრომი სწავლობს თუ როგორ გააფართოვა მისი პოლიტიკის პორტფოლიო ევროკავშირმა და ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ უშედეგო და სიმბოლური ნაბიჯები ჯერ კიდევ არსებობს, საერთაშორისო ურთიერთობები, ევროკავშირისათვის უფრო არსებითი გახდა.

სამეზობლო ინიციატივის შემსწავლელი დღემდე არსებული სამეცნიერო კვლევათა მოცულობა შედარებით მოკრძალებულია, ვიდრე ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების და ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის

შემსწავლელი მასალა. ეს განსაკუთრებით შეეხება ამ პოლიტიკის თეორიული ანალიზის მიდგომით განხორციელებულ კვლევებს. ამ თვალსაზრისით ყველაზე ყოვლისმომცველი ნაშრომია 'ევროპის სამეზობლო ინიციატივს თეორიული მიდგომები.' (Gzrohl, S/გზორლი, Schunz, S. (eds.)/შუნცი *Theorizing the European Neighbourhood Policy, 2017*) ამ მნიშვნელოვანი ნაშრომის შესავალშივე აღნიშნულია, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ანალიზისთვის შესაბამისი თეორიული ჩარჩოს შექმნას პრობლემატურია პოლიტიკის ჰიბრიდული ხასიათიდან გამომდინარე. (გზორლი, შუნცი 5) სამეზობლო ინიციატივა ერთგვარი ჰიბრიდია, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკასა და გაფართოვების პოლიტიკას შორის, მის ანალიზისთვის სწორი თეორიული მიდგომის მოძებნა კი, შესაბამისად სირთულეს წარმოადგენს. კონკრეტულად ავტორი სამ ძირითად ჯგუფად ყოფს პოლიტიკის შესწავლის თვალსაზრისით არსებულ პრობლემებს. პირველი რიგის პრობლემას წარმოადგენს სირთულე, რომელიც უკავშირდება ამ პოლიტიკისადმი სოციალური-კონსტრუქტივისტული ლოგიკის, მიზან-შედეგობრივი რაციონალური ანალიზით მიდგომას იმ ურთულესი გარემოდან გამომდინარე, რომელშიც ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივა ხორციელდება. მეორე სირთულეს კი, წარმოადგენს რეალობა, რომ როგორც გარე, ასევე შიდა ფაქტორები რომელიც სამეზობლო ინიციატივის ქვეყნებში არსებობს ძალიან განსხვავდება გაფართოვების პოლიტიკის მონაწილე ქვეყნებისგან, განსაკუთრებით გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. მესამე სირთულეა საგარეო პოლიტიკის ანალიზისას ევროკავშირის, კონკრეტულად კი, ევროკავშირის გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე კონცენტრირებული ანალიზის დომინაცია შესაბამის ლიტერატურაში. ავტორის აზრით, სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა, რომ ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის შესასწავლელად აუცილებელი თეორიული ბაზის განვითარება მდორედ წარიმართა. ამ თეორიული ვაკუუმის შევსებას ისახავს მიზანად ავტორების მიერ რედაქტირებული წიგნი. მთავარი მიზანი, რომელსაც აღნიშნული პუბლიკაცია ისახავს მიზნად არის გადაიატანოს მსჯელობა სამეზობლო ინიციატივს ფუნქციონირების თაობაზე თეორიული დაშვებების თემაზე, იმ მიდგომიდან, რომელიც დომინირებდა ლიტერატურაში-პოლიტიკის წარუმატებლობის არაეფექტიანობის ახსნისას ინსტიტუციურ პროცესებზე კონცენტრირება. ამ მიზნით კი, გმტოლი და შუნცი თავს უყრიან სამეზობლო ინიციატივის თაობაზე საუკეთესო ექსპერტებს და მათი ანალიზი ძირითადად ერთიანი სამეზობლო ინიციატივის აღმოსავლეთს-ანუ აღმოსავლეთ პარტნიორობას ეთმობა. წიგნი სამ ნაწილადაა გაყოფილი-პირველი მიმოიხილავს შესაბამის თეორიებს საერთაშორისო

ურთიერთობებში და რეალისტებისა და კონსტრუქტივისტებს შორის დებატებს რუსეთის დამოკიდებულებაზე ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის მიმართ. მეორე და მესამე ნაწილი კი, უფრო ინოვაციური თეორიული მიდგომების შემუშავებას ისახავს მიზნად, ავტორების მიერ საშუალო დიაპოზონის თეორიების გამოყენებით, როგორცაა რაციონალიზმი, სტრუქტურული ძალაუფლების ანალიზი, რეგიონალიზმი. ნაშრომის დამასრულებელი თავები პოსტ-სტრუქტურალიზმის თეორიული მიდგომისა და 'პრაქტიკის შესწავლის' თეორიით განიხილავს სამეზობლო ინიციატივას. ამ ყოვლისმომცველ თეორიულ ანალიზში მხოლოდ ორი თავი ეძღვნება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის 'ევროპეიზაციის' მოდელით ანალიზს, რაც მნიშვნელოვანი ინოვაციაა. ავტორების აზრით სამეზობლო ინიციატივის შესასწავლად 'ევროპეიზაციის' მოდელი არ იძლევა საკმარის საყრდენს, რადგან დიქტომიური მიდგომა ინტერესებისა და 'შედეგების ლოგიკის' და ნორმებისა და 'მიკუთვნების ლოგიკას' შორის, ვერ ხსნის სამეზობლო ინიციატივას (გზორლი/შუნცი 267).

აღსანიშნავია, რომ სამეზობლო ინიციატივას სწორედ 'ევროპეიზაციის' მოდელით განიხილავს ამ პოლიტიკის შემსწავლელი ლიტერატურის დიდი ნაწილი, რომელიც ამ პოლიტიკას გაფართოვების პოლიტიკას ადარებს. მაგალითად, კელი (*Kelley, J/კელი 2006*) თვლის, რომ ევროპის სამეზობლო ინიციატივა არის გაფართოვების პოლიტიკის გაგრძელება-ევროკავშირის პოლიტიკის ადაპტაციის გზით. ავტორის აზრით, სამეზობლო ინიციატივაზე ზეგავლენა მოახდინა ერთის მხრივ ევროკავშირის გაფართოვებამ, მეორეს მხრივ კი, ამ პოლიტიკაში მონაწილე ქვეყნებთან ევროკავშირის ურთიერთობებში არსებულმა სისუსტემ. შედეგად, ევროკავშირის გაფართოვების პოლიტიკასა და სამეზობლო ინიციატივას შორის ბევრი საერთოა-მაგალითად ე.წ. 'პირობითობის' პრინციპი, პროგრესის შეფასების სისტემა, ფინანსური და ტექნიკური დახმარების და მონიტორინგის მექანიზმები. ევროპული კომისიის როლი, რომელიც აქტიურია გაფართოვების პოლიტიკაში, ასევე მნიშვნელოვანია სამეზობლო ინიციატივის განხორციელების ინსტიტუციურ მოწყობაში. (*კელი, 2006; Magen/მაგენი 2006; Mocanu/მოკანუ, 2010; მოკანუ, 2013*). არა ერთი ნაშრომი ეძღვნება ამ თემის შესწავლას-რატომ არ აღმოჩნდა ევროკავშირი უფრო წარმატებული გაფართოვების პოლიტიკის გამეორებაში სამეზობლო ინიციატივის პოლიტიკის განხორციელებისას. კვლევების დიდი ნაწილი ინსტიტუციურ ანალიზს ეთმობა (*დელ სარტო/Del Sarto და შუმახერი/Schumacher, 2005; ერისი/Eriş, 2012; შიმელფენინგი/Schimmelfenning და შოლცი/Scholtz, 2008*). ძირითადი

დასკვნა, რომელსაც ავტორები აკეთებენ უკავშირდება იმ სისუსტეს, რომელიც პირობითობის მექანიზმს აღმოაჩნდა სამეზობლო ინიციატივის მონაწილე პარტნიორ ქვეყნებში. მთავარი მოტივაცია-ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა, ამ ქვეყნებს არ ეძლეოდა, ამან კი ევროკავშირის გავლენის ბერკეტები შეასუსტა. ევროპის სამეზობლო ინიციატივის შემსწავლელი ლიტერატურა, რომელიც ევროკავშირის ნორმატიული შესაძლებლობების შესწავლას ეყრდნობა და ასკვნის, რომ პოლიტიკამ ვერ შეძლო სამეზობლო ინიციატივის ქვეყნებში იმ ცვლილებების უზრუნველყოფა, რასაც მიზნად ისახავდა და ამის მთავარი მიზეზი გარე მოტივაციის დეფიციტი იყო.

სამეზობლო ინიციატივის პოლიტიკის შემსწავლელი ლიტერატურა ძალიან ცოტა დროს უთმობს ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში უსაფრთხოების გამოწვევების ანალიზს, როგორც მთავარ დაბკოლებას ევროკავშირის ამ პოლიტიკის წარმატებისთვის.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომა

თეორიული მიდგომა

ლიტერატურის შესწავლის მიზანი იყო გამოვლენილიყო სადისერტაციო ნაშრომისათვის შესაბამისი თეორიული, ემპირიული და მეთოდოლოგიური მიდგომა. ლიტერატურის შესწავლამ ცხადყო, რომ ორი თეორიული მიდგომა, რომელიც იძლევა კვლევის საგნის ოპერაციონალიზაციის შესაძლებლობას არის ლიბერალურ ინტერგავარმენტალიზმის თეორია და ნეო ფუნქციონალიზმი. ამ ქვეთავში უფრო დეტალურად იქნება განხილული როგორც ერთი, ასევე მეორე თეორია. თეორიული ჩარჩოს განსაზღვრის შემდეგ კი, განიხილება კვლევის მეთოდოლოგია, რომლითაც კვლევის საგნის ემპირიული მონაცემების თეორიული ჩარჩოს ფარგლებში შესწავლის შესაძლებლობას შექმნის.

ჰიქსი და ჰოილანდი (Hix, S./ჰიქსი, & Høyland, B./ჰოილანდი, 2011) ზე-ნაციონალიზმს (supranationalism,) რომელიც, თავის მხრივ ნეო ფუნქციონალიზმიდან გამომდინარე მიდგომაა და ლიბერალურ ინტერგავარმენტალიზმის თეორიას, ორ მთავარ მიმართულებად მოიაზრებენ ევროინტეგრაციის შესასწავლად. ნეო ფუნქციონალიზმის განაცხადია, რომ ეროვნული სახელმწიფოების როლი საერთაშორისო პოლიტიკაში მცირდება. ევროპული ინტეგრაციის წარმმართველი ძალა კი, ზე ნაციონალური-ევროპული ინსტიტუტები და საერთაშორისო ინტერესთა ჯგუფებია (Haas, E.B./ჰაასი, 1958). ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორია, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ ევროპული ინტეგრაციის მთავარი წარმმართველი ძალა წევრი სახელმწიფოებია, რომლებიც საკუთარ ინტერესებს ახორციელებენ ინტეგრაციის პროცესში (მორავჩიკი, 1998, Cornell UP). შესაბამისად, ეს თეორიები განსხვავებულ მოსაზრებებს გვთავაზობენ იმის შესახებ, თუ რომელი აქტიორები არიან მნიშვნელოვანი ისეთი საკითხების განსაზღვრისას, როგორცაა ევროკავშირის პოლიტიკის განსახორციელებლად შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნა.

ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორია

ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორია იძლევა კვლევის საგნის-ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის და სამეზობლო პოლიტიკის ყველა ასპექტის: წევრი სახელმწიფოების მიერ საკუთარი პრიორიტეტების

განსაზღვრის, ამ პრიორიტეტებს შორის საერთო გადაკვეთის წერტილის მოსაძებნად აუცილებელი მოლაპარაკებების პროცესის და შედეგად შექმნილი ინსტიტუციური ჩარჩოს, შესწავლის შესაძლებლობას. ის, რომ ამ ორ პოლიტიკას შორის შესაბამისი სინერგიული კავშირები ვერ განვითარდა, სწორედ სავარაუდოდ ამ კომპონენტების განხილვის შედეგად შეიძლება დადგინდეს. ანუ, ეს თეორიული მიდგომა, როგორც ინსტრუმენტი იძლევა იმ კომპონენტების ოპერაციონალიზაციის შესაძლებლობას, რომელიც უნდა გაიზომოს, კვლევის საგნის ჰიპოთეზაზე პასუხის გასაცემად.

ევროკავშირის პოლიტიკის ეფექტიანობის ანალიზისთვის, ნებისმიერ სფეროში, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა ინსტიტუციური ანალიზია. ევროკავშირის ინსტიტუტები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს-სამთავრობათაშორისო ინსტიტუტები, როგორცაა ევროპული საბჭოები და ზე-ნაციონალური ინსტიტუტები, როგორცაა ევროკომისია და ევროპარლამენტი. თუმცა, ცხადია, რომ ეს დაყოფა საკმაოდ პირობითია, რადგან ევროკომისიაშიც და ევროპარლამენტშიც, ორივეგან, წყალქვეშა დინებას პოლიტიკის ფორმირებისას, მაინც წევრი სახელმწიფოების ინტერესები განსაზღვრავს. ინტეგრაციონალისტული, სამთავრობათაშორისო, რაციონალისტური და კონსტრუქტივიზმის თეორიები, ყველა ცდილობს ახსნას სწორედ აღნიშნული ინსტიტუტების როლი და ქცევის წესი, საგარეო პოლიტიკის ფორმირებისას. როგორც ლიტერატურის მიმოხილვისას დეტალურად იქნა ახსნილი, ინტეგრაციონალისტული მიდგომა გულისხმობს, რომ ეროვნული მთავრობები ევროკავშირის პოლიტიკის მიმართ შერჩევით მიდგომას იყენებენ საგარეო ურთიერთობების სფეროში, მათი ინტერესებიდან გამომდინარე. რაციონალისტური მიდგომით, საგარეო პოლიტიკაში წევრი სახელმწიფოები არ თმობენ საკუთარ ფუნქციებს ზე-ეროვნული აქტორების, ისეთების, როგორც კომისია და ევროპარლამენტი-სასარგებლოდ. კონსტრუქტივიზმის მიდგომის თანახმად კი, საერთო მიდგომები საგარეო პოლიტიკის მიმართ, სხვადასხვა ინსტიტუციებს-როგორც ეროვნულ ასევე ზე-ეროვნულ დონეზე-შორის დიალოგის შედეგად ყალიბდება. შესაბამისად, ზე-ეროვნული ინსტიტუტები, ზეგავლენას ახდენენ თავის მხრივ ეროვნული ინტერესების ფორმირებაზეც.

სამთავრობათაშორისო თეორიული მიდგომა, სხვა თეორიულ მიდგომებზე დაყრდნობით, ბევრად უფრო ზუსტად ზომავს სწორედ ამ ინტერაქციის შედეგებს პოლიტიკაზე, ანუ სინერგიას, რომლის შესწავლაც სურს ამ ნაშრომს.

ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორია, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ინტეგრაციის მიმართ ტრადიციულ თეორიულ მიდგომებს ეყრდნობა, ქმნის

თეორიულ ჩარჩოს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს სოციალური აქტორების, სახელმწიფოების და ლიდერების გადაწყვეტილებების მიღების დინამიკის შესასწავლად ემპირიულ დონეზე (მორავჩიკი, 1998, 13-14, Routledge). აღნიშნული თეორიული მიდგომა გულისხმობს, რომ ინტეგრაციის ახსნა მხოლოდ ერთი ფაქტორით შეუძლებელია და, შესაძლებლობას იძლევა მრავალი სხვადასხვა თეორიისა და ფაქტორის ერთ გასაგებ მიდგომაში თავმოყრისათვის, რაც აუცილებელია ნაშრომის კვლევითი კითხვის სპეციფიკიდან გამომდინარე. ამ თეორიის თანახმად ევროინტეგრაციის შესასწავლად საჭიროა სამი კომპონენტის-წევრი სახელმწიფოების პრეფერენციების, მოლაპარაკებების დინამიკის და ინსტიტუტების ანალიზი, იმისთვის, რომ პოლიტიკის ფორმირების ზუსტი დიაგნოსტიკა მოხდეს (Jachtenfuchs/იახტენფუხსი, 1997, 17 & Hooghe/ჰუგი & Marks/მარკსი, 2001). ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორია ეყრდნობა იმ მოცემულობას, რომ ევროკავშირის მთავარი მოთამაშეები არიან წევრი სახელმწიფოები, რომლებიც რაციონალურად იღებენ გადაწყვეტილებებს და მოლაპარაკებების გზით, ქმნიან იმ ინსტიტუციურ ჩარჩოს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება.

ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიის საფუძვლები, პირველმა სტენლი ჰოფმანმა (Hoffman) განავითარა (Hoffman, S./ჰოფმანი, 1966, 862-915). მისი თეორიაა, რომ ნებისმიერი რეგიონალური ინტეგრაციის ახსნა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოების, მათი ეროვნული ინტერესების, უსაფრთხოების, სუვერინიტეტის, ძალაუფლების, მმართველობის ინტერესების გათვალისწინებით. ჰოფმანი საკუთარ თეორიას რეალიზმის სკოლაში აფუძნებს, მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალურ სკოლას მიაკუთვნებს თავს და მიიჩნევს, რომ ინტეგრაცია განისაზღვრება სახელმწიფოების პოლიტიკური პრეფერენციების, ისტორიული გამოცდილების და ძალაუფლების მოპოვების და შენარჩუნების ამოცანებით (Syssoyeva R.V./სისოიევა, 2018). ჰოფმანი სუვერენულის სახელმწიფო ინტერესების დამცველი იყო და მისი თეორია ერნესტ ჰაასის 'ნეო ფუნქციონალიზმის' საპირსპირო მიდგომად ჩამოყალიბდა. ჰოფმანის ძირითადი თეზისი იყო, რომ ინტეგრაცია შესაძლოა მოხდეს 'დაბალი პოლიტიკის' დონეზე- როგორცაა ვაჭრობა, ტრანსპორტი და სხვა, მაგრამ ვერ მოხდება 'მაღალი' პოლიტიკის- ანუ საერთაშორისო, უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის დონეზე. ჰოფმანის თეორიამ განსაკუთრებული პოპულარულობა 1960-იან წლებში მოიპოვა, როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტი, შარლ დე გოლი სწორედ ჰოფმანის თეორიის ხედვასთან შესაბამისობაში წარმართავდა საფრანგეთის პოლიტიკას ევროკავშირთან მიმართებაში.

კარლ დაუჟე (Deutsch, K.W./დოიჩი, 1954) და ამიტაი ეტციონი (Etzioni, A./ეტზიონი, 1965), 60-იან, 70-იან წლებში ასევე მნიშვნელოვანი ავტორები იყვნენ, რომელთა შრომამ საფუძველი ჩაუყარა ლიბერალურ ინტერგავარმენტალიზმის თეორიას, რამდენადაც ისინი სწავლობდნენ როგორ ზღუდავს სუვერენული ინტერესები ინტეგრაციის პროცესებს.

1980-იან და 90-იან წლებში ევროკავშირის გაფართოვებამ ისევ დღის წესრიგში დააყენა ევროპული ინტეგრაციის თეორიების აქტუალურობა და ჰოფმანის თეორია შემდგომ განავითარა მისმა სტუდენტმა, ენდრიუ მორავიკმა, რომელმაც ოფიციალურ პირველად უწოდა თეორიას 'ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორია.' 1990-იანი წლებიდან ევროინტეგრაციის თეორიებში მისმა თეორიამ წამყვანი როლი მოიპოვა. მორავიკმა თეორია განავითარა როგორც პასუხი ნეო ფუნქციონალიზმზე, იმისთვის, რომ აეხსნა ევროკავშირის განვითარება 1955 წლიდან 1992 წლამდე ისტორიულ შუალედში. მისი მთავარი თეზისია, რომ ევროინტეგრაციის ახსნა ყველაზე უკეთ შეიძლება როგორც 'რაციონალური ლიდერების მიერ გაკეთებული რაციონალური არჩევანი.' (მორავიკი, 1998, 18) როგორც ეს ციტატა აჩვენებს, თეორია რაციონალისტურ მოდელს ემყარება, რომელიც სახელმწიფოებს რაციონალურ მოთამაშედ მოიაზრებს და ეროვნული ლიდერები ამ სახელმწიფოების რაციონალურ ინტერესებს იცავენ. ინტეგრაცია, მორავიკის თანახმად, არის პროცესი, რომელშიც სახელმწიფოები საკუთარ მიზნებს და პრეფერენციებს განსაზღვრავენ, მოლაპარაკებებს აწარმოებენ ამ მიზნების გარშემო თანამშრომლობის ფორმატებზე და საბოლოოდ ირჩევენ იმ საერთაშორისო ინსტიტუციურ ჩარჩოს, რომელიც ამ მიზნების განხორციელებაში დაეხმარება (მორავიკი, 1998, 18).

ეს დეფინიცია სამ საფეხურიან სისტემას განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებისთვის. პირველ საფეხურზე ხდება ეროვნული ინტერესების ფორმირება/განსაზღვრა, მეორე საფეხურზე იწყება მოლაპარაკებების პროცესი და, ბოლოს, მესამე საფეხურზე იქმნება ზე-ეროვნული ინსტიტუციური მექანიზმები და მათ პოლიტიკური პასუხისმგებლობა გადაეცემა, მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზებისთვის. შესაბამისად, ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის პერსპექტივიდან, სახელმწიფოები რჩებიან მთავარ მოთამაშედ, რომელიც ერთის მხრივ განსაზღვრავს პრეფერენციებს და ინტერესებს და, მეორეს მხრივ იმას, თუ რამდენად, რა დოზით არიან მზად დათმონ სუვერენული უფლებები პოლიტიკის განხორციელებაზე და

გადასცენ შესაბამისი ავტორიტეტი ზე-ეროვნულ სტრუქტურებს (მორავიკი & შიმელფენინგი, რედ. ვაინერი, ბორზელი და რიზე, 2019, 64-84).

პირველ საფეხურზე ეროვნული ინტერესების დადგენისას, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის შიდა ინტერესთა ჯგუფები, რომლებსაც საკუთარი დღის წესრიგი აქვთ (*Ibid*). ეს ინტერესები არის როგორც ეკონომიკური, ასევე გეოპოლიტიკური ხასიათის. მიუხედავად იმისა, რომ მორავიკი ძირითად ყურადღებას ეკონომიკურ ინტერესებზე ამახვილებს, ის ასევე არ აკნინებს გეოპოლიტიკური ინტერესების გავლენას. განსაკუთრებით იქ, სადაც ევროინტეგრაციის ინტერესები შეეხება საგარეო პოლიტიკასა და თავდაცვის პოლიტიკას, გეოპოლიტიკური ფაქტორების ხვედრითი წილი, ცხადია, იზრდება. რამდენადაც როგორც სამეზობლო ინიციატივა, ასევე ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა სწორედ საგარეო და თავდაცვის სფეროებს ეხება, გეოპოლიტიკური ინტერესების როლს მნიშვნელოვანი დრო დაეთმობა დისერტაციის კვლევაში. გეოპოლიტიკური ფაქტორების განსაზღვრისას ძირითად მოთამაშეები არიან საგარეო და თავდაცვის სამინისტროები და პოლიტიკური მმართველი ელიტა.

სწორედ წევრი სახელმწიფოების მმართველი პოლიტიკური გუნდები მონაწილეობენ უკვე მეორე საფეხურზე ინტერესების თაობაზე მოლაპარაკებების წარმართვაში, რადგან წევრი სახელმწიფოების ინტერესები, როგორც წესი, არაა ურთიერთ შეთანხმებული. ამ პროცესში წევრ სახელმწიფოებს თანაბარი წვდომა აქვთ ინფორმაციაზე, რომელიც შეეხება ევროკავშირის სხვადასხვა წევრი სახელმწიფოების ინტერესებს და, ასევე, ინსტიტუციების დამოკიდებულების შესახებ ინფორმაციაზე. მოლაპარაკებების პროცესში კი, სწორედ წევრი სახელმწიფოების შედარებითი პოლიტიკური წონა და მოლაპარაკებებზე საკუთარი ინტერესები დაცვის შესაძლებლობა განსაზღვრავს საბოლოო შედეგს (Niemann, A./ნიემანი, & Schmitter, P.C./შმიტერი, რედ. ვაინერი, დიეზი, 2009, 45-66). სახელმწიფოები, რომლებსაც ყველაზე დიდი ინტერესი აქვთ პოლიტიკის კონკრეტულ საკითხზე, როგორც წესი, პოლიტიკის ინიცირებასაც ახდენენ და შესაბამისად მთავარ როლს თამაშობენ მოლაპარაკებების წარმართვის პროცესში-როგორც მედიაციის, ასევე მოლაპარაკებების შედეგების და პოლიტიკიდან მიღებული სარგებლის გადანაწილების დადგენის თვალსაზრისით (მორავიკი, 1999, 267-306). ის, რაც განსაზღვრავს საბოლოო შედეგებს მოლაპარაკებების პროცესში ასიმეტრიული თანა დამოკიდებულების სტატუსია. ის სახელმწიფოები, რომლებსაც სტატუს ქვოდან გამომდინარე ყველაზე ნაკლებად აინტერესებთ პოლიტიკის

განხორციელება, როგორც წესი, ყველაზე აქტიურად უპირისპირდებიან პოლიტიკის ფორმირების პროცესს და საფრთხეს ქმნიან, რომ დაიბლოკოს გადაწყვეტილების მიღება. იმ წევრ სახელმწიფოებს, რომლებსაც პოლიტიკის განხორციელებაში ყველაზე მაღალი ინტერესები აქვთ, თავის მხრივ, უწევთ გადახედვა, თუ რიის დათმობისთვის არიან მზად სასურველი შედეგის მისაღებად და რა დამატებითი ფასის გადახდა სურთ. სახელმწიფოებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების საბოლოო შედეგი კი, ცხადია, ყველაზე დაბალი საერთო მნიშვნელის მქონე პოზიცია ხდება (ნიემანი & შმიტერი 2009).

ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიის დამუშავება გაგრძელდა მათ შორის მორავჩიკის თეორიის კრიტიკული ანალიზის გზით და 2010-იან წლებში ჩამოყალიბდა 'ახალი ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორია.' კრისტოფერ ბიკერტონი, დემოტ ჰოდსონი, უვე პუეტერი (Bickerton, Hodson and Puetter) ყურადღებას ამახვილებენ პარადოქსზე, რომ 'მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის საქმიანობის სფეროები უპრეცედენტოდ გაფართოვდა, მისი კონსტიტუციური დამახასიათებლები უცვლელი დარჩა' (Bickerton, C./ბიკერტონი, Hodson, D./ჰოდსონი & Puetter, U./პუეტერი, 2015, 703-722). მათი ძირითადი მიდგომაა, რომ ევროკავშირი განვითარდა ღრმა ინტეგრაცია ისე, რომ 'სუპრა-ნაციონალიზმი'-კონსტიტუციური ინსტიტუციური მოწყობის თვალსაზრისით ვერ ჩამოყალიბდა. ახალი ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიის ავტორები არ აკნინებენ თეორიის ძირითად მიდგომას-რომ ევროკავშირის ინტეგრაციონალისტურ პროცესებში მთავარ როლს თამაშობენ წევრი სახელმწიფოები. პირიქით, მათ მიაჩნიათ, რომ ევროპული საბჭოს როლი, როგორც კრიზისების ძირითადი მმართველის, ასევე ევროკომისიის როლის შესუსტება, ახლად შექმნილი და წევრი ქვეყნების მხრიდან უფრო მარტივად მართული ინსტიტუტების სასარგებლოდ, კარგი მაგალითია იმისა, რომ წევრი ქვეყნების როლი კი არ მცირდება, არამედ პირიქით, იზრდება (Kleine, M./კლეინი & Pollack, M./პოლაკი, 2018, 1493-1509). ამავე დროს, ახალი ინტერგავარმენტალიზმის თეორიის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ ევროპული საბჭო არ მოქმედებს მარავჩიკის 'მოლაპარაკებების/ვაჭრობის' მოდელით და აღწერენ საბჭოს როგორც ურთიერთ დარწმუნების, განხილვის მოედანს, სადაც ევროკავშირის ლიდერები ცდილობენ კონსესუსზე დამყარებული გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც შეარბილებს მათი გადაწყვეტილების წინააღმდეგობრივ და პოლიტიკურ შინაარსს (ბიკერტონი, ჰოდსონი, & პუეტერი, 2015, 711; Fabbrini/ფაბრინი & პუეტერი, 2016, 486). ამის შედეგად, კლასიკური

ინტერგავარმენტალიზმის თეორიის მიდგომას განახლება ესაჭიროება, რომ ახსნას ევროკავშირის თანამედროვე მოდელი.

აღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმება ფრენკ შიმელფენინგი, რომელსაც მიაჩნია, რომ აღნიშნული ავტორების მიდგომაში, თეორიულად რაიმე ახალი და საინტერესო არ არის (შიმელფენინგი, 2015, 723-730). შიმელფენინგს მიაჩნია, რომ ეს მიდგომა ვერ ჩაითვლება ახალ თეორიად. კონსტრუქტივისტების არგუმენტები, რომ ევროკავშირი მოლაპარაკებების და არა 'გარიგების' პრინციპით ფუნქციონირებს-არახალია და ისინი იზიარებენ აზრს, რომ მარავჩიკის მოდელი არაა შეუთავსებელი რაციონალისტურ და შესაბამისად, ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიის მიდგომასთან ევროკავშირის პოლიტიკის განსაზღვრის შესახებ. შიმელფენინგის აზრით ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიის ლიმიტი სხვა-თეორია ერთგვარად სტატიკურია და არ იძლევა თეორიულ ჩარჩოს იმ შინაგანი ცვლილებებისთვის, რომელიც მისმა შემადგენელმა ძირითადმა კომპონენტებმა-პრეფერენციებმა, სამომლაპარაკებლო უპირატესობამ და ინსტიტუციურმა არჩევანმა-შეიძლება განიცადოს.

განსაკუთრებით საინტერესოა თეორიული მიდგომა, რომელიც ინტერგავარმენტალიზმის თეორიისა და ნეო ფუნქციონალიზმის შეზავებად მიაჩნიათ ავტორებს-'წარუმატებლობით დაწინაურების' თეორიას, რომელიც ერიკ ჯონსმა, დანიელ კელმანმა და სოფი მენიერმა (Jones, Kelemen and Meunier) 2016 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში შეიმუშავეს (Jones, E./ჯონსი, Kelemen, R. D./კელმანი, & Meunier, S./მენიერი, 2015, 49 (7)). ლიბერალურ სამთავრობათაშორისო თეორიიდან ეს მიდგომა ეყრდნობა წანამძღვარს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები მორიგების/მოლაპარაკების გზით თანხმდებიან ყველაზე დაბალ საერთო მნიშვნელობაზე, რომელიც ასახავს მოკლევადიან მიდგომას ამა თუ იმ პოლიტიკის შემუშავებისას და, ამავე დროს დათმობას ევროკავშირის იმ წევრი ქვეყნის ან ქვეყნებისთვის, რომლისთვისაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მიღებას. ამავე დროს, ნეო-ფუნქციონალიზმის თეორიული მიდგომიდან, იგივე თეორია იღებს წანამძღვარს, რომ მსგავსი მოკლევადიანი გადაწყვეტილება აუცილებლად აწყდება ფუნქციურ კრიზისს. კრიზისის თავის მხრივ იწვევს საჭიროებას, რომ ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა მიიღო ახალი, შესაძლოა ისევ მოკლევადიან პერსპექტივაზე გათვლილი ზომები, რომელიც თავის მხრივ ინტეგრაციისკენ ახალი ბიძგია. ეს შეიძლება აღწერილი იყოს როგორც ევროკავშირის პოლიტიკა, რომელიც 'წარუმატებლობით დაწინაურებს შემდგომ ინტეგრაციას.'

ნეო-ფუნქციონალიზმი

ნეო-ფუნქციონალიზმი ფუნქციონალიზმის თეორიის საფუძველზე განვითარდა. ფუნქციონალიზმი მიიჩნევს, რომ ორგანიზაციის მიზნები და სტრუქტურა განისაზღვრება იმ ამოცანებიდან და დღის წესრიგიდან გამომდინარე, რომელიც მას დაეკისრა. 'ფუნქციონალისტები' არ შემოსაზღვრავენ ინტეგრაციას რაიმე ტერიტორიული ცნებით და მიაჩნიათ, რომ ინტეგრაციის მთავარი მამოძრავებელი ძალა კეთილდღეობის მაქსიმიზაციას (ნიემანი, & შმიტერი, რედ. ვაინერი, დიეზი, 2009, 45-66). ნეო-ფუნქციონალიზმი განვითარდა როგორც პასუხი ფუნქციონალიზმზე, რადგან ფუნქციონალიზმი ვერ პასუხობდა გამოწვევას, პოლიტიკური თეორიული ახსნა მოეძებნა ინტეგრაციის პროცესისთვის (Nelsen/ნელსენი & Stub/სტაბი, 2014, 99). ფუნქციონალიზმი, მაგალითად, ვერ ხსნიდა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების შექმნის და მისი შემდგომი გაფართოვების პოლიტიკას. სწორედ ამიტომ გახდა აუცილებელი ინტეგრაციის ახალი თეორიული მიდგომის განვითარება, რომლის ფორმულირებაც, პირველმა, ერნსტ ჰაასმა გააკეთა. მე-20 საუკუნეში ნეო-ფუნქციონალიზმი გახდა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თეორიული მიდგომა ევროკავშირის ინტეგრაციის შესასწავლად. ინტეგრაციის თეორია და ნეო-ფუნქციონალიზმი, ფაქტიურად სინონიმებად გადაიქცა (Rosamond, B./როზამონდი, 2000, 51-73).

ნეო-ფუნქციონალიზმი აქცენტს აკეთებს ზე-ნაციონალური ინსტიტუტების დამოუკიდებელ ქცევაზე და იმ ზეგავლენაზე, რომელიც ორგანიზებულ ინტერესებს აქვს პოლიტიკის ფორმირებაზე. მის ნაშრომში, 'ევროპის გაერთიანება 1958 წლიდან' ერნესტ ჰაასმა ევროკავშირის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება გამოიყენა როგორც შესწავლის საგანი და დაასკვნა, რომ პოლიტიკური ინტეგრაცია აღქმული უნდა იქნას როგორც პროცესი და არა შემდგარი ვითარება. ინტეგრაცია აღქმული უნდა იყოს პროცესში მონაწილე აქტორების ინტერესების და ღირებულებების აღქმის კონცეპტუალიზაციად (ჰაასი, 1958, 11). მან განავითარა ანალიტიკური ჩარჩო, რომელიც ზომავს ევროპულ ინტეგრაციის პროგრესს. ე. წ. 'გადმოღვრის' ცნება, (spillover) რომელიც ხსნის, თუ რა უზიძგებს ევროინტეგრაციის პროცესს. 'გადმოღვრის' ცნება ცენტრალურია ნეოფუნქციონალიზმის თეორიისთვის. ამ ცნების თანახმად, 'კონკრეტული ქმედება, რომელიც უკავშირდება კონკრეტული ამოცანის განხორციელებას, ქმნის სიტუაციას,

როდესაც ამოცანის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ახალი ქმედებებით. ახალი ქმედებების განხორციელება კი, თავის მხრივ, ქმნის ახალ პირობებს, რომელიც შემდგომ ქმედებას მოითხოვს (Lindberg, L.N./ლინდბერგი, 1963, 10).

ჰაასი თავდაპირველად ფუნქციურ 'გადმოღვრაზე' იყო კონცენტრირებული, როდესაც ანალიზებდა, თუ როგორ იწვევს ერთი მიმართულებით ინტეგრაცია, სხვა მიმართულებით ინტეგრაციის აუცილებლობას. მაგალითად, თავდაპირველად, ჰაასმა გაანალიზა, თუ როგორ გამოიწვია ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებამ ტრანსპორტის დარგში ინტეგრაციის აუცილებლობა (ჰაასი, 1958). ამ მიდგომის შემდეგი განვითარება მოხდა ნიემანისა და იონოუს მიერ (ნიემანი & Ioannou, D./იოანუ, 2015, 196-218) რომლებმაც განავითარეს ხედვა, თუ რა ინდიკატორებით იზომება ფუნქციური 'გადმოღვრის' აღმოჩენა ემპირიულ დონეზე. პირველი-ეს არის თავდაპირველი ამოცანის მასშტაბურობა (ნიემანი და იოანუ 2015, 200), მეორე-ფუნქციური თანა დამოკიდებულების არსებობა თავდაპირველ ამოცანასა და იმ საკითხს შორის, რომელიც შემდგომ ქმედებას მოითხოვს (*Ibid*), მესამე-ფუნქციური გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა, და მეოთხე-ფუნქციური არგუმენტების არსებობა პოლიტიკურ დისკურსში, რომელიც გამოიყენება პოლიტიკის შემმუშავებელი მნიშვნელოვანი აქტორების მიერ (*Ibid*).

პირველი ინდიკატორი აჩვენებს, რომ შემდგომი ინტეგრაციისთვის აუცილებელ ზეწოლას, გადაუდებელი ამოცანის განხორციელება ქმნის. მეორე ინდიკატორი ზომავს, თუ რამდენად განსაზღვრავს თავდაპირველად დასახული პოლიტიკის განხორციელების პროცესში არსებული წინააღმდეგობები ახალ მიმართულებას პოლიტიკურ ინტეგრაციის თვალსაზრისით. მესამე ინდიკატორი კი, ზომავს, თუ რამდენად არის აუცილებელი ახალი ინტეგრაციის პოლიტიკა თავდაპირველად განსაზღვრული ამოცანის განსახორციელებლად და თუ არსებობს ალტერნატიული გადაწყვეტილებები. თუ ალტერნატიული გადაწყვეტილებები არ არსებობს, მაშინ იმის შანსი, რომ სინერგია პირველად ინტეგრაციონალისტურ პოლიტიკას და მეორეს შორის ძლიერი იქნება, არის მაღალი. ფუნქციური დინამიკა მხოლოდ იმდენად ძლიერი იქნება, რამდენადაც ასეთად აღიქმება ძირითადი მოთამაშეების მიერ (*Ibid*).

მეორე მექანიზმი, რომელიც ჰაასმა შეიმუშავა ინტეგრაციის პროცესის შესაფასებლად არის შიდა ინტერესების მიგრაცია ზესახელმწიფოებრივ დონეზე. ნეო-

ფუნქციონალისტები, ისევე როგორც ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიის მიმდევრები, პოლიტიკურ აქტიორებს მიიჩნევენ რაციონალურ და საკუთარი ინტერესებით მოტივირებულ მოთამაშეებად. ინტერესებით მოქმედი ჯგუფები, როგორცაა ბიზნეს ლიდერები, პოლიტიკური პარტიები, რომლებიც თვლიან, რომ ზე-სახელმწიფოებრივ დონეზე გასვლა აუცილებელია მათი ინტერესების დასაცავად, ქმნიან ახალ ინტეგრაციონალისტურ მომენტს. შესაბამისად, ამ ჯგუფებს შეუძლიათ აიძულონ ხელისუფლება, რომ დათმოს დამატებითი უფლებამოსილებები ზე-სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების სასარგებლოდ. ამ პროცესს, რომლითაც ინტერესთა ჯგუფები აღრმავებენ ინტეგრაციონალისტურ პოლიტიკას პოლიტიკური 'გადმოღვრის' ეფექტი ქვია (ნიემანი & შმიტერი, რედ. ვაინერი და ზიეზი, 2009, 45-66). ინტერესთა ჯგუფების ზეგავლენის შესაფასებლად უნდა დადგინდეს, თუ რამდენად აისახა ტრანსნაციონალური აქტიორების ინტერესები ინტეგრაციის პოლიტიკაში და ინსტიტუციურ მოწყობაში (ნიემანი და იოანუ, 2015).

მესამე მექანიზმი, რომელსაც ჰაასი განიხილავს ე. წ. ტექნოკრატიული ავტომატურობას უკავშირდება. ეს მექანიზმი გულისხმობს, რომ როდესაც ზე-სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები შეიქმნება, ისინი საკუთარ დღის წესრიგს ქმნიან და აქტიურად იცავენ საკუთარ ინტერესებს. მათი დღის წესრიგია საკუთარი ძალაუფლების გაზრდა და მაქსიმალური ავტონომიის მოპოვება. შესაბამისად, ნეო-ფუნქციონალიზმი ზე-სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებს დამოუკიდებელ და ავტონომიურ აქტიორებად მოიაზრებს, რომლებსაც აინტერესებთ შემდგომი ინტეგრაცია და პროცესში საკუთარი როლის გაზრდა. ისინი იწყებენ მსჯელობას იმ პოლიტიკურ ამოცანებზე და პროგრამებზე, რომელიც გაზრდის მათ როლს და ფუნქციას. ამიტომ, შესაძლოა ისინი ტრანსნაციონალური ჯგუფების მოკავშირეები იყვნენ წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ, თუ შემდგომი ინტეგრაცია ორივეს დღის წესრიგშია. ამავე დროს, მათ გააჩნიათ აუცილებელი ტექნოკრატიული ცოდნა, რომ განავითარონ პოლიტიკური შეთავაზებები, რომელიც შესაძლოა იყოს კონსესუსის საფუძველი, ყველა მონაწილე მხარისთვის (ნიემანი, & შმიტერი, რედ. ვაინერი, დიეზი, 2009, 50). პროცესში იქმნება ახალი 'გადმოღვრა,' რომელსაც ბიუროკრატის მიერ კულტივირებულ გადმოღვრად შეიძლება ჩაითვალოს.

ნეო-ფუნქციონალიზმის და ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიის წინამძღვარები სხვადასხვანაირად ხსნის ევროპული ინტეგრაციის პროცესს და იმას, თუ

რა ახდენს მასზე ზეგავლენას. შესაბამისად, ამ თეორიული ჩარჩოს გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია ყველაზე ზუსტად მოვახდინოთ საკვლევი საკითხების ოპერაციონალიზაცია: ნეო-ფუნქციონალიზმის თეორიული წანამდვარების კონტექსტში განხილული იქნება:

1. ფუნქციური გადმოღვრის ეფექტი (spillover)-იყო თუ არა ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნები ის, რამაც დღის წესრიგში დააყენა ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის და სამეზობლო ინიციატივის შექმნის აუცილებლობა.
2. პოლიტიკური გადმოღვრის ეფექტი-არსებობდა თუ არა გერმანიისა და საფრანგეთის მხრიდან შესაბამისი ზეწოლა სამეზობლო ინიციატივისა და ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის განვითარებისთვის, სად ემთხვეოდა ეს ინტერესები და სად იყო განსხვავებული.
3. კულტივირებული გადმოღვრის ეფექტი - რა იყო სუპრანაციონალური ევროპული ინსტიტუტების როლი (ევროკომისია) ამ პოლიტიკის მიმართულების განვითარებაში?

ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიის წანამდვარების კონტექსტში განიხილება:

1. გერმანიისა და საფრანგეთის ეროვნული მთავრობების გეოპოლიტიკური ინტერესები და მათი როლი შესაბამისი პოლიტიკური მიმართულებების შემუშავებაში.
2. სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკებების შედეგი ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისა და სამეზობლო ინიციატივის შინაარსსა და ინსტიტუციურ დიზაინში.

ამ წანამდვარების მიერ შექმნილი ანალიტიკური ჩარჩო, შესაბამისად, მოგვცემს შესაძლებლობას, რომ მოხდეს კვლევის საკითხის ოპერაციონალიზაცია და დაიტესტოს დისერტაციის ჰიპოთეზა. მეთოდოლოგიის თავი დეტალურად განიხილავს კვლევის მეთოდოლოგიას და დიზაინს, თუ როგორ მოხდება ოპერაციონალიზაციის პროცესი ამ თეორიული ჩარჩოს გამოყენებით.

კვლევის მეთოდოლოგია

მოდელი, რომელიც სოციალურ მეცნიერებაში გამოიყენება კვლევის საგნის შესასწავლად უნდა პასუხობდეს ფილოსოფიური თვალსაზრისით კითხვას, თუ რა ქმნის შესწავლილ რეალობას და მის შემეცნებას (ონტოლოგია) და ასევე კითხვას, თუ როგორ უნდა შევიცნოთ მისი ბუნება, წყაროები და ლიმიტები (ეპისტომოლოგია). ბარელი და მორგანი (Burrel and Morgan) ნაშრომში 'სოციოლოგიური პარადიგმები და ორგანიზაციული ანალიზი,' განმარტავენ, რომ სოციალური მეცნიერებისთვის ონტოლოგია ნიშნავს, თუ როგორ ვხედავთ სამყაროს-არის თუ არა ის მყარ სოციალურ წესრიგზე დამყარებული, თუ მუდმივად ცვალებადი; ეპისტომოლოგიური თვალსაზრისით, როგორ შევისწავლოთ სამყარო-სოციალური მოვლენების მიმართ ობიექტური თუ სუბიექტური მიდგომით (Burrell/ბურელი and Morgan/მორგანი, 1979). სოციალურ კვლევებში ონტოლოგიური და ეპისტომოლოგიური პოზიცია, რომელიც მკვლევარმა შეიძლება დაიკავოს, მრავალია. პოზიტივისტური-ობიექტური მიდგომიდან, ჰუმანისტურ, სუბიექტურ მიდგომამდე, მთელი რიგი შესაძლებლობები არსებობს. ონტოლოგიური პერსპექტივიდან, კონსტრუქტივიზმი და ეპისტომოლოგიური თვალსაზრისით, ინტერპრეტივიზმი, ის საფუძვლებია, რომელსაც სოციალური მეცნიერების კვლევები ყველაზე ხშირად ეფუძნება. კონსტრუქტივიზმი გულისხმობს, რომ სოციალური რეალობა დიდ წილად არის სხვადასხვა აქტიორებს შორის ინტერაქციის შედეგი (Bryman, A./ბრაიმანი, 2012).

ონტოლოგიური და ეპისტომოლოგიური თვალსაზრისით, სადისერტაციო ნაშრომის შესწავლის საგანი-ევროინტეგრაცია, რომელიც მუდმივად ცვალებადი პროცესია და, სუბიექტური შეფასება, რომელსაც მოითხოვს იმ ფაქტორების ანალიზი, როგორცაა მაგალითად ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოზიცია დღის წესრიგში ინტერპრეტივიზმის პარადიგმის გამოყენებას აყენებს. ეს პარადიგმა ცვალებად სამყაროზე სუბიექტური დაკვირებისა მეთოდით მიღებული ინფორმაციის შეჯერების და ანალიზის მეთოდს გულისხმობს. ინტერპრეტივიზმი გულისხმობს, რომ სოციალურ რეალობაზე დასკვნა შეიძლება მხოლოდ იმ კონტექსტში გაკეთდეს, რომელშიც ხდება მისი შესწავლა.

შესაბამისად, მკაცრად განსაზღვრული ობიექტური ცოდნის დადგენა, შეუძლებელია, თუმცა, შესაძლებელია გარკვეული განზოგადება და მიმდინარეობის დადგენა.

ეპისტომოლოგიური შეკითხვა, რომელიც კვლევის საგანს უკავშირდება არის, თუ როგორ შეიძლება კვლევით კითხვებს გაეცეს პასუხი? (Schwartz-Shea/შცვარც & Yanow/იანოუ, 2012). ანუ, ემპირიულ დონეზე, როგორ შეიძლება მაგალითად დადგინდეს: რა მიზეზებით, რა ამოცანების განსახორციელებლად შეიქმნა შესწავლილი პოლიტიკური ინსტრუმენტები ევროკავშირის მიერ? როგორი ინსტიტუციური ჩარჩო არსებობს ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის განსახორციელებლად? რა ზეგავლენა მოახდინა წევრი ქვეყნების-გერმანიის და საფრანგეთის პოზიციამ ამ ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნაზე? არის თუ არა ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში ჩამოშლილი უსაფრთხოების გარემო დაკავშირებული ამ ორი პოლიტიკური ინსტრუმენტის წარუმატებელ ათვისებასთან?

მსგავს კითხვაზე პასუხის გასაცემად მკვლევარები ხშირად იყენებენ არგუმენტატიული პოლიტიკური ანალიზის ეპისტომოლოგიურ მიდგომას, რომელიც პასუხს სცემს ინსტიტუციური ქცევის შესახებ კითხვას. (Fisher/ფიშერი and Forester/ფორესტერი, 1993) როდესაც კვლევის საგანს ინსტიტუციური ქცევა წარმოადგენს და არა ინდივიდების, პრობლემა უკავშირდება იმას, რომ ქცევის შესწავლა-ადამიანის ქცევას გულისხმობს და არა ინსტიტუტების. მაგრამ მიუხედავად ამისა, აკადემიური ინტერესი, რომ ევროკავშირის ინსტიტუტების ქცევის შესწავლა მომხდარიყო, ევროკავშირის ინსტიტუტების შექმნის დღიდან არსებობს. (ჰაასი, 1958) შესაბამისად, დღემდე დაგროვებული აკადემიური კვლევები საკმარის საფუძველს ქმნის ინსტიტუციური ქცევის შესწავლისათვის აუცილებელი მეთოდოლოგიური მიდგომების შესაქმნელად.

არგუმენტირებული ანალიზის მიდგომა გულისხმობს, რომ იმ არგუმენტების ანალიზით, რომელიც ფიქსირდება სხვადასხვა დოკუმენტებში, კონკრეტული ოფიციალური პირების გამოსვლებში, სტატიებში, შესაძლებელია გაანალიზდეს ის მოსაზრებები, რომელზე დაყრდნობითაც შეგვიძლია დავადგინოთ მიზეზები, არგუმენტები, მოტივაცია, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. რადგან პოლიტიკა სწორედ იმ ენით აღიწერება, რომელსაც ინსტიტუციები, მთავრობები, ოფიციალური პირები იყენებენ. (Majone/მაჯონე, 1989) ინსტიტუციური ქცევა შეიძლება შეფასებული იქნას იმით, თუ რას ამბობენ ოფიციალური პირები, როდის და სად, ისევე,

როგორც ვინ არის მათ ადრესატი. (Schmidt, V.A/შმიტი, 2008, გვ. 306) ანუ ინსტიტუციური მიდგომა, ემპირიულ დონეზე, შეიძლება შესწავლილი იქნას წევრი სახელმწიფოების, ევროკომისიის, ევროპარლამენტის მიერ დაფიქსირებული პოზიციების ანალიზით.

ეს მიდგომა, თავისთავად არ გულისხმობს მხოლოდ ინტერპრეტაციული კვლევითი მეთოდის გამოყენებას. სოციალურ მეცნიერებაში, კვლევის წარმართვისას ასევე შესაძლებელია კონსტრუქტივიზმის ონტოლოგიის გამოყენება, რომელს თანახმადაც სოციალური სამყარო, სოციალური გონებისგან განუყოფელია-შესაბამისად რეალობას ქმნის სწორედ ის ენა, რომელსაც იყენებენ პოლიტიკის განსაზღვრისას. (Jackson/ჯექსონი, 2011, გვ. 155-164) როდესაც სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს შეისწავლოს წევრი სახელმწიფოების ზეგავლენა ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკას და სამეზობლო ინიციატივის პოლიტიკის ინსტიტუციურ ევოლუციაზე, შესაბამისი აქტორების მიერ გამოყენებული ენა, შეფასებები და სხვა, პოლიტიკის განმსაზღვრელი განცხადებები, შესაძლებლობას გვაძლევს კონსტრუქტივიზმის ონტოლოგიური პერსპექტივიდანაც გავაკეთოთ დასკვნები.

შერჩეული კვლევის მეთოდი ძირითადად დედუქციური მიდგომას ითვალისწინებს-დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დასკვნების გაკეთების, თვისობრივ კვლევის მეთოდით. თვისობრივი კვლევის მეთოდი 'მონაცემების შეგროვებისას აქცენტს აკეთებს სიტყვებზე და არა რაოდენობაზე.' (Collan/კოლანი and Harrison/ჰარისონი, 2017, გვ.166) თვისობრივი კვლევის გამოყენება გამართლებულია, როდესაც სოციალური მეცნიერების კვლევის თემა მოითხოვს ინტერპრეტაციულ მეთოდს. თვისობრივი ანალიზი, განსხვავებით რაოდენობრივი ანალიზისგან, გამოიყენება იქ, სადაც კვლევა მოითხოვს მკვლევარის ანალიტიკურ შესაძლებლობებს მოკვლეული მასალის ინტეგრირებული ანალიზისთვის და მკვლევარის მხრიდან იმ კონტექსტის სწორ აღქმას, რომელშიც ხდება კვლევის მასალის შეგროვება. თვისობრივი კვლევის მიზანია ამა თუ იმ ფენომენში გარკვევა და არა პროგნოზირება და ახსნა. (Bhattacharjee, A/ბათაჩერჯი, 2012)

რამდენადაც კვლევის საგანს წარმოადგენს მკვლევარისგან დამოუკიდებელი ფენომენი, არა-ექსპერიმენტალური ახსნის კვლევითი დიზაინი იქნა გამოყენებული. ნაშრომი შეისწავლის ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკას ინტერპრეტაციული ანალიზის მიდგომით პირველად და მეორად წყაროებზე დაყრდნობით. დისკურსის ანალიზი ფართოდ არის გამოყენებული ევროკავშირის შემსწავლელ კვლევებში, იმისთვის, რომ

დადგინდეს იდეები, კონცეფციები, ნორმები და პოლიტიკა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. დისკურსი გამოიყენება გადაწყვეტილების მიმღები პირების და პოლიტიკის განმსაზღვრელების მხრიდან კონკრეტული პოლიტიკის შერჩევის და განხორციელების პროცესში. (Diaz/დიაზი, 2001, გვ. 5-38) დოკუმენტების შესწავლის პროცესში გამოიყენებულია ევროპული ინსტიტუტების და წევრი ქვეყნების მიერ გამოცემული ოფიციალური დოკუმენტები, ასევე კვლევები და პუბლიკაციები დისერტაციის საკვლევ თემაზე. გარდა პირველადი დოკუმენტების და ლიტერატურისა, სადისერტაციო ნაშრომი ასევე იყენებს ევროკავშირის სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების, შიდა სამუშაო შეხვედრების და იქ გამოთქმული პოზიციების ამსახველ ინფორმაციას, რომელზეც წვდომა დისერტაციის ავტორს მისი დიპლომატიური მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე აქვს. მსგავსი წყაროების გამოყენება გულისხმობს კვლევის საგნის შესახებ უშუალო და პირველადი ინფორმაციის შეგროვებას, რომელიც მკვლევარს შესაძლებლობას აძლევს შეაფასოს და ინტერპრეტაცია გაუკეთოს მიღებულ ინფორმაციას.

კვლევის ჰიპოთეზაში დამოკიდებული ცვლადი-ანუ კვლევის ერთეული, რომელიც ცვლილებას ექვემდებარება ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა, მათი განხორციელების მიზნით შექმნილი ინსტიტუციური ჩარჩები და ამ ჩარჩოებს შორის სინერგიული მიდგომაა. ონტოლოგიური თვალსაზრისით ეს ერთეული წარმოადგენს პირველ რიგში თავად პოლიტიკის არსს და შინაარსს-რა ამოცანების განსახორციელებლად შეიქმნა როგორც ერთი, ასევე მერეო პოლიტიკური ინსტრუმენტი და როგორ უკავშირდება ეს ინსტრუმენტები ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური ამოცანების განხორციელებას. ამის დასადგენად ისტორიულ რაკურსშია განხილული ორივე პოლიტიკური ინსტრუმენტის ევოლუცია. დაკვირვების ობიექტია ერთის მხრივ ევროკავშირის პოლიტიკის დოკუმენტები და მეორეს მხრივ, ის გეოპოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც იქმნებოდა პოლიტიკური ინსტრუმენტები. პოლიტიკური ინსტრუმენტების განსახორციელებლად შექმნილი ბიუროკრატიულ ინსტიტუციურ ჩარჩოს, რომელიც ამ ინსტრუმენტების განსახორციელებლად გამოიყენება დამოკიდებული ცვლადის შემადგენელი მთავარი კომპონენტია და მის ერთეულს შეადგენს, როგორც ბიუროკრატიული სტრუქტურების, ასევე გადაწყვეტილების მიღების პროცესის სტრუქტურული ირების თვალსაზრისით შექმნილი პროცესები. დაკვირვების ერთეულს წარმოადგენს არსებული ინსტიტუციური მოწყობა და მისი განვითარება-ევროკომისიის, ევროპული საბჭოების, წევრი ქვეყნების როლი ამ ინსტიტუციურ

მოწყობაში და ის ინსტიტუციური პროცესები, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ანუ პოლიტიკის განხორციელებისას გამოიყენება. შესაბამისად, დამოკიდებელი ცვლადის შესასწავლად წყაროები, რომელსაც ნაშრომი იყენებს არის როგორც ევროკავშირის ბიუროკრატიული ჩარჩოს და გადაწყვეტილების მიღების პროცესის მართვის აღმწერი დოკუმენტები, ასევე ის ინფორმაცია, რომელსაც კონკრეტული შემთხვევების განხილვის პროცესი (case studies) იძლევა.

‘სინერგია’ კვლევის მიზნისათვის განისაზღვრება, როგორც რესურსების, ინსტიტუციური მართვის მექანიზმების და პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავების პროცესში აუცილებელი ფაქტორების გათვალისწინებისას ევროკავშირის ამ ორ მნიშვნელოვანი პოლიტიკურ ინსტრუმენტებს შორის კოორდინაცია. ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზი, შესაძლებლობას მოგვცემს შევაფასოთ-არის თუ არა ინტეგრირებული ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ბიუროკრატიულ სისტემაში უსაფრთხოების გამოწვევებზე რეაგირების მექანიზმები, რომელსაც ქმნის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა. იმისათვის, რომ დადგინდეს სინერგიის არსებობა, კვლევა შეისწავლის წყაროების, რომელიც შესაბამისი პოლიტიკური ინსტრუმენტების შექმნის ისტორიას ასახავს-ისტორიული კვლევის მეთოდის გამოყენებით, რასაც ნაშრომის მეორე თავი ეთმობა. მესამე თავში იგივე მიზნით მოხდა ორივე პოლიტიკურ ინსტრუმენტის განსახორციელებლად შექმნილი არსებული ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზი. კონკრეტულად-დაკვირვების ობიექტი არის პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ბიუროკრატიული აპარატის სტრუქტურა და ანგარიშვალდებულების სისტემა. დაკვირვების ამ ერთეულის შესწავლა ხორციელდება პირველადი წყაროების-ევროკავშირის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ევოლუციის, შესაბამისი ევროპული საბჭოების გადაწყვეტილებების, რეგულაციების და დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, ისევე, როგორც აღნიშნულ თემაზე მეორადი აკადემიური კვლევების ანალიზის გზით.

გერმანიისა და საფრანგეთის პოზიცია აღმოსავლეთ სამეზობლოში ევროკავშირის პოლიტიკის განსახორციელებლად შექმნილ ინსტიტუციურ ჩარჩოზე კვლევის დამოუკიდებელი ცვლადია. რამდენადაც ევროკავშირის ინსტიტუციური მოწყობა განისაზღვრება წევრი სახელმწიფოების პოზიციით, კორელაცია ამ შემთხვევაში წევრი სახელმწიფოების პოზიციასა და ინსტიტუციურ მოწყობას შორის იგულისხმება, რომ არსებობს. ონტოლოგიური თვალსაზრისით, წევრი სახელმწიფოების პოზიციას შეადგენს ის ხედვები, რომელიც ასახული მათ მიერ გამოქვეყნებულ სტრატეგიულ დოკუმენტებში,

ოფიციალური პირების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და პოზიციებში, რომელიც მოლაპარაკებების დროს ფიქსირდება. შესაბამისად ის წყაროები, რომელიც დამოუკიდებელი ცვლადის შესასწავლად იქნა გამოყენებული სწორედ მსგავსი დოკუმენტებია. ამ ორი სახელმწიფოს პოზიცია შესწავლილია ისტორიული კვლევის პერსპექტივიდან-ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის და სამეზობლო ინიციატივის პოლიტიკის განვითარების პარალელურად. შესაბამისად, ისტორიული ანალიზი, რომელიც ერთის მხრივ შეისწავლის დამოუკიდებელი ცვლადის-გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციების განვითარებას და, მეორეს მხრივ დამოუკიდებელი ცვლადის-შესაბამისი პოლიტიკური ინსტრუმენტების ინსტიტუციური ჩარჩოს განვითარებას-შესაძლებლობას იძლევა დავადგინოთ კორელაციის ხარისხი ამ სახელმწიფოების პოზიციაში ცვლილებასა და ინსტიტუციურ ევოლუციას შორის.

გერმანიის და საფრანგეთის პოზიციით შემოფარგვლა, კვლევის დიზაინის თვალსაზრისით, ნიშნავს დაშვებას-რომ უგულვებელყოფილია სხვა ქვეყნების პოზიციები. რამდენადაც კვლევის მიზანია დაადგინოს, რა ზეგავლენას ახდენს კონკრეტულად ამ ორი სახელმწიფოს პოზიცია ინსტიტუციურ მოწყობაზე, ამ შემთხვევაში ეს დაშვება ნიშნავს, რომ ყველა სხვა ფაქტორის კონტროლის პირობებში გაიზომოს გერმანიის და საფრანგეთის პოზიციის ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

კვლევის სამუშაო ჰიპოთეზაა, რომ გერმანია და საფრანგეთი მუდამ უპირატესობას ანიჭებდა საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე სუვერენული უფლებების შენარჩუნებას, განსაკუთრებით რუსეთთან მიმართებაში. ამან კი, საკუთარი ზეგავლენა მოახდინა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტების ინსტიტუციური ჩარჩოს ფორმირებაზე. დაკვირვების ერთეული და გასაზომი ინდიკატორი ამ შემთხვევაში არის გერმანიისა და საფრანგეთის პოზიცია: 1. ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართ როგორც ისტორიულ, ასევე თანამედროვე კონტექსტში; 2. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივისა და რუსეთთან მიმართებაში განხორციელებული პოლიტიკის ჭრილში. ამ ერთეულის შესასწავლად და გასაზომად, ნაშრომი წყაროებად იყენებს ამ სახელმწიფოების მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებს, ეროვნული ლიდერების მიერ დაფიქსირებულ საჯარო პოზიციებს და ასევე ამ ქვეყნების მიერ დაფიქსირებულ მოსაზრებებს ევროკავშირის შიდა პოლიტიკურ დისკუსიებში.

კვლევის მეთოდის და დიზაინის ამოცანაა, რომ შექმნას ინსტრუმენტი, რომლითაც

მკვლევარი შეძლებს პასუხი გასცეს კვლევის კითხვებს, ხოლო კვლევით კითხვები თავის მხრივ ემსახურება მეთოდოლოგიური მიდგომის კონცეფციის გამყარებას ან უარყოფას. დისერტაციის თეორიული მიდგომა-ნეო-ფუნქციონალიზმი და ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიის სინთეზია. კონკრეტულად დისერტაციის მიზანია გამოიკვლიოს 1. ნეოფუნქციონალიზმის ხედვა, რომ ფუნქციური გადმოღვრის ეფექტი არის ბიძგი შემდგომი ინტეგრაციისთვის. 2. ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიის ხედვა, რომ წევრი სახელმწიფოების პოზიცია განმსაზღვრელია ინტეგრაციის პროცესისთვის. ნეო ფუნქციონალიზმის თეორიული წანამდღვრების კონტექსტში ფუნქციური გადმოღვრის ეფექტი (spillover)-იყო თუ არა ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნები ის, რამაც დღის წესრიგში დააყენა ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის და სამეზობლო ინიციატივის შექმნის აუცილებლობა, შესწავლილია ამ პოლიტიკის ბიუროკრატიული ჩარჩოს ჩამოყალიბების ისტორიული ანალიზის კონტექსტში. გერმანიის და საფრანგეთის პოზიცია, პოლიტიკის შექმნის პროცესში კი ანალიზებს, თუ რამდენად მოახდინა ზეგავლენა ინსტიტუციების შექმნაზე წევრი ქვეყნების პოზიციამ და მოლაპარაკებების პროცესმა-ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიული მიდგომის გამოყენებით. ეს ასევე ზომავს, 'პოლიტიკური გადმოღვრის ეფექტს'. ევროკომისიის პოზიციის ანალიზი კი, ამ პროცესში იძლევა კულტივირებული გადმოღვრის ეფექტის გაზომვის შესაძლებლობას.

ნაშრომში გამოყენებული მეთოდოლოგიური მიდგომის თვალსაზრისით, თუ გვსურს, რომ უფრო სრულყოფილი პასუხი გაცეს შეკითხვას, თუ რა ფაქტორები განსაზღვრავს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებისთვის აუცილებელი ინსტიტუციურ ჩარჩოს, ეს მოითხოვს იმ კომპლექსური პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების ანალიზსაც, რომელიც განსაზღვრავს წევრი ქვეყნების პოზიციას. მაგალითად, გერმანიისა და საფრანგეთის პოზიცია რუსეთთან და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ქვეყნებთან მიმართებაში, თავის მხრივ მრავალი სხვა ფაქტორით არის განსაზღვრული, მაგალითად, ეკონომიკური ინტერესები, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების გავლენები, რუსეთის მიერ ამ ქვეყნებში საკუთარი რბილი ძალის შესაძლებლობების სტრატეგიული განლაგება და სხვა. ამ ფაქტორების გაანალიზების გარეშე ამომწურავი პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რა ფაქტორებმა შეაფერხა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტების უფრო ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა, ცხადია, ვერ მოხდება. მიუხედავად ამისა, სადისერტაციო

ნაშრომი ქმნის დამატებით ღირებულებას ამ მიმართულებით მკვლევარების მიერ დღემდე შექმნილ აკადემიურ მასალაში.

სადისერტაციო ნაშრომის აკადემიური ღირებულების შესახებ დასკვნა

აღნიშნული კვლევის თემის აკადემიური ღირებულების დასადგენად, როგორც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის, ასევე სამეზობლო ინიციატივისა და ერთიანი საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის შესახებ დღემდე არსებული აკადემიური კვლევებისა და პუბლიკაციების საფუძვლიანი შესწავლა მოხდა. კვლევის პროცესში შესწავლილი ლიტერატურიდან კი, შემდგომი ტენდენციები გამოიკვეთა: 1. საკმაოდ მოცულობითია აკადემიური კვლევის მასალა ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების და, შესაბამისად, ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის შესახებ. 2. შედარებით მოკრძალებულია იმ აკადემიური ნაშრომების რიცხვი, რომელიც შეისწავლის ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკას. 3. კვლევის პროცესში არ გამოკვეთილა აკადემიური ნაშრომი, რომელიც ორ პოლიტიკურ ინსტრუმენტს-აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივასა და ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკას შორის კავშირის შესწავლას ისახავს მიზნად.

ევროკავშირის ერთიანი საგარეო, უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის შემსწავლელ ლიტერატურაში ორი ძირითადი ტენდენცია იკვეთება-ერთი, ეს არის პოლიტიკის განვითარებაში იმ მიზეზთა შესწავლა, რომელიც ევროკავშირის შიდა ინსტიტუციურ დინამიკას უკავშირდება, მეორე კი, საგარეო ფაქტორებსა და მოვლენებს. (Bono, G/ბონო, 2002) ეს ორივე მიმართულება საკმაოდ ღრმად არის გამოკვლეული და შესწავლილი. დასკვნები, რომელსაც ავტორები აკეთებენ განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელი თეორიული თუ ანალიტიკური პერსპექტივა იქნა შერჩეული ანალიზისთვის. მაგალითად, რეალიზმისა და რაციონალიზმის ანალიტიკური ჩარჩოს მიდგომა (როგორსაც ავითარებენ ავტორები: ჯონ მარშეიმერი, სტივენ ვოლტი, სებასტიან როზატო, რობერტ არტი და სხვები) ცდილობს განმარტოს, რატომ ვერ ხდება ევროკავშირის საერთო საგარეო პოლიტიკის გაღრმავება. აღნიშნული მიდგომა სკეპტიკურად უყურებს ამ პოლიტიკის მომავალს. ლიბერალური ინტერგავარემენტალიზმის თეორია, რომელიც ევროკავშირის პოლიტიკის ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი მიდგომაა (ავტორები: მორაფიკი, ჰაასი, მიტრადი და სხვები), ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ახსნისას წევრი ქვეყნების

ინტერესებს ანიჭებს გადამწყვეტ როლს და არა გარე ფაქტორებს, როგორცაა გეოპოლიტიკური მოვლენები, ან ინტეგრაციასთან დაკავშირებული ფუნქციური, ტექნიკური ან პოლიტიკური მეორადი შედეგები. ნეორეალიზმზე დაყრდნობით, აღნიშნული თეორიული მიდგომა მთავარ მოთამაშედ წევრ სახელწიფოებს მიიჩნევს, რაციონალური ანალიტიკური მიდგომის გამოყენებით.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ თითქმის ყველა აკადემიური ნაშრომი, რომელიც ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას იკვლევს ამ ძირითადი თეორიული მიდგომების ვარიაციას იყენებს ანალიტიკურ ჩარჩოდ. თუმცა, ამ მიდგომებიდან ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკასა და სამეზობლო ინიციატივის სინერჯის შესწავლა ამ თეორიული მიდგომების გამოყენებით, ლიტერატურაში არ გვხვდება.

ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის შესახებ დღემდე არსებული აკადემიური ნაშრომები, ძირითადად, აღნიშნულ პოლიტიკას, ევროკავშირის გაფართოვების პოლიტიკასთან შედარებითი ანალიზის კუთხით სწავლობს. კვლევის ფოკუსია, მაგალითად, ევროკომისიის როლი პოლიტიკის განხორციელებაში, (Kelley/კელი, 2006; Robert/რობერტი, 2001, Tulmets/ტულმეტსი, 2007) ასევე სამეზობლო ინიციატივის განხორციელებაში დასახული ამოცანების და მათ შესრულებაში ევროკავშირის მიერ წახალისების მექანიზმების როლი. (Balfour/ბალფორი and Rota/როტა, 2008, გვ. 7-20) გაფართოვების პოლიტიკასა და სამეზობლო პოლიტიკას შორის კავშირის ანალიზზე ფოკუსირებული კვლევები ადგენენ, რომ სამეზობლო ინიციატივა შემუშავებულია იმ ინსტიტუციური სტრუქტურის ანალოგიით, რომელიც გაფართოვებისთვის იყო შექმნილი. (Magen, A./მაგენი 2006) ისეთი მექანიზმები, როგორცაა 'პირობითობა' და 'სოციალიზაცია,' ასევე გაფართოვების პოლიტიკის მიდგომებიდან იქნა გადმოდებული. (კელი, 2006) ძირითადი დასკვნა, რომელიც სამეზობლო ინიციატივის შესწავლიდან კეთდება არის ის, რომ რამდენადაც სამეზობლო ინიციატივის მონაწილე ქვეყნები, მრავალი თვალსაზრისით, ბევრად უფრო დიდი გამოწვევების წინაშე იდგნენ, ვიდრე გაფართოვების პოლიტიკის მონაწილეები, სამეზობლო პოლიტიკამ მხოლოდ მოკრძალებული შედეგების მიღწევა შესძლო. (Lavenex/ლავენექსი & შიმელფენინგი, 2006)

ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის შესახებ დღემდე დაგროვებული აკადემიური კვლევებიდან, საკმაოდ ბევრი ნაშრომი სწავლობს ევროკავშირის გავლენას მის სამეზობლოში დემოკრატიზაციის პროცესზე, რომელთა ძირითადი თეორიული ფოკუსი არის 'ევროპეიზაცია' და 'გარეთა მმართველობა'. (შიმელფენინგი, 2007, გვ. 126-

141) ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი ჩარჩო, რომლითაც სამეზობლო ინიციატივის შეფასება ხდება არის ევროკავშირის, როგორც 'ნორმატიული' ანუ გარდამქმნელი ორგანიზაციის როლის შეფასება მის სამეზობლოში. თუმცა, მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ევროკავშირის, როგორც ნორმატიული ძალაუფლების წარმატებას განაპირობებს, არის ის უსაფრთხოების გარემო, რომელიც არსებობს იმ ქვეყანაში, რომლის გარდაქმნასაც ცდილობს ევროკავშირი. ამ თვალსაზრისით, ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის ქვეყნების შედარება გაფართოვების პროცესში მონაწილე ქვეყნებთან სირთულეს წარმოადგენს. უსაფრთხოების გამოწვევები, რომლებსაც ისეთი ქვეყნები აწყდებიან, როგორცაა უკრაინა და საქართველო, საგრძნობლად განსხვავდება ნატოს წევრ და ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნებისაგან. არსებობს კვლევები, რომელიც სწავლობს ევროკავშირის როლს კონფლიქტების დარეგულირებაში, (Whitman.R/ვითმანი and Wolff S./ვოლფი (eds) *The European Union as a Global Conflict Manager*, 2012) რომელშიც იკვეთება, რომ ევროკავშირის წარუმატებლობამ მის სამეზობლოში კონფლიქტების განვითარებასა და პრევენციაში, ნეგატიურად იმოქმედა ევროკავშირის მიზნების განხორციელებაზე სამეზობლო ინიციატივის ფარგლებში. თუმცა, აღნიშნული კვლევებიც ძირითადად ნიშური მიდგომით განიხილავს ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკას და ნაკლებად არის კონცენტრირებული სინერჯის არსებობაზე ევროკავშირის პოლიტიკის სხვადასხვა განშტოებებს შორის და ამ პროცესში წევრი სახელმწიფოების როლზე.

შესაბამისად, კვლევის საგანი, რომელიც სწორედ ამ სინერჯის არსებობას და მასზე გერმანიის და საფრანგეთის პოლიტიკურ გავლენას ეხება, საგრძნობლად შეავსებს არსებულ აკადემიურ მასალას ყველა ზემოთ განხილული მიმართულებით: როგორც ევროკავშირის ერთიანი საგარეო, უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის, ასევე სამეზობლო ინიციატივის და ევროკავშირის, როგორც კონფლიქტების დამრეგულირებლის როლის შეფასების შესახებ არსებულ აკადემიურ კვლევის მასალას.

თავი 2-ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა და სამეზობლო პოლიტიკა-ფორმირება, ისტორიული ექსკურსი

ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა

ევროპული უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა, მისი შექმნიდან დღემდე ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებლად გადაიქცა. ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე, მას ევროპული უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა, ხოლო ხელშეკრულების ამოქმედების შემდგომ, ევროკავშირის ინტეგრაციული მიდგომის ხაზგასმის მიზნით, 'ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა' ეწოდება.

ეს მიღწევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავითალისწინებთ იმ საკმაოდ რთულ ისტორიულ და პოლიტიკურ გარემოებებს, რომელიც წინ უძღვოდა პოლიტიკის ჩამოყალიბებას. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დაფუძნებით, ევროკავშირმა ფაქტიურად გადაწყვიტა, რომ უსაფრთხოების თემებს რაც შეეხება, წამყვანი როლი მიენიჭებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს. ამ დამოკიდებულებამ იმათვითვე შეზღუდა ევროკავშირის საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობები. დამოუკიდებლობის ხარისხი ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარების თვალსაზრისით დაქვემდებარებული იყო შეკითხვას-რას ფიქრობს აშშ. (Kaukeleire/კაუკელიერი and MacNaughtan, J/მაკნოთანი, 2010, გვ.10) შესაბამისად, ექნებოდა თუ არა ევროკავშირის სურვილი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის მიმართულებით ახალი პოლიტიკური მიმართულების შექმნა დამოკიდებული იყო გარე ფაქტორებზე. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური 'გადმოღვრის' ეფექტის შედეგად-საერთაშორისო, ტრანსლაციონალური აქტორების როლის გათვალისწინებით, ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის განვითარება დღის წესრიგში არ დგებოდა 1990-იან წლებამდე.

თუმცა, ევროკავშირის შიდა დინამიკაც ხელს უწყობდა იმას, რომ აღნიშნული მიმართულებით ევროკავშირი ან საერთოდ არ განიხილავდა არანაირ ნაბიჯებს, ან საკმაოდ წარუმატებელი იყო საკუთარ ინიციატივებში. მაგალითად, ჯერ კიდევ 50-იან

წლებში, საფრანგეთის მცდელობა, რომ შეექმნა ერთიანი ევროპული თავდაცვის გაერთიანება მიუღებელი აღმოჩნდა ევროკავშირის წევრთა უმრავლესობისთვის. 'პლევენის გეგმა' (Pleven Plan: საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შეთავაზება ევროკავშირის თავდაცვის გაერთიანების შექმნის თაობაზე, 1950 წელი) ცნობილი ინიციატივით ერთიანი ევროპული ჯარი წევრი სახელმწიფოების მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობის ქვეშ იმოქმედებდა, თუმცა, შეთანხმება მკვდრადშობილი ინიციატივა აღმოჩნდა. მათ შორის თავად ინიციატივის ავტორი სახელმწიფოს, საფრანგეთის საკანონმდებლო ორგანოს მიერ ხელშეკრულების რატიფიცირებაზე უარის თქმის გამო-ფრანგმა კანონმდებლებმა ჩათვალეს, რომ ინიციატივა სუვერენიტეტის დათმობას არასასურველი და ზედმეტი ზომით მოითხოვდა. (Furdson, E/ფურდსონი, 1980) ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიული წანამდვარია, რომ წევრი ქვეყნების პოზიცია განმსაზღვრელია ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობისას, მათ შორის შიდა კონსესუსი წევრ ქვეყნებში. სწორედ ასეთი კონსესუსის არ არსებობამ 'პლევენის გეგმის' განხორციელება შეუძლებელი გახადა.

როგორც თავდაცვის გაერთიანების ალტერნატივა, 1954 წელს 'დასავლეთ ევროპული კავშირი' დაარსდა, შეთანხმება, რომელმაც სამხედრო თანამშრომლობის ჩარჩო შექმნა გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ლუქსემბურგის ქვეყნებს შორის. თუმცა, დასავლეთ ევროპული კავშირის შესახებ შეთანხმებამ იქვე დააკონკრეტა, რომ სამხედრო საკითხებში, ნატო-ს მითითებას და რჩევას დაეყრდნობა. (ჰილი და სმიტი, 2000, გვ. 40-41) საფრანგეთის შემდგომი მცდელობები, რომ შექმნილიყო ნატოსგან დამოუკიდებელი ევროკავშირის თავდაცვის სტრუქტურები, საერთო საგარეო პოლიტიკასთან ერთად, ასევე წარუმატებელი აღმოჩნდა და საბოლოოდ, როდესაც ერთიანი საგარეო პოლიტიკის კონტურები გამოიკვეთა 'ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობის' (EPC) სახით, ნათელი გახდა, რომ ეს თანამშრომლობა მხოლოდ სამოქალაქო თანამშრომლობის ფორმატებს იგულისხმებდა. (Duchane, F/დუჩენი, 1972, გვ.32-47)

რომ შევაჯამოთ, ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის განვითარების პროცესი ადრეულ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, რომ 1. ჩაითვალა, რომ 'ფუნქციური გადმოღვრის' ეფექტი არ არსებობდა და ევროკავშირის, როგორც გაერთიანებისთვის დასახული ამოცანები თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გარეშე იყო შესაძლებელი; 2. 'პოლიტიკური გადმოღვრის' ეფექტმა-ნატოს, ამერიკის შეერთებული შტატების' როლმა-უარყოფითად იმუშავა და ინტეგრაციის

განვითარებას ხელი ვერ შეუწყო. 3. სუპრანაციონალური მოთამაშეები-როგორცაა ევროსტრუქტურები არ აღმოჩნდნენ საკმარისად ძლიერი ან მონდომებული, რომ ამ მიმართულებით ევროკავშირის ინტეგრაციის პოლიტიკა განვითარებულიყო. 4. რაც შეეხება ლიბერალური ინტერგავრემენტალიზმის პოლიტიკის წინამძღვარებს-წევრი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესები, აღმოჩნდა, რომ უსაფრთხოების და თავდაცვის მიმართულებით ინტეგრაციის წინააღმდეგ იყო მიმართული; 5.

მოლაპარაკებების პროცესში, ყველა შესაბამისი ინიციატივის ფარგლებში, საფრანგეთი იზოლირებული აღმოჩნდა და ვერ შეიქმნა საკმარისი პოლიტიკური ნება ინტეგრაციონალისტური პროექტების განსახორციელებლად. უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომმა ისტორიულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ევროკავშირის წარუმატებლობა ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის შექმნის თვალსაზრისით, საკმაოდ მძიმე შეცდომა იყო.

იუგოსლავიის კრიზისები კარგი გაკვეთილი აღმოჩნდა ევროკავშირისთვის, რომ მხოლოდ სამოქალაქო პოლიტიკური ჩარევა არაა საკმარისი სერიოზული უსაფრთხოების კრიზისის მოსაგვარებლად. შესაბამისად, როდესაც მასტრიხტის ხელშეკრულებამ EPC ჩაანაცვლა ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკით (CSFP), ევროპული თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნის მიმართულებით, პირველი ნაბიჯებიც გადაიდგა. საფრანგეთი, გერმანია და რამდენიმე სხვა ქვეყანა 'ერთიანი თავდაცვის' შესაძლებლობების შექმნას ითხოვდა მოლაპარაკებების პროცესში, მაგრამ იმ ქვეყნებმა, რომლებიც უფრო ტრანსატლანტიკური თანამშრომლობით იყვნენ დაინტერესებულნი და ნეიტრალური პოზიცია ჰქონდათ, ასე შორს წასვლა არ ისურვეს. შედეგი კი, შუალედური გადაწყვეტილება იყო (Denza, E/დენზა, 2012) -ანუ ინტერგავრემენტალიზმის თეორიის პრიზმით რომ გავზომოთ, სწორედ ყველაზე დაბალი საერთო ნიშნული, რომლის მიღწევაც მოლაპარაკებების შედეგად გახდა შესაძლებელი.

კონრეტულად კი, მასტრიხტის ხელშეკრულებით დადგინდა: 1. 'ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა მოიცავს ყველა საკითხს, რომელიც ევროკავშირის უსაფრთხოებას ეხება და გულისხმობს შესაძლებლობას, რომ ევროკავშირმა იმსჯელოს საერთო თავდაცვის შესაძლებლობების შექმნის აუცილებლობაზე.' (მუხლი J.4, Maastricht Treaty); 2. იგივე ხელშეკრულებამ დაადგინა, რომ ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს ექნება უფლებამოსილება, სთხოვოს დასავლეთ ევროპის კავშირს, შეიმუშავოს ის გადაწყვეტილებები და მოქმედების გეგმა, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს თავდაცვის განზომილება. 3. შეთანხმებამ ასევე უზრუნველყო

დათქმა, რომ საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში აღებული ვალდებულებები ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ არ შეეწინააღმდეგება მათ სხვა ვალდებულებებს-ჩანაწერი, რომელიც გაკეთდა ნეიტრალური და ნატოს წევრი სახელმწიფოებისთვის. (მუხლი J-4(4)) (Treaty on European Union (TEU) / Maastricht treaty)

მიუხედავად ამ პროგრესისა, აღნიშნულმა შეთანხმებამ ვერ შექმნა რაიმე ახალი ინსტიტუციური მექანიზმები ევროკავშირის დონეზე იმისთვის, რომ ევროკავშირის როლი კრიზისების დარეგულირების თვალსაზრისით გაზრდილიყო. აღსანიშნავია, რომ ორივე, ამერიკის შეერთებული შტატები და გაერთიანებული სამეფო აქტიურად ეწინააღმდეგებოდა დასავლეთ ევროპული კავშირისთვის რაიმე სამხედრო შესაძლებლობების მინიჭებას. (დენზა, 2012)

საბოლოოდ, როგორც ბალკანეთის ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, მასტრიხტის შეთანხმებამ ვერ შეძლო ახალი პოლიტიკური რეალობის შექმნა და შესაბასამისად გადაიხედა ამსტერდამის შეთანხმებით 1997 წელს, თუმცა, ახალი და რეალური სიცოცხლე ერთიან უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკას მოგვიანებით მიეცა. ამისთვის კი, გადამწყვეტი აღმოჩნდა ორი წინააღმდეგობის გადალახვა: 1. გამლიერდა ერთიანი საგარეო პოლიტიკის მიმართულებით ევროპული ინტეგრაციის იმპულსი; 2. სამხედრო ძალის ელემენტების გამოყენების თაობაზე ტაბუს მოხსნა. (კაუკელიერი და მაკნოთანი, გვ. 8-19) კოსოვოს კრიზისმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ წინააღმდეგობების მოხსნის თვალსაზრისით, რადგან ევროკავშირის წევრი ქვეყნების დედაქალაქების უმრავლესობაში, განსაკუთრებით კი, ლონდონსა და პარიზში, კოსოვოს კრიზისმა ნათელი გახადა, რომ ევროკავშირს მეტი პასუხისმგებლობა უნდა აეღო ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

შეცვლილი დამოკიდებულების პირველი ნათელი გამოხატულება იყო 'სენტ-მალოს დეკლარაცია', რომელიც 1998 წლის სექტემბერში გაფორმდა საფრანგეთის პრეზიდენტისა და გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის მიერ. ფაქტიურად ეს შეთანხმება გახდა ის საფუძველი, რომელზეც შემდგომ ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა დაშენდა. (Rutten, M/რუთენი, 2001, გვ. 8-9) 1999 წელს, ევროპულმა საბჭომ, რომელიც კიოლნში გაიმართა მიიღო გადაწყვეტილება შექმნილიყო ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა. (European Council, Presidency Conclusions (Cologne, June, 1999)) პოლიტიკის ამ მიმართულებისთვის რეალური ხორცშესხმა სწორედ ამ სამიტიდან დაიწყო. 1999 წლის დეკემბერში ჰელსინკიში გამართულმა ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, განევიტარებინა

ევროკავშირის შესაძლებლობები სამხედრო ძალის განლაგებისთვის, ასევე შეიქმნა ერთიანი საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც შემდგომ თავში იქნება განხილული დეტალურად. (European Council, Presidency Conclusion, Helsinki, December, 1999)

ბოსნიისა და ზოგადად, ბალკანეთის გამოცდილებიდან გამომდინარე, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა, შვედეთისა და ფინეთის შეთავაზებით, ასევე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ევროკავშირს უნდა განეხილავინა სამოქალაქო კრიზისების მართვის მისიების შესაძლებლობები. ამ მიმართულებით, შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2000 წელს და სამოქალაქო მისიების განხორციელების ოთხი ძირითად მიმართულება განისაზღვრა: პოლიციური საქმიანობა, კანონის უზენაესობა, სამოქალაქო ადმინისტრაცია და სამოქალაქო დაცვა, რასაც მოგვიანებით დაემატა უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და სადამკვირვებლო მისიები. (Santa Maria Da Fiera European Council, Presidency Conclusions, June, 2000)

ამის შემდგომ ევროკავშირმა უკვე დაიწყო მსჯელობა იმ შესაძლებლობებზე- ადამიანური და სხვა რესურსების თვალსაზრისით, რომლიც გამოყენებაც დასჭირდებოდა ახალი ფუნქციების განსახორციელებლად. (Schmitt, B/შმიტი, ed. Hnesetto, N/ჰნესეტო, 2004)

ევროკავშირის ერთიანის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარება შეიძლება ორ ფაზად გავყოთ-1998 წლიდან-2003 წლამდე, როდესაც ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიამ ახალი იმპულსი შემოიტანა პოლიტიკაში და 2003 წლიდან დღემდე.

ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის განვითარების ადრეული ფაზა- 1998-2003 წლები

ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის განვითარების მიზნის განსახორციელებლად იდეის გაჩენის დღიდან მნიშვნელოვანი იყო იმ საერთაშორისო აქტორების დამოკიდებულება, რომლებიც განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოზიციის განსაზღვრისას. როგორც 50-იანი წლების გამოცდილებამ ნათელი გახადა, სწორედ ასეთი იყო, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია. მნიშვნელოვანია, რომ აშშ-მ გადახედა საკუთარ პოზიციას, რომელიც ისტორიულად ეწინააღმდეგებოდა ევროინტეგრაციის პროცესში უსაფრთხოების და თავდაცვის ელემენტების შემოტანას. კონკრეტულად კი, ბილ კლინტონის ადმინისტრაციამ ამ საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გატარებულ პოლიტიკას ახალი

მიმართულება მისცა და სამი დათქმით მხარი დაუჭირა ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის განვითარებას 90-იან წლებში. 1. ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა არ უნდა ყოფილიყო გამიჯნული ნატოსგან საერთო ამოცანების და მიზნების თვალსაზრისით 2. ამავე დროს, არ უნდა მომხდარიყო ნატოს ფუნქციების და პროგრამების დუბლირება; 3. ევროკავშირის პოლიტიკის ფარგლებში, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა ნატო-სთან თანამშრომლობა, არ უნდა მომხდარიყო ნატოს წევრი ქვეყნების გარიყვა, იმ მიზეზით, რომ ისინი ერთდროულად არ იყვნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები (რუთენი, 2001, გვ. 10-12).

ამის შემდგომი ნაბიჯები უკვე ნატოსა და ევროკავშირის შორის კოორდინირების პოლიტიკის შემუშავება იყო. ამ თანამშრომლობის ფარგლები განისაზღვრა 2002 წლის დეკემბერში 'ბერლინი პლიუს' (Berlin Plus Agreement, European Parliament) შეთანხმებით, რომელმაც დაადგინა თანამშრომლობის ჩარჩოები ევროკავშირსა და ნატოს შორის კრიზისის მენეჯმენტის მიზნით. ამ შეთანხმების თანახმად, ევროკავშირის მიერ დამოუკიდებლად წარმართული მისიის შემთხვევაში ნატო-ს შესაძლებლობების გამოყენების უფლება ეძლევა. ეს შეთანხმება, ერთის მხრივ, პრაგმატული გადაწყვეტილება იყო-რადგან ევროკავშირს, ცხადია, საწყისს ეტაპზე არ ჰქონდა შესაძლებლობები, რომელიც მსგავსი მისიების განსახორციელებლად საჭირო. მეორეს მხრივ, შეთანხმებამ ასევე ხაზი გაუსვა დასავლეთის მიდგომების ერთიანობას-ნატოსა და ევროკავშირის თანამშრომლობა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით კოორდინირებული იქნებოდა. (Kukeleire, S./კუკელიერი ed. Bindi, F/ბინდი, 2010) ამავე გაანეიტრალა იმ კრიტიკოსთა პოზიცია, რომლებიც სკეპტიკურად უყურებდნენ ევროკავშირის მიერ უსაფრთხოების და თავდაცვის მიმართულებით ინტეგრაციის პროცესის განვითარებას, მიიჩნევდნენ რა, რომ ეს დაასუსტებდა ნატოს.

ის მოვლენები, რომლებიც საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარეობდა საგრძნობლად ცვლიდა გარემოს, რომელშიც ევროკავშირის პოლიტიკა ვითარდებოდა. ასეთი ფუნდამენტური ცვლილება ცხადია იყო 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სოციალისტური წყობის ჩამოშლა. მაგალითად, ევროკავშირის სამთავრობათაშორისო კონფერენცია, რომელიც 1990-91 წელს იყო მოწვეული, თავდაპირველად მიზნად ისახავდა მონეტარული კავშირის შექმნის და მისი ინსტიტუციური შედეგების განხილვას. გერმანიის გაერთიანებამ და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესებმა ფაქტიურად მთლიანად შეცვალა დღის წესრიგი. ევროკავშირის შექმნის ერთ-ერთი მიზანი შუმანის გეგმიდან მოყოლებული,

საბოლოო ჯამში, გერმანიის სუვერენიტეტის შეზღუდვა იყო და აშკარად გახდა, რომ გაერთიანებული გერმანია ისევ ევროკავშირის ცენტრში მოექცეოდა (Soetendorp, B./სოეტენდორფი, 1990, 103-119). შესაბამისად, 90-91 წლის სამთავრობათაშორისო კონფერენციის მსვლელობისას აშკარად გამოიკვეთა, ერთის მხრივ, ევროკავშირის ძლიერი საგარეო პოლიტიკის მიმართულების მომხრეები-გერმანიისა და ბენელუქსის ქვეყნების სახით და, მეორეს მხრივ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პოზიცია, რომ 'მძიმე' საგარეო პოლიტიკის საკითხები, როგორცაა უსაფრთხოება და თავდაცვა, წევრი სახელმწიფოების სუვერენული უფლებამოსილების სფეროდ დარჩენილიყო (გეგუტი, 2002/4, 62-87).

მიუხედავად იმისა, რომ მასტრიხტი ამ მოლაპარაკებების მოკრძალებული შედეგის ამსახველი შეთანხება გახდა, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ თავად ინტეგრაციულ პროცესს საბოლოოდ ბიძგი მისცა არა ევროკავშირის შიგნით, არამედ, მის გარეთ განვითარებულმა ისტორიულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა. შეიძლება ითქვას, რომ ორივემ-ამერიკის შეერთებული შტატების შეცვლილმა პოზიციამ და ევროპის კონტინენტზე მიმდინარე პროცესებმა სწორედ ის 'პოლიტიკური' გადმოღვრის ეფექტი გამოიწვია, რომელმაც ევროკავშირის შიგნით ახალ ინტეგრაციულ პროცესები გამოიწვია.

მნიშვნელოვანი ისტორიული განვითარება ევროკავშირის გარეთ, რომელმაც ასევე გადამწყვეტი როლი ითამაშა ევროპის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ევოლუციაში იყო 2001 წლის ტერორისტული თავდასხმა ამერიკის შეერთებულ შტატებზე. თავდასხმამ მთლიანად შეცვალა ის კონტექსტი, რომელშიც ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის განვითარება მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის და ნატოს წევრი ქვეყნები აქტიურად ჩაერთნენ აშშ-ს მიერ დაგეგმილ საპასუხო მოქმედებებში ავღანეთში და ერაყში, პროცესმა გამოავლინე ის სისუსტეები, რომელიც ევროკავშირის ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას ჰქონდა. 'ESDP'-ის ფუყე სტრუქტურები, რომლებიც კიდევ უფრო დასუსტებული იყო ბრიტანელი და ფრანგი ლიდერების ცუდი ურთიერთობებით, გერმანიაში შექმნილი ვითარებით, რომელიც დაკავებული იყო შიდა საარჩევნო კამპანიით-ფაქტიურად დაიშალა კრიზისის პირობებში' (Wallace, W./ვოლასი, 2005, 451). კრიზისმა ნათელი გახადა, რომ ევროკავშირის ერთიანი საგარეო პოლიტიკა მითი იყო, როდესაც დიდმა ბრიტანეთმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადა აშშ-ს ერაყში ჯარების შესაყვანად, ხოლო საფრანგეთმა ფაქტიურად ჩაშალა შესაბამისი სამხედრო ინტერვენციისათვის, გაეროს უშიშროების საბჭოს ავტორიზაციის მისაღებად

მიმართული მცდელობა. მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა ბელგიის ინიციატივამ, რომელმაც 2003 წლის აპრილში მოიწვია 'სამიტი' ევროკავშირის დამოუკიდებელი თავდაცვის შტაბის შექმნის იდეით, რომელსაც მხოლოდ საფრანგეთის, გერმანიის და ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრები დაესწრნენ. ამავე დროს, ევროკავშირში გაწევრიანების რიგში მდგომი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები აქტიურად უჭერდნენ მხარს აშშ-ს. დონალდ რამსფელდმა, მაშინდელმა აშშ-ს თავდაცვის მდივანმა განაცხადა, რომ 'შველ და ახალ ევროპას შორის განხეთქილება ნათელი იყო' (ვოლასი, 2005, 451).

შექმნილმა კრიზისმა დაარწმუნა ევროკავშირის ლიდერები, რომ მათ სასწრაფო სჭირდებოდათ პოლიტიკის გადახედვა. შესაბამისად, ერთიანი უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკა და ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა ფაქტიურად დომინანტ თემად იქცა 9/11 შემდგომ მსოფლიოში და 2002-2003 წლის ევროკავშირის კონსტიტუციური კონვენციისთვის.

ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა-1998-2003 წელი ქრონოლოგია

კიდევ ერთხელ გადავხედოთ ქრონოლოგიურად გზას, რომელიც ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკამ გაიარა 1998 წლიდან 2003 წლამდე, როგორ იშვა ის ფაქტიურად ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველზე, შევაჯამოთ ყველა მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები, რომლებმაც უზრუნველყო გზა ლისაბონის შეთანხმებამდე, რომელმაც უკვე შექმნა პოლიტიკის ის ინსტიტუციური ჩარჩო, რომელსაც დეტალური შემდგომ თავში განვიხილავთ.

1. 1998 წელს საფრანგეთმა და გაერთიანებულმა სამეფომ გამოსცეს მალოს დეკლარაცია, რომელმაც განაცხადა, რომ ევროკავშირს უნდა მიეცეს შესაბამისი სტრუქტურები და შესაძლებლობები სიტუაციის ანალიზის, დაზვერვის და სტრატეგიული დაგეგმვისთვის, დუბლირების გარეშე და იმ შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელიც დასავლეთ ევროპულ გაერთიანებას აქვს. ევროკავშირს ამისთვის უნდა მიეცეს ის სამხედრო შესაძლებლობები, რომელსაც ნატოს ევროპული ფრთა ითვალისწინებს. (Joint Declaration on European Defence, 1998).
2. 1999 წელს ჰელსინკის ევროპულმა საბჭომ განსაზღვრა როგორც ევროკავშირის ზოგადი ამოცანა, რომ 2003 წლისთვის ევროკავშირს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა შეექმნა შესაბამისი სამხედრო მისია 60 დღეში და მისი ერთწლიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა შემდეგობა, 50-60,000 პერსონალის რეზერვით. აქვე საბჭომ გადაწყვიტა შეექმნა შესაბამისი პოლიტიკური და სამხედრო ორგანოები, როლებიც ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის განხორციელებას უზრუნველყოფდნენ. (Helsinki European Council, Presidential conclusions, 1999).
3. 2000 წელს შეიკრიბა ევროკავშირის თავდაცვის მინისტრების კონფერენცია და სწრაფი რეაგირების ძალისთვის შესაბამისი წევრი სახელმწიფოების მეთავაზებები განიხილა. შედეგად, ევროკავშირმა დაადგინა, რომ ექნება 100,000 პერსონალის, 400 საბრძოლო საჰაერო ძალის და 100 ხომალდის მობილიზების შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში (The Guardian, *Europe sets up rapid reaction force*).

4. 2000 წლის დეკემბერი ევროკავშირის საბჭომ ნიცაში დაადგინა შესაბამისი სტრუქტურების შექმნა: ევროკავშირის პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი, (PSC) სამხედრო კომიტეტი (EUMC) და სამხედრო პერსონალი. (EUMS) (Council Decision 2001/79/CFSP).
5. 2001 წელი-ევროკავშირის საგარეო და თავდაცვის მინისტრების კონფერენცია იღებს 'ევროპული შესაძლებლობების სამოქმედო გეგმას.' (ECAP) (Capability Improvement Chart I / 2005).
6. 2002 წელს კოპენჰაგენის ევროპული საბჭო ამტკიცებს ევროკავშირის წვდომას ნატოს დაგეგმვის, ლოგისტიკისა და დაზვერვის შესაძლებლობებზე იმ შემთხვევაში თუ ნატო არ ახორციელებს შესაბამის მისიას. (Copenhagen European Council, December 2002).
7. 2003 წელს ევროკავშირის საპოლიციო მისიამ გადაიზარა გაეროს საერთაშორისო საპოლიციო მისია ბოსნია და ჰერცეგოვინაში. ეს გახდა ევროკავშირის პირველი ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის მისია, სამწლიანი მანდატით. მისიის განსახორციელებლად მობილიზებული იქნა 530 პოლიციელი ევროკავშირის წევრი და პარტნიორი სახელმწიფოებისგან. (EU Police Mission in Bosnia and Herzegovina (EUPM)).
8. იმავე წელს ევროკავშირმა უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში პირველი სამხედრო მისიის-კონკორდიას განხორციელება დაიწყო ყოფილ იუგოსლავურ რესპუბლიკა მაკედონიაში. მისიის გადაბარება მოხდა ნატოსგან და შესაბამისად, შეთანხმების თანახმად ევროკავშირს მიეცა წვდომა ნატოს აუცილებელ რესურსებზე. მისიას ახორციელებდა 350 მსუბუქად შეიარაღებული ჯარისკაცი ევროკავშირის 13 წევრი და 14 არაწევრი ქვეყნიდან (Osifovic, Ivica/ოსიფოვიჩი and Keskoski, Zlatko/კესკოსკი (2015), 118-123).
9. იმავე, 2003 წელს, გაეროს უშიშროების საბჭოს მოთხოვნით, ევროკავშირმა განახორციელა კიდევ ერთი მისია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში-ოპერაცია არტემისი. ეს ევროპის გარეთ განხორციელებული პირველი მისია იყო, რომელიც ევროკავშირმა დამოუკიდებლად-ნატოს შესაძლებლობების გამოყენების გარეშე-განახორციელა (EU CSDP Missions & Operations).

10. 2003 წლის ბოლოს ევროკავშირის საბჭომ დაამტკიცა ევროკავშირის პირველი სტრატეგია უსაფრთხოების მიმართულებით, რომელიც შემუშავებული იყო ხავერდოვანი სოლანას მიერ 'უსაფრთხო ევროპა უკეთეს მსოფლიოში.' (Consilium Europa, *A Secure Europe in a Better World*).

ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა-2003 წლიდან დღემდე

2003-2023 წლებში ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა შეიძლება დავახსიანოთ, როგორც პოლიტიკის რეალურად განხორციელების პერიოდი. ლისაბონის ხელშეკრულების შედეგად ის გარდაიქმნა ერთიან უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკად და შევიდა აქტიური იმპლიმენტაციის ფაზაში.

ევროპული უსაფრთხოების სტრატეგია (ESS), რომელიც 2003 წლის 12-13 დეკემბერს (EEAS, *EU Member states have committed themselves to a Common Foreign Security Policy for the European Union*) ევროკავშირის საბჭომ დაამტკიცა, პირველი რეალურად წარმატებული ნაბიჯი იყო ამ გზაზე წევრ ქვეყნებს შორის, ევროკავშირის გარე სამყაროსთან ურთიერთობის საერთო ხედვის შემუშავებაში. იგი ითვალისწინებს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კონცეპტუალურ ჩარჩოს, რაც შემდგომში საერთო უსაფრთხოება და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) საყრდენი გახდა.

სახელწოდებით “უსაფრთხო ევროპა უკეთეს სამყაროში”, “ევროპული უსაფრთხოების სტრატეგია” ჩაფიქრებული იყო, როგორც მოკლე, მაგრამ ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელშიც პირველად გაანალიზდა და განისაზღვრა ევროკავშირის უსაფრთხოების გარემო, მოხდა უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება და მათზე დაყრდნობით შემდგომი პოლიტიკური შედეგების განჭვრეტა ევროკავშირისთვის: ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, რეგიონალური კონფლიქტები, არაფეექტიანი მართვა და ორგანიზებული დანაშაული. “ევროპული უსაფრთხოების სტრატეგია” ასევე ითვალისწინებს პრევენციული ჩარევას ახალი კონფლიქტების ან კრიზისების თავიდან ასაცილებლად. ევროკავშირის მეზობლებისთვის უფრო სტაბილური და წარმატებულ ქვეყნებად გადაქცევა, (მაგალითად, დასავლეთ ბალკანეთში, სამხრეთ კავკასიასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში) პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა. საერთაშორისო წესებზე დამყარებული წესრიგის გაძლიერების მიზანი, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გლობალური მონაწილეების ეფექტიანად ჩართვის გზით სტაბილურობის ხელშეწყობა კი, მთავარ მიმართულებად დადგინდა.

‘ევროპული უსაფრთხოების სტრატეგიამ’ აშკარად აღიარა გლობალური უსაფრთხოების სხვადასხვა გამოწვევების ურთიერთდამოკიდებულება, უსაფრთხოების და განვითარების საკითხების ურთიერთდაკავშირებით და ძირითადი საფრთხეების შესაძლო ურთიერთკავშირის ხაზგასმით. დოკუმენტში ევროკავშირმა განიხილა

უსაფრთხოების ახალი გარემოს პოლიტიკური გავლენის საკითხები. დასკვნაში კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ამ გამოწვევებმა ევროკავშირის მისცა შესაძლებლობა, მეტი აქტიურობა და უნარი გამოეჩინა უფრო უსაფრთხო და ერთიანი მსოფლიოს უზრუნველსაყოფად (European Security Strategy - A secure Europe in a better world).

ლისაბონის ხელშეკრულებაში, რომელმაც ჩაანაცვლა ევროკავშირის უშედეგო მცდელობა, რომ ერთიანი კონსტიტუცია მიეღო, სწორედ ერთიან უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკას მიემდგვნა მნიშვნელოვანი რეფორმატორული ინიციატივები. საკონსტიტუციო განხილვების პროცესში, რომელიც 2002 წლიდან 2007 წლამდე მიმდინარეობდა, ყველაზე მძიმედ მიმდინარე განხილვები, სწორედ საგარეო პოლიტიკის საკითხებს შეეხებოდა. საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ ლისაბონის ხელშეკრულება მნიშვნელოვან ინოვაციებს აძლევს დასაბამს ერთიანი უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, ამავე დროს სხვადასხვა პრეროგატივების განსაზღვრის გზით, შეიძლება ითქვას, რომ მუხრუჭებსაც ქმნის მისი შემდგომი განვითარებისთვის.

პირველ რიგში ლისაბონის ხელშეკრულებამ შეცვალა რეალობა, რადგან ევროკავშირის მიენიჭა იურიდიული პირის სტატუსი და ამით აღმოფხვრა ის გაუგებრობა, რომელიც არსებობდა ევროპული გაერთიანებებსა და ევროკავშირის შორის განსხვავებული სამართლებრივი სტატუსის არსებობის გამო. შეიქმნა ერთი საერთაშორისო აქტორი-ევროკავშირი. ამით, ევროპული გაერთიანებების სამი სვეტიდან მეორე-რომელიც მასტრიხტის ხელშეკრულებამ შექმნა-ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სვეტი-გაუქმებული იქნა და ევროკავშირის პოლიტიკის ერთიან საყრდენ სვეტში გაერთიანდა. ლისაბონის ხელშეკრულების მიერ შემოტანილი ინსტიტუციური ცვლილებები დეტალურად შემდგომ თავში იქნება განხილული. აქ მნიშვნელოვანია ითქვას, რომ შეთანხმებამ ერთის მხრივ გააძლიერა ერთიანი უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის მიმართულება და, მეორეს მხრივ, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ფაქტს, რომ ევროკავშირის პოლიტიკის ეს მიმართულება, განსხვავდება სხვა მიმართულებებისგან. მაგალითად, ლისაბონის ხელშეკრულების თანახმად, ევროკავშირის შეთანხმების მოდიფიცირებული ვერსია განსაზღვრავს ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ყველა ასპექტს, მაგრამ სხვა პოლიტიკური მიმართულებები დარეგულირდება ევროკავშირის საქმიანობის შესახებ შეთანხმებით (Verola, N./ვეროლა, 41).

ის, თუ რამდენად პრობლემატურია წევრი სახელმწიფოებისთვის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებით საკუთარი უფლებების დათმობა კიდევ ერთხელ გახდა ნათელი, როდესაც ლისაბონის ხელშეკრულების შემმუშავებელი კონფერენციის საბოლოო აქტს თან დაერთო განაცხადი, რომ შეთანხმება ერთიანი უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკაში არანაირად არ ზღუდავს წევრი ქვეყნების დამოუკიდებელ კომპეტენციას საგარეო ურთიერთობების მიმართულებით. მეორე თანმდევმა დეკლარაციამ კიდევ უფრო დააკონკრეტა ეს საკითხი: 'ევროკავშირის შეთანხმების მე-11 მუხლის 1 პუნქტის მიერ დადგენილი წესების და პროცედურების თაობაზე, კონფერენცია კიდევ ერთხელ ხაზს უსვავს, რომ ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და მისი წარმართვა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის მიერ საგარეო ურთიერთობების დარგში და ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის მიერ არანაირად არ მოახდენს ზეგავლენას წევრი სახელმწიფოების არსებულ იურიდიულ საფუძველზე, რაც შეეხება მათ მიერ საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, სხვა ქვეყნებთან წევრი სახელმწიფოების ურთიერთობას ან მათ თანამონაწილეობას საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ შორის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გაეროს უშიშროების საბჭოში წევრობას.' (Declaration Concerning the Common Foreign and Security Policy No.13).

ლისაბონის ხელშეკრულებამ ევროკავშირის ერთიანი თავდაცვის პოლიტიკა ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მყარ შემადგენელ ნაწილად დააფიქსირა. შეთანხმების თანახმად, ევროკავშირს მიეცა ორივე-სამოქალაქო და სამხედრო შესაძლებლობების გამოყენების უფლება საკუთარი საგარეო პოლიტიკური ამოცანების განხორციელების პროცესში (TEU, art. 43, CT, ex art. III-309). ასევე დადგინდა, რომ ევროკავშირს საბჭოს შეუძლია, ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში საკუთარი მისიების განხორციელების უფლება გადასცეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ჯგუფს (TEU, art.42 para.5 and art.44 CT, ex art.III-310). ამისთვის, შეთანხმება წევრ სახელმწიფოებს შესაძლებლობას აძლევს რომ შექმნან ერთობლივი დროებითი სტრუქტურები. თუმცა, ეს გადაწყვეტილება სანქცირებული უნდა იყოს ევროკავშირის საბჭოს მიერ.

მნიშვნელოვანი სიახლე თავდაცვის მიმართულებით, რომელიც ლისაბონის ხელშეკრულებამ შემოიტანა არის 'კოლექტიური თავდაცვის უფლების' შექმნა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის. ხელშეკრულების 42-ე მუხლის მე-7 ქვეპუნქტი აცხადებს, რომ 'თუ რომელიმე წევრი სახელმწიფო ხდება აგრესიის მსხვერპლი მის

ტერიტორიაზე, სხვა წევრ სახელმწიფოებს ვალდებულება აქვთ დაეხმარონ აღნიშნულ სახელმწიფოს მათ ხელთ არსებული ყველა საშუალებით, გაეროს ქარტიის 51-ე მუხლის ფარგლებში' (TEU, art. 42.7, Mutual defence clause). პირველად აღნიშნული მუხლის გამოყენება 2015 წელს მოხდა, როდესაც საფრანგეთმა ტერორისტული აქტის შემდეგ მოითხოვა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისგან დახმარება სწორედ ლისაბონის ხელშეკრულება ამ ჩანაწერის საფუძველზე (The Guardian. *France invokes EU's article 42.7, but what does it mean?*). ლისაბონის შეთანხმება, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარი კულმინაცია იყო ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარების გზაზე და ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის შექმნისთვის გადამწყვეტი მომენტი აღმოჩნდა.

2016 წელს ევროკავშირის მიერ მიღებული უსაფრთხოების სტრატეგია, ასევე მნიშვნელოვანია ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ევოლუციის პროცესში. 2016 წელს ევროკავშირის 'გლობალურმა სტრატეგიამ' (EEAS, A Global Strategy for the European Union's Foreign and Security Policy) ახლებურად გადააფასა ევროკავშირის უსაფრთხოების გარემო და საფუძველი ჩაუყარა ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის შემდგომ განვითარებას. სტრატეგიამ გააფართოვა ევროკავშირის ხედვა კრიზისების მართვის ცნება და ახალი კონცეფცია 'ევროკავშირის დაცვა' შემოიტანა დისკურსში. ეს კონცეფცია ფარავს როგორც ჰიბრიდულ გამოწვევებს, ასევე კიბერ უსაფრთხოებას, საზღვრის კონტროლს და სხვა გამოწვევებს. სტრატეგიამ და მის შედეგად მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ახალი ინიციატივები გააჩინა, რომელიც თავდაცვის შესაძლებლობების, ერთიანი თავდაცვის დაგეგმვის და სამხედრო მართვის და კონტროლს მექანიზმების შექმნას გულისხმობს. შეთანხმებით განახლდა შესაძლებლობა, რომელიც ლისაბონის ხელშეკრულებამ შექმნა, რომ მსურველ წევრ ქვეყნებს შეუძლიათ ერთობლივი საოპერაციო შესაძლებლობის შექმნა პერმანენტული სტრუქტურული თანამშრომლობის სახით (PESCO). შეიქმნა ერთიანი თავდაცვის ფონდი (2017 წელს) და გაერთიანების ლოგიკით დაიწყო ფიქრი იმ სფეროებში, რომელიც მკაცრად სამთავრობათაშორისო არენად მოიაზრებოდა.

ევროკავშირის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული სტრატეგიული დოკუმენტებიდან მნიშვნელოვანია 'სტრატეგიული კომპასი,' რომელიც ევროკავშირმა დაამტკიცა 2022 წელს და რომლის ერთ-ერთი მთავარი შედეგი გახდა "შეთანხმება ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის' პოლიტიკის სამოქალაქო მისიების

გაძლიერებაზე, კრიზისებთან უკეთ გამკლავების მიზნით (Consilium Europa, Common Security and Defence Policy (CSDP)). შეთანხმების მიზანია, პოლიტიკის სამოქალაქო განზომილების, მისიების ეფექტიანობის და შედეგიანობის გაძლიერება და უკეთესი ინსტიტუციური სინერგიის მიღწევა ევროკავშირის სხვა ინსტრუმენტებთან.

'სტრატეგიული კომპასი' პირდაპირი პასუხია რუსეთ-უკრაინის ომის მიერ შექმნილ ახალ სტრატეგიულ გამოწვევებზე. მისი დეტალურ ანალიზი განხილული შემდგომ თავში ინსტიტუციური განვითარების კონტექსტში.

2003-2023 წელი ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის განვითარება ქრონოლოგიურად

1. 2004 წელს შეიქმნა ევროპის თავდაცვის სააგენტო, რომლის მთავარი ამოცანები იყო კრიზისის მენეჯმენტის მიმართულებით საჭიროებების დადგენა; თანამშრომლობის გაძლიერება შეიარაღების მიმართულებით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის. ევროკავშირის თავდაცვის ტექნოლოგიური და ინდუსტრიული ბაზის გაუმჯობესება ასევე სააგენტოს ფუნქციად იქცა, ისევე, როგორც თავდაცვის სფეროში კვლევებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა.
2. 2009 წელს ლისაბონის შეთანხმების ამოქმედებით ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა იქცევა ერთიან უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკად.
3. 2016 წელი-ევროკავშირი ამტკიცებს გლობალურ სტრატეგიას.
4. 2017 წელი-ევროპული საბჭო ამტკიცებს უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის სფეროში დასკვნას, ახალი სტრატეგიის ფარგლებში, რომელიც ეხება კრიზისის მისიების მენეჯმენტის სტრუქტურების გაუმჯობესებას, კონკრეტულად კი, სამხედრო დაგეგმვისა და საქმიანობის წარმართვის შესაძლებლობების შექმნას, პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავებას, შესაძლებლობების გაზრდას სამოქალაქო მისიების განხორციელებისას და ახალი სამხედრო შესაძლებლობების განვითარებას კრიზისებზე პასუხის მიზნით (Consilium Europa, 2017, Council adopts Conclusions).
5. 2017 წელი-ევროპული საბჭო ამტკიცებს მუდმივი სტრუქტურული თანამშრომლობის ფორმატს, 25 წევრი სახელმწიფოს მონაწილეობით და 17 პროექტს განსახორციელებლად, ტრეინინგის, შესაძლებლობების ზრდის და ოპერაციული მზადყოფნის გაუმჯობესების მიმართულებით (Consilium Europa, 2017, Defence cooperation).
6. 2021 წელი ევროკავშირი ქმნის სამშვიდობო ინსტრუმენტს, (European Peace Facility) და პირდაპირი შენატანების სახით ქმნის 5 მილიარდიან ბიუჯეტს.
7. 2022 წელი-ვერსაილის არაფორმალური სამიტი იღებს დეკლარაციას, რომელიც ადასტურებს, რომე ევროკავშირმა უნდა დაიცვას საკუთარი მოქალაქეები,

დემოკრატია და ღირებულებები და მსჯელობს ახალი 'სტრატეგიული კომპასის' დამტკიცებაზე ამ მიზნით (Consilium Europa, “*Informal meeting*”, March 2022).

8. 2022 წელი ევროპული საბჭო ამტკიცებს 'სტრატეგიულ კომპასს,' რომლის მთავარი ამოცანაა 2030 წლისთვის ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის განმტკიცება, ევროკავშირის, როგორც უსაფრთხოების პროვადერის როლის გაზრდის მიზნით (Consilium Europa, “*A Strategic Compass...*”, 2022).
9. 2023 წელი-ევროპული საბჭო ამტკიცებს გადაწყვეტილებას, ახალი სამოქალაქო ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის შეთანხმების შესახებ (Consilium Europa, Common Security and Defence Policy (CSDP)).
10. 2023 წელი-რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, მისი არსებობის ისტორიაში პირველად, ევროკავშირი უკრაინისთვის პირდაპირ სამხედრო დახმარებას უზრუნველყოფს 'სამშვიდობო ინსტრუმენტის' გამოყენებით (Consilium Europa, “*EU joint procurement...*”, 2023).

რომ შევაჯამოთ, გასული 20 წლის მანძილზე, ერთიანმა უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკამ მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. პირველ რიგში, ეს ფიზიკურად განხორციელებულ მისიების რაოდენობაზე აისახა-2003 წელს ბოსნია-ჰერცეგოვინაში განხორციელებული პირველი მისიის შემდეგ, ევროკავშირმა დღემდე განახორციელა 34 მისია 21 ქვეყანაში. მეორეს მხრივ, გასული 20 წლის მანძილზე განვითარდა პოლიტიკის რეალურად განხორციელების ინსტიტუციური ჩარჩო, მისი ეფექტიანობის შეფასების სისტემა და სტრუქტურები, პოლიტიკა გახდა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური საქმიანობის რეალური ინსტრუმენტი. ამავე დროს, გასული 20 წლის მანძილზე გეოპოლიტიკური გარემო, რომელშიც ევროკავშირს უსაფრთხოების გამოწვევებთან გამკლავება უწევს ფუნდამენტურად შეიცვალა. 2003 წლის 'ევროპული უსაფრთხოების სტრატეგიის' შესავალი აცხადებდა, რომ 'ევროპა არასდროს ყოფილა უფრო დაცული, თავისუფალი და მდიდარი' (European Security Strategy. გვ.1). შესაბამისად, ევროკავშირის სტრატეგია ამ პოსტულატის გარშემო განვითარდა. რუსეთ-უკრაინის ომმა, დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვებამ, გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, გლობალურმა პანდემიამ, ცხადია, ეს მოცემულობა შეცვალა. შესაბამისად, 2022-2023 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა ევროკავშირის სტრატეგიული ხედვების გადახალისების და ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკისთვის ახალი იმპულსების მიცემის თვალსაზრით.

გერმანიის და საფრანგეთის პოზიცია ერთიანი თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის კონტექსტში უფრო დეტალურად მოგვიანებით იქნება განხილული. მაგრამ აქ მნიშვნელოვანია, რომ ორივე ქვეყნის პოზიციის ზოგადი დახასიათება გავაკეთოთ. გერმანია ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკას მოაიზრებს როგორც ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს. ამ უკანასკნელს კი, გერმანია განიხილავს, როგორც შესაძლებლობას, ევროკავშირის გლობალური გავლენის გაზრდისთვის. შესაბამისად, გერმანია აქტიურად მონაწილეობს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელებაში (Nicole Alecu de Fler/ალესიუ დე ფლერი, 2004). მიუხედავად ამისა, გერმანია ტრადიციულად თავშეკავებულ პოზიციას აფიქსირებდა ევროკავშირის საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის თაობაზე, რაც ასახავს მის ხედვას, რომ უსაფრთხოების სფერო, პირველ რიგში ნატო-ს პრეროგატივაა. 'შერკელის ყველა მთავრობა ამჟღავნებდა ინტერესის ნაკლებობას ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის შესაძლებლობების გაზრდის მიმართ' (Cunha, Alberto/კუნჰა, 2020). გარდა იმისა, რომ გერმანია

ტრადიციულად თავშეკავებულ პოზიციას აფიქსირებს თავდაცვის საკითხებზე, რუსეთის და აშშ-ს ფაქტორები, შესაბამისად აისახებოდა გერმანულ პოზიციაზე, რაც ნათელი გახდა იმითაც, რომ 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, გერმანიამ ამ პოზიციას გადახედა ევროკავშირის პოლიტიკის გააქტიურების მიმართულებით. გაზრდილმა არალეგალურმა მიგრაციამ, ტერორიზმმა, პოპულიზმის გაძლიერებამ, რუსეთის მიერ შექმნილ საფრთხეებთან ერთად, გერმანიის პოზიცია ბევრად უფრო აქტიური გახდა ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის მიმართ და 2016 წლიდან, ის მხარს უჭერს პოლიტიკის გაძლიერებას.

საფრანგეთი ჯერ კიდევ პრეზიდენტ შარლ დეგოლის დროიდან ევროკავშირის აღიქვავდა როგორც მსოფლიოში აშშ-ს დამაბალანსებელ გაერთიანებას, მიიჩნევდა, რომ ნატო და მასში აშშ-სა გავლენა უნდა დაბალანსებულიყო ევროკავშირის მიერ უსაფრთხოების განზომილების განვითარებით (Klein, Jean/კლეინ, 1977, 21-41). როგორც ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარების ისტორია აჩვენებს, სწორედ საფრანგეთს ეკუთვნოდათ სხვადასხვა ინიციატივები ამ მიმართულებით ევროკავშირის პოლიტიკის გასაძლიერებლად (პლევენის გეგმა, სენტ-მალოს დეკლარაცია). შესაბამისად, განსხვავებით გერმანიისგან, საფრანგეთი მუდამ აქტიურად იყო ჩართული ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის განვითარებას და შექმნაში. ამასთან ერთად, საფრანგეთი, როგორც ატომური იარაღის მფლობელი სახელმწიფო და გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი არასდროს ყოფილა მზად, რომ საკუთარი სუვერენული გავლენა დაეთმო ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სასარგებლოდ. ამგვარად, შეიძლება ითქვას რომ საფრანგეთი ერთიან უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკასაც სწორედ საკუთარი ინტერესების განსახორციელებელ ინსტრუმენტად მოიაზრებდა. ამის კარგი მაგალითია, რომ ESDP მისიების 'აფრიკანიზაციის' ფენომენის გათვალისწინებით, პოლიტიკას ზოგიერთი ავტორი 'ფრანგულ აფრიკულ კორპუსს' უწოდებს (Sadoux, A./სადუ, 2005).

საფრანგეთის ურთიერთობები რუსეთთან ისტორიულად ასევე ვითარდებოდა საფრანგეთი ამბიციის-მესამე ცენტრის ჩამოყალიბების-გარშემო. ჯერ კიდევ პრეზიდენტი დე-გოლი განიხილავდა საბჭოთა კავშირთან დეტანტეს ევროპის, როგორც აშშ-ს გავლენის დამბალანსებელი მესამე ცენტრის გასაძლიერებლად. შესაბამისად, რუსეთის მხარდაჭერა საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად, არასდროს მოხსნილა დღის წესრიგიდან, იმ პირობით, რომ რუსეთი ფრანგულ ინტერესებს აფრიკაში და ხმელთაშუა ზღვის რეგიონში

ხელს არ შეუშლიდა (Perchoc, P./პერჩოკი, 2015, p.47–60, 59). უკანასკნელ წლებში, პრეზიდენტ მაკრონის პოზიციის გათვალისწინებით, გადაიხედა საფრანგეთის მიდგომაც და გარკვეული 'ევროპეიზაცია,' ანუ საფრანგეთის ინტერესების ევროკავშირის ერთიანი პოლიტიკის ჭრილში განხილვისკენ მიმართული დისკურსი წარმოიშვა. უსაფრთხოების თვალსაზრისით საფრანგეთის ავტონომიურობისკენ ლტოლვა ჩაანაცვლა ევროპის ავტონომიურობის შექმნის სურვილმა. ეს ძალიან ნათლად იკითხება შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებში, როგორცაა საფრანგეთის თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრატეგიული ხედვის განახლებული დოკუმენტი (Maulny, J.-P./მოლნი, 2019, 54-66). საფრანგეთი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილეა PESCO-ს პროექტებში (Consilium Europa, 2019, PESCO's projects). თუმცა 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომამდე არც პრეზიდენტ მაკრონს გადაუხედავს რუსეთის მიმართ ტრადიციული დამოკიდებულებისათვის და დიდი ხნის მანძილზე ლობირებდა რუსეთთან სტრატეგიული ურთიერთობებისთვის ახალი იმპულსის მიცემას (IRIS-France, 2019).

თეორიული პროზმიდან ამ ისტორიული ევოლუციის პროცესის გააზრება აჩვენებს, გასული 20 წლის მანძილზე, 1. ჩაითვალა, რომ 'ფუნქციური გადმოღვრის' ეფექტი შეიქმნა და ევროკავშირის, როგორც გაერთიანებისთვის დასახული ამოცანები განსახორციელებლად, რაც თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელი გახდა; 2. 'პოლიტიკური გადმოღვრის' ეფექტმა-ნატოს, ამერიკის შეერთებული შტატების' პოზიციამ ევოლუცია განიცადა და ინტეგრაციის განვითარებას ხელი შეუწყო. 3. სუპრანაციონალური მოთამაშეები-როგორცაა ევროსტრუქტურები გაძლიერდნენ ლისაბონის შეთანხმების შედეგად და ამ მიმართულებით ევროკავშირის ინტეგრაციის პოლიტიკის გაღრმავება შესაძლებელი გახდა. 4. რაც შეეხება ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის პოლიტიკის წანამძღვარებს-წევრი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესები, აღმოჩნდა, რომ უსაფრთხოების და თავდაცვის მიმართულებით ინტეგრაციის მიმართ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე გაძლიერდა ინტეგრაციისკენ მიმართული იმპულსით. 5. მოლაპარაკებების პროცესში, ყველა შესაბამისი ინიციატივის ფარგლებში, საფრანგეთის და გერმანიის პოზიციის ევოლუცია და საერთო ნიშნულამდე მისვლა, 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიის შემდეგ, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პროცესის შედეგებისთვის.

სამეზობლო პოლიტიკა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა

ევროკავშირის ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან, როგორც აღმოსავლეთით, ასევე სამხრეთით, 2003 წლიდან ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს სწორედ ფუნქციური გადმოღვრის კლასიკური მაგალითია, როგორ გახდა აუცილებელი პოლიტიკის ერთი მიმართულების შემუშავების შემდეგ-ახალი პოლიტიკური ინსტრუმენტების შექმნა. ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP) ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ინტეგრირებული ნაწილია და მისი შექმნა თან ახლდა ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ევოლუციას. გარკვეულწილად CSFP-ის ამოცანების განხორციელების მიზანმა დააყენა დღის წესრიგში სამეზობლო ინიციატივის შექმნის აუცილებლობა. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის შექმნა ასევე ევროკავშირის პირველი სერიოზული განაცხადი იყო, რომ მას სურს შეასრულოს უშუალო სამეზობლოში დემოკრატიის განვითარების ხელშემწყობის როლი.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ეყრდნობა იდეას, რომ წარმატებული და დემოკრატიული საზოგადოებები ასევე სტაბილური და უსაფრთხო სახელმწიფოები არიან (European External Action Service, Brussels, 2003). შესაბამისად, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის მთავარი მიზანია დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება და პასუხისმგებლიანი სახელმწიფო მმართველობის უზრუნველყოფა ევროკავშირის სამეზობლოში, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების შესაძლებლობებსაც.

ევროპულმა სამეზობლო პოლიტიკა კრიტიკის საგანი გახდა შექმნისთანავე, როგორც ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნების, ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან. ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიის წანამდღვრის-მოლაპარაკებების პროცესში საერთო ყველაზე დაბალ მნიშვნელობაზე დაშვების მაგალითია პოლიტიკის მრავალთვიანი განხილვების შედეგად მიღებული მისი საბოლოო პარამეტრები. განხილვის პროცესში საფრანგეთი, ესპანეთი და ევროკავშირის სხვა სამხრეთით მდებარე სახელმწიფოები ლობირებენ სამხრეთით ევროკავშირის უფრო აქტიურ პოლიტიკას, ხოლო გერმანია და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, აქტიურ ჩარევას აღმოსავლეთისაკენ (Samadashvili, S./სამადაშვილი, 2014, 11). თავად ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებისთვის, სამეზობლო პოლიტიკა

ძალიან ფართო და არასაკმარისად ნიუნსირებულად ჩიათვალა იმ თვალსაზრისით, რომ საკმაოდ განსხვავებული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების სახელმწიფოებს ფარავს. ამაზე საპასუხოდ, 2010-11 წლებში ევროპული სამეზობლო პოლიტიკის მიმოხილვისას, ევროკავშირმა შემოიღო პრინციპი: 'მეტი მეტისთვის,' რომლის იდეაც მდგომარეობს იმაში, რომ ევროკავშირი განავითარებს უფრო მჭიდრო პარტნიორობას და შესთავაზებს უფრო მეტ წახალისებებს იმ ქვეყნებს, რომელსაც ექნებათ მეტი პროგრესი დემოკრატიული რეფორმების გატარების თვალსაზრისით. სამეზობლო პოლიტიკის კიდევ ერთ მიმოხილვაში, რომელიც 2015 წლის ნოემბერში იყო წარდგენილი, ხაზგასმით აღინიშნა, რომ რადგანაც თავად ევროკავშირის სტაბილურობა ემყარება დემოკრაციას, ადამიანის უფლებებს, კანონის უზენაესობას და ეკონომიკურ გახსნილობას, ახალი ევროპული სამეზობლო პოლიტიკა მიაღწევს სტაბილურობას ევროკავშირის უნივერსალური ღირებულებების დანერგვის გზით (Council of the European Union 'Joint Declaration of the Prague Eastern Partnership Summit', 2009, 6). ამავე დროს, დოკუმენტი ხაზს უსვამს სხვადასხვა მეზობელ ქვეყნებს შორის დიფერენცირებისა და ურთიერთთანამშრომლობის უფრო მეტი დონის აუცილებლობას, იმის აღიარებით, რომ ყველა პარტნიორს განსხვავებული ხედვა აქვს ევროკავშირთან ურთიერთობებზე.

განახლებული ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგია ხაზს უსვამს დემოკრატიული, ანგარიშვალდებულებული და კარგი მმართველობის, ასევე სასამართლო რეფორმის უფრო ეფექტიანი გზების ძიების აუცილებლობას, სადაც იარსებებს კანონის უზენაესობისა და ფუნდამენტური უფლებების საერთო აღიარება (European Commission, 18 November 2015, JOIN 50 final). სახელმწიფო აღმშენებლობისა და უსაფრთხოების სფეროებში პარტნიორი ქვეყნებისთვის დახმარების აღმოჩენის აუცილებლობის აღიარებით, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების, კონფლიქტების პრევენციის, ანტი ტერორიზმისა და ანტი რადიკალიზაციის პოლიტიკის სფეროებს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობის სრული დაცვით. ასევე პრიორიტეტულად განისაზღვრა ადამიანთა უსაფრთხო და კანონიერი გადაადგილება და მოუწესრიგებელი მიგრაციის მოგვარება, ადამიანთა ვაჭრობისა და კონტრაბანდის საკითხები. განახლებული ევროპული სამეზობლო პოლიტიკა, 2015 წლიდან ხელმისაწვდომი ინსტრუმენტებისა და რესურსების განლაგებას უფრო თანმიმდევრული და მოქნილი გზით ცდილობს (European Commission and High Representative of the Union for Foreign Affairs and Security policy, 2015, JOIN, 50 final).

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის არსი, ევროპული ღირებულებების განმტკიცებას უკავშირდება. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა ხელმძღვანელობს ფასეულობებით და ეს კიდევ ერთხელ იქნა დადასტურებული ლისაბონის ხელშეკრულებაში და ხაზგასმულ იქნა ევროკავშირის დოკუმენტებში, მაგალითად, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის განახლებულ სტრატეგიაში (European Commission, 18 November 2015, JOIN 50 final).

ზოგიერთი ანალიტიკოსის მტკიცებით, სამეზობლო პოლიტიკა განწირული იყო მარცხისთვის, რადგან ევროკავშირს არა აქვს უნარი ხელი შეუწყოს თავისი ღირებულებების პოპულარიზაციას საკუთარი საზღვრების მიღმა (Powel/პაუელი, 2009, 193-214). მათი აზრით, ევროკავშირს სულ უფრო უჭირს მის საზღვრებს შიგნით არსებული უსაფრთხოების პრობლემებთან გამკლავება და დემოკრატიული და ლიბერალური ფასეულობების წინააღმდეგ იდეოლოგიური შეტევების მოგერიება. ამასთან, საგარეო პოლიტიკაში ევროპული ფასეულობების დამკვიდრებას უაღრესად ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ევროკავშირისათვის, არა ჰუმანიტარული ან ალტრუისტული მიზეზების გამო, არამედ წმინდა პრაგმატული თვალსაზრისითაც. დასავლური ლიბერალური წყობა რისკის წინაშე აღმოჩნდა, რომ ევროკავშირი დაუცველი გახდეს მაგალითად, რუსეთის მხრიდან მასზე მიმართული საფრთხეებისა და აგრესიულ ისლამისტური მოძრაობების წინაშე, იმ შემთხვევაში, თუკი იგი ვერ შეძლებს დაასაბუთოს თავისი ფასეულობების უნივერსალურობა, რომლებიც საფუძვლად უდევთ დასავლურ ინსტიტუტებს. ევროპის საზღვრები ყველაზე უსაფრთხოა იქ, სადაც მათ ემიჯნება სტაბილური დემოკრატიული წყობის მქონე ქვეყნები. ბევრი ანალიტიკოსის აზრით ევროპას არ აქვს საკუთარი თავის დასაცავად უკეთესი გზა, ვიდრე მისი იდეოლოგიური გავლენის გაფართოება, ანუ მის მეზობელ ქვეყნებში დემოკრატიების მხარდაჭერა: ‘... რაც უფრო ფართო იქნება პოსტმოდერნისტული ქსელის გაფართოება, მით უფრო ნაკლები რისკი იქნება მეზობლების მხრიდან და უფრო მეტი რესურსი დარჩება მას თავისი საზოგადოების განვითარებისთვის, ზედმეტი მილიტარიზაციის გარეშე’-ანლიშნავს, მაგალითად, რობერტ კუპერი (Cooper, R./კუპერი, 2003, 78).

ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარება და მის საფუძველზე, სამეზობლო ინიციატივის, როგორც მთავარი პოლიტიკური პრიორიტეტის გამოკვეთა, სწორედ ფუნქციური ‘გადმოღვრის’ ეფექტის შედეგია. ევროკავშირის შიდა პოლიტიკური ამოცანები-როგორცაა ერთიანი ღირებულებების გარშემო ერთიანობის გამყარება, უსაფრთხოების გამოწვევებთან

გამკლავება- მოითხოვა ევროკავშირის მხრიდან ახალი პოლიტიკური მიმართულებების შექმნა. გარკვეული თვალსაზრისით, რაც უფრო მეტ ინვესტიციას განახორციელებს ევროკავშირი უსაფრთხო დემოკრატიების შექმნაში მის საზღვრებთან, მით უფრო ნაკლები რესურსის ჩადება მოუწევს მას თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში, მაგალითად, როგორცაა საზღვრის გაძლიერება, შიდა უსაფრთხოება და ა.შ. თუმცა, გარდა ევროპული შიდა დღის წესრიგისა, სამეზობლო პოლიტიკის შექმნა, ასევე გეოპოლიტიკური მოვლენებით იქნა განპირობებული.

1990-იანი წლების დასაწყისში ითვლებოდა, რომ სსრკ-ს ყოფილი შემადგენელი ნაწილები, რუსეთი და მისი ყველა სატელიტური სახელმწიფო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, თანდათანობით გარდაიქმნებოდა თანამედროვე დემოკრატიებად. დღევანდელი მსოფლიოს გადასახადიდან აშკარა ხდება, რომ ეს პროგნოზები ზედმეტად ოპტიმისტური იყო. 'ვარშავის პაქტის' ყოფილი სახელმწიფოების დიდ უმრავლესობაში ახლა უსაფრთხო დემოკრატიული რეჟიმი დამყარებული, ეს ქვეყნები ინტეგრირებული არიან დასავლეთის პოლიტიკურ, თავდაცვით და ეკონომიკურ სტრუქტურებში, როგორცაა ნატო და ევროკავშირი. ამასთან, ბალტიისპირეთის სამი ქვეყნის გარდა, რომლებიც უკვე გაწევრიანდნენ ევროკავშირსა და ნატოში, ყოფილ სსრკ-ის ქვეყნებში, მათ შორის რუსეთიც, დემოკრატიამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში დადმასვლა განიცადა. რუსეთ-უკრაინის ომმა კი, სრულიად შეცვალა ევროკავშირის წინაშე არსებული გეოპოლიტიკური გარემო.

ამ ისტორიულმა განვითარებებმა ჩიხში შეიყვანა ნეო-რეალისტური მიდგომა, რომლის ლოგიკითაც, ბიპოლარული მსოფლიო მოწყობის დასასრული და საბჭოთა კავშირის დანგრევა, გააქრობდა ევროკავშირის მხრიდან თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობას უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით (Collard-Wexler/კოლარდ-ვექსლერი, 2006, 397-432). ამ განვითარებამ ასევე წინაღობა შექმნა სტრუქტურული რეალიზმის მიდგომისთვის, რომლის თანახმადაც ევროპული ინტეგრაციის პროცესი წინ ვერ წავა წევრი სახელმწიფოების მხრიდან საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დამატებით სუვერენულ უფლებების დათმობის მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების გამო (მეარშაიმერი, 2006, 76-88). აღმოჩნდა, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს უფრო მეტი სურვილი ჰქონდათ ამ მიმართულებით თანამშრომლობის განვითარების, ვიდრე სტრუქტურულ რეალისტებს მიაჩნდათ შესაძლებლად. სამეზობლო პოლიტიკა პირდაპირ ასახავს წევრი სახელმწიფოების ინტერესებს და მიდგომებს, რომ

ერთიანი პოლიტიკური ჩარჩო შექმნილიყო (Mocanu, C./მოკანუ, 2013, 37-49). თუმცა, ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიის პრიზმიდან, ეს ინტერესები და მიდგომები-განსხვავებული იყო. მათგან, ნაწილი, როგორც უკვე აღინიშნა, ლობირებდა სამეზობლო ინიციატივის აღმოსავლეთ მიმართულებას, ნაწილი კი, სამხრეთს. ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიის თანახმად, ეროვნული და სუბ-ნაციონალური აქტორების მოლაპარაკებების ძალას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ევროპული პოლიტიკის წარმართვაში. შესაბამისად, საბოლოოდ სამეზობლო ინიციატივის ჩარჩოების სწორედ შიდა მოლაპარაკებების შედეგად ჩამოყალიბდა. კიდევ ერთი, ფუნქციური 'გადმოღვრის მაგალითი.' ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის მიდგომით, ევროკავშირის სისუსტე საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროში დაკავშირებულია გეოპოლიტიკურ მოსაზრებებთან, როგორცაა ძალაუფლება, მშვიდობა და ომი (მორავჩიკი, 2001, 177), რომელსაც სხვადასხვანაირად აღიქვამენ წევრი ქვეყნები, რაც იწვევს ევროკავშირის შესაბამისი პოლიტიკის ფრაგმენტულობას.

ნეო-რეალისტური ლოგიკის საწინააღმდეგოდ, ცივი ომის დასრულების შემდეგ, ევროკავშირმა უზრუნველყო სრული მშვიდობა წევრ ქვეყნებს შორის, ხოლო კონფლიქტის საფრთხეები მოდიოდა სწორედ გარდამავალი დემოკრატიებისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ავტორიტარული ქვეყნებისგან. ამასთან დაკავშირებით, "რბილი ძალის" კონცეფცია ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო მოთამაშის და სამეზობლო ინიციატივის არსის გასაგებად. ლიბერალიზმის მომხრეები ირწმუნებიან, რომ ევროკავშირმა იცოდა, როგორ შეენარჩუნებინა რბილი ძალა სასურველი შედეგების მისაღებად, მაშინაც კი, თუ ის არ არის გლობალური სამხედრო ძალა, ევროკავშირს შეუძლია გადაწყვიტოს გლობალური საკითხები დიპლომატიის, ვაჭრობისა და განვითარებისათვის დახმარების გზით (Nye, J. S./ნაიი, 2004, 78). სამეზობლო პოლიტიკა სწორედ ამ ლოგიკას-რბილი ძალის ლოგიკას ეფუძნება. მის ფარგლებში 2009 წელს შექმნილი 'აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივამ' კი, ამ პოლიტიკისა გაძლიერება დაისახა მიზნად ევროპის აღმოსავლეთ სამეზობლოში.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა

EaP ინიციატივა შეიქმნა, როგორც ევროკავშირის ახალი პოლიტიკა, პოლონეთისა და შვედეთის ინიციატივით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ნაწილობრივ, როგორც პასუხი იმ გამოწვევებზე, რომელიც აღნიშნულმა კონფლიქტმა შეუქმნა ევროკავშირის უსაფრთხოებას. მიუხედავად იმისა, რომ EAP არ განსაზღვრავს ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის ევროკავშირში გაწვევრიანებას, როგორც საბოლოო პოლიტიკურ შედეგს, ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის მსგავსად, პოლიტიკა მიზნად ისახავს ევროკავშირის რბილი ძალის გამოყენებას იმისთვის, რომ აუცილებელი პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმები უზრუნველყოს აღმოსავლეთ პარტნიორობაში ჩართულ ქვეყნებში და ამით ხელი შეუწყოს ევროპის აღმოსავლეთ საზღვრებზე სტაბილურობას. ინიციატივა ექვს ქვეყანას-აზერბაიჯანს, ბელარუსს, მოლდოვას, საქართველოს, სომხეთს და უკრაინას აერთიანებს.

პოლიტიკის ლოგიკა ეხმიანება სამეზობლო ინიციატივის მიდგომას, რომ უსაფრთხო, ეკონომიკურად ძლიერ და წარმატებულ სამეზობლოს, დადებითი გავლენა ექნება ევროპის კონტინენტის უსაფრთხოებაზე. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის პირველი, პრადის სამიტის (2009 წელი) ერთობლივი დეკლარაციის თანახმად, პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს სათანადო პირობების შექმნა, რათა დაჩქარდეს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირსა და მის სამეზობლოს შორის. ამ მიზნის განსახორციელებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა გამოყოფს იმ რესურსებს, რაც აუცილებელია პარტნიორი ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმებისთვის. სამიტის დეკლარაციის თანახმად, პოლიტიკა ხელს შეუწყობს სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და განვითარების უზრუნველყოფას ევროკავშირისთვის, პარტნიორი სახელმწიფოებისთვის და მთლიანად ევროპის კონტინენტისთვის (Council of the European Union ‘Joint Declaration of the Prague Eastern Partnership Summit’, 2009, 6).

დეკლარირებული მიზნის მისაღწევად ინსტიტუციური მექანიზმია ასოცირების ხელშეკრულებების (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების (DCFTA) მოლაპარაკება და ხელმოწერა დაინტერესებულ აღმოსავლელ პარტნიორებსა და ევროკავშირს შორის. ამ პოლიტიკურმა ინიციატივამ, რომელიც მოიცავს WTO-ს არა წევრ სახელმწიფოებსა (აზერბაიჯანი) და აგრეთვე იმ სახელმწიფოებს, რომელთაც წარმატებას მიაღწიეს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების

კუთხით ევროკავშირთან, ვერ ჩამოაყალიბა ერთიანი მიდგომა ყველა პარტნიორ სახელმწიფოსთვის. EAP იყო აღქმული, როგორც მრავალმხრივი პოლიტიკის ინსტრუმენტი და არ იყო მოსალოდნელი, რომ ერთი და იგივე მიდგომით და ტაქტიკით იმოქმედებდა თითოეული პარტნიორი ქვეყანასთან.

2013 წელს ვილნიუსის სამიტზე აღმოსავლეთ პარტნიორობაში ჩართულმა სახელმწიფოდან ოთხ 'მოწინავეს' ასოცირების ხელშეკრულება უნდა გაეფორმებინა ევროკავშირთან. თუმცა, სამიტი ფიასკო აღმოჩნდა. სომხეთმა თავი შეიკავა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერისგან და ევრაზიულ ეკონომიკურ გაერთიანებაში გაწევრიანების სურვილი განაცხადა, უკრაინამ ასევე უარი თქვა შეთანხმების ხელმოწერაზე (Consilium Europa, 'Joint Declaration of the Eastern Partnership Summit, Vilnius', November 2013). სამიტი ისტორიული წყალგამყოფი აღმოჩნდა უკრაინაში შემდგომ განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით. პოლიტიკური ცვლილებები, რომელიც უკრაინაში იანუკოვიჩის ხელისუფლების ჩამოშლით და უკრაინის ახალმა ხელისუფლების მიერ ევროკავშირთან შეთანხმებების გაფორმებით დასრულდა, სწორედ ევროპასთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე იანუკოვიჩის მთავრობის უარის შედეგი იყო (Jamestown, "Failure to Sign Association Agreement...", 2013).

EAP- ის წარუმატებლობისა და უკრაინის კრიზისმა გააჩინა განცდა, რომ პოლიტიკა იმთავითვე არასწორად იყო დაგეგმილი. კერძოდ, გაჩნდა მოსაზრება, რომ ევროკავშირის უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმო რუსეთის ფაქტორისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში ჩართულ სახელმწიფოთა მიმართებაში და პოლიტიკის დაგეგმვისას რუსეთის ინტერესები დასაწყისშივე გაეთვალისწინებინა (Wisniewski, P./ვისნიევსკი).

სამეზობლო ინიციატივა მნიშვნელოვანი ტესტი იყო ევროკავშირის საგარეო ურთიერთობებისთვის, იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეძლო პოლიტიკამ ერთიანი მიდგომა გამოეყენებინა უსაფრთხოების გამოწვევებისთვის და ამავე დროს დაეკავშირებინა ერთმანეთთან უსაფრთხოება, სტაბილურობა და კეთილდღეობა. შესაბამისად, ინიციატივას დემონსტრირება უნდა გაეკეთებინა მიდგომისთვის, რომელიც აფართოებს უსაფრთხოების მიმართ მიდგომას 'ტრადიციული პერსპექტივიდან უსაფრთხოების საკითხებზე, იმ მიმართულებით, რომელიც მხოლოდ სამხედრო, ტერიტორიალური, სახელმწიფოზე მიმართულ გაგებას არ გულისხმობს და მოიცავს სხვა უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან საკითხების, როგორცაა სამოქალაქო ოპერაციები სხვადასხვა სფეროში, განვითარება, გარემოს დაცვის პოლიტიკა, ჰუმანიტარული

დახმარება, სტრუქტურული თანამშრომლობა და დიპლომატია' (Gebhard, C./გებარდი & Norheim-Martinsent/ნორეიმ-მარტინსენტი, 2011, 225) მსგავსი ინტეგრაციუნალისტური მიდგომა კი, ცხადია, მოითხოვდა შესაბამის ინსტიტუციური ჩარჩოს განვითარებას, რაც შემდეგი თავის განხილვის თემაა. თუ ევროკავშირის მცდელობები, გარდაეყვნა EaP-ს სახელმწიფოები ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე სასურველი იყო, ნაწილობრივ ეს გამოწვეული იყო ახალი გეოპოლიტიკური რეალობით. უკრაინასა და საქართველოში, ნარინჯისფერ და ვარდების რევოლუციების შემდგომ, რომლებმაც ამ ქვეყნებს დასავლეთისკენ გზა გაუხსნეს, რუსეთის პოლიტიკა ყველანაირად შეწინააღმდეგებოდა ამ ქვეყნების სურვილს დაახლოვებოდნენ დასავლეთსა და ნატოს, გააქტიურდა. თავდაპირველად, რუსეთში ევროკავშირსა და რუსეთის მეზობელ ქვეყნებს შორის დაახლოების პოლიტიკა ნაკლებ ყურადღებას იქცევდა, ვიდრე ნატოს გაფართოების პერსპექტივა. მაგალითად, 2007 წელს, ევროკავშირში რუსეთის მისიის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ ჩიჟოვმა ევროკავშირში საქართველოს ელჩთან, დისერტაციის ავტორთან შეხვედრაზე დაადასტურა, რომ რუსეთი არასდროს შეეწინააღმდეგება საქართველოს მცდელობას, გაწევრიანდეს ევროკავშირში, თუმცა არასდროს დაუშვებს მის ნატოში გაწევრიანებას.

ეს მიდგომა რუსეთმა შეცვალა ორი მიზეზის გამო. პირველ რიგში, EaP ინიციატივა იყო პირველი მცდელობა ევროკავშირის სერიოზულად გაემლიერებინა მისი გავლენა ამ სახელმწიფოებში. EaP-მდე, ევროკავშირის თანამშრომლობის ფორმატი რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებთან იყო სუსტი და უმნიშვნელო. რუსეთი დიდად არ იწუხებდა თავს მაშინ, როდესაც ევროკავშირსა და მის მეზობელ სახელმწიფოებს შორის არანაირი რეალური პოლიტიკური დაახლოება არ ხდებოდა. მეორე, თავად რუსეთის პოზიცია, რომელიც იდეაში ისახავდა მიზანს, ყოფილიყო ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორი, თანდათან შეიცვალა 2000-იან წლებში და 'ევრაზიულმა გაერთიანების' იდეამ შეცვალა ევროპასთან სტრატეგიული პარტნიორობის სურვილი (Putin, V./პუტინი, 2011). რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობების სახეცვლილების შემდგომ, მოსკოვმა გადაწყვიტა, რომ ევროკავშირის EaP პოლიტიკა მიზნად ისახავს რუსეთის იზოლაციას და ევროკავშირის საკუთარი ინტეგრაციუნალისტური პროექტები დაუპირისპირა. რუსეთის ფაქტორი აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის შესწავლისას მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური ფაქტორის ანალიზის მიზნით. ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიის წანამდვარია, რომ სწორედ გეოპოლიტიკური ფაქტორები თამაშობს წამყვან როლს ევროპული ინტეგრირებული პოლიტიკის

შემუშავებისას წევრი სახელმწიფოების პოზიციის განსაზღვრის თვალსაზრისით იქ, სადაც საქმე საგარეო პოლიტიკას ეხება.

რუსეთის ინტეგრაციონალისტური პროექტის-ევრაზიული კავშირის (EEU-ს) პროექტის დეტალური ანალიზი სცდება ამ ნაშრომის მიზანს, თუმცა, პროექტს აქვს პირდაპირი გავლენა EaP-ს ინიციატივაზე, ამიტომაც აუცილებელია ძირითადი პარამეტრების განსაზღვრა და იმის გაცნობიერება, თუ რა დაბრკოლებაა შექმნა მან EaP-სთვის.

როდესაც რუსეთის პრემიერ მინისტრმა, ვლადიმერ პუტინმა ახალი ეკონომიკური გაერთიანების შექმნის გეგმა წარმოადგინე, მან ამბიციური შეთავაზება გააკეთა თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის თაობაზე ლისაბონიდან ვლადივოსტოკამდე (პუტინი, 2011). თუმცა, ის იდეა მალევე მოიხსნა დღის წესრიგიდან. თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა ECU-სა და EU-ს შორის მოითხოვდა შესაბამისი, დასავლური სტანდარტების დანერგვას (O. Shumylo-Tapiola/შუმაილო-ტაპიოლა, 2012), ამის რესურსიც რუსეთს არ აქვს. თავიდან არსებობდა იმედი, რომ ეს იდეა განხორციელებულიყო, მაგრამ საბოლოო ჯამში ECU-მ გადაწყვიტა CIS-ს სტანდარტებით ეხელმძღვანელა. რუსეთი მზად ვერ აღმოჩნდა ევროპული სტანდარტების მისაღებად, რომელიც ეხებოდა ტრანსპორტის რეგულაციებსა და სანიტარულ, მიგრაციის კონტროლს, რომელიც აუცილებელი იყო თავისუფალი სავაჭრო ზონის შესაქმნელად ევროკავშირთან. აგრეთვე თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა ECU-სა და EU-ს შორის, აიძულებდა რუსეთს კონკურენცია გაეწია ევროკავშირისთვის ECU-ს ბაზარზეც, მოსკოვი კი მზად არ იყო ამგვარი კონკურენციისთვის. მაგრამ ეკონომიკური საკითხები მეორეხარისხოვანია რუსეთისთვის ამ გეოპოლიტიკური პროექტის ჩამოყალიბების პროცესში. ამ გაერთიანებით, რუსეთს ეძლევა საშუალება ხელახლა დაამყაროს გავლენა პოსტ-საბჭოურ სახელმწიფოებზე (Clover, C./კლოვერი, 2008). სწორედ ამიტომ, რუსეთი აცხადებდა, რომ მზად არის გაიღოს ამ პროექტის განსახორციელებლად ყველა საჭირო რესურსი.

ეს ექსპანსიონისტური პროექტი არის პუტინის დოქტრინის განუყოფელი ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს ავტოკრატიული მართველობის შენარჩუნებასა და მილიტარისტული მენტალიტეტის გადარჩენას რუსეთში. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რუსული რეჟიმის შესანარჩუნებლად (L. Shevtsova/შევტსოვა, 2014), აგრეთვე აუცილებელია ევროპისგან ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ჩამოსაცილებლად (Bond, I./ბონდი, 2014, 1-18). პუტინის პარადიგმა შეინარჩუნოს ძალაუფლება რუსეთში, მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა, თუ პირველ ათწლეულში არ იკვეთებოდა მისი

მმართველობის ზუსტი იდეოლოგიური ბაზა, ნომინალური მმართველის, მედვედევის შემდგომ პრეზიდენტად დაბრუნებული პუტინი უკვე სწრაფად განვითარებადი იდეოლოგიური პროგრამით წარსდგა ქვეყნისა და მსოფლიოს წინაშე. კრემლმა მიიჩნია, რომ სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა არ მოუტანდა ხალხის მხარდაჭერას დიდი ხნის განმავლობაში. რუსეთს ესაჭიროებოდა ახალი იდეოლოგია და გამოსავალიც დასავლეთისგან მტრის ხატის შექმნაში მოიძებნა (RIA Novosti, 2014). იდეოლოგიის ბაზისის ძიებაში, პუტინმა გადაწყვიტა მიემართა „ევრაზიანიზმი“ს იდეისთვის, რომლის სულის ჩამდგმელი რუსული პოლიტიკური მეცნიერებისა და ისტორიის მეცნიერი ალექსანდრე დუგინი იყო (Felgenhauer, P./ფელგენჰაუერი, 2014). მისი ამჟამინდელი ყურადღების მიღწევამდე, დუგინის იდეა "ევრაზიული უზენაესობის შესახებ" დიდი ხნის განმავლობაში უარყოფილ იქნა, როგორც ნახევრად მისტიკური ფილოსოფიური სკოლის მარგინალური აზრები. ეს იდეოლოგია ამტკიცებს, რომ რუსეთი არის უნიკალური ცივილიზაცია თავისივე დამსახურებით და, იგი არ განეკუთვნება არც ევროპას არც აზიას, რუსეთის არის ქრისტიანული ფასეულობების მეურვე- ახალი ბიზანტია (Barbashin, A/ბარბაშინი. & Thoburn, H./თობერნი, 2014). გეოპოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, რუსეთმა არჩია, ეკონომიკური სანქციებით და სამხედრო ინტერვენციებით განეხორციელებინა ზეწოლა EaP-ს ქვეყნებზე.

რუსეთის პოზიცია კი, პირდაპირ აისახა ორი წამყვანი ევროპული სახელმწიფოს, გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციაზე. გერმანიის პოზიცია, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივასთან მიმართებაში, ინიციატივის შექმნისთანავე მკვეთრად იყო გამოხატული, როგორც ეკონომიკური ინტერესის ხასიათის. გერმანიის პერსპექტივიდან, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები მნიშვნელოვანი იყვნენ გერმანიის ექსპორტისა და იმპორტის, ეკონომიკური ზრდის, იაფი სამუშაო ძალის, გეოგრაფიული სიახლოვის, კულტურული კავშირების და გერმანული ინდუსტრიის მზარდი დაინტერესების თვალსაზრისით (OSW Report, 2008). ამავე დროს, გერმანიისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა, არავითარ შემთხვევაში არ ყოფილიყო მოაზრებული, როგორც ევროკავშირის გაფართოების ინსტრუმენტი. გერმანიის პოზიცია მკვეთრად აფიქსირებდა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა იყო სამეზობლო ინიციატივის ნაწილი და ექვემდებარებოდა მის ჩარჩოებს. შესაბამისად, გერმანიის პოზიცია ყოველთვის მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ყველანაირ განაცხადს, რომელიც გაწევრიანების შესაძლებლობის დაშვებას უკავშირდებოდა. გერმანიის და მისი მმართველი პარტიის (ქრისტიან-

დემოკრატების) პოზიცია იყო, რომ 2004 წლის და 2007 წლის ევროკავშირის გაფართოების ტალღების შემდგომ, ევროკავშირი იყო 'გადაღლილი გაფართოებით (BEST OSW 11 (86), 2009). ლისაბონის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, გერმანიისთვის პრიორიტეტად იქცა ამ ხელშეკრულების სისრულეში მოყვანა, ხელშეკრულება, რომელსაც გერმანია საკუთარი გავლენის გაზრდის ინსტრუმენტადაც მოიაზრებდა. ევროკავშირის შემდგომი გაფართოება, ისეთ ქვეყნებში, როგორცაა უკრაინა, თურქეთი-გერმანიის მხრიდან მოიაზრებოდა როგორც მისი გავლენის შემცირება ევროკავშირის შიგნით. ამასთან ერთად, გერმანიის პოზიცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივასთან მიმართებაში ყოველთვის იყო, რომ ინიციატივას არ უნდა გამოეწვია რუსეთის ანტაგონიზირება და საფრთხის ქვეშ დაეყენებინა ევროკავშირსა და რუსეთს შორის სტრატეგიული ურთიერთობები. ეს ურთიერთობები რომ პრიორიტეტი იყო გერმანიისთვის, ამას ბერლინი არ მალავდა. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებით, გერმანია აბალანსებდა რუსეთის გავლენას, ამავე დროს- 'ჯერ რუსეთი' მუდამ იყო გერმანიის საგარეო პოლიტიკის თანმდევი ლეიტმოტივი. გერმანიის მიერ შერჩეული ხედვა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიმართ იყო 'საერთო სამეზობლოს' ხედვა, რომელშიც ევროკავშირს და რუსეთს შეეძლოთ თანამშრომლობა და ნდობის მექანიზმების შექმნა, მათ შორის რუსეთის დარწმუნების გზით, რომ სამეზობლო და აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა არაა მათ წინააღმდეგ მიმართული. გერმანია უკიდურესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ ენას და ტერმინებს, რომელიც აღმოსავლეთ ინიციატივის ფარგლებში გამოიყენებოდა. 2009 წლის პრადის სამიტისთვის მზადებისას, მაგალითად, გერმანია იყო ლიდერი სახელმწიფო, რომელიც განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა სამიტის საბოლოო დეკლარაციის ტექსტს და მასში 'ევროპული პერსპექტივის' ხსენება დაბლოკა. ის ასევე ეწინააღმდეგებოდა ტერმინის 'ევროპული სახელმწიფოების' გამოყენებას და 'აღმოსავლეთ ევროპულ პარტნიორობად' სურდა მოხსენიებულიყო ინიციატივის მონაწილე ქვეყნები. სამიტის ტექსტის შეთანხმების პროცესში აქტიურად მონაწილეობდა ნაშრომის ავტორი და შესაბამისად აწარმოებდა მოლაპარაკებებს ევროკავშირის და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ბრიუსელში. გერმანიის პოზიცია, რომ სამიტის ტექსტში არ უნდა ყოფილიყო არანაირი მინიშნება ევროკავშირის გაწევრიანების პერსპექტივაზე მრავალჯერ იქნა დაფიქსირებული აღნიშნულ შეხვედრებზე.

გერმანია ასევე დიდი სიფრთხილით აფასებდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებს და მიაჩნდა, რომ ეს ხედვა არ იყო ჰარმონიაში გერმანიის პოლიტიკურ ხედვასთან, რომ ევროკავშირი და რუსეთი თანაბარი პარტნიორები არიან საერთო სამეზობლოში. გერმანიის ხედვა შავი ზღვის აუზში რუსეთთან თანამშრომლობას გულისხმობდა. შესაბამისად, 'შავი ზღვის სინერჯის' ინიციატივა, რომელსაც გერმანია მხარს უჭერდა, გულისხმობდა, რომ რუსეთიც მიიღებდა მასში მონაწილეობას და გერმანია ამ ინიციატივის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის გაერთიანებაზეც კი საუბრობდა. როდესაც ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, გერმანიის პოზიცია იყო, რომ ორივე ინიციატივას ერთნაირი სტატუსი მისცემოდა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის საწყის ფაზაში გერმანია დღის წესრიგში აყენებდა რუსეთის ჩართვას კონკრეტული პროექტების განხორციელებაშიც (Gotkovska, J./გოტკოვსკა, 2010).

გერმანიის პოზიცია ასევე ითვალისწინებდა რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავებას უსაფრთხოების თვალსაზრისით, შესაბამისად, კონფლიქტების პრევენციის და მათი გადაწყვეტის ამოცანა არასდროს არ ყოფილა გერმანიის პრიორიტეტებს შორის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში. ევროკავშირის როლის გაზრდის ნაცვლად, გერმანიას იმედი ჰქონდა, რომ ეუთო-ს ფორმატის და ორმხრივი ინიციატივების გზით შეძლებდა რუსეთის ჩართვას კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით. გერმანიის შესაბამისი დამოკიდებულების დემონსტრაციაა მაგალითად 'მეზერბერგის ინიციატივა,' როდესაც გერმანია ლობირებდა რუსეთ-ევროკავშირის პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის შექმნას და ილუზია ჰქონდა, რომ ამის სანაცვლოდ რუსეთი მხარს დაუჭერდა დნესტრისპირეთში კონფლიქტის დარეგულირების ახალ ინიციატივას. მაგრამ რამდენადაც ეს ინიციატივა არ იყო ევროკავშირის შიგნით კოორდინირებული და რუსეთმა სწრაფად გახადა ნათლი, რომ ის არ აინტერესებდა, ინიციატივამ ვერანაირი შედეგი ვერ მოიტანა (Socor, V./სოკორი, 2010).

მიუხედავად იმისა, რომ 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ გერმანიის პოზიციის გადახედვა მოითხოვა, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის, ასევე რუსეთის თაობაზე, 2015 წლის 21 მაისს, გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის გამოსვლისას ბუნდესტაგში ნათელი გახდა, რომ გერმანიის პოლიტიკა, რომ ევროკავშირის

გაფართოვება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიმართ არ განიხილებოდა, არ გადაიხედებოდა (Bundesregierung/ბუნდესლეგილუნი, 2015). ამ პოზიციის გადახედვა მხოლოდ 2022 წლის 24 თებერვალს დაწყებული ომის შედეგად მოხდა.

2014 წლის 1 აპრილს გაკეთებულ განცხადებაში, გერმანიის, საფრანგეთის და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოითხოვეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის გადახედვა, რომელიც მათი აზრით დისფუნქციური გახდა. მათი მოთხოვნა იყო უფრო მოქნილი, ეფექტიანი სამეზობლო პოლიტიკა, რომელშიც უფრო დიდ როლს ითამაშებდა ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახური, პოლიტიკა, რომელსაც კრიზისზე რეაგირების სწრაფი შესაძლებლობა ექნებოდა და ინდივიდუალურად მიუდგებოდა წევრ ქვეყნებთან ურთიერთობას, სამოქალაქო სექტორსა და ადამიანებთან ურთიერთობის პრიორიტეტით (Auswärtiges Amt, “Building a Stronger Compact With Our Neighbours...”). აღსანიშნავია, რომ ამ კონტექსტში, გერმანიის პოზიცია განსაკუთრებით ხაზს უსვამდა მეტი კოორდინაციის აუცილებლობას, აღმოსავლეთ პარტნიორობასა და ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკას შორის. ამის პარალელურად, გერმანიის პოზიციად დარჩა ხედვა, რომ რუსეთთან თანამშრომლობის ფორმატები ‘საერთო სამეზობლოში’ კვლავ შესაძლებელი იყო და მხარს უჭერდა ევროკავშირს, ევრაზიულ კავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ფორმატების შექმნა (Fix, L./ფიქსი & Kirch, A.L./კირხი, 2016).

სამეზობლო ინიციატივის შექმნის დღიდან, საფრანგეთის პოზიცია მუდამ სამხრეთ სამეზობლოსკენ მეტი ყურადღების, რესურსების და შესაძლებლობების მიმართვისკენ იყო განწყობილი. გარდა იმისა, რომ ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებთან საფრანგეთს ბევრად უფრო მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირები აქვს, ეს მისთვის პრაგმატული პოზიცია იყო. საკუთარ გამოწვევებს, როგორცაა მოუწესრიგებელი მიგრაცია, დანაშაულის იმპორტი, ტერორიზმი და სხვა, საფრანგეთი პირველ რიგში სწორედ სამეზობლო ინიციატივის სამხრეთ განზომილების ქვეყნებს უკავშირებს. შესაბამისად, მისი პოზიცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან მიმართებით დიდი აქტიურობით არ გამოირჩეოდა. ეს ვითარება არ შეცვლილა მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანამ, სწორედ საფრანგეთმა იკისრა რუსეთსა და საქართველოს შორის მომლაპარაკებლის როლი და ცეცხლი შეწყვეტის შესახებ შეთანხმება სწორედ პრეზიდენტი სარკოზის უშუალო მონაწილეობით გაფორმდა. ხოლო

2008 წლის ომი, თავის მხრივ ის გეოპოლიტიკური მოვლენა იყო, რომელმაც ევროკავშირის ახალ ინიციატივას მისცა ბიძგი.

‘აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივას არასდროს შეუქმნია დიდი დიპლომატიური მობილიზაცია პარიზში. 2009 წელს პოლიტიკის ინიცირებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობა განიხილებოდა როგორც პოლონეთისა და შვედეთის პრიორიტეტი, ფრანგი ოფიციალური პირები კი გაფრთხილებებს აკეთებდნენ, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის’ ქვეყნები ‘ანტი-რუსული’ ტენდენციებით გამოირჩევიან. საფრანგეთმა სწორედ ამ დროს დაიწყო კონკრეტული მოლაპარაკებებზე მუშაობა რუსეთთან, როგორც იყო მისტრალის გემები.’ (Nougayrède, N./ნუგელედი, 2015)

საფრანგეთის პრიორიტეტები აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ქვეყნებს რაც შეეხება, განისაზღვრება არა მხოლოდ საკუთარი ინტერესებით, არამედ მისი დამოკიდებულებითაც ზოგადად ევროკავშირის და მისი საგარეო პოლიტიკის მიმართ. საფრანგეთი მრავალი წელია მხარს უჭერს ევროკავშირის გააქტიურებას სამხრეთ სამეზობლოს რეგიონში სახელმწიფო სტრუქტურების და უსაფრთხოების მექანიზმების გასაძლიერებლად, როგორც სამეზობლო ინიციატივის, ასევე ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის გამოყენების გზით. რუსეთსა და აღმოსავლეთ პარტნიორებს შორის განგრძობილი კონფლიქტები კი ამ მიმართულებით რესურსების გაძლიერების შესაძლებლობას ზღუდავს (Cadier, D./კადიერი, 2016). შესაბამისად, საფრანგეთს პრაგმატულად აწყობს, რომ აღმოსავლეთში ნაკლები პრობლემები იყოს და მისი რეაგირება რუსეთის აგრესიაზე უკრაინაში ამის სიგნალი იყო-საფრანგეთმა გააუქმა სამხედრო თანამშრომლობა რუსეთთან, ასევე მხარი დაუჭირა ევროკავშირის ყველა სანქციას. უკრაინის კრიზისამდე თუ საფრანგეთი ისევ ორმხრივ ჭრილში განიხილავდა რუსეთთან ურთიერთობებს, რუსეთის სამხედრო აგრესიის შემდეგ მისი პოლიტიკა უფრო ინტეგრირებულია ევროკავშირის ზოგად მიდგომებთან (Facon, I./ფაკონი, 2015, 117-131). ევროკავშირის შიგნით კი, საფრანგეთის პოზიცია, გერმანიის მსგავსად, ემხრობა კრიზისის თავიდან აცილებას და ერთიანი უსაფრთხოების მიზნებისთვის მიმართულ ძალისხმევას-მათ შორის რუსეთთან კონფლიქტის მინიმიზირების (Frear, T./ფრეარი & Kearns, I./კეარნსი, 2017). საფრანგეთის პრიორიტეტები აღმოსავლეთ პარტნიორობის თვალსაზრისით არის ერთის მხრივ კონფლიქტების დარეგულირება, მეორეს მხრივ კი, იმ ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც ევროკავშირმა შექმნა ასოცირების, თავისუფალი ვაჭრობის და რეფორმების მხარდაჭერის სახით.

საფრანგეთის პოზიცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის თაობაზე გამოირჩევა მოთხოვნით, რომ ევროკავშირმა პოლიტიკის ინსტრუმენტები სტრატეგიულად გამოიყენოს და რეალისტური დღის წესრიგი ჰქონდეს აღმოსავლეთ პარტნიორებთან. ამასთან ერთად საფრანგეთის პოზიცია მოითხოვდა ევროკავშირს უკეთ განესაზღვრა საკუთარი სტრატეგიული ამოცანები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. მაგალითად, ვაიმარის დეკლარაციასთან მიმართებაში, რომელსაც გერმანიასა და პოლონეთთან ერთად, საფრანგეთმაც მოაწერა ხელი, ამ უკანასკნელის პოზიცია იყო, რომ 'ევროკავშირის პოლიტიკა უნდა გამოეხმაროს პარტნიორი ქვეყნების ამბიციებსა და პოტენციალს, ევროკავშირის საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე'. (Fabius, L./ფაბიუსი, Steinmeier, F.W./სტენმეიერი, & Schetyna, G./შეტინა, 2015)

საფრანგეთის პოზიცია ასევე ხაზს უსვამს იმ სტრატეგიული კონტექსტის გათვალისწინების აუცილებლობას, რომელშიც ხორციელდება აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა. შესაბამისად, საფრანგეთის პოზიცია გერმანიის პოზიციას ემთხვევა იმ თვალსაზრისით, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული რუსეთის წინააღმდეგ გეოპოლიტიკური ამოცანების განსახორციელებლად (კადიერი, 2017). ასევე, გერმანიის მსგავსად, 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომამდე, საფრანგეთი ძალიან აქტიურად ეწინააღმდეგებოდა იდეას, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა შესაძლოა ყოფილი გზა ევროკავშირის გაფართოებისკენ. 2020 წელს ევროკავშირის შიდა კონსულტაციებისას აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის მომავლის შესახებ საფრანგეთმა მოამზადა პოზიცია, რომელიც ნათლად აფიქსირებს, რომ ევროკავშირმა არანაირი ცრუ მოლოდინი არ უნდა გაუჩინოს აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე ქვეყნებს, რომ ეს არის გზა გაწევრიანებისკენ (LRT, 2020). ამ პოზიციას, საფრანგეთმა, ისევე როგორც გერმანიამ 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ გადახედა.

საფრანგეთის პოზიციის შეფასებისას აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივასთან მიმართებაში, აუცილებელია ასევე მოკლედ განვიხილოთ მისი უკანასკნელი ინიციატივა- 'ევროპული პოლიტიკური გაერთიანების' შექმნის თაობაზე. ინიციატივა საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა 2022 წელს ევროპარლამენტში გამოსვლისას გააჟღერა (France24, "Macron calls for 'European political community'...", 2022). ინიციატივის ლოგიკა ემყარება განცდას, რომ ევროკავშირის ისეთი პოლიტიკურ ინსტრუმენტები, როგორცაა გაფართოების პოლიტიკა, სამეზობლო

პოლიტიკა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა-ვერ ეხმაურება იმ გეოპოლიტიკურ გამოწვევებს, რომელიც ევროკავშირის წინაშე დგას. 'ჩვენ გვაქვს ერთი გარემო, საერთო ისტორია და ჩვენი მოწოდებაა, ჩვენი მომავალიც ერთობლივად დავწეროთ' განაცხადა მაკრონმა პრელამი გამართულ ევროპული პოლიტიკური გაერთიანების პირველ შეხვედრაზე (Süddeutsche Zeitung, "Europagipfel", 2022). 'შეხვედრა შესაძლებლობაა, რომ შეიქმნას ახალი უსაფრთხოების სტრუქტურა ევროპაში, ეს კი, რუსეთის გარეშე უნდა განხორციელდეს'-განაცხადა იგივე შეხვედრაზე ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის დარგში, ჟოზეფ ბორელმა (Press Club Brussels, "European Political Community..."). გერმანიამ მაკრონის ინიციატივას მხარი დაუჭირა, თუმცა ორივე, საფრანგეთი და გერმანია ფრთხილობს, რომ ეს ინიციატივა არ წარმოჩნდეს როგორც რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანებული ევროპული ფრონტი.

ევროპულმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ დღეისთვის ორი სამიტი გამართა. გაერთიანების ამოცანაა ევროპაში უსაფრთხოების, სტაბილურობის და კეთილდღეობის გაზრდა, პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით. აღსანიშნავია, რომ ინიციატივა აერთიანებს ევროპის კონტინენტის ყველა სახელმწიფოს, გარდა რუსეთისა. იგი ასევე არ ითვალისწინებს რაიმე ახალი სტრუქტურების შექმნას და მაღალი დონის პოლიტიკურ საკონსულტაციო ფორუმად მოიაზრება. გაერთიანების დღის წესრიგი დღეისთვის უსაფრთხოება, რუსეთ-უკრაინის ომი, სომხეთ-აზერბაიჯანის, სერბეთი-კოსოვოს ურთიერთობები და ენერგეტიკული უსაფრთხოების თემებს მოიცავს. გახდება თუ არა ევროპული გაერთიანება მუდმივმოქმედი ფორუმი და გაგრძელდება თუ არა საფრანგეთის მხრიდან პროექტის აქტიური მხარდაჭერა, ჯერ რთული შესაფასებელია. მაგრამ საფრანგეთის პოლიტიკის გააქტიურება საგარეო პოლიტიკურ ფრონტზე, ევროკავშირის არსებული სტრუქტურების მიღმა, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელსაც დისერტაციის თემა მოითხოვს დავუბრუნდეთ.

რომ შევაჯამოთ სამეზობლო ინიციატივისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ევოლუციის ისტორია თეორიულ ჩარჩოში. 1. სამეზობლო ინიციატივა, როგორც ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, ფუნქციური გადმოღვრის ეფექტით (spillover) შექმნილი პოლიტიკაა. 2. ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიის თანახმად, სამეზობლო ინიციატივა შეიქმნა სწორედ წევრი სახელმწიფოების ინტერესების საფუძველზე და მოლაპარაკებების გზით ყველაზე დაბალი საერთო მნიშვნელის მოძებნის შედეგად. 3. გეოპოლიტიკური ინტერესები,

როგორც აღმოჩნდა, არ იყო საკმარისად და ადეკვატურად გაანალიზებული პოლიტიკის შექმნის პროცესში. შედეგად, ევროკავშირმა მიიღო ის გამოწვევები, რომელიც შეექმნა პოლიტიკის განხორციელებას სხვა გეოპოლიტიკური მოთამაშეებისგან.

რამდენად იყო ინსტიტუციური მოწყობა, რომელიც ევროკავშირმა შექმნა პოლიტიკის განსახორციელებლად მზად, მსგავსი გეოპოლიტიკური გამოწვევებისთვის-ამაზე საუბარი იქნება შემდეგ თავში.

თავი 3-სამეზობლო ინიციატივა და ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა-ინსტიტუციები და გადაწყვეტილების მიღების პროცესი

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივისა და ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ევოლუციის ანალიზის შემდგომ, აუცილებელია იმ ინსტიტუციური სტრუქტურის მიმოხილვა, რომელიც ევროკავშირის ამ ორ პოლიტიკურ მიმართულებას მართავს. უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუციური მოწყობა, რომელიც ორი პოლიტიკური მიმართულების განსახორციელებლად შეიქმნა, ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული იყო პოლიტიკის შექმნის დროს. ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა მისი შექმნისთანავე დაეკისრა ევროკომისიას. ხოლო ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა, პირველ რიგში ევროპული საბჭოების მიერ განხორციელებული პოლიტიკა იყო, რომელსაც ევროპული საბჭოს სტრუქტურები მართავდნენ.

ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამ ეს ვითარება შეცვალა. საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS) შექმნა, ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ევროკომისიის სტრუქტურაში გაერთიანებამისთვის ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის ფუნქციის დაკისრება და, შესაბამისი სტრუქტურული რეორგანიზაცია ევროპულ ინსტიტუტებში, ყველა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო უკეთესი ინსტიტუციური სინერჯის შესაქმნელად. როგორც ინსტიტუციების მიმოხილვა აჩვენებს, ლისაბონის შეთანხმების ამოცანა სწორედ იმ დუალიზმის აღმოფხვრა იყო, რომელიც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტების

განსახორციელებელ ჩარჩოს ახასიათებდა. მიაღწია თუ არა ამ რეფორმამ სასურველ შედეგს, შეცვალა თუ არა ის რეალობა, რომ საგარეო პოლიტიკის მართვის ბერკეტებს კვლავ წევრი სახელმწიფოები ინარჩუნებენ და პოლიტიკა სამთავრობათაშორისო პროცესად დარჩა-ესაა ის კითხვები, რომელსაც წინამდებარე თავი ეცდება უპასუხოს.

ლისაბონის ხელშეკრულება

CFSP-ისა და ESDP-ს პოლიტიკის კონტექსტში, ლისაბონის ხელშეკრულება შეიძლება ჩაითვალოს მრავალწლიან ინსტიტუციური პრაქტიკის რატიფიცირებად. CFSP/ESDP-ის ასპექტებზე ევროკავშირის ქვეყნებს შორის მოლაპარაკებები განხორციელდა 2003-2004 წლებში, ESDP სტრუქტურების განვითარების, 2003 წლის ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებისა და ESDP-ის ადრეული საოპერაციო გამოცდილების პარალელურად. შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეფორმების მნიშვნელობა CFSP-სა და ESDP-სთან დაკავშირებით საკმაოდ ხელშესახებია. ლისაბონის ხელშეკრულება ადგენს ინსტიტუციური ინოვაციის მნიშვნელოვან ასპექტებს ფართო უწყვეტობის კონტექსტში (Grevi, G./გრევი, Ed Amato, G./ედ ამატო, Brabosia, H./ბრაბოსია and De Witte, B./დე ვიტი, 2007). უწყვეტობისა და ინოვაციის ნაზავი არის ხელშეკრულების რეფორმის ყველა ეტაპის რეგულარული მახასიათებელი. ლისაბონის ხელშეკრულება საფუძვლიანად ცვლის ESDP-ის ინსტიტუციონალურ კონტექსტს და ადგენს უფრო კონკრეტულ ინსტიტუციურ ჩარჩოს პოლიტიკის ამ სფეროსთან დაკავშირებით (Quille, G./კილი, 2008; Missiroli, A./მისიროლი, 2008)

ხელშეკრულება პირველად აყალიბებს ევროკავშირის გარე ქმედებების ყველა ასპექტს საერთო პრინციპებისა და ამოცანების ფარგლებში; მიზნად ისახავს გააძლიეროს ევროკავშირის გარე ქმედებების საერთო კოორდინაცია და თანამიმდევრულობა დემოკრატიის პრინციპების, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების განხორციელებაში. ლისაბონის ხელშეკრულება ასევე განმარტავს ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტების შესაბამის როლებს CFSP პოლიტიკის შემუშავებაში, ადასტურებს ევროპული საბჭოს ძირითად როლს სტრატეგიული იმპულსისა და ხელმძღვანელობის უზრუნველყოფაში და საგარეო საქმეთა საბჭოს ცენტრალიზაციას გადაწყვეტილებების მიღებისას და მათი განხორციელების ზედამხედველობაში.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი რეფორმა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში უკავშირდება საგარეო და

უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის ახალ ორმაგ მანდატს, რომელმაც გააერთიანა SG/HR ფუნქციები CFSP-ს მიმართებაში და ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის ქუდის ქვეშ მოაქცია. გარდა ამისა, მან ჩაანაცვლა თავმჯდომარე ქვეყანა საგარეო საქმეთა საბჭოს თავმჯდომარეობაში და მიენიჭა CFSP/ESDP საკითხებში ინიციატივის (წინადადების) ფორმალური უფლება წევრ ქვეყნებთან ერთად. ანალოგიურად, თავმჯდომარე ქვეყანამ ადგილი დაუთმო ევროპული საბჭოს მუდმივმოქმედ პრეზიდენტს ამ ინსტიტუტის სათავეში. ახალი HR/VP პოსტის პრეროგატივა მოიცავს ევროკავშირის გარე პოლიტიკის სრული სპექტრის კოორდინაციას, CFSP საკითხებში ევროკავშირის გარე წარმომადგენლობას, CFSP გადაწყვეტილებების განხორციელებას, ასევე კონკრეტული პასუხისმგებლობას ESDP კრიზისის მართვის კონტექსტში (გრევი, Manca, D./მანკა, & კილი, 2005) Double-hatted HR (ორ ქუდიანი) თანამდებობის შექმნის მიზანი ასევე იყო საგარეო ქმედების ევროპული სამსახურის (EEAS) შექმნა, რომელიც ეხმარება HR-ს მისი მანდატის შესრულებაში. ახალი EEAS- ის შემადგენლობაში გაერთიანდნენ ევროპული საბჭოს სამდივნოს და კომისიის შესაბამისი დეპარტამენტების თანამდებობის პირები, ასევე ეროვნული დიპლომატიური სამსახურების მიერ მივლინებული პერსონალი. (Lieb, J./ლიები and Maurer, A./მაურერი, 2007)

აღსანიშნავია, რომ EEAS-ში გაერთიანდა ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე პასუხისმგებელი მენეჯმენტის სტრუქტურაც. მაგალითად-მის სტრუქტურაში შედის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე, სამსახურის გენერალურ მდივანს დაენიშნა მოადგილე, რომელიც განაგებს მშვიდობის, უსაფრთხოების და თავდაცვის საკითხებს, რომლის დაქვემდებარებაში, თავის მხრივ შედის ის ქვედანაყოფები, რომელიც კოორდინაციას უწევს CSDP-ის როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო განზომილების მქონე პოლიტიკას. (EUROPEAN EXTERNAL ACTION SERVICE Chart - HQ Organisation chart May 2023)

ლისაბონის რეფორმის შედეგად, ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ყველა განზომილებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა ერთი ქუდის-EEAS-ის ქვეშ მოექცა, რაც სტრუქტურული სინერჯის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. რომ შევაჯამოთ, პირველი, ლისაბონის ხელშეკრულება გარდაქმნის ESDP-ის სფეროს 'ერთიან უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკად' CSDP და აღწერს მას, როგორც პოლიტიკას, რომელიც ევროკავშირის უზრუნველყოფს „... სამოქალაქო და სამხედრო

აქტივების სამოქმედო შესაძლებლობებით... წევრი ქვეყნების შესაძლებლობების გამოყენებით“ (Declaration 15 on Article 27 TEU).

მეორე, ხელშეკრულება აფართოებს ეგრეთ წოდებულ პეტერსბერგის ამოცანათა სპექტრს, რომელიც საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკამ უნდა შეასრულოს, რათა მოიცვას ერთობლივი ოპერაციები, სამხედრო კონსულტაციები და დახმარების ამოცანების კოორდინაცია, კონფლიქტების პრევენცია და პოსტკონფლიქტური სტაბილიზაცია (Article 43 TEU as amended by the Lisbon Treaty and Article 17.2 TEU). მესამე, შეთანხმება აერთიანებს ბიუროკრატიულ სტრუქტურებს, რომელიც პასუხისმგებელია ერთიან უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკაზე და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაზე საგარეო ქმედებათა სამსახურის მანდატის ქვეშ.

მიუხედავად ამ ცვლილებებისა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, გადაწყვეტილების მიღების პროცესის თვალსაზრისით, ევროპული საბჭოები დღემდე რჩება ევროკავშირის ერთიანი და უსაფრთხოების პოლიტიკის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის სტრატეგიულ მმართველ რგოლად.

ზედა დონე/საბჭოს სტრუქტურები

ევროპული საბჭო, რომელიც ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნისგან შედგება, ევროკავშირის ზოგად პოლიტიკურ მიმართულებას და პრიორიტეტებს განსაზღვრავს და ევროკავშირის უმაღლესი პოლიტიკური დონის ორგანოა. 2009 წლის 1 დეკემბერს ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლით იგი გახდა მუდმივი ინსტიტუტი, მუდმივმოქმედი პრეზიდენტით, პოლიტიკური წონის გაზრდისა და პოლიტიკის უკეთ კოორდინაციის მიზნით. ევროპული საბჭო განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკის ზოგად პოლიტიკურ მიმართულებებსა და პრიორიტეტებს. ის არ ახორციელებს საკანონმდებლო ფუნქციებს. ევროპული საბჭო შედგება წევრი სახელმწიფოების მთავრობების მეთაურების, ევროპული საბჭოს პრეზიდენტისა და კომისიის პრეზიდენტისგან. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობს ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში HR/VP.

სხვა ევროკავშირის/ევროპული საბჭოები, რომელიც იკრიბება რეგულარულად და რომელსაც ესწრება წევრი სახელმწიფოების მთავრობის წარმომადგენლები, ანუ თითოეული წევრი სახელმწიფოს მინისტრები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან

კონკრეტულ სფეროზე-ევროპული სამთავრობათაშორისო მართვის ძირითად ინსტრუმენტი. საბჭოს სხდომების შემადგენლობა და სიხშირე განსხვავდება განხილული საკითხების მიხედვით. საბჭოს ათი კონფიგურაცია არსებობს, რომელიც მოიცავს ევროკავშირის პოლიტიკის მთელ სპექტრს ზოგადი საკითხები, საგარეო საკითხები, ეკონომიკური და ფინანსური საკითხები, სამართალი და საშინაო საქმეები, თევზჭერა და ბუნების დაცვა, კონკურენტუნარიანობა (ინტერნეტ ბაზარი, მრეწველობა, კვლევა და სივრცე), ენერგეტიკა/ტრანსპორტი და ტელეკომუნიკაციები, დასაქმება/სოციალური პოლიტიკა/ჯანდაცვა/მომხმარებელთა საკითხები, განათლება/ახალგაზრდობა/კულტურა/სპორტი. ზოგად საქმეთა საბჭო, რომელსაც ჩვეულებრივ ესწრებიან საგარეო საქმეთა მინისტრები ან ევროპის საქმეთა მინისტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოს სხვადასხვა კონფიგურაციის ერთმანეთთან თანამიმდევრულად მუშაობს, ამზადებს მთავრობის მეთაურების დონეზე ევროპულ საბჭოს შეხვედრებისთვის.

საგარეო საქმეთა საბჭოს ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ხელმძღვანელობს ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში. საგარეო საქმეთა საბჭო შედგება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მინისტრებისაგან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და განვითარების საკითხებზე. ეს მინისტრები ყოველთვიურ შეხვედრებს ესწრებიან საგარეო პოლიტიკის, ვაჭრობის, უსაფრთხოების, თავდაცვისა და განვითარების საკითხებზე.

პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი, PSC, ESDP კომიტეტების ოჯახში ცენტრალურ როლს თამაშობს და საბჭოთა მმართველობის რგოლში მინისტრთა კომიტეტის ქვემდგომი რგოლია, ელჩების დონეზე. ეს ოჯახი ასევე მოიცავს ევროკავშირის სამხედრო კომიტეტს (EUMC), პოლიტიკურ სამხედრო ჯგუფს (PMG), სამოქალაქო კრიზისების მართვის კომიტეტს (CIVCOM).

PSC-ის ფართო უფლებამოსილება გამოიკვეთა ჯერ გერმანიისა და საფრანგეთის მიერ Saint-Malo-ს დეკლარაციის შემდეგ წარდგენილი სხვადასხვა პოლიტიკურ დოკუმენტში და 1999 წლის ივნისში კიოლის ევროპული საბჭოს დასკვნებში, შემდეგ კი, ჰელსინკის სამიტზე ESDP-ის პრეზიდენტის ანგარიშის დანართში. კომიტეტი ჩამოყალიბდა 2000 წლის თებერვალში (Council document 11602/09) და შეიქმნა როგორც მუდმივი ორგანო 2001 წლის იანვარში, მას შემდეგ რაც განისაზღვრა მისი სამუშაო აღწერილობა ESDP-ის Presidency ანგარიშის დანართში, რომელიც მომზადდა ნიცის

ევროპული საბჭოსთვის 2000 წლის დეკემბერში (Council Decision 2000/143/CFSP setting up the Interim Political and Security Committee, *Official Journal*, 2000.) ამავდროულად, PSC- მ ნიცის ხელშეკრულების გზით აღმოჩნდა ევროკავშირის ხელშეკრულების-TEU-ს 25 -ე მუხლში.

თავდაპირველად, PSC თითქოს მოქცეული იყო ძლიერი პოლიტიკური აქტიორებისა და COREPER II- ის გავლენების ქვეშ (ევროკავშირის უმაღლესი სამთავრობოთაშორისი კომიტეტი ელჩების-ევროკავშირში მისიების ხელმძღვანელების დონეზე, რომელიც პასუხისმგებელია GAERC- ისა და ევროპული საბჭოს საერთო მომზადებაზე). თუმცა, ახალმა კომიტეტმა სწრაფად განსაზღვრა თავისი ნიშა და ESDP- განვითარების პარალელურად, რაც მოიცავს კრიზისულ სფეროებში ევროკავშირის მზარდ პოლიტიკურ ჩართულობას და კრიზისების მართვის მრავალი ოპერაციის დაწყებას, კომიტეტმაც გააღრმავა საკუთარი დამოუკიდებლობის ხარისხი და ნიშა (Council Decision 2001/78/CFSP setting up the Political and Security Committee, *Official Journal* 2001). PSC იყო ერთადერთი კომიტეტი რომელსაც შეეძლო თანმიმდევრულად ედევნებინა თვალყური ESDP- ის სწრაფი განვითარებისათვის. ეს გახდა PSC- ს ძალაუფლებისა და იდენტობის პლატფორმა. ის, რომ კომიტეტზე წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს ელჩის რანგი აქვთ, აძლიერებს მის ინსტიტუციურ წონას.

კრიზისის დროს PSC ვალდებულია შეისწავლოს სიტუაცია, შეაფასოს შესაძლო პოლიტიკური გადაწყვეტილების სხვადასხვა ვარიანტები და მოამზადოს საბჭოს წინადადება, რომელიც განსაზღვრავს კავშირის პოლიტიკურ ინტერესებსა და მიზნებს და მიუთითებს მოქმედების შესაძლო მიმართულებას. კრიზისის მენეჯმენტის სფეროში PSC ფლობს პოლიტიკის რჩევებისა და რეკომენდაციების მნიშვნელოვან უფლებამოსილებას ფორმალური გადაწყვეტილებების მიღმა, ასევე პოლიტიკურ მიმართულებების განსაზღვრის შესაძლებლობას და, მონიტორინგის ინსტრუმენტებს მისიის განხორციელების ეტაპზე. PSC ფუნქციების განხორციელების პროცესში მუდმივად თანამშრომლობს ESDP-ს სხვა კომიტეტებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ, კომიტეტს მუდმივმოქმედი თავმჯდომარე დაენიშნა საგარეო ქმედებათა სამსახურის წარმომადგენლის სახით, რამაც ასევე გააძლიერა ის ინსტიტუციურად.

ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი (EUMC) არის "უმაღლესი სამხედრო ორგანო, რომელიც შეიქმნა საბჭოს ფარგლებში" და აძლევს სამხედრო კონსულტაციებს PSC- ს, ასევე სამხედრო მიმართულებებს ევროკავშირის სამხედრო პერსონალისთვის (EUMS) (Howorth, J./ჰოვორტი, 2009). იგი შეიქმნა როგორც დროებითი სამხედრო ორგანო 2000

წლის მარტში და როგორც მუდმივი კომიტეტი 2001 წლის იანვარში. EUMC შედგება წევრი სახელმწიფოების თავდაცვის მეთაურებისგან - ანუ უმაღლესი სამხედრო ხელისუფლებისაგან. EUMC იკრიბება თავდაცვის მეთაურთა კონფიგურაციაში, საჭიროების შემთხვევაში და, ჩვეულებრივ, წელიწადში ორჯერ. კერძოდ, კომიტეტი ამ დონეზე იკრიბება თავმჯდომარის, ოთხი ვარსკვლავიანი ოფიცრის შესარჩევად, რომელსაც ნიშნავს საბჭო სამი წლის ვადით. EUMC-ის თავმჯდომარე ახორციელებს ოთხ მნიშვნელოვან როლს: სამხედრო კონსულტაციას ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლისთვის, მონაწილეობს PSC-ის შეხვედრებში საჭიროებისამებრ და ესწრება საბჭოს შეხვედრებს, როდესაც საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება თავდაცვის სფეროში, აგრეთვე მის მოვალეობაში შედის EUMS-ს დირექტივებისა და მითითებების გაცემა.

ევროპულმა საბჭომ სამოქალაქო მისიების მართვის კომიტეტის CIVCOM-ის დაარსების შესახებ 2000 წლის მაისში მიიღო და დაავალა მას ინფორმაციის მიწოდება, რეკომენდაციების შემუშავება და რჩევების მიცემა კრიზისის მართვის სამოქალაქო ასპექტებზე PSC-სთვის (COREPER Decision amending COREPER decision of 5 July 2000 Council Document 7992/01, 2001) ახალი კომიტეტის მუშაობის სახელმძღვანელო პრინციპები მიმართულია სამოქალაქო კრიზისების მართვაზე. CIVCOM-ის როლი, რა თქმა უნდა, ძალიან განვითარდა დროთა განმავლობაში, 2003 წელს პირველი სამოქალაქო კრიზისების მართვის მისიების წამოწყება გარდამტეხი მომენტი გახდა მისი ფუნქციური დატვირთვისთვის. სამოქალაქო მისიების დაგეგმვამ და მონიტორინგამ კომიტეტის დროის დიდი ნაწილი დაიკავა. დიდ წილად, CIVCOM უნდა ასრულებდეს იმის მსგავს ამოცანებს, როგორც EUMC სამოქალაქო მხარეს ახორციელებს, განსაკუთრებით PSC-სთვის სამოქალაქო კრიზისების მართვის სამუშაო ვარიანტების მიწოდებაში. ეს მას ESDP პოლიტიკის შემუშავების ძირითად ორგანოდ აქცევს, მაგრამ ასევე სერიოზული დატვირთვის ქვეშ აყენებს.

პოლიტიკური სამხედრო ჯგუფი (PMG) ერთგვარად დგას EUMC-სა და CIVCOM-ს, ორ უმსხვილეს საკონსულტაციო ორგანოს შორის. COREPER გადაწყვეტილება, რომლითაც ჯგუფი ჩამოყალიბდა 2001 წლის აპრილში, მოიცავს ძალიან ბუნდოვან მანდატს, კერძოდ PSC-ს დახმარებას ESDP-ის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებით (Council Decision 2001/79/CFSP, Official Journal, 2001)

შედეგად, სხვა ESDP კომიტეტებისგან განსხვავებით, PMG-ს არ გააჩნია კონკრეტული მისია და პროფილი, გარდა სამხედრო საკითხების პოლიტიკურ

განზომილებათა განხილვისა. ეს აისახება მის შემადგენლობაზეც, მათ შორის საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ეროვნული წარმომადგენლების ჩათვლით. ამიტომ, გარკვეულწილად, ევროპული საბჭოს პრეზიდენტის და თავმჯდომარე ქვეყნის გადასაწყვეტია, თუ როგორ გამოიყენოს ჯგუფი საუკეთესოდ და ეს, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია ევროკავშირის პოლიტიკურ-სამხედრო და სამოქალაქო-სამხედრო საკითხების დღის წესრიგზე.

მიუხედავად იმისა, რომ საგარეო ქმედებათა სამსახური და ევროკომისია ამზადებენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის გადაწყვეტილებებს, მათი პოლიტიკურად მიღებისა და დამტკიცების უფლებამოსილება ისევე მხოლოდ წევრ სახელწიფოებს-კონკრეტულად კი, ევროპულ საბჭოებს რჩება. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის შემთხვევაში საბჭოს პირველი დონე, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს, არის აღმოსავლეთ ევროპის და შუა აზიის სამუშაო ჯგუფი (COEST), რომელიც წევრი ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლებისგან შედგება. ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ მას თავმჯდომარეობს საგარეო ქმედებათა სამსახურის დიპლომატი-რაც გარკვეულ წილად ზრდის საგარეო ქმედებათა სამსახურის გავლენას პროცესზე, თუმცა საბოლოო სიტყვას, მაინც წევრი ქვეყნების წარმომადგენლები ამბობენ. ამის ზემდგომი დონე-საბჭოების თვალსაზრისით, არის პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი, რომელიც უკვე განხილული იქნა და ევროკავშირის მისიების ხელმძღვანელების საბჭო (COREPER, საბოლოო გადაწყვეტილებას კი, საგარეო მინისტრების საბჭო იღებს.

ევროპის საგარეო მოქმედების სამსახურის სტრუქტურები

ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ, ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის შექმნასთან ერთად, ეს უკანასკნელი, ევროკომისიასთან ერთად ახორციელებს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივას. საგარეო ქმედებათა სამსახურში, როგორც შესაბამისი გეოგრაფიული-ევროპისა და აზიის დირექტორატი, ასევე ევროპის სამეზობლო ინიციატივის დივიზია პასუხისმგებელია აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატებზე და პოლიტიკის განხორციელებაზე. (EUROPEAN EXTERNAL ACTION SERVICE Chart - HQ Organisation chart, 2023)

საგარეო ქმედებათა სამსახური უწევს კოორდინირებას ყველა შესაბამის შეთანხმებაზე მოლაპარაკებას ევროკომისიის შესაბამისი დირექტორატების დახმარებით.

მას ასევე წამყვანი როლი აქვს მრავალ ფორმატიანი თანამშრომლობის ჩარჩოს განხორციელებაში და საგარეო ქმედებათა სამსახური თავმჯდომარეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივ პლატფორმებს, როგორცაა მაგალითად დემოკრატიის, კარგი მმართველობის და სტაბილურობის და სხვა პლატფორმები. (EEAS, The Eastern Partnership Multilateral Platforms) სამსახური ასევე მონაწილეობს ინიციატივის ფარგლებში ფონდების განაწილების გადაწყვეტილებაში (ევროპის სამეზობლო ინიციატივის ინსტრუმენტის გამოყენებით).

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საგარეო ქმედებათა სამსახური უფლებამოსილია მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები-მათი მხრიდან აღმოსავლეთ ინიციატივის პოლიტიკის მართვა მოითხოვს მჭიდრო კოორდინაციას, როგორც ევროკომისიასთან, ასევე ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. მაგალითად, ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის პორტფელი, (გაფართოვების პორტფელთან ერთად) ეკუთვნის ევროკომისარს სამეზობლო და გაფართოვების საკითხებში. ეს თავისთავად ნიშნავს, რომ HR/VP რომელსაც საგარეო ქმედებათა სამსახური ექვემდებარება, პასუხისმგებლობას და უფლებამოსილებას, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან მიმართებაში ინაწილებს შესაბამის კომისართან და მასთან დაქვემდებარებულ ევროკომისიის სამსახურებთან, ისევე როგორც მთელ რიგ სხვა სტრუქტურებთან, როგორცაა ვაჭრობის დირექტორატი, საგარეო განვითარების დირექტორატი და ევროკომისიის სხვა სტრუქტურები, რომლებსაც ამა თუ იმ კუთხით ეხებათ ევროკავშირის ურთიერთობები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან. შესაბამისად, საგარეო ქმედებათა სამსახურსა და დარგობრივ სტრუქტურებს შორის ხშირია შიდა ბიუროკრატიული ფონდების განაწილება, ასევე ხშირად ხდება შიდა ბიუროკრატიული კონფლიქტის საგანი. (სმიტი, 2013, გვ.1299-1315)

შესაბამისად, შესაძლოა საგარეო საქმეთა სამსახური პოლიტიკურად წარმართავდეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივას, მაგრამ გადაწყვეტილებები შიდა ინსტიტუციური კონსესუსის საფუძველზე უნდა მომზადდეს, წევრი ქვეყნების მიერ მათ საბოლოო დამტკიცებამდე.

ლისაბონის ხელშეკრულებამ საგრძნობლად შეცვალა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სტრუქტურები. ახლად შექმნილ 'საგარეო ქმედებათა სამსახურში' გადავიდა ის ფუნქციები, რომელიც მის შექმნამდე ევროპული საბჭოების აპარატის მეშვეობით ხორციელდებოდა და კრიზისების მართვის და შესაბამისად, ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სტრუქტურების ინტეგრირებაც

განხორციელდა. EEAS კრიზისზე რეაგირებისა და ოპერატიული კოორდინაციის დეპარტამენტი პასუხისმგებელია EEAS-ის კრიზისზე რეაგირების სისტემის გააქტიურებაზე (კრიზისის პლატფორმა, ევროკავშირის სიტუაციების ოთახი, კრიზისების მართვის საბჭო) და, შესაბამისად, ცენტრალურ როლს თამაშობს აქტიორებისა და ინსტრუმენტების სწრაფი და ეფექტური მობილიზაციის უზრუნველსაყოფად ევროკავშირის სისტემაში, ასევე პოლიტიკისა და ქმედებების თანამიმდევრულობაში კრიზისის ციკლის სხვადასხვა ფაზაში.

კრიზისის მართვისა და დაგეგმვის დირექტორატი (CMPD)

კრიზისის მართვისა და დაგეგმვის დირექტორატი (CMPD) ხელს უწყობს ევროპულ საგარეო სამოქმედო სამსახურს (EEAS), CSDP-ს და უფრო უსაფრთხო საერთაშორისო გარემოს მიზნებს CSDP-ს სამოქალაქო მისიებისა და სამხედრო ოპერაციების პოლიტიკურ-სტრატეგიული დაგეგმვის გზით. ეს ქმედებები არის კრიზისის მართვის ევროკავშირის ყოვლისმომცველი მიდგომის ნაწილი. CMPD-ის ძირითადი საქმიანობა და პროდუქტები მოიცავს: CSDP სამოქალაქო მისიებისა და სამხედრო ოპერაციების სტრატეგიულ დაგეგმვას; არსებული CSDP მისიებისა და ოპერაციების სტრატეგიული მიმოხილვებს; CSDP პარტნიორობას; სამოქალაქო და სამხედრო შესაძლებლობების და CSDP პოლიტიკისა და კონცეფციების განვითარების კოორდინაციას, წვრთნებში მონაწილეობასა და CSDP სწავლების განვითარებას. CMPD მუშაობს, წვერი სახელმწიფოების პოლიტიკური კონტროლისა და სტრატეგიული ხელმძღვანელობით, პოლიტიკურ და უსაფრთხოების კომიტეტის კონტროლის ქვეშ. CMPD ასევე დახმარებას და რჩევებს უწევს უმაღლეს წარმომადგენელს და ევროკავშირის საბჭოს შესაბამის ორგანოებს. (EEAS, WHAT WE DO: POLICIES AND ACTIONS Crisis Management and Response, 2023)

ევროკავშირის სამხედრო შტაბი (EUMS)

ევროკავშირის სამხედრო შტაბი (EUMS) - მუშაობს ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის და უმაღლესი წარმომადგენლის ხელმძღვანელობით - არის EEAS-ის ფარგლებში კოლექტიური სამხედრო ექსპერტიზის წყარო. EEAS-ის ყოვლისმომცველი მიდგომის განუყოფელი კომპონენტი, EUMS კოორდინაციას უწევს სამხედრო ინსტრუმენტს, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ოპერაციებზე/მისიებზე (როგორც სამხედრო, ასევე ისეთებზე, რომლებიც საჭიროებენ სამხედრო მხარდაჭერას) და

სამხედრო შესაძლებლობების შექმნაზე. შედეგის მხარდასაჭერი აქტივობა მოიცავს: ადრეულ გაფრთხილებას, სიტუაციის შეფასებას, სტრატეგიულ დაგეგმვას, კომუნიკაციებისა და საინფორმაციო სისტემებს, კონცეფციის შემუშავებას, წვრთნასა და განათლებას და პარტნიორობის მხარდაჭერას სამხედრო-სამხედრო (military-to-military) ურთიერთობების მეშვეობით.

სამოქალაქო დაგეგმვისა და წარმართვის უწყება (CPCC)

სამოქალაქო დაგეგმვისა და წარმართვის უწყება (CPCC) არის სამოქალაქო CSDP მისიების ოპერატიული დაგეგმვისა და წარმართვის მუდმივი შტაბი. CPCC ეხმარება სამოქალაქო ოპერაციების მეთაურს - ან CivOpsCdr-ს - ამოცანების ზედამხედველობასა და მხარდაჭერაში. CivOpsCdr-ს მანდატში შედის განახორციელოს მისიების დაწყების ბრძანება და კონტროლი, უმაღლესი წარმომადგენლის უშუალო უფლებამოსილებით, განხორციელებული პოლიტიკური კონტროლით და სტრატეგიული ხელმძღვანელობით, რომელსაც უზრუნველყოფს პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი. სამოქალაქო CSDP-ის მისიები ახორციელებენ ამოცანების ფართო სპექტრს, მათ შორის ტრენინგს, რჩევებს, სწავლებას და მონიტორინგს პოლიციის, კანონის უზენაესობის, საზღვრის მართვისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სფეროებში.

უსაფრთხოების პოლიტიკისა და კონფლიქტების პრევენციის დირექტორატი

უსაფრთხოების პოლიტიკისა და მშვიდობის-კონფლიქტების პრევენციის დირექტორატი (Integrated Approach for Peace and Security Director) მუშაობს ევროკავშირის მიზნების განსახორციელებლად- მშვიდობის შენარჩუნება, კონფლიქტების პრევენცია და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცება, აუცილებელი პოლიტიკის შემუშავებაზე. ევროკავშირის შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების (განსაკუთრებით 2003 წლის ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის, 2016 წლის გლობალური სტრატეგიის) შესაბამისად, დირექტორატი ხელს უწყობს ყოვლისმომცველ მიდგომას უსაფრთხოების გარე საფრთხეებისა და კონფლიქტების რისკების გადასაჭრელად. ეს საქმიანობად წარმართება სხვა სერვისებთან მჭიდრო კოორდინაციით, რათა ჩამოყალიბდეს ევროკავშირის შესაბამისი პოლიტიკა, გაძლიერდეს მისი თანამიმდევრულობა, განვითარდეს შიდა შესაძლებლობები და შეთავაზებულ იქნას ვარიანტები ოპერატიული განხორციელებისთვის.

ევროკავშირის დაზვერვის ანალიზის ცენტრი (EU INTCEN)

ევროკავშირის დაზვერვის ანალიზის ცენტრი (EU INTCEN) არის ევროკავშირის ექსკლუზიური სამოქალაქო დაზვერვის ფუნქციის მქონე უწყება და EUMS-ის დაზვერვის დირექტორატთან ერთად სთავაზობს დაზვერვის მხარდაჭერას CSDP სტრუქტურებს. 2002 წელს შეიქმნა EU INTCEN, EU Situation ცენტრი, როგორც მას 2012 წლამდე ეძახდნენ, იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული CSDP-ის ჩამოყალიბებასთან. CSDP-ის კრიზისების მართვის შესაძლებლობების განვითარებამ, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო მისიების მიმართულებებით ცხადყო, რომ საჭირო იყო უფრო ფართო დაზვერვის ანალიზის სტრუქტურის ჩამოყალიბება ევროკავშირის პოლიტიკის შემუშავების მხარდასაჭერად. EU INTCEN-ის სტრატეგიული ანალიტიკური პროდუქტები ეფუძნება ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამოქალაქო დაზვერვისა და უსაფრთხოების სამსახურების დაზვერვას და ასევე ღია წყაროებს.

ევროკავშირის ოპერაციების ცენტრი (EU OPSCEN)

ევროკავშირის ოპერაციების ცენტრი (EU OPSCEN) გააქტიურდა 2012 წელს საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მისიებისა და ოპერაციისთვის აფრიკის რქის ფარგლებში. მისი მოვალეობაა მხარი დაუჭიროს მისიების დაგეგმვასა და განხორციელებას და ხელი შეუწყოს რეგიონში ევროკავშირის დაფინანსებულ აქტივობებს შორის კოორდინაციასა და ურთიერთქმედებას. ახალი სტრუქტურა აქტიურად უჭერს მხარს სხვადასხვა აქტივობებს შორის სინერგიას, კოორდინაციის მექანიზმების მეშვეობით სტრატეგიულ კომუნიკაციას, ინფორმაციის გაცვლასა და საქმიანობის მენეჯმენტს. (EEAS, CSDP structure, instruments and agencies)

ევროკომისია

კომისია იმთავითვე სრულად იყო დაკავშირებული CFSP სფეროში განხორციელებულ სამუშაოსთან (TEU მუხლი 27) და წევრ სახელმწიფოებთან ერთად განკარგავს ინიციატივის უფლებას ამ სფეროში. ვინაიდან ESDP არის CFSP-ის განუყოფელი ნაწილი, ეს დებულებები ვრცელდება ამ სფეროზეც. კომისიას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ESDP-ში. ბრიუსელში, კომისია ხელს უწყობს დებატებს

კრიზისებისადმი ევროკავშირის მიდგომასა და ESDP-ის დაგეგმილი ოპერაციების შესახებ. კერძოდ, კომისია პასუხისმგებელია CFSP ბიუჯეტის ადმინისტრირებაზე, რომელიც ფარავს სამოქალაქო ESDP-ის ოპერატიულ ხარჯებს. კრიზისზე რეაგირებისა და მშვიდობის დამყარების განყოფილება კომისიაში ასრულებს დავალებების ფართო სპექტრს, რათა უზრუნველყოს კომისიის მიერ კრიზისისა და კატასტროფების რეაგირების სწრაფი ფორმულირება. კერძოდ, განყოფილება პასუხისმგებელია კრიზისზე რეაგირების ღონისძიებების დაგეგმვაზე სტაბილურობის ინსტრუმენტის საშუალებით (ESDP Resources, გვ. 96-98).

კომისიის სტრუქტურების სპექტრი, რომელიც ჩართულია კრიზისთან ან კონფლიქტთან დაკავშირებულ საქმიანობაში, პრევენციიდან მშვიდობის დამყარებამდე, რა თქმა უნდა, უფრო ფართოა, ვიდრე CFSP/ESDP-ის შემთხვევაში სტრუქტურები. ეს სტრუქტურები მოიცავს მაგალითად ასევე ECHO-ს გენერალურ დირექტორატს, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და ინფორმაციის ცენტრს, პასუხისმგებელია ჰუმანიტარულ დახმარებაზე. ESDP-ის ოპერაციების დაგეგმვის ფაზაში კომისია ჩართულია, როგორც ESDP-ის ყველა კომიტეტის მუშაობაში, ასევე კრიზისზე რეაგირების საკოორდინაციო ჯგუფებში, რომლებიც შეიქმნა კრიზისის მართვის კონცეფციების შემუშავებასთან ერთად. კომისიის ოფიციალური პირები მონაწილეობენ ფაქტების დამდგენ მისიებში, რათა დადგინდეს ESDP-ის საგარეო ოპერაციების ჩასატარებლად აუცილებელი მოთხოვნები.

ევროკომისიის როლი ევროპის სამეზობლო ინიციატივის განხორციელებაში, ისევე, როგორც გაფართოვების პოლიტიკაში, ცენტრალურ ადგილს იკავებს. კომისია ამზადებდა და ანხორციელებდა გაფართოვების პოლიტიკას. (Lass-Lennecke/ლას-ლენეცკე and Werner/ვერნერი, 2009, გვ.271) 'პირობითობის' მექანიზმი, მაგალითად, პირდაპირ იქნა გადმოტანილი გაფართოვების პოლიტიკიდან და სამეზობლო ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ბიუროკრატია, პირდაპირ იყო გაფართოვების გენერალური დირექტორატის ნაწილი. სამეზობლო ინიციატივის ინსტრუმენტების განსაზღვრაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ევროკომისიას დაეკისრა. (ტულმეტსი, 2007, გვ. 29) სამეზობლო ინიციატივის შექმნისას, ევროკომისარ კრის პატენის მიერ ხავიერ სოლანასათვის მიწერილი წერილი კარგად აღწერს ევროკავშირის ბიუროკრატიაში არსებულ დამოკიდებულებას სამეზობლო ინიციატივის ინსტიტუციური მოწყობის მიმართ. წერილში აღწერილია პოლიტიკის ჩარჩო, როგორც გაფართოების, ასევე სამეზობლო ინიციატივის, ორივე-ხმელთაშუა და აღმოსავლეთ

ევროპული მიმართულებით და რუსეთთან მიმართებაში. მთავარი აქცენტები კეთდება საერთო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ღირებულებებზე, რეგიონალურ სტაბილურობაზე და თანამშრომლობაზე, ასევე საკანონმდებლო დაახლოვებაზე და ვაჭრობის გაზრდაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ წერილში საუბარია გაწევრიანების პერსპექტივაზე აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებისთვის. (Jeandezboz, J./ჯინდეზბოზი, 2007, გვ. 387-416) შესაბამისად, ამ წერილის საფუძველზე ევროკავშირის საერთო და საგარეო ურთიერთობების საბჭომ ევროკომისიას დაავალა სამეზობლოსთან ურთიერთობების ინსტიტუციური ჩარჩოს განვითარება.

2003 წელს გამოქვეყნებულ კომუნიკაციაში: 'ფართო ევროპა-სამეზობლო: ახალი ჩარჩო აღმოსავლეთ და სამხრეთ მეზობლებთან ურთიერთობისთვის'-განისაზღვრა ის მიმართულებები, რომელიც პრიორიტეტი იქნებოდა პოლიტიკისთვის: ბაზრის ინტეგრირება, ოთხი თავისუფლების (ადამიანების, საქონლის, მომსახურების და კაპიტალის) უზრუნველყოფა, მიგრაცია, ტრანსპორტის, ენერჯეტიკის და ტელეკომუნიკაციების ქსელების ინტეგრირება და სხვა. შემდგომ კომუნიკაციაში კი, ივლისში, ევროკომისიამ სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების ერთ საერთო ინსტრუმენტში გაერთიანება გადაწყვიტა და შექმნა სპეციალური საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც ევროკომისიის საგარეო და გაფართოვების დირექტორატის ბიუროკრატისგან შედგებოდა. (ტულმეტსი, გვ. 5) ევროკავშირის და ევროკომისიის დამოკიდებულება სამეზობლო ინიციატივის ქვეყნების გაწევრიანების პერსპექტივის მიმართ საბოლოოდ იმგვარად ჩამოყალიბდა, რომ თავად სამეზობლო ინიციატივა ცალსახად არ არის დაკავშირებული გაწევრიანების პერსპექტივასთან. 'ყველაფერი, გარდა ინსტიტუტებისა'-როგორც ევროკომისიის პრეზიდენტმა, რომანო პროდიმ განსაზღვრა. (Sobol, M./სობოლი, 2015, გვ. 63-76) მიუხედავად ამისა, სამეზობლო ინიციატივის მართვის ინსტრუმენტები, რომელსაც ევროკომისია წარმართავს, გაფართოების პროცესის მენეჯმენტის ანალოგიაა. 2010 წელს, სამეზობლო ინიციატივის და გაფართოვების პორტფელის ერთი ევროკომისარის ქვეშ გაერთიანებამ კიდევ უფრო ცხადი გახადა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის გაწევრიანების პერსპექტივას არ ითვალისწინებდა, ევროკავშირის გაფართოვების ინსტრუმენტების მსგავსი პრინციპებით იმართება. შესაბამისად, ევროკომისიის როლი, პოლიტიკის ტექნოკრატული მენეჯმენტის პროცესში მნიშვნელოვნად რჩება.

განახლებული კრიზისების მართვის მენეჯმენტის პროცედურები

2011 წლის 1 დეკემბრის CSDP-ის შესახებ საბჭოს დასკვნის შედეგად, განხილული იქნა „წინადადებები ევროკავშირის კრიზისების თანმიმდევრული, ყოვლისმომცველი მენეჯმენტის პროცედურებისთვის“ (11127/03) (Suggestions for Procedures for Coherent, Comprehensive EU Crisis Management), რათა ESDP-ის პირველი ათწლეულის განმავლობაში კრიზისის მართვის პროცესებში მიღებული გამოცდილება გამოეყენებინა უფრო კოორდინირებული პროცესისთვის. კრიზისის მართვის არსებული პროცედურების (CMP) გადახედვისთვის მიზეზები კი სამოქალაქო დაგეგმვისა და წარმართვის შესაძლებლობების (CPC) და კრიზისების მართვისა და დაგეგმვის დირექტორატის (CMPD) ჩამოყალიბება, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლა და EEAS-მა მნიშვნელოვნად შეცვლილი ორგანიზაციული წყობა იყო.

განახლებული CMP ხელს უწყობს ევროკავშირის ყოვლისმომცველი მიდგომის განხორციელებას და ასევე ეხმარება კრიზისების მართვის სამოქალაქო და სამხედრო ასპექტების უკეთეს ინტეგრაციას. EEAS-ევროკომისიის ეფექტური კოორდინაცია და თანამშრომლობა უნდა განხორციელდეს კრიზისის მართვის ყველა ფაზაში. ევროკავშირის კრიზისზე რეაგირების სისტემა, რომელიც შეიქმნა ლისაბონის ხელშეკრულების იმპლემენტაციის ფარგლებში, უზრუნველყოფს კრიზისებზე ევროკავშირის რეაქციის აუცილებელ ჩარჩოს. ეს პროცედურები ასევე უნდა იძლეოდეს უფრო სწრაფად გადაწყვეტილების მიღებას კრიზისის საპასუხოდ, თუ მიღწეულია პოლიტიკური კონსენსუსი.

კოორდინირებული საინფორმაციო სტრატეგიის ჩამოყალიბება და განხორციელება მნიშვნელოვანია CSDP-ის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე. სტრატეგია ჩამოყალიბდება ESDP-ის კრიზისზე რეაგირების საინფორმაციო აქტივობების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად და გამოყენებულია კრიზისის ყველა ფაზაში. მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ CMP შექმნილია იმის უზრუნველსაყოფად, რომ CSDP-ს ნებისმიერი აქტივობა ჩაფიქრებული, დაგეგმილი, დაწყებული, წარმართული და დახურულია PSC-ის პირდაპირი პოლიტიკური კონტროლისა და სტრატეგიული ხელმძღვანელობით. ეს პროცედურები, სასურველი CSDP ეფექტის მისაღწევად, წევრ სახელმწიფოებს, კომისიასა და EEAS-ს შორის დაგეგმარების თანმიმდევრული მექანიზმის ჩამოყალიბებას აძლევს შესაძლებლობას საგარეო ურთიერთობებისთვის, მათი სპეციფიკისა და უფლებამოსილების სრულად შენარჩუნების პარალელურად.

დაგეგმვის პროცესი

იმისთვის, რომ ევროკავშირმა მიიღოს გადაწყვეტილება ერთიანი და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში, მან უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიმუშაოს და განიხილოს სხვადასხვა სტრატეგიები გამოწვევებთან გამკლავების მიზნით. ამაში იგულისხმება ის, რომ ევროკავშირი საჭიროებს ადრეული გაფრთხილების სისტემას ნებისმიერი კრიზისის შესახებ და წინასწარი დაგეგმარების პროცესს. შესაბამისი პოლიტიკური ჩარჩო კრიზისის შეფასებისთვის (PFC) მზადდება EEAS-ის გეოგრაფიული სამსახურის მიერ, ყველა სერვისისა და ევროკავშირის შესაბამისი დელეგაციის მხარდაჭერით. შესაბამისი მასალა გადაცემა ევროკავშირის პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტს განსახილველად, რომელიც ამზადებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. ამისთვის კი, CMPD, როგორც CSDP-ის პოლიტიკური სტრატეგიული დაგეგმვის მთავარი სამსახური, ამზადებს პოზიციას (CMP) EEAS-ის შესაბამის სამსახურებთან კონსულტაციებით და მხარდაჭერით და პოზიციას კომიტეტი განიხილავს ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის მონაწილეობით და წარდგენით. PSC-ს რეკომენდაციის საფუძველზე კი, ზემდგომი ევროპული საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მისიის/ოპერაციის განხორციელების შესახებ.

იგივე პროცედურით ხდება გადაწყვეტილებების მიღება მისიის ინიცირების შესახებ. საბჭოსა და HR-ის პასუხისმგებლობით, PSC ახორციელებს პოლიტიკურ კონტროლს და სტრატეგიულ მიმართულებას CSDP-ის მისიებსა და ოპერაციებზე. მათ უშუალო ხელმძღვანელობას და CivOpsCdr და სამხედრო OpCdr ახორციელებენ. მისიის მეთაური და ძალების მეთაური ახორციელებენ მისიის კოორდინირებულ ხელმძღვანელობასა და კონტროლს, ეს ყველაფერი კი ოპერაციებზე დადგენილი სარდლობისა და კონტროლის პრინციპების შესაბამისად ხორციელდება. (EEAS, Crisis Management and Response)

არსებითად, CSDP გადაწყვეტილების მიღება არის სწორხაზოვანი პროცესი. თუ წევრი სახელმწიფოები შეთანხმდებიან იმაზე, რის მიღწევა სურთ და მზად არიან გაიღონ რესურსები თავიანთი ამბიციების რეალიზებისთვის, ყველაფერი შესაძლებელია. მაგრამ ჩართული აქტორების დიდი რაოდენობის გამო, გზაზე ყოველი ნაბიჯი შეიძლება გახდეს მოლაპარაკებების საგანი.

ევროპარლამენტი

ევროპის პარლამენტის (EP) როლი CFSP/ESDP- ში არსებითად ორმაგია. ის მონაწილეობს პოლიტიკურ დებატებში, რომლითაც განსაზღვრავს CFSP/ESDP- ის პრიორიტეტებსა და მათი განხორციელების გზებს, რითაც აძლიერებს ევროკავშირის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებას. ევროპარლამენტი ასევე განიხილავს და იღებს CFSP-ის ბიუჯეტს. მუხლი 21 TEU ადგენს, რომ ევროპარლამენტთან CFSP-ის ძირითად ასპექტებზე იმართება კონსულტაციები და უზრუნველყოფილი უნდა იქნას ევროპარლამენტის შეხედულებების გათვალისწინება. გარდა ამისა, როგორც თავმჯდომარე ქვეყანას, ასევე კომისიას ევალუბათ რეგულარულად აცნობონ ევროპარლამენტს CFSP- ის განვითარების შესახებ (Thym, D./თაიმი 2005, გვ. 109-27)

პლენარული სხდომების გარდა, სადაც ხშირად განიხილება CFSP და ESDP საკითხები და ტარდება ყოველწლიური დებატები CFSP-ის განხორციელების შესახებ, საგარეო საქმეთა კომიტეტი (AFET), უსაფრთხოების და თავდაცვის ქვეკომიტეტი (SEDE) და ბიუჯეტის კომიტეტები არიან ძირითადი ორგანოები, რომლებიც განსაზღვრავენ საგარეო, უსაფრთხო და თავდაცვის პოლიტიკას. ცხადია, CFSP/ESDP- ის სამთავრობათაშორისო სფეროში, ევროკავშირის საბიუჯეტო უფლებამოსილება წარმოადგენს ძლიერ ბერკეტს პარლამენტში გადაწყვეტილებების მიმღებ პირებზე გავლენის გასაძლიერებლად. საბჭოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობა დაიძაბა 2005/2006 წლებში, მცირე გამჭვირვალობისა და არასაკმარისი კონსულტაციების გამო, AFET და საბიუჯეტო კომიტეტებმა დაბლოკა CFSP ბიუჯეტის დამტკიცება. სიტუაცია გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც 2006 წელს ახალი უწყებათაშორისი შეთანხმება (IIA) მიიღეს, რადგან მოთხოვნასა და პარლამენტიდან ინფორმაციის მიწოდებას შორის განსხვავებები შემცირდა. (Inter-institutional Agreement between the European Parliament, the Council and the Commission on budgetary discipline and sound financial management', Official Journal, 2006)

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში საპარლამენტო თანამშრომლობის პლატფორმა- 'ევრონესტი-Euronest,' მნიშვნელოვანი პლატფორმაა პარლამენტის ინსტიტუციური ჩართულობისათვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის განხორციელებაში. ევროპარლამენტი ასევე რეგულარულად აქვეყნებს და ისმენს ანგარიშებს, რომელიც შეეხება აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის

მიმდინარეობას. (Euronest Parliamentary Assembly Joint meetings of the Standing Committees, 2023)

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია 2002 წლის ევროპარლამენტის მოცულობითი ანგარიში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში უსაფრთხოების გამოწვევების თაობაზე. რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ სწორედ უსაფრთხოება გამოიკვეთა, როგორც EAP-s მთავარი პრიორიტეტი. შესაბამისად აღნიშნული დოკუმენტი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის უსაფრთხოების განზომილება უნდა გაძლიერდეს და ამ კონტექსტში, ხაზს უსვამს ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივას შორის კოორდინაციის და ინსტიტუციური სინერგიის გაღვივების აუცილებლობას. დოკუმენტი მოიწოდებს კომისიას, საგარეო ქმედებათა სამსახურს და მის ქვედანაყოფებს, რომ სამშვიდობო ინიციატივების, პრევენციული დიპლომატიის, ადრეული გაფრთხილების სისტემის, ნდობის აღდგენის მექანიზმების და დეზინფორმაციასთან ბრძოლის მიზნით გაძლიერდეს სინერგიული თანამშრომლობა. ასევე მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს უფრო აქტიურად გამოიყენოს ერთიანი თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული მისიები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების უსაფრთხოების გამოწვევებთან გამკლავების მიზნით. (European Parliament, REPORT on security in the Eastern Partnership area and the role of the common security and defence policy, 2002).

CSDP-სა და სამეზობლო ინიციატივას შორის ინსტიტუციური კავშირების შექმნის მცდელობა

ევროკავშირის ხელშეკრულების (TEU) 21 – ე მუხლი ხაზს უსვამს „თანამიმდევრულობის“ საჭიროებას საგარეო ქმედებათა სხვადასხვა სფეროსა და მის სხვა პოლიტიკურ მიმართულებას შორის“ (მუხლი 21, პუნქტი 2 TEU). ამ მიზნით, ლისაბონის ხელშეკრულება ავალდებულებს ევროპულ საბჭოს და კომისიას, HR/VP- ის დახმარებით, ‘უზრუნველყონ თანამიმდევრულობა და ითანამშრომლონ.’ ამგვარად, CFSP/CSDP ხელშეკრულების დებულებებიდან ირკვევა, რომ არც ერთი CFSP/CSDP ნაბიჯი არ შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მიმართულებით გადადგმული სხვა ნაბიჯებისგან იზოლირებულად. თანამიმდევრულობა უნდა უზრუნველყოს ევროკავშირის შესაბამისმა ინსტიტუტებმა და აქტიორებმა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ევროკავშირის გარე ქმედებების შემუშავებასა და განხორციელებაზე.

თანამიმდევრულობის ვალდებულების გარეშე, CFSP/CSDP–ის სამთავრობათაშორისო გადაწყვეტილება, შეიძლება არა მხოლოდ განსხვავდებოდეს, არამედ ეწინააღმდეგებოდეს ევროკავშირის სხვა საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილებებს. CSDP გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურები წარმოადგენენ ევროკავშირის უფრო დიდი გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურების ნაწილს და CSDP უნდა განიხილებოდეს სხვა პოლიტიკური მიმართულებების გათვალისწინებით. EEAS–ის 2016 წლის მიმოხილვამ ცხადყო, რომ არსებული CSDP სისტემა ბადებს რიგ კითხვებს (1) EEAS– ის შესაბამისი დეპარტამენტების ოპოზიციონერებისა და ანგარიშგების ხაზების თვალსაზრისით HR/VP–სთან და EEAS–ის სხვა სტრუქტურებთან ურთიერთობისას და (2) გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე და ეფექტურობა, განსაკუთრებით კრიზისულ სიტუაციებში კვლავ ბუნდოვანია.’ (External Action Service, EEAS review) აღინიშნა, რომ, მაგალითად, ევროკავშირის სამხედრო შტაბის ექსპერტიზა უნდა იყოს „ფართოდ ხელმისაწვდომი EEAS–ის პოლიტიკის სხვა დეპარტამენტებისთვის. ევროკავშირის კონტექსტში მნიშვნელოვანია გამოვყოთ ის, რასაც ჰქვია თანამიმდევრულობის ჰორიზონტალური, ინტრა და ინსტიტუციონალური განზომილებები (Marangoni, A./მარანგონი, Raube, K./რაუბე, 2014, გვ. 473-489). ეს განზომილებები ხაზს უსვამს CSDP–ს სტრუქტურების შიდა ურთიერთობას ერთი მხრივ, მეორე მხრივ, კოორდინაციის სხვა ინსტრუმენტებთან. იმისათვის, რომ ყველა ამ განზომილებაში გაიზარდოს ევროკავშირის

შიდა ინსტიტუციური სინერგია, ევროკავშირმა მიიღო ეგრეთ წოდებული 'ყოვლისმომცველი მიდგომა.' კომისიის და უმაღლესი წარმომადგენლის ერთობლივი კომუნიკაცია გარე კონფლიქტებისა და კრიზისებისადმი ყოვლისმომცველი მიდგომის შესახებ გამოქვეყნდა 2013 წლის დეკემბერში. დოკუმენტი ცდილობს გადალახოს განხეთქილება CFSP/CSDP-სა და ევროკავშირის საგარეო მოქმედების ალტერნატიულ სხვა ინსტრუმენტებს შორის, რათა დაეყრდნოს 'მის ხელთ არსებულ პოლიტიკას და ინსტრუმენტების ფართო სპექტრს რთული და ურთიერთდაკავშირებული კრიზისების ზრდაზე რეაგირებისთვის.' (European Commission and High Representative of the European Union for Foreign Affairs and Security Policy, Joint Communication to the European parliament and the Council, The EU's comprehensive approach to external conflicts and crises, 2013)

ამ მხრივ, ყოვლისმომცველი მიდგომა ასახავს, თუ როგორ შეუძლია ევროკავშირის მოქმედებამ თავისი წვლილი შეიტანოს კონფლიქტის ყველა ეტაპზე. (Vicere, A./ვიჩერე, 2014, გვ. 2-12)

სამეზობლო პოლიტიკის/აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ინსტრუმენტის გამოყენება კრიზისების მართვისათვის

სხვა მიზნების გარდა, ENP შეიქმნა კონფლიქტების პრევენციის მკაფიო ამოცანით. 2003 წლის კომისიის კომუნიკაციამ ფართო ევროპის შესახებ აღიარა ევროკავშირის უფრო მჭიდრო ჩართულობის აუცილებლობა მეზობელ ქვეყნებთან არასტაბილურობის ძირითადი მიზეზების, მათ შორის კონფლიქტების გადასაჭრელად. ეს განიხილებოდა როგორც ევროკავშირის მნიშვნელოვანი დაბრკოლება ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისათვის, ევროკავშირის საქმიანობას ENP-ს აქტუალურს გახდიდა შემდგომი არასტაბილურობის თავიდან ასაცილებლად და აგრეთვე არსებული რეგიონული კონფლიქტების სამართავად. ამ მიზნის განსამტკიცებლად, 2003 წლის ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიამ აშკარად დაუთმო ევროპის სამეზობლო პოლიტიკას მნიშვნელოვანი როლი რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ევროკავშირის, როგორც უსაფრთხოების შესაბამისი მოთამაშის ჩამოყალიბებისთვის. (European Council, 2003, A Secure Europe in a Better World. European Security Strategy) ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შემდგომმა გადახედვამ და აღმოსავლეთ პარტნიორობის დაარსებამ შეინარჩუნა კონფლიქტთან დაკავშირებული აქცენტი, მიუხედავად მნიშვნელოვანი შეზღუდვებისა. მაგალითად, ევროკავშირის მიერ შემუშავებულმა

რეგიონულმა მიდგომამ, აღმოსავლეთ პარტნიორობის და შავი ზღვის სინერჯის მრავალმხრივი პლატფორმების მეშვეობით, ჩამოაყალიბა კონკრეტული შეხედულებები და ინსტრუმენტები კონფლიქტების მოგვარებისთვის. (Simão, L./სიმაუ, 2013, გვ. 273-288) თუმცა, ევროკავშირს არ სურდა გამოიყენებინა ასოცირების შეთანხმებების მოლაპარაკებები, როგორც კონფლიქტთან დაკავშირებული პირობითობა, რაც დიდ წილად ამორებდა ევროკავშირის პოლიტიკას ამ ქვეყნების მიმართ საერთაშორისო კონფლიქტის მედიაციის მცდელობებისგან. (Sasse, G./სასე 2010, 96. Shiriyev, Z./შირიევი 2013)

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის გადახედვისას, ხაზი გაესვა სტაბილურობის მნიშვნელობას, როგორც კეთილდღეობის წინაპირობას და ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობას საფრთხეებისა და კონფლიქტების მართვაში, რაც ქმნიდა შესაძლებლობას მნიშვნელოვანი სინერჯებისთვის. (European Commission and High Representative of the European Union for Foreign Affairs and Security Policy, 2015, Towards a new European Neighbourhood Policy – Joint Consultation Paper)

მოკლევადიანი CFSP/CSDP ინსტრუმენტები

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ქვეყნებში ევროკავშირმა გამოიყენა მოკლევადიანი CFSP/CSDP ინსტრუმენტები, რათა გაეძლიერებინა საკუთარი პროფილი კონფლიქტებისა და კრიზისების მართვაში. საბჭოს მიერ ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლების (EUSRs) დანიშვნა ერთ-ერთი ასეთი ინსტრუმენტია, როგორც ეს განსაზღვრულია TUE-ს 33-ე მუხლით, როგორც EUSR-ს სამხრეთ კავკასიისთვის, ასევე EUSR-ს მოლდოვისთვის დაევალია მხარი დაეჭირათ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმებში გამოხატული რეფორმებისთვის და, ამავდროულად ხელი შეუწყონ კონფლიქტების მოგვარებას. (Council of the European Union (2005) “Council Joint Action appointing a Special Representative of the European Union for Moldova”, 2005/265/CFSP, 23 March. Council of the European Union (2003) “Council Joint Action concerning the appointment of an EU Special Representative for the South Caucasus”, 2003/496/CFSP, 7 July.) დღემდე არსებული გამოცდილება აჩენს ვარაუდს, რომ EUSR-ი ინსტიტუტი წააწყდა ბევრ სირთულეს ევროკავშირის CFSP-ის ჩამოყალიბების პროცესში, რაც გამოიხატა შეზღუდული ფინანსური და ადამიანური რესურსების გაცემაში, ასევე პოლიტიკურ მანდატში, რომელსაც წევრი ქვეყნები აკონტროლებენ. (Wouters, J./ვუტერსი, Chané, A.-L./შანე, D’Hollander, D./დ’ჰოლანდერი, რაუბე, 2014, გვ. 63-73)

2013 წლის EEAS-ის მიმოხილვამ კიდევ უფრო გაამყარა ევროკავშირის EUSR-ის სრულად ჩართვის აუცილებლობა EEAS-ის სტრუქტურაში ბრიუსელში მეტი სინერჯის შესაქმნელად. (EEAS Review, 2013) მაგალითად, ევროკავშირის დელეგაციის არასაკმარისი პერსონალი და EUSR-ის პირადი ჩართულობა კომინიოვის და ტირასპოლის ხელისუფლებას შორის ნდობის აღდგენის მიმართულებით, კერძოდ, სოციალურ-ეკონომიკური ნდობის აღდგენის ღონისძიებების მეშვეობით, დამატებით ზეწოლას ახდენდა ევროკავშირის დელეგაციებსა და EEAS-ს შორის ინსტიტუციურ კოორდინაციაზე. (Cristescu, R./კრისტესკუ and Matveev, D./მატვეევი, 2014)

ევროკავშირმა აღმოსავლეთის სამეზობლოში ერთიანი და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში არა ერთი მისია განახორციელა. პირველი იყო EUJUST THEMIS, COUNCIL JOINT ACTION 2004/523/CFSP of 28 June 2004 on the European Union Rule of Law Mission in Georgia, EUJUST THEMIS კანონის უზენაესობის მისია საქართველოში, რომლის მიზანი იყო დახმარებოდა ქვეყნას სასამართლო სისტემის რეფორმაში, იგი 2003 წელს ამოქმედდა. ძალიან შეზღუდული და დაბალი პროფილის მისია, EUJUST THEMIS აშკარად ცდილობდა გაემლიერებინა 'სტაბილურობა რეფორმების მეშვეობით.' 2005 წელს, უკრაინისა და მოლდოვის მთავრობების მოთხოვნის საპასუხოდ, ევროკავშირმა წამოიწყო ევროკავშირის სასაზღვრო დახმარების მისია ამ ორ ქვეყანაში, რომელსაც ევალეზობდა ტექნიკური დახმარება და რჩევები უკრაინისა და მოლდოვის საბაჟო სამსახურებსა და მესაზღვრეებისთვის. EUBAM-მა გააგრძელა უსაფრთხოებისადმი სტრუქტურული მიდგომა და განსაკუთრებით ცდილობდა არ მომხდარიყო მისიის პოლიტიზირება.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) Council Joint Action 2008/736/CFSP of 15 September 2008 on the European Union Monitoring Mission in Georgia, EUMM Georgia საქართველოში შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიაა, რომელიც 2008 წლის აგვისტოში საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შემდეგ მოქმედებს ამ ორ ქვეყანას შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების მონიტორინგის მანდატით. მიუხედავად მისი მანდატის სრულად განხორციელების შეუძლებლობისა, კერძოდ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოკუპირებულ რეგიონებში წვდომის არ ქონის გამო, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მნიშვნელოვანი საერთაშორისო წარმომადგენლობაა, რომელიც ხელს უშლის კონფლიქტის ესკალაციას და მხარს უჭერს მის მშვიდობიან მოგვარებას. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის მიზნები პირდაპირ არის დამოკიდებული კონფლიქტის პრევენციის ღონისძიებების წარმატებაზე.

გარდა საქართველოსი, ევროკავშირი ამჟამად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ახორციელებს რამდენიმე მისიას. უკრაინაში 2014 წლიდან ხორციელდება ევროკავშირის მრჩეველთა მისია სამოქალაქო უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მიზნით-სამოქალაქო მისია EUAM Ukraine. მისია კონსულტაციას უწევს სახელმწიფო უშიშროების სამსახურებს პოლიციის, სასამართლო სისტემის, პროკურატურის რეფორმის, კორუფციასთან ბრძოლის და ადამიანის უფლებების დაცვის თემებზე. 2022 წლიდან მისია ასევე ეხმარება ძალოვან უწყებებს რომ ხელი შეუწყოს ლტოლვილების გადაადგილებს უკრაინიდან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში და ჰუმანიტარული ტვირთის შეტანაში უკრაინაში. მისია ასევე ჩართულია საერთაშორისო დანაშაულის გამოძიებასა და სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაში. მეორე მისია-ევროკავშირის დახმარების მისია უკრაინისთვის (EUMAM, EEAS. EU Military Assistance Mission in support of Ukraine) რომელიც სამხედრო მისიაა ეხმარება უკრაინის თავდაცვის ძალებს მათი შესაძლებლობებისა და გრძელვადიანი მედეგობის უზრუნველსაყოფად. მისიის ამოცანა დაეხმაროს უკრაინას გადაუდებელ და გრძელვადიან საჭიროებებში სამხედრო წვრთნაში ტერიტორიული მთლიანობის და რუსეთის შეკავების მიზნით სამხედრო ოპერაციების ეფექტიან განხორციელებაში.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირმა პირველი მისიის განხორციელება გადაწყვიტა სომხეთში 2023 წელს. ევროკავშირის მისია სომხეთში სადამკვირვებლო მისიაა, რომლის ამოცანაა კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების განმტკიცება და ნდობის აღდგენის ხელშეწყობა. მისია ორ წლიანი მანდატითაა აღჭურვილი და 100 კაციანი შტატისგან კომპლექტდება. (EU NeighboursEast. Armenia: EU launches civilian mission to contribute to stability in border areas, 2023)

2023 წელსვე განხორციელდა ახალი მისია მოლდოვაში, 'ევროკავშირის პარტნიორობის მისია მოლდოვაში' EUPM Moldova-რომელიც უსაფრთხოების სექტორის კონსოლიდაციაში დაეხმარება მოლდოვას, როგორც სტრატეგიული კონსულტაციების, ასევე ოპერაციული დახმარების გზით. ეს ევროკავშირის პირველი სამოქალაქო მისიაა, რომელიც ფოკუსირებულია ჰიბრიდული გამოწვევების, კიბერ-უსაფრთხოების, საინფორმაციო მანიპულაციებით ზეგავლენასთან ბრძოლის და კრიზისი მენეჯმენტში დახმარებას ითვალისწინებს. (EEAS, Missions and Operations, Factsheet)

EaP და ევროკავშირის კრიზისების მართვა ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ

ლისაბონის ხელშეკრულებით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები სირთულეების დასაძლევად და აღმოსავლეთ პარტნიორობის კოორდინაციის გასაადვილებლად ევროკავშირის ინსტიტუტებში. როგორც უკვე აღინიშნა, HR/VP და EEAS ორი ძირითადი ინოვაციაა ამ მხრივ. პირველ რიგში, HR/VP-ს შეუძლია კომისიის და CSDP ინსტრუმენტების უკეთ გამოყენება, კერძოდ, განვითარებისა და ჰუმანიტარული დახმარების, ფინანსური რესურსების და სამოქალაქო და სამხედრო ინსტრუმენტების, მისი ინსტიტუციური პოზიციის გამო, როგორც EEAS-ს კომისიის ვიცე-პრეზიდენტი, საგარეო ურთიერთობათა საბჭოს თავმჯდომარე და ხელმძღვანელი. EaP-სთან დაკავშირებით, HR/VP მჭიდროდ უნდა აწარმოოს კოორდინაცია ENP-ზე პასუხისმგებელ კომისართან.

EEAS-ს ახლა შეუძლია აქტიური წვლილი შეიტანოს CSDP-ის მისიების უკეთესად ინტეგრირებაში ევროკავშირის საერთო პოლიტიკასთან, მათ შორის ENP-თან. (European Union, ‘Fact Sheet: Common Security and Defence Policy. Civilian CSDP Missions: lessons and best practices, 2009, 2010.) ეს შეიძლება გაუმჯობესდეს მთელი კრიზისის ციკლის განმავლობაში ინტეგრირებული და ყოვლისმომცველი მიდგომით. ადრეულმა გაფრთხილებამ და კონფლიქტების პრევენციამ აღმოსავლეთ სამეზობლოში შეიძლება ისარგებლოს EEAS-ის მოვალეობებით ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნების ანგარიშების მომზადებაში, მაგრამ ასევე ევროკავშირის დელეგაციების მუშაობით, რომლებიც ახლა გაძლიერებულია პოლიტიკური მრჩევლებით. (Freire, M. R./ფრეირე, სიმაუ, 2011) კონფლიქტების პრევენცია ასევე შეიძლება გაძლიერდეს კომისიის ინსტრუმენტების მეშვეობით, მათ შორის პოლიტიკური დიალოგის, განვითარებისა და ფინანსური დახმარების (კერძოდ, ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის) და კატასტროფების დროს დახმარების გაწევის გზით. მიუხედავად იმისა, რომ მათ შეუძლიათ ისარგებლონ EEAS-ის საკოორდინაციო როლით, გავლენისთვის ინსტიტუციური ომები კვლავ რჩება რეალობად, კერძოდ, ისეთ სააგენტოებს შორის, როგორცაა DG Trade, DG Development and Cooperation (DEVCO) და DG Humanitarian Aid and Civil Protection (ECHO). (Helwig, N./ჰელვიგი, Ivan, P./ივანი; Kostanyan, H./კოსტანიანი, 2013)

კრიზისის მენეჯმენტს შეუძლია ისარგებლოს EEAS-ის კრიზისზე რეაგირების სისტემის (CRS) გამოყენებით, აგრეთვე კრიზისზე რეაგირებისა და ოპერატიული კოორდინაციის დეპარტამენტით (CROC), კრიზისული პლატფორმით, სიტუაციების ოთახით (SitRoom) და კრიზისების მართვის საბჭოთი (CMB). (Drent, M./დრენტი, Landman, L./ლანდმანი and Zandee, D./ზანდი, 2014, გვ.13)

ასევე გაძლიერდა ფინანსური კოორდინაციის შესაძლებლობები-ფინანსური დახმარება ძირითადად ხელმისაწვდომია ახალი ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის (ყოფილი ევროპული პარტნიორობის და სამეზობლო ინსტრუმენტის) მეშვეობით. ამ დაფინანსებით დაფარული სფეროების სპექტრი ფართოა, პირდაპირ თუ ირიბად ხელს უწყობს კონფლიქტების პრევენციას, ნდობის აღდგენის და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას და დემოკრატიულ განვითარებასა და ადამიანის უფლებათა სტანდარტების გაუმჯობესებას, ასევე მათ შორის, რეგიონული თანამშრომლობის გაუმჯობესებას. ამ ინსტრუმენტის ფარგლებში დაფინანსებული ღონისძიებები შესაძლებელია იყოს არტიკულირებული CSDP ინსტრუმენტებით, მათ შორის ევროკავშირის სამოქალაქო მისიებით, რომლებიც ხელს უწყობენ სახელმწიფოს მშენებლობას (კანონის უზენაესობის მისიები, საზღვრის მართვის მისიები და აშ.) და აღმოსავლეთ პარტნიორობის კონკრეტული ინსტრუმენტები, როგორცაა „ყოვლისმომცველი ინსტიტუციური აღმშენებლობის“ (CIB) ინიციატივა, ასევე 2009 წელს დაარსებული ან ევროკავშირის წევრი ქვეყნების ორმხრივი თანამშრომლობის პროექტები.

ინსტიტუციური მიმოხილვის მიზანი იყო წარმოეჩინა, თუ როგორ არის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და სამეზობლო ინიციატივის მმართველი ინსტიტუციური სისტემა მოწყობილი ბიუროკრატიულ დონეზე, რომელი სტრუქტურებია პასუხისმგებელი პოლიტიკის განხორციელებაზე და როგორია პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი. მიმოხილვა რამდენიმე დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. ‘ფუნქციური გადმოღვრის’ ეფექტი იყო ის ინსტიტუციური რეფორმა, რომლის განხორციელებაც მოუწია ევროკავშირს ლისაბონის ხელშეკრულებით, რადგან ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური მიზნების განხორციელება მოითხოვდა უფრო კოორდინირებულ და სინერგიულ მიდგომას საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენების მიმართ. სუპრანაციონალური ევროპული ინსტიტუციების როლი ამ რეფორმების უზრუნველყოფაში, ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო-ერთის მხრივ ევროკომისიის და

ბიუროკრატიის მხრიდან მოთხოვნა რესურსების გაძლიერებაზე და მეორეს მხრივ, ევროპარლამენტის სურვილი უფრო მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა საგარეო პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით. თუმცა, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საბოლოო სიტყვას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ამბობენ, რასაც შემდგომ განვიხილავთ.

თავი 4-წევრი სახელმწიფოების გავლენა და ახალი გეოპოლიტიკური რეალობა

წევრი სახელმწიფოების პოზიცია

ლისაბონის ხელშეკრულებით შექმნილ ინსტიტუციურ ჩარჩოს თუ შევხედავთ, ევროკავშირის ინსტიტუციური კოორდინაცია ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკასა და სამეზობლო ინიციატივას შორის საგრძნობლად გაიზარდა. თუმცა, წევრი ქვეყნების პოზიცია, ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების მიუხედავად, დღემდე რჩება დომინანტად ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით. რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება ერთხმად დამტკიცებას ითხოვს-რეალურად, ორივე-როგორც ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების დაბლოკვა შეუძლია თუნდაც ევროკავშირის ერთ წევრ სახელმწიფოს. (Vanhoonaeker, S./ვანჰუნაკერი and K. Pomorska./პომორსკა, 2013, გვ. 1316-1331)

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დამოკიდებულება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიმართ და ზოგადად, საგარეო პოლიტიკის თაობაზე კი, საკმაოდ განსახვავებულია. თუ შვედეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და პოლონეთთან ერთად ლობირებდა EPI-ის, სამხრეთ ევროპის ქვეყნების და საფრანგეთის პრეფერენცია, როგორც წესი სამხრეთ სამეზობლოზე კონცენტრაცია იყო. დანარჩენი წევრი ქვეყნები კი, უკეთეს შემთხვევაში ნეიტრალური პოზიციით გამოირჩეოდნენ. (Börzel, T.A./ბიორზელი and Risse, T./რიზე, 2000) შესაბამისად-გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიის პრიზმით რომ შევხედოთ, ხშირად ყველაზე დაბალ

ნიმნულზე დასული გადაწყვეტილებები იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის განხორციელების პროცესში.

იმისათვის, რომ შეფასდეს ევროკავშირის ორი წამყვანის სახელმწიფოს-გერმანიის და საფრანგეთის პოზიცია, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენების თაობაზე, ამ ორი ქვეყნის პოზიცია ორი პერსპექტივიდან უნდა განვიხილოთ: 1. მათი სტრატეგიული კულტურა ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართ; 2. მათი პოზიცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში უსაფრთხოების ასპექტების და რუსეთის როლის მიმართ.

გერმანიის და საფრანგეთის სტრატეგიული კულტურა ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კონტექსტში

1990-იანი წლებიდან საფრანგეთმა და გერმანიამ არაერთი ერთობლივი ინიციატივა გააჟღერეს ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებების განახლებისთვის, ევროინტეგრაციის გაღრმავების მიზნით. ორივე მათგანმა ხელშესახები წვლილი შეიტანა ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნასა და ჩამოყალიბებაში იმ ამბიციით, რომ ევროკავშირი გადაქცეულიყო გეოპოლიტიკურ მოთამაშედ ცივი ომის შემდგომ პერიოდში საფრანგეთსა და გერმანიას ხშირად ევროპული ინტეგრაციის 'ძრავად' მოიხსენიებენ. (Terpan, F./ტერპანი, 2019) შესაბამისად, მათი როლი, ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრაში ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია. მათი პოზიციის გაანალიზებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ნებისმიერ ასპექტის შესწავლისას და ცხადია, გამონაკლისი არც აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაა.

გერმანიის სტრატეგიული დამოკიდებულება ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართ გასული 20 წლის მანძილზე საკმაოდ თანამიმდევრულია. თუმცა, ცხადია სხვადასხვა საშინაო თუ საგარეო ფაქტორებს საკუთარი გავლენა აქვს მასზე და შესაბამისად ადაპტირდება. 1990-იანი წლებიდან გაერთიანებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დამოკიდებულება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მიმართ ეფუძნებოდა სურვილს, დაერწმუნებინა ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რომ გაერთიანებული გერმანია დარჩებოდა ევროკავშირის მიდგომების ერთგული და აქტიურ წვლილს შეიტანდა მის განვითარებაში.

(Schmalz/შმალზი, 2004, გვ. 363-365) მასტრიხტის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებები საგარეო პოლიტიკის მიმართ გერმანიის დამოკიდებულების ამის კარგი მაგალითია. ჰელმუტ კოლის მთავრობამ აიღო პასუხისმგებლობა, ხელი შეეწყოს 'დასავლეთ ევროპის პოლიტიკური გაერთიანების' შექმნისთვის-გაერთიანების, რომელიც ევროკავშირის უსაფრთხოების და თანამშრომლობის კონფერენციის გზით ასევე კოორდინაციას მოახდენდა აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთთან და ექნებოდა ევროკავშირის ნატოსთან კოორდინაციის ფუნქციაც. მიუხედავად იმისა, რომ მასტრიხტის შეთანხმებამ საგარეო პოლიტიკის სამთავრობათაშორისო ბუნება შეინარჩუნა, მან ასევე ევროკომისიას მიანიჭა საგარეო პოლიტიკის თემებზე ინიციატივის უფლება და გააძლიერა მისი როლი ფინანსური მართვის მიმართულებით (Smith, K./სმიტი კ., 2003, 180-184). თუმცა

მაასტრიხტის შეთანხმების რატიფიცირების პროცესმა ასევე ნათელი გახადა, რომ გერმანიის შიგნით საგარეო პოლიტიკაში ევროკავშირის სასარგებლოდ სუვერენული უფლებების დასათმობად საკმარისი მხარდაჭერა არ არსებობდა. (Harnish/ჰარნიში, 2006, გვ. 98) გერმანიის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის მთავარ სვეტად დარჩა ნატო, თუმცა, ევროკავშირის ერთიანი საგარეო პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად პირველი მნიშვნელოვანი იმპულსიც გაჩნდა.

ამსტერდამისა და ნიცის შეთანხმებების მოლაპარაკებების პროცესისთვის გერმანიის პოზიციაზე ბალკანეთის ომებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა. გერმანია კვლავ ეფექტიანი ინსტიტუციების და ფუნქციური გადაწყვეტილების მიღების პროცესის შექმნის აუცილებლობაზე კონცენტრირდა. გერმანიის პოზიციამ ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით გარკვეული შედეგი გამოიღო და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა გაძლიერდა ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის პოსტისა და მასთან დაქვემდებარებული სტრუქტურების შექმნით. თუმცა, გერმანიის პოზიცია, რომ საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებებზე ევროპულ საბჭოში გადაწყვეტილების ერთხმად მიღების წესი გადახედილიყო, არ იქნა გაზიარებული. ევროკავშირის შესაძლებლობები კრიზისებში 'ერთ ხმით' ესაუბრა, კვლავ შეზღუდული დარჩა. (Maskimmon/მასკიმონი, 2007 გვ. 95-99)

ლისაბონის შეთანხმების მოლაპარაკებების პროცესში გერმანია აქტიურად უჭერდა მხარს იდეას, რომ ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საკითხებში ორმაგი ფუნქციით დატვირთულიყო, როგორც ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი და საგარეო ურთიერთობებში ევროკომისარი (ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი) და საფრანგეთთან ერთად ლობირებდა ევროკავშირის ერთიანი საგარეო ქმედებათა სამსახურის შექმნას, რომელიც ჩაანაცვლებდა დაბალი პროფილის მქონე სტრუქტურებს, რომელიც ევროპული საბჭოს სამდივნოში განაგებდნენ საგარეო პოლიტიკურ საკითხებს (ლიებ, მაურერი, 2007). თუმცა, ევროკავშირის საგარეო საქმეთა კომისრის/მინისტრის შექმნის იდეას შეეწინააღმდეგა დიდი ბრიტანეთი და საბოლოო სტრუქტურა მისი დღევანდელი სახით ჩამოყალიბდა. ასევე კვლავ წარუმატებელი აღმოჩნდა ბერლინის მცდელობა გაუქმებულიყო საგარეო პოლიტიკის საკითხებზე გადაწყვეტილების ერთხმად მიღების წესი.

ლისაბონის შეთანხმების ამოქმედების შემდგომ 2016 წელს გერმანია საფრანგეთთან ერთად გამოვიდა ინიციატივით შექმნილიყო 'ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის გაერთიანება'-და მხარი დაუჭირა ევროკავშირის თავდაცვის ფონდის შექმნას. (Koenig/კონინგი, Walter-Franke/ვოლტერ-ფრანკე, 2017) ზოგადად, გერმანიის გაერთიანებიდან დღემდე, გერმანიის პოზიცია ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური როლის გაძლიერების თვალსაზრისით აქტივიზმით ხასიათდება. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სხვადასხვა კრიზისებთან გასამკლავებლად, გერმანია ასევე არ ამჯობინებს სხვა ფორმატების გამოყენებას საკუთარი საგარეო პოლიტიკური ამოცანების განსახორციელებლად. მაგალითად, უკრაინის კრიზისის ფორმატში, გერმანიამ უპირატესობა მიანიჭა გადაწყვეტილებას, რომ საკუთარი პოზიციები ნორმანდიის ფორმატის და ვაიმარის სამკუთხედის ფორმატში წარედგინა. საკუთარი ინტერესების დაცვაში კი, გერმანიის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიული კულტურა უპირატესობას დიპლომატიას ანიჭებს, საერთაშორისო პასუხიმგებლობებთან გამკლავების მიზნით. შესაბამისად, ბერლინი მხარს უჭერს ევროკავშირის დიპლომატიური სამსახურის გაძლიერებას, ევროპულ საბჭოში გადაწყვეტილების მიღების პროცესის რეფორმას. თუმცა, გერმანიის კონტრიბუცია უშუალოდ ევროკავშირის სამხედრო და სამოქალაქო მისიებში, რომელიც ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდება, მისი წონისა და შესაძლებლობების პროპორციული არაა. (Iso-Markku/ისო-მარკკუ, Tuomas and Muller-Brankeck-Bocquet/მიულერ-ბრანკეკ-ბოკეტი, Gisela/ჯიზელა, 2019, გვ. 1-20) გერმანიის დამოკიდებულება უსაფრთხოების კრიზისებთან მიმართებაში ასახულია 2016 წლის სტრატეგიული დოკუმენტში, რომელიც გერმანიის მთავრობამ დაამტკიცა- 'White book for security policy and the future of the Bundeswehr.' (Bundesministerium der Verteidigung, 2016). დოკუმენტიდან ოთხი ზოგადი პრინციპი იკვეთება: პირველი, გერმანია აშკარად უპირატესობას ანიჭებს სამოქალაქო ინსტრუმენტების გამოყენებას და თავს იკავებს სამხედრო ინტერვენციით გზით კონფლიქტის დარეგულირების შესაძლებლობებზე; მეორე, თუ სამხედრო ჩარევა აუცილებელია, უმჯობესია რომ ეს იყოს დაბალი ინტენსიურობის მისია, მესამე, თუ მსგავსი ჩარევა აუცილებელია, გერმანიას ურჩევნია, რომ კრიზის მენეჯმენტი მესამე მხარემ აიღოს საკუთარ თავზე და გერმანია მინიმალურად იყოს ჩართული და ბოლოს, სტრატეგია ძალიან ზოგადად განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაშია აუცილებელი ინტენსიური ჩარევა კრიზისის მენეჯმენტში. თუმცა, იგივე სტრატეგია ცალსახად

აცხადებს, რომ გერმანია ხელს შეუწყობს მესამე მხარის მიერ სამშვიდობო მისიების განხორციელებას კონფლიქტების დარეგულირების ან პრევენციის მიზნით.

1990-იან წლებში გერმანიის გაერთიანების შემდგომ საფრანგეთმა ჩათვალა, რომ მისი ადგილი, როგორც ევროპის ცენტრალური მოთამაშის, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა გერმანიის ფაქტორის გათვალისწინებით. საფრანგეთის პასუხი ამაზე ევროინტეგრაციის მიმართულების გააქტიურება იყო-პოლიტიკური ევროპის (“Europe puissance”) (Warlouzet/ვარლუზეტი, Laurent/ლორენი, 2022, 7-20) იდეის ლობირება. შესაბამისად, ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც საფრანგეთმა პრიორიტეტულად აქცია ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და უსაფრთხოების და თავდაცვის ინსტრუმენტების გააქტიურება იყო, რაც გამოიხატა 1998 წლის St. Malo-ს დეკლარაციაშიც.

ის, რომ გერმანიის გაძლიერებას საფრანგეთი ეჭვის თვალთ უყურებს 2000 წლის ნიცის სამიტზეც ნათელი გახდა, როდესაც საფრანგეთმა გერმანიის თანასწორი ხმების წილი მოითხოვა ევროპულ საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების პროცედურაში. (New York Times, 2000) როგორც ზბიგნოვ ბრეჟინსკიმ შეაფასა ‘თუ საფრანგეთი აღდგენას/აღორძინებს ეძებს ევროპაში, გერმანია ეძებს შენდობას.’ (Brezinski, Z./ბრეზინსკი, 1998, 61). საფრანგეთისთვის ევროკავშირი არის საკუთარი გავლენის გაძლიერების შესაძლებლობა, მაგრამ არა მისი დამოუკიდებლობის ფასად, რაც აისახება საფრანგეთის პოზიციაზეც ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართ. საფრანგეთს წამყვანი პოლიტიკური როლი ეკავა ერთიანი ევროპული კონსტიტუციის შემუშავების პროცესში და მისი პოზიცია, როგორც პრემიერ-მინისტრმა ლაიონელ ჟოსპენმა განაცხადა იყო-‘ევროპის შექმნა, საფრანგეთის დანგრევის გარეშე.’ (Jospin, L./ჯოსპინი, 2001).

მიუხედავად ერთგვარი კონკურენციის განცდისა გაერთიანებული გერმანიის მიერ დომინანტი როლის მოპოვების თაობაზე ევროპაში, საფრანგეთის პოზიცია საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, ევროპული საკონსტიტუციო პროცესის მიმდინარეობისას, მჭიდროდ იყო კოორდინირებული გერმანიასთან. საბოლოოდ, საერთო-გერმანიისა და საფრანგეთის პოზიცია აისახა დოკუმენტში, რომელსაც ‘ევროპის კონვენციასა და ევროკავშირის ინსტიტუციურ არქიტექტურაში ფრანკო-გერმანული კონტრიბუცია’ ეწოდა. (Jacques Delors Institute, 2006) დოკუმენტი ცალსახად ხაზს უსვამს, რომ საგარეო ურთიერთობები სამთავრობათაშორისო პროცესს მიეკუთვნება, წევრი სახელმწიფოები

რჩებიან მთავარ მოქმედ პირებად და შესაბამისი პოლიტიკის სრულად ინტეგრირება ევროკავშირის დონეზე არაა საბოლოო მიზანი. შესაბამისად, ორივე სახელმწიფო მიიჩნევდა, რომ საკონსტიტუციო შეთანხმებას საგარეო ურთიერთობების სფერო ორ განსხვავებულ მიმართულებაზე უნდა გადაენაწილებინა-სუპრანაციონალურსა და სამთავრობათაშორისოზე. მათი პოზიცია იყო, რომ მიუხედავად სურვილისა, რომ ევროკავშირმა საგარეო ურთიერთობებზე ერთი ხმით ისაუბროს, მნიშვნელოვანია, ეს ხმა ასახავდეს წევრი სახელმწიფოების ხალხის ხმას, მას კი, ეროვნული მთავრობები აჟღერებენ.

განსხვავება გერმანიისა და საფრანგეთის მიდგომებში, უსაფრთხოების პოლიტიკაზე, უფრო ტრანსატლანტიკური განზომილების თვალსაზრისით არსებობს-გერმანია უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აშშ-სთან მჭიდრო კოორდინაციას, საფრანგეთი კი, ისტორიულად 'სტრატეგიული ავტონომიის' იდეას ანვითარებს. გერმანიის მსგავსად საფრანგეთიც მხარს უჭერდა ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის შემოღებას და ასევე ევროპულ საბჭოში გადაწყვეტილების ერთხმად მიღების წესის გაუქმებას. ასევე, გერმანიასთან ერთად საფრანგეთიც მხარს უჭერდა თავდაცვის მიმართულებით ისეთი მნიშვნელოვანი ცნებების გაჩენას, როგორცაა სოლიდარობის და ურთიერთ-დახმარება უსაფრთხოების გამოწვევებთან გასამკლავებლად, რომელიც შემდგომ ლისაბონის შეთანხმებაში აისახა, საფრანგეთი ასევე აქტიურად ლობირებდა სტრუქტურული თანამშრომლობის კონცეფციას მსურველ სახელმწიფოების შორის და თავდაცვის პოლიტიკის გაძლიერებას.

'საფრანგეთისთვის ევროკავშირი პირველი რიგში უსაფრთხოების გაერთიანებაა. არჩევანი ევროკავშირში გაწევრიანებაზე გლობალური არჩევანია, და მასში გაწევრიანებაზე თანხმობა ნეიტრალიტეტის დათმობაა, თუმცა, ამავე დროს, საფრანგეთს სჯერა რომ უსაფრთხოების და თავდაცვის მიმართულებით თანამშრომლობა შეიძლება მხოლოდ კეთილ ნებას ეფუძნებოდეს. ეს დამოკიდებულება აისახება საფრანგეთის პოზიციაში, რომ ამ სფეროს სამართავად საჭიროა მოქნილი ინსტიტუციური მექანიზმები, ვითარების შესაბამისი დროებითი ზომები და 'a LBA carte' ოპერაციები' (CFSP Watch, NATIONAL REPORT FRANCE, 2003). ამ თვალსაზრისით გერმანიისა და საფრანგეთის პოზიცია გარკვეულ წილად განსხვავებულია, გერმანია ბევრად უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინსტიტუციონალურ სტრუქტურულ ებას და ნაკლებ უპირატესობას -'მოქნილობას.' საფრანგეთის ხედვით საგარეო პოლიტიკა ორ დონეზე უნდა

წარმართოს-პოლიტიკურ/სამთავრობათაშორისო და ტექნიკური მენეჯმენტის-
ბიუროკრატიული სტრუქტურების დონეზე.

განსხვავებით გერმანიისგან, საფრანგეთს, როგორც გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მუდმივმოქმედ წევრს და ატომურ იარაღის მფლობელ სახელმწიფოს, ასევე აქვს ამბიციის, რომ გლობალურ არენაზე ევროკავშირი მისი გავლენის მხოლოდ ერთი ინსტრუმენტია და შესაბამისად, ტრადიციულად საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა ასევე მრავალმხრივი საერთაშორისო ფორმატების ძლიერი მხარდაჭერით გამოირჩევა. შესაბამისად, ფრანგული პოზიციონირება საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე ხშირად დუალიზმით გამოირჩევა-თემები, რომელიც 'ევროპულ' სივრცეს განეკუთვნება, როგორცაა მაგალითად, ბალკანეთი, სასურველია ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრიზმაში იქნას მოაზრებული. თუმცა, 'არა ევროპული' თემები, როგორცაა მაგალითად ატომური იარაღის გავრცელება, შუა აღმოსავლეთი და სხვა, 'დიდი თემები,' აქ საფრანგეთს მიაჩნია, რომ დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური მოთამაშესავით უნდა მოიქცეს და აუცილებლად არ მიიჩნევს საკუთარი პოლიტიკის კოორდინირებას ევროპულ დონეზე (CFSP Watch 2003 National Report France).

საგარეო ურთიერთობების ერთი მიმართულება, რომელშიც ორივე, საფრანგეთი და გერმანია მუდამ ხელმძღვანელობდა უპირველეს ყოვლისა საკუთარი ეროვნული ინტერესებით და ყოველთვის არ იყო მზად ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების ჭრილში განეხილა შესაბამისი სტრატეგია, რუსეთთან ურთიერთობებია. ამან კი, შესაბამისი ზეგავლენა მოახდინა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის უსაფრთხოების ასპექტებთან დაკავშირებულ პოზიციებზე ორივე ქვეყნის შემთხვევაში.

გერმანიისა და საფრანგეთის დამოკიდებულება რუსეთთან საერთო სამეზობლოში არსებული კონფლიქტების მიმართ

მიუხედავად რამდენიმე გახმაურებული უსაფრთხოების კრიზისისა, რომელიც ძირითადად უკავშირდება რუსეთის საგარეო პოლიტიკას ყოფილი საბჭოთა კავშირის მეზობელი სახელმწიფოების მიმართ, უსაფრთხოება ინიციატივის სუსტ რგოლად დარჩა და CSDP-ის ინსტრუმენტები იშვიათად იქნა გამოყენებული აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზნების მისაღწევად. ამის მიზეზი კი, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობებია, რაც ქმნიდა დამაბულობას მინისტრთა საბჭოს შიგნით CSDP-ის ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ამბიციური დღის წესრიგი, რომელიც ევროკავშირმა სამეზობლო ინიციატივის მონაწილე ქვეყნებში უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით შექმნა, დიდი წილად ვერ რეალიზდა, წევრი ქვეყნების პოზიციის გამო. წევრ სახელმწიფოებს არანაირი სურვილი არ ჰქონდათ, რომ ევროკავშირის როლი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში კონფლიქტების დარეგულირების და უსაფრთხოების მიმართულებით გაძლიერებული. ამას თავად ევროკომისიაც აღიარებდა, რომელმაც ჯერ კიდევ 2006 წელს სამეზობლო ინიციატივის როლი კონფლიქტების დარეგულირებაში არასაკმარისად შეაფასა და აღიარა, რომ 'სამეზობლო ინიციატივას ცოტა მიღწევა აქვს ღია ან გაყინული კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით...ევროკავშირი უფრო აქტიური უნდა იყოს და გააძლიეროს მისი მონაწილეობა სამშვიდობო და კონფლიქტის მოგვარების მცდელობებში' (European Commission, 2006).

გერმანიის და საფრანგეთის ხედვა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივას მოიაზრებდა, როგორც გრძელვადიან და პარტნიორ ქვეყნებში პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნის ინსტრუმენტს. შესაბამისად ევროკავშირის ეს პოლიტიკა აქცენტს გრძელვადიანი განვითარების გამოწვევებზე აკეთებდა, როგორცაა რეფორმები, პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაცია და ევროკავშირის უშუალო ჩართვა კონფლიქტებს დარეგულირებისა თუ პრევენციის მიმართულებით, შეზღუდულ მიმართულებად დარჩა. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლები, რომელიც ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებდნენ საკუთარ მანდატს, რომელიც კონფლიქტების თემებზე მუშაობას ითვალისწინებდა, კვლავ წევრი სახელმწიფოების მკაცრი პოლიტიკური ზედამხედველობის ქვეშ მოქმედებდნენ.

ეს რეალობა არც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა შეცვალა. ევროკავშირის შიგნით აზრთა სხვადასხვაობა კონფლიქტის ბუნებასთან დაკავშირებით, რეალურად ასახავდა ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს პოზიციას, რომ რუსეთთან მიმართებით ევროკავშირის არ უნდა გაემწვავებინა ვითარება. გამოცდილება ადასტურებს, რომ კრიზისულ ვითარებაში, მიუხედავად ევროკავშირის დეკლარირებული სურვილისა, რომ იმოქმედოს, როგორც ძლიერმა საერთაშორისო აქტიორმა, ინდივიდუალური წევრი სახელმწიფოები იღებენ საკუთარ თავზე მთავარ ფუნქციას. მაგალითად, საფრანგეთი, - 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დრო, 2014-2021 წლებში რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებში კი საფრანგეთი, გერმანიასთან ერთად. ეს შესაძლებლობას აძლევს ამ ქვეყნებს, რომ პრიორიტეტი მიანიჭონ საკუთარ პრეფერენციებს და ინტერესებს რუსეთთან ურთიერთობებში აღმოსავლეთ ინიციატივის ქვეყნებში კრიზისის მიმდინარეობისას. ეს, თავის მხრივ ასუსტებს ევროკავშირს, როგორც ინსტიტუციურ აქტიორს, რომელსაც შეუძლია უსაფრთხოების გამოწვევებზე ძლიერი პასუხი გასცეს (Delcour/დელკური & Wolczuk/ვოლცუკი, 2020, 7-25).

გერმანია და საფრანგეთი, რომლებიც მუდამ ემხრობოდნენ უფრო ძლიერ ორმხრივ თანამშრომლობას რუსეთთან, ხედავდნენ რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, პირველ რიგში კი, საქართველო და უკრაინა, პოლიტიკას განიხილავდნენ როგორც რუსეთისგან საკუთარი დამოუკიდებლობის გაძლიერების შესაძლებლობას და ეს მათთვის გახდა მიზეზი, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა მეორე ხარისხის მნიშვნელობის პოლიტიკად ექციათ ევროპულ დონეზე. მათი შეხედულებით, სტაბილურობა ევროკავშირის სამეზობლოში მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ ევროკავშირი პატივს სცემდა რუსეთის 'ინტერესის სფეროს' მის სამეზობლოში (Popescu/პოპესკუ & Wilson/ვილსონი, 2009). საგულისხმოა, რომ 2015 წლის სამეზობლო პოლიტიკის გადახედვის დოკუმენტი, რუსეთს საერთოდ არ ახსენებს და მეზობლების მეზობელზე საუბრობს (European Commission, 2015, JOIN 50 final).

2014 წლამდე ბერლინის მიდგომა რუსეთთან მიმართებაში, ევროპულ უსაფრთხოებას რაც შეეხება, თანამშრომლობის შექმნის მცდელობისკენ იყო მიმართული. ამ მიდგომის საფუძველში იყო რწმენა, რომ რუსეთის მოდერნიზება და გარდაქმნა, მათ შორის სამხედრო სფეროში, შესაძლებელი იყო და ევროპის ინტერესებში შედიოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გერმანიის პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში ერთგვარი გაგრძელება იყო საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის პოლიტიკის,

რომელსაც საფუძველი კანცლერმა ვილი ბრანდტმა ჩაუყარა და ჯერ Ostpolitik-ის (აღმოსავლეთის პოლიტიკა) და შემდგომ, 70-იანი წლებიდან კი, Neue Ostpolitik-ის (ახალი აღმოსავლეთის პოლიტიკა) სახელითაა ცნობილი. პოლიტიკის არსი კი, ერთის მხრივ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ინტერესების პატივისცემა და მეორეს მხრივ ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება იყო (Schöllgen, G./შიოლგენი, 1999, 87-137). გერმანიაში პოლიტიკური ელიტა დარწმუნებულია, რომ ამ პოლიტიკამ, ისევე, როგორც ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის კონფერენციის დაარსებამ, საკუთარი როლი ითამაშა ცივი ომის დასრულებასა და გერმანიის გაერთიანებაში. რწმენა, რომ მხოლოდ რუსეთთან თანამშრომლობით და მისი ინტერესების პატივისცემით შეიძლება მშვიდობიანი თანამშრომლობის შექმნა გერმანიის საგარეო პოლიტიკის დომინანტ მიდგომად დარჩა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც. (Steinmeir, F, სტაინმაიერი, 2014) ეს დამოკიდებულება არც 2008 წელს რუსეთის მხრიდან საქართველოზე განხორციელებული სამხედრო აგრესიას შეუცვლია და 2008 წელს გერმანიასა და რუსეთს შორის 'მოდერნიზაციის პანიკიორობის' შეთანხმება გაფორმდა (Auswärtiges Amt, "The German-Russian Modernization Partnership").

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგაც კი, გერმანია, ისევე, როგორც საფრანგეთი აგრძელებდა თანამშრომლობას რუსეთთან სამხედრო სფეროშიც. საფრანგეთის და რუსეთის შეთანხმებამ მისტრალების ხომალდების შექმნის თაობაზე უფრო დიდი ყურადღება დაიმსახურა, მისი მასშტაბიდან გამომდინარე, მაგრამ გერმანია ასევე აგრძელებდა რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობას. მაგალითად, რუსეთმა გერმანული კომპანია 'რეინმეტალი-Rhienmetall' საბრძოლო სიმულატორის კომპლექსის ასაშენებლად და სამხედროებისთვის წვრთნისთვის 2011 წელს დაიქირავა. პროექტი 2014 წელს უნდა დასრულებულიყო და ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიის შემდეგ გაუქმდა. ასევე შეწყდა ყველა ტიპის სამხედრო თანამშრომლობა რუსეთთან (Rheinmetall/რეინმეტალი, 2011). თუმცა, გერმანიამ ყირიმის ანექსიის შემდეგაც გააგრძელა რუსეთთან ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა და 'ნორდსტრიმ 2'-ის პროექტის განხორციელება.

გერმანიის ბიზნესი და ეკონომიკური ინტერესების ლობისტი ორგანიზაციები წლების მანძილზე დიდ ზეგავლენას ახდენდნენ გერმანიის პოლიტიკაზე რუსეთთან მიმართებაში. მათთვის, რუსეთი უზარმაზარი ბაზარია და ე. წ. მოდერნიზაციის პარტნიორობის შექმნაში, ბიზნესი აქტიურად მონაწილეობდა. ამ ინტერესების გარშემო

დაარსა ჯერ კიდევ 2001 წელს გერმანიამ და რუსეთმა ასევე პეტერბურგის დიალოგი - მაშინდელი კანცლერის, შროდერის და ვლადიმერ პუტინის თაოსნობით, რომლის მიზანიც სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის გაძლიერება იყო. (Diplomatmagazine, EU, 2019) ის, თუ რამხელა ზეგავლენას ახდენდა გერმანულ პოლიტიკაზე რუსეთის ეკონომიკური ინტერესები ნათელი გახდა, როდესაც ყოფილი კანცლერი, გერჰარდ შროდერი გაზპრომის პროექტის, 'ჩრდილოეთ ნაკადის' დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა კანცლერის პოსტიდან წასვლის შემდეგ. შროდერი აქტიურად აკრიტიკებდა ევროკავშირის პოლიტიკას რუსეთსა და უკრაინასთან მიმართებაში, ყირიმის ანექსიის შემდეგ და ლობირებდა პოზიციას, რომ ევროპა გაგებით უნდა მოეკიდოს პუტინის პოზიციას (Spiegel Online, 2014).

ზოგადად, საფრანგეთისა და გერმანიის პოზიცია რუსეთთან მიმართებაში ხშირად თანხვედრაშია და ორივე დიალოგისკენაა მიმართული. მაგალითად, 2021 წელს გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის ინიციატივას, რომ რუსეთთან დიალოგი გააქტიურებულიყო, აქტიურად უჭერდა მხარს საფრანგეთიც, თუმცა ინიციატივაზე კონსესუსი ევროკავშირის შიგნით ვერ შედგა. გერმანიისა და საფრანგეთის დამოკიდებულება რუსეთის როლთან დაკავშირებით 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომამდე გაგრძელდა და ასახვა ჰპოვა ევროკავშირის სტრატეგიაზეც. მაგალითად, 2016 წლის გლობალური სტრატეგია რუსეთს კვლავ სტრატეგიული პარტნიორის როლს ანიჭებს, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის როგორც 2008 წლის ომი, ასევე ყირიმის ანექსია მომხდარი ფაქტი იყო. მეტიც, ევროკავშირის და კონკრეტულად საფრანგეთის, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის შუამავლობით და გარანტიით შეთანხმებული ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება, რომელიც 2008 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდო, სისტემატიურად ირღვეოდა წლების მანძილზე რუსეთის მხრიდან. ეს შეთანხმება რუსეთს არც კონფლიქტის დასრულებისას შეუსრულებია, როდესაც საკუთარი სამხედრო შენაერთები 'status quo ante'-ს პოზიციებს არ დაუბრუნდა და ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობა აღიარა. მიუხედავად ამისა, კონფლიქტის დასრულებიდან ექვსი თვის თავზე, ევროკავშირმა რუსეთთან სტრატეგიულ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები განაახლა (Atlantic Council, 2021). 2010 წლისთვის საფრანგეთი, რომლის თავმჯდომარეობის ქვეშაც გაფორმდა 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, მის შეუსრულებლობას მხოლოდ ფორმალურად აფიქსირებდა რუსულ მხარესთან და ტოვებდა განცდას, რომ შეეგუა ამ ფაქტს. ამის

პარალელურად კი, პრეზიდენტი სარკოზი უშუალოდ ლობირებდა მოსკოვთან უვიზო მიმოსვლის შემოღებას და ეკონომიკის და სხვა მიმართულებით საერთო სივრცეების შექმნას. (ინფორმაცია დახურული დიპლომატიური წყაროდან 2010 წლის 5 მარტს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებისთვის ჩატარებული ბრიფინგიდან პრეზიდენტი მედვედევის პარიზში ვიზიტის თაობაზე. წყარო კონფიდენციალურია.)

რუსეთის, როგორც აქტიური აგრესორის ხსენება ევროკავშირმა მხოლოდ ბოლო სტრატეგიულ დოკუმენტში, 2022 წელს გამოქვეყნებულ სტრატეგიულ კომპასში მოხერხდა. საფრანგეთის პოზიცია მოსკოვთან მიმართებაში კრიტიკასთან ერთად თანამშრომლობის ფორმატების ძიების მიმართულებით, პრეზიდენტ მაკრონის ადმინისტრაციის პირობებში არ გადაიხედა და ევროკავშირის უსაფრთხოების თემაზე მისი ხედვის მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს ხედვა ე. წ. 'სტრატეგიული ავტონომიის' ცნების გარშემო განვითარებული და პირველად 2017 წელს, სორბონის უნივერსიტეტში მაკრონის გამოსვლის დროს გაჟღერდა, სტრატეგიული და ავტონომიური ევროპული უსაფრთხოების სისტემის შექმნის მოწოდებით (Élysée/ელისე, 2017). 2018 წელს კი, 'ევროპული ინტერვენციის ინიციატივა'-რომელმაც გააერთიანა 14 ევროპული ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობის შესაძლებლობები ნატო-ს და ევროკავშირის ფორმატებს მიღმა, ამ ხედვის კონკრეტული გამოხატულება გახდა. ინიციატივის საჭიროებაზე საუბრისას, ფრანგული მხარე ხაზს უსვამდა 'ნამდვილი დამოუკიდებელი ევროპული არმიის' შექმნის აუცილებლობას-'რუსეთის პირისპირ, რომელმაც აჩვენა, რომ საფრთხის მატარებელია, ჩვენ უნდა შევექმნათ ევროპა, რომელიც შეძლებს საკუთარი თავის დაცვას, ამერიკის შეერთებული შტატებისგან დამოუკიდებლად და უფრო სუვერენული გზით.'- განახადა მაკრონმა (AFP via *Le Point*, 2018). მალევე მაკრონმა მოითხოვა, რომ განახლებულიყო დებატები ევროპის 'სტრატეგიულ ავტონომიაზე' და 'დიფერენცირებულ ევროპაზე'-რაც ასახავდა რეალობას, რომ 27 წევრი სახელმწიფოს შეთანხმება საერთო ხედვაზე როგორ ემოქმედათ საგარეო პოლიტიკური ფრონტზე-არარეალისტური ჩანდა. მაკრონის ინიციატივები არ იქნა პოზიტიურად აღქმული რიგი წევრი ქვეყნების მხრიდან, რომლებიც არ იზიარებენ ფრანგულ ხედვას ტრანსატლანტიკური ურთიერთობების თაობაზე. შესაბამისად, მაკრონის ინიციატივებმა გაერთიანების იმპულსის ნაცვლად, გააღრმავა აზრთა განსხვავება ევროკავშირის შიგნით უსაფრთხოების და თავდაცვის თემაზე.

2022 წლამდე კი, იმის გამო, რომ ევროკავშირის ნაკლებად სურდა უფრო პრო-აქტიური ყოფილიყო კონფლიქტებში ჩართულობაში, განსაკუთრებით კი ისეთ რეგიონში, რომელიც პოსტ-საბჭოური რეგიონია და რუსეთის გავლენა დიდია, მოლდოვისა და საქართველოს მხარეების მოთხოვნა, რომელიც დღითიდღე იზრდებოდა, რომ ევროკავშირი უფრო აქტიურად ყოფილიყო ჩართული კონფლიქტების დარეგულირების საკითხში, არ აღმოჩნდა ამისთვის საკმარისი (სიმაუ, 2014, 300-313). მაგალითად, 2005-2008 წლებში საქართველოს ხელისუფლების აქტიური ძალისხმევა იყო მიმართული, რომ ევროკავშირის საკუთარ თავზე აეღო უფრო მეტი ფუნქციები საქართველოში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში გაყინული კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით. ეს ძალისხმევა განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაბლოკა ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის გაგრძელება (Civil Georgia, 2008). რუსეთის გადაწყვეტილება, რომ დაებლოკა მისიის მანდატის გაგრძელება აშკარად მიმართული იყო კონფლიქტის ზონების საერთაშორისო იზოლაციისკენ. ევროკავშირი იყო ერთადერთი ორგანიზაცია, რომელსაც შესაბამისი ინსტრუმენტი გააჩნდა საერთაშორისო მისიის განსახორციელებლად-ერთიანი თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში და, რომელშიც რუსეთს წარმომადგენლობა არ ჰქონდა, გადაწყვეტილების დასაბლოკად. საქართველოს ხელისუფლებამ აქტიური ძალისხმევა გასწია იმისთვის, რომ ევროკავშირის განეხილა შესაბამისი მანდატით სადამკვირვებლო მისიის ფორმირება. ამ მიზნით განხორციელდა არა ერთი შეხვედრა ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლებთან და წევრ სახელმწიფოებთან. მიუხედავად ქართული მხარის ძალისხმევისა და ამ პოზიციის მხარდაჭერისა რიგი წევრი ქვეყნების მხრიდან-პოლონეთი, შვედეთი, ბალტიის ზღვის სახელმწიფოები, მისიის ფორმირება ვერ მოხერხდა. წევრი ქვეყნებისთვის, მათ შორის კი, პირველ რიგში-გერმანიისა და საფრანგეთისთვის-საქართველოში სადამკვირვებლო მისიის მივლინება იყო პირდაპირი გამოწვევა რუსეთისთვის. ამის სურვილი კი, ცხადია არ არსებობდა. ევროკავშირი ასევე შორს იჭერდა თავს ყველა ინიციატივისგან, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტის დარეგულირების მიზნით ახორციელებდა. მაგალითად, როდესაც საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ე. წ. ალტერნატიული ადმინისტრაცია (Civil Georgia, 2007), მისი ხელმძღვანელის, დიმიტრი სანაკოევის ბრიუსელში ვიზიტისას მასთან შეხვედრაზე უარი განაცხადა ევროკავშირის ყველა სტრუქტურამ, გარდა ევროპარლამენტისა. მიზეზი კი, ამ პროექტის მიმართ რუსეთის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება იყო. ევროკავშირის სპეციალური

წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში, პიტერ სემნები (Civil Georgia, 2006) 2006-2008 წლებში აქტიურად ცდილობდა, რომ საკუთარი მანდატი კონფლიქტის დარეგულირების მიმართულებით აქტიურად აეთვისებინა, მათ შორის ახალი იმპულსი მიეცა ნდობის აღდგენის მექანიზმების ამუშავებისთვის, გაეფართოებინა ევროკავშირის ჩართულობა კონფლიქტების დარეგულირებაში. თუმცა, ევროკავშირის პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტში, რომელიც მის მანდატს და სამოქმედო გეგმას ამტკიცებდა, მისი ინიციატივების შეფასებებისას რიგი წევრი ქვეყნების, პირველ რიგში კი გერმანია და საფრანგეთი, კონსერვატორულ მიდგომას ემხრობოდნენ. მათი პოზიციით, ფაქტიურად ყველა ინიციატივა, რომელსაც სპეციალური წარმომადგენელი წარადგენდა, სასურველი იყო ჯერ განხილულიყო რუსულ მხარესთან. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთს არაფორმალურად უზარმაზარი გავლენა ჰქონდა ევროკავშირის გადაწყვეტილებებზე, თუ როგორ, რა მექანიზმებით ჩართულიყო კონფლიქტების დარეგულირების პროცესში ევროკავშირი.

ეს ვითარება, არც 2014 წლის ყირიმის ანექსიამ შეცვალა. როდესაც 2021 წლის ივლისში უკრაინის საგარეო და თავდაცვის მინისტრებმა ევროკავშირს ერთობლივი წერილით მიმართეს, ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში სამხედრო მისიის განხორციელების თაობაზე, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის აზრთა სხვაობის გამო, მისია ვერ განხორციელდა (Euractiv, 2021). ამის სანაცვლოდ, ევროკავშირმა გადაწყვიტა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს 'ევროპის მშვიდობის ინსტრუმენტის' გამოყენებით დახმარებოდა და არა-ლეტალური აღჭურვისთვის გამოეყო შესაბამისი დახმარება საქართველოსთვის, 12.75 მილიონის, მოლდოვისთვის 7 მილიონი და უკრაინისთვის 31 მილიონის ოდენობით (European Parliamentary Research Service, 2022).

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, ევროკავშირმა გადახედა საკუთარ გადაწყვეტილებას და უკრაინაში სამოქალაქო მისიასთან ერთად, სამხედრო მისიაც ხორციელდება (EUMAM Ukraine). საქართველოში კი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ ევროკავშირმა მიავიტა სადამკვირვებლო მისია, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს (EUMM-Georgia). ის, რაც შეუძლებელი იყო ომამდე, შესაძლებელი გახდა ომის შემდგომ.

საფრანგეთი და გერმანია აგრძელებდნენ ევროკავშირის მიღმა რუსეთთან დიალოგის და თანამშრომლობის ფორმატების ძებნას, რადგან პირველი-შიდა

პოლიტიკური ინტერესების როლი-როგორცაა ბიზნესი, გავლენიანი ეკონომიკური ჯგუფები მოქმედებენ მათ გადაწყვეტილებებზე. მეორე, მათ მიაჩნიათ, რომ რუსეთის გარეშე კონფლიქტები საერთო სამეზობლოში ვერ დარეგულირდება; და, ბოლოს-გერმანიაში განსაკუთრებით ელიტებს შორის არსებობს განცდა-რომ რუსეთთან კონფრონტაციას ნებისმიერ ფასად უნდა აარიდონ თავი (Merange, C./მერანჯი & Stuart, S./სტუარტი, 2021).

შესაბამისად, ყირიმის ანექსიის შემდეგაც, საფრანგეთისა და გერმანიის მიდგომა რუსეთის მიმართ მხარს უჭერდა როგორც სანქციების გამოყენებას, ასევე თანამშრომლობის ფორმატების შენარჩუნებას. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანა მხარს უჭერდა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შემოღებას, საფრანგეთის და გერმანიის ინიციატივით შეიქმნა ნორმანდიის ფორმატი-რუსეთის, უკრაინის, საფრანგეთის და გერმანიის მონაწილეობით, რომლის მიზანიც დონბასში კონფლიქტის გადაჭრა იყო. ამ ფორმატში გაფორმდა 'მინსკის შეთანხმება' (Minsk Protocol or Minsk I agreement) 2014 წლის სექტემბერში და 2015 წლის თებერვალში. შეთანხმება წარუმატებელი აღმოჩნდა კონფლიქტის მოგვარების და შემდგომ ესკალაციის თავიდან აცილების თვალსაზრისით (Radio Free Europe, Whitmore, B./ვითმორი, 2017). 2008 წელს პრეზიდენტ სარკოზის მიერ რუსეთ-საქართველოს ომის შეწყვეტის მიზნით დადებული შეთანხმების ბედი, გერმანია-საფრანგეთის ერთობლივი ძალისხმევით დადებულმა მინსკის შეთანხმებამაც გაიზიარა. რუსეთმა შეუფერხებლად გააგრძელა საკუთარი დღის წესრიგით მოქმედება.

ნორმანდიის ფორმატმა ორ რამ გახადა სამაგიეროდ ნათელი-პირველი, სტრატეგიულად მგრძობიარე მომენტებში და მაღალი გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე, ორივე, საფრანგეთი და გერმანია ისევ ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩარჩოებს მიღმა ამჯობინებს საკუთარი ძალისხმევის წარმართვას. მეორე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გერმანიისა და საფრანგეთის ძალისხმევა კოორდინირებულია რუსეთთან საერთო სამეზობლოში არსებული პრობლემების მოგვარებისკენ, მათი წარმატება არაა გარანტირებული. ევროპული უსაფრთხოების განმტკიცების თვალსაზრისით როგორც რუსეთ-უკრაინის ომი 2008 წელს, ასევე ევროკავშირის ჩართულობა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დასარეგულირებლად სრულიად წარუმატებელი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთმა და გერმანიამ საკუთარ თავზე აიღეს ლიდერის როლი შესაბამის პროცესებში.

გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციის ზეგავლენა-ანალიზი

გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციების პოლიტიკური გადმოღვრის ეფექტით გასაზომად, იმისთვის, რომ დადგინდეს რა ზეგავლენა მოახდინა მათმა პოზიციამ ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკისა და სამეზობლო ინიციატივის/აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის განხორციელებაზე, მნიშვნელოვანია, რომ ეს პოზიცია გაიყოს ორ მიმართულებად.

ერთი უკავშირდება აღმოსავლეთ პარტნიორობის ინსტრუმენტების გამოყენებას-ასოცირების შეთანხმებების, თავისუფალი ვაჭრობის, უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობების ათვისებას, რეფორმების ხელშეწყობის მიზნით. მეორე პოზიცია კი, უკავშირდება პოლიტიკის უსაფრთხოების ასპექტებს. როგორც კვლევამ აჩვენა, გერმანია და საფრანგეთი, ორივე მხარს უჭერდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ინსტრუმენტების გამოყენებას პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების ხელშეწყობის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის წარმატებაზე ამ მიმართულებით საუბარი რთულია, ინიციატივის ექვსი მონაწილე ქვეყნიდან სამს-მოლდოვას, საქართველოს და უკრაინას-წარმატებით აქვს ათვისებული აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ეს შესაძლებლობები. სამივე მათგანმა ხელი მოაწერა შესაბამის შეთანხმებებს და მათ განხორციელებასაც შეუდგა.

რაც შეეხება უსაფრთხოების ასპექტებს-აქ ორივე სახელმწიფო, პირველ რიგში რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით, თავს იკავებდა უსაფრთხოების მიმართულებით თანამშრომლობის განვითარებისგან და ეს პოზიცია გაგრძელდა 2022 წლამდე. უსაფრთხოების გამოწვევების თვალსაზრისით აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის შექმნიდან 13 წლის თავზე რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი ნათელს ხდის, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივამ მის სამეზობლოში სტაბილურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით რაიმე ხელშესახები შედეგის შექმნა ვერ შეძლო. შესაბამისად, პოლიტიკური გადმოღვრის ეფექტით თუ ვიმსჯელებთ, გერმანიის და საფრანგეთის პოზიციამ, რომელიც თავს იკავებდა რუსეთის სამეზობლოში კონფლიქტების დარე გულების მიმართულებით გააქტიურებაზე, ნეგატიურად იმოქმედა უსაფრთხოების მიმართულებით პოლიტიკის შედეგების უზრუნველყოფაზე.

ასევე, ლისაბონის ხელშეკრულების მიერ ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტიტუციური მოწყობის პრინციპებში, სამთავრობათაშორისო მიდგომის შენარჩუნებას ლობირებდა გერმანია და საფრანგეთი. შესაბამისად, მათ შორის ამ პოზიციის შედეგია, რომ გადაწყვეტილების მიღების ინსტიტუციურ მოწყობაში წამყვანი როლი დარჩა ევროპულ საბჭოებს და, შესაბამისად ვერ გაძლიერდა განახლებული ევროპული სტრუქტურების პოლიტიკური წონა.

სამთავრობათაშორისო ლიბერალური თეორიის წანამძღვარია, რომ წევრი სახელმწიფოები ახდენენ საბოლოო ზეგავლენას პოლიტიკის ფორმირების პროცესზე. მათ შორის პოლიტიკური მოლაპარაკებების გზით პოლიტიკის შინაარსი შესაძლოა ყველაზე დაბალ საერთო მნიშვნელზე დავიდეს. ამ თეორიული პრიზმით, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის და ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ინსტიტუციური განვითარების ისტორიის მიმოხილვამ აჩვენა, გერმანიისა და საფრანგეთის პოზიცია აისახა იმ გადაწყვეტილებებზე, რომელიც ევროკავშირმა მიიღო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც მაგალითად იყო კითხვა, იქნებოდა თუ არა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა გზა გაწევრიანებისკენ; რა უნდა ყოფილიყო ევროკავშირის ჩართულობის ხარისხი კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით, უნდა განხორციელებულიყო თუ არა ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის მისია და როგორი პარამეტრებით. თეზისის ჰიპოთეზა, რომ სამეზობლო ინიციატივის/აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის უსაფრთხოების განზომილების ვერ გაძლიერდა გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციების გამო პოლიტიკის ამ სხვადასხვა ასპექტების მიმოხილვის პროცესში დადასტურდა.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ კულტივირებული გადმოდგრის ეფექტი, ისეთი, როგორც მაგალითად ევროკომისიის პოზიციის ზეგავლენაა საბოლოო გადაწყვეტილებებზე, საკმაოდ შეზღუდული აღმოჩნდა. მიუხედავად ევროკომისიის პოზიციისა, გაძლიერებული ევროკავშირის როლი კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით, წევრი ქვეყნების მხრიდან კონსესუსის არ არსებობის პირობებში-ეს შეუძლებელი იყო.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივიდან გაფართოვების პოლიტიკისკენ

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებულმა სამხედრო მოქმედებამ, რომელიც სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდა და დღემდე გრძელდება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ამ ნაშრომში შესწავლილი თემის სხვადასხვა კომპონენტებზე. ამ ცვლილებების და ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე მათი შესაძლო ზეგავლენის განხილვის გარეშე ამ ნაშრომის დასრულება შეუძლებელი იქნებოდა. კონკრეტულად-ომმა საფუძვლიანად შეცვალა ნაშრომში შესწავლილი ორი სახელმწიფოს, გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციები როგორც რუსეთის მიმართ განხორციელებული პოლიტიკის, ასევე ევროკავშირის შემდგომი გაფართოვების და ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე. ომმა, ასევე აიძულა ევროკავშირი დაეწყო მსჯელობა, როგორ გააძლიეროს მისი, როგორც დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური მოთამაშის როლი და, რა შესაბამის ინსტიტუციურ ცვლილებებს მოითხოვს ეს ამოცანა. ომმა შეცვალა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის შინაარსი და პოტენციურად კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ამ ინიციატივის არსებული ფორმით გაგრძელების მიზანშეწონილობა. შესაბამისად, დისერტაციის დასკვნითი თავი მიმოიხილავს ამ მნიშვნელოვან ცვლილებებს და იმ დისკურსს, შესაძლო ინსტიტუციური ცვლილებების შესახებ, რომელსაც რუსეთ-უკრაინის ომმა მისცა დასაბამი.

ომის შედეგად პირველი და ყველაზე ხელშესახები ცვლილება აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივას შეეხო. როგორც ნაშრომში ვრცლად იქნა განხილული ევროკავშირი, განსაკუთრებით კი საფრანგეთი და გერმანია ცალსახად ეწინააღმდეგებოდნენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის მონაწილე ქვეყნებისთვის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის მინიჭებას. პირველი, რაც რუსეთ-უკრაინის ომმა შეცვალა ეს რეალობა იყო. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან ერთი კვირის თავზე, უკრაინამ, მოლდოვამ და საქართველომ ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე განაცხადი შეიტანეს (The EU accession prospects of Ukraine, Moldova and Georgia, 2023, CEPS). 2022 წლის 11-12 მარტის ევროკავშირის წევრი ქვეყნების არაფორმალურ სამიტზე ვერსიას სასახლეში ევროპული საბჭო მიესალმა ამ ქვეყნების ევროპულ პერსპექტივას და ევროკომისიას დაავალა შესაბამისი დასკვნების მომზადება სამივე ქვეყნის თაობაზე (Consilium Europa, “*Informal meeting*”, March 2022). 2022 წლის ივნისში კი, მოლდოვამ და უკრაინამ ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნის

სტატუსი ოფიციალურად მოიპოვეს, საქართველოს ევროპული პერსპექტივა და შემდგომ კანდიდატის სტატუსიც მიენიჭა. (European Council conclusions, June 2022, December, 2023).

ამ ცვლილებამ შეიძლება ითქვას, რომ თვისობრივად შეცვალა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის, როგორც ევროკავშირის პოლიტიკის ჩარჩო და დღეს ევროკავშირში აქტიური დისკუსია მიმდინარეობს იმაზე, თუ რა მომავალი აქვს აღნიშულ პოლიტიკას. მოლდოვამ და უკრაინამ, შესაძლოა საქართველომაც, უკვე მყარად გადაინაცვლეს ევროკავშირის გაფართოვების პოლიტიკის ჩარჩოში. რას ნიშნავს ეს 6 ქვეყნისთვის შექმნილი აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკისთვის, ამჟამად არაა განსაზღვრული. ერთის მხრივ, ის რეგიონალური ფორმატები, რომელიც პარტნიორობის ფარგლებში შეიქმნა, მნიშვნელოვან მოტივაციად რჩება პოლიტიკის შესანარჩუნებლად. მეორეს მხრივ კი, ევროკავშირთან ორმხრივი ურთიერთობების ჩარჩო უკვე იმდენად განსხვავდება პარტნიორ ქვეყნებს შორის, რომ როგორ მოხდება (და მოხერხდება თუ არა) მათ ერთი ქოლგის ქვეშ შენარჩუნება ჯერ უცნობია.

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საზოგადოებრივ აზრზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში

რუსეთ-უკრაინის ომმა, როგორც კვლევებით დასტურდება დიდი ზეგავლენა მოახდინა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საზოგადოებრივ აზრზე ევროკავშირის უსაფრთხოების განზომილებასთან მიმართებაში. ამას კი, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალში ევროკავშირის მიერ გატარებული პოლიტიკის ტრაექტორიის განსაზღვრის თვალსაზრისით. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკის განმსაზღვრელი პოლიტიკური პარტიები საკუთარ პოლიტიკას პირველ რიგში საზოგადოებრივი განწყობების მიხედვით აყალიბებენ, საზოგადოებრივი მოთხოვნა ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის გაღრმავების მიმართულებით, სავარაუდოა, რომ გადაითარგმნოს შესაბამის პოლიტიკაში.

როგორც ომის დაწყების შემდგომ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის და 'large data' კვლევები აჩვენებს, სამეზობლოში დესტაბილიზაცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქალაქეების პრიორიტეტებს შორის უსაფრთხოების გამოწვევებში პირველ ადგილზე ავიდა. მაგალითად, 'ევრობარომეტრის' მიერ 2022 წელს ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ ტრადიციულად ევროპელებისთვის უსაფრთხოების თვალსაზრისით პრიორიტეტული გამოწვევა-ტერორიზმი-ჩანაცვლდა ევროკავშირის საზღვრებთან ომის მიერ შექმნილი საფრთხის გამოწვევით და გამოკითხულთა მიერ პირველ საფრთხედ

ჩაითვალა. გამოკითხული მოქალაქეებიდან 90% თვლის რომ სამეზობლოში ომი უსაფრთხოების მთავარი გამოწვევაა (Europa.eu, 2022, 18-19).

ამასთან ერთად, კვლევები აჩვენებს, რომ ნაშრომში შესწავლილი ორი ქვეყნის-გერმანიისა და საფრანგეთის მოქალაქეებს შორის, რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გაიზარდა დაკვეთა ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის გაძლიერებისკენ. მაგალითად, საფრანგეთში ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის მიმართ კეთილგანწყობა 14% პროცენტით, გერმანიაში კი 8%-ით გაიზარდა, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდგომ (Óscar Fernández et al./ოსკარ ფერნანდესი, 2023, 463-485, 476). აღსანიშნავია, რომ დანიაში ჩატარებულმა რეფერენდუმმა, რომ ქვეყანამ უარი თქვას ე. წ. 'თავშეკავების' მიდგომაზე (opt-out) ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკაში მონაწილეობაზე, აჩვენა, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას, რომ დანიამ მონაწილეობა მიიღოს ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობაში. კვლევა ასევე აჩვენებს ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის მიმართ დიდ მხარდაჭერას ისევე ქვეყნებში, როგორცაა ფინეთი და შვედეთი-რაც ადასტურებს, რომ ნატოში გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილება არ მოიაზრება მოტივაციად, რომ შესუსტდეს ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის მიმართულებით თანამშრომლობის განვითარება (ოსკარ ფერნანდესი et al., 2023, 480-84).

ის, რომ რუსეთ-უკრაინის ომმა შესაბამისი სიგნალი მისცა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს როგორც აღმოსავლეთ სამეზობლოს მიმართ განხორციელებული პოლიტიკის, ასევე ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართ მიდგომების განახლების თაობაზე, ყველაზე ნათლად აისახა გერმანიისა და საფრანგეთის ახალ გეოპოლიტიკურ მიდგომებზე რუსეთ-უკრაინის ომისა დაწყების შემდგომ.

თუმცა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეების ზუსტი რეაქცია რუსეთ-უკრაინის ომზე, პირველად, ელექტორალური თვალსაზრისით, 2024 წლის ევროპულ არჩევნებზე გახდება ცხადი. მოუხედავად იმისა, რომ გაზრდილია ზოგადი მხარდაჭერა უსაფრთხოების ასპექტების თვალსაზრისით, წინასწარი გამოკითხვებით, ასევე გაძლიერებულია ევროსკეპტიკოსი პოპულისტური პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერაც. (Euroactive, იანვარი, 2024) ევროპული არჩევნების შედეგები ძალიან დიდ ზეგავლენას მოახდენს ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის შემდგომ განვითარებაზე.

ახალი გეოპოლიტიკური რეალობის გავლენა გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციებზე

ნაშრომის თეორიული მიდგომის პრიზმით შეფასების თვალსაზრისით საინტერესო დაკვირვებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია და შესაბამისად, გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციების გადახედვა ევროკავშირის შემდგომი გაფართოვების თაობაზე ინსტრუმენტალური აღმოჩნდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის პარტნიორი ქვეყნების გაფართოვების კალათაში გადანაცვლებისთვის. თუმცა, თავისთავად ამ პოზიციის ცვლილებაზე ზეგავლენა ახალმა გეოპოლიტიკურმა რეალობამ მოახდინა და შესაბამისად ამ ცვლილების ახსნა უკეთ შეიძლება ევროინტეგრაციის იმ თეორიული მიდგომებით, რომელიც ინტეგრაციაზე გეოპოლიტიკური ფაქტორების გავლენას შეისწავლოს, როგორცაა მაგალითად რეალისტური სკოლა.

ავტორები, რომლებიც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას რეალიზმის პრიზმიდან უყურებენ და რომლებიც უკვე დეტალურად განვიხილეთ პირველ თავში, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს განიხილავენ როგორც თვით-ინტერესის და ძალაუფლების გადანაწილების სურვილით მოტივირებულ გადაწყვეტილებებს. (მეარშიმერი, 1990, 2001; როზატო, 2011; არტი, T.V. Pail/პაილი, Wirtze, J./ვირტზე & Formann, M./ფორმანი 2004; Jones, S./ჯონსი, 2007)

რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული ომი, რომელიც მიზნად ისახავს გლობალური საერთაშორისო სისტემის შეცვლას და დასავლეთის ჰეგემონიის დასრულებას, სწორედ რეალისტების სკოლის მიერ ევროინტეგრაციის ასახსნელად უპირატესად მიჩნეულ გეოპოლიტიკურ ფაქტორს წარმოადგენდა. ეს ფაქტორი აღმოჩნდა გადამწყვეტი გერმანიისა და საფრანგეთის შეცვლილ დამოკიდებულებაში ევროკავშირის გაფართოვების მიმართ. თუ რუსეთ-უკრაინის ომამდე ორივე ქვეყანა მიიჩნევდა, რომ არსებობდა სივრცე რუსეთთან სტრატეგიული ურთიერთობების შესანარჩუნებლად, 2022 წელს დაწყებულმა ომმა ფაქტიურად აღადგინა ევროპის კონტინენტზე ჰეგემონიისთვის დაპირისპირების რეჟიმი, შესაბამისად რეალისტების არგუმენტები, ევროკავშირის გლობალური როლის გაძლიერების ფაქტორების ანალიზისთვის, წევრი სახელმწიფოების ინტერესების ჩამოყალიბების პროცესისთვის უფრო რელევანტური გახდა.

გერმანიის ახალი საგარეო პოლიტიკური დოქტრინა გერმანიის კანცლერმა, ოლაფ შოლცმა, ჟურნალ 'Foreign Affairs' 2022 წლის 5 დეკემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში დეტალურად აღწერა და მას 'Zeitenwende' უწოდა (Scholz, O./შოლცი, 2022). პოლიტიკის სახელწოდება გერმანულ ენაზე ტექტონიკურ, ეპოქალურ ცვლილებას ნიშნავს. ახალი დოქტრინის მთავარ ამოცანად განსაზღვრულია ახალ, მრავალი პოლუსისგან შემდგარ მსოფლიოში გაეროს დამფუძნებელი ქარტიის პრინციპების დაცვა გერმანიის მიერ გატარებული პოლიტიკის საშუალებით, ევროპაში დემოკრატიის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის დასაცავად. ამას კი, კანცლერის მიერ წარმოდგენილი ხედვით, სჭირდება გერმანიის, როგორც ევროპული უსაფრთხოების გარანტორის როლის გაზრდა, ევროკავშირსა და გლობალური პრობლემების გადასაჭრელად შექმნილი მრავალმხრივ ფორმატებს შორის გერმანიის მხრიდან ხიდის როლის შესრულება. მთავარი შეკითხვა, ახალი გერმანული დოქტრინის თანახმად არის ის, თუ როგორც შეინარჩუნოს ავტონომიურობა ევროპამ ამ ახალ, მრავალი პოლუსისგან შემდგარ მსოფლიოში. სტატიაში კანცლერი შოლცი აცხადებს, რომ გერმანიისა და საფრანგეთის მცდელობები, დაემყარებინათ მშვიდობა რუსეთსა და უკრაინას შორის (ნორმანდიის ფორმატი) დასრულდა კრახით და 2022 წელს რუსეთის თავდასხმამ უკრაინაზე ევროპის კონტინენტზე იმპერიალიზმი დააბრუნა. გერმანიის კანცლერი სხვა სტრატეგიულ მიმართულებებთან ერთად ასახელებს ორ პრიორიტეტს, რომელიც ამ ნაშრომის კონტექსტშია მნიშვნელოვანი-ევროკავშირის თავდაცვის პოლიტიკის გაძლიერების აუცილებლობასა და ევროკავშირის გაფართოვების პოლიტიკის გაძლიერებას ექვსი ბალკანური სახელმწიფოსა და სამი აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის მონაწილე ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების ხელშეწყობის მიზნით (შოლცი, 2022). ზოგადად, გერმანიის ახალი პოლიტიკური დოქტრინა შეიძლება ითქვას, რომ უბრუნდება ცივი ომის დროინდელი 'შეკავების პოლიტიკის' ხედვებს და რუსეთისგან ევროპული სივრცის დაცვა, ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად არის დასახელებული.

საფრანგეთის მიერ ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის პოზიციის დაკავება რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან ექვსი თვის თავზე კარგ შესაძლებლობას იძლეოდა, რომ საფრანგეთის მიერ ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართ მისი ახალი ხედვის დემონსტრაცია მომხდარიყო. ევროკავშირმა საფრანგეთის თავმჯდომარეობის ქვეშ დაამტკიცა ახალი სტრატეგიული ხედვა- 'სტრატეგიული კომპასი,' დოკუმენტი, რომელიც პირველად აფიქსირებს ხედვას, რომ რუსეთის შეკავება ევროკავშირის სტრატეგიული გეოპოლიტიკური ამოცანაა. 'ევროპული პოლიტიკური

გაერთიანების' შექმნაც, ასევე ფრანგული ინიციატივა იყო, რომელიც მიზნად გეოპოლიტიკური დღის წესრიგის შეჯერებას ისახავს მიზნად ევროპის კონტინენტზე ყველა სახელმწიფოს შორის და არ ითვალისწინებს რუსეთის თანამონაწილეობას. საგრძნობად გადაიხედა ასევე საფრანგეთის პოზიცია ევროკავშირის შემდგომი გაფართოვების თაობაზე. თუ უკრაინის ომამდე, საფრანგეთის მიდგომა ევროკავშირის გაფართოვების მიმართ ევროკავშირის არსებული გეოგრაფიული საზღვრების ფარგლებში კავშირის გაღრმავებას ემხრობოდა, რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ საფრანგეთმაც აქტიურად დაუჭირა მხარი ევროკავშირის გაფართოვებას და ახალი წევრები მიღებას. ზოგადად, საფრანგეთის მიდგომა, სტრატეგიული ავტონომიის შექმნის და განმტკიცების თვალსაზრისით, რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ კიდევ ერთხელ განამტკიცა, განსაკუთრებით კი, ევროკავშირის სამხედრო თანამშრომლობის კომპონენტების განვითარების აუცილებლობის თვალსაზრისით (Webinar, April 2022).

ევროკავშირის ამ ორი წამყვანი სახელმწიფოს პოზიციონირებაში ცვლილებები ახალი გეოპოლიტიკურ რეალობას უკავშირდება და შესაბამება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ინტეგრაციის რეალიზმის სკოლის ხედვებს. თუმცა, წევრი ქვეყნების ინტერესების განსაზღვრის შემდგომ ის პროცესი, რომლითაც ევროკავშირის ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბებას ახდენს, კვლავ ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიის პრიზმით შეიძლება იქნას განხილული. უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს გადანაცვლება გაფართოვების პოლიტიკაში სწორედ წევრი სახელმწიფოების ერთობლივი პოზიციის ჩამოყალიბებას, ანუ მოლაპარაკებების შედეგად და მიღწეული კონსენსუსის დამსახურებით შედგა. შესაბამისად, ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიის წანამდგარი, რომ წევრი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური თუ სხვა ფაქტორებით განპირობებული პოზიცია გადამწყვეტ როლს თამაშობს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, კიდევ ერთხელ იქნა დადასტურებული. საერთო მნიშვნელი, რომელზეც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ შეთანხმება აღმოსავლეთ პარტნიორობის და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით გაიზარდა, სწორედ წევრი სახელმწიფოების პოზიციების ცვლილების შედეგად.

ეს პროცესი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განხილვა ერთი რომელიმე თეორიული პრიზმით გამოწვევას წარმოადგენს. თუ ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიას შეუძლია შეისწავლოს პოლიტიკის ფორმირების პროცესის გარკვეული,

სამთავრობათაშორისო თუ ინტერ ინსტიტუციური ასპექტები, სრული სურათის ანალიზი ხშირად მოითხოვს ხიდს სხვა თეორიულ მიდგომებთან, როგორც მაგალითად არის რეალიზმი, რადგან სწორედ ამ პრიზმით შეიძლება გაიზომოს გეოპოლიტიკური ინტერესების ფორმირება.

ევროკომისიის, როგორც საგარეო პოლიტიკური მოთამაშის როლის გაძლიერება

რუსეთ-უკრაინის ომმა, ასევე აღსანიშნავია, რომ გაზარდა ევროკომისიის, როგორც ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების ინსტიტუციური მოთამაშის როლი. ეს ცვლილება განსაკუთრებით საგრძნობია საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის იმ ინსტრუმენტში, რომელიც ამ სადისერტაციო ნაშრომის მიმოხილვის მიღმაა, მაგრამ მნიშვნელოვან საგარეო პოლიტიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს-სანქციების რეჟიმი. მიუხედავად იმისა, რომ ევროკომისიის, როგორც გეოპოლიტიკური აქტიორის როლი შეზღუდულია, ზოგიერთი ავტორი, რომელიც ევროკომისიის როლს სწავლობს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჭრილში, ამ როლს ნეოფუნქციონალიზმის თეორიის ჭრილიდან სწავლობს (ავტორები ბერგმანი (Bergmann, J./ბერგმანი, 2019, 1253-1272), მულერი (Bergmann, J., and P. Müller/მულერი, 2021, 1669-1687; Bergmann, J., and P. Müller, 2023, 3005-3023), ჰაკანსონი (Håkansson, C./ჰაკანსონი, 2021, 589–608), ჰაროშე (Haroche, P./ჰაროშე, 2020, 853-872; Haroche, P., 2022, 970-987), ნიემანი (ნიემანი, 2006; 2016, 129-155)). ნეო ფუნქციონალისტების მიდგომით ევროკომისია ფუნქციური გადმოღვრის ეფექტით ეტაპობრივად ზრდის საკუთარ კომპეტენციებს საგარეო და უსაფრთხოების სფეროში. რუსეთ-უკრაინის ომი კი, სწორედ მსგავსი ფუნქციური გადმოღვრის ეფექტი გახდა ევროკომისიის საგარეო ურთიერთობებში კომპეტენციის ზრდის თვალსაზრისით. ევროკომისიის როლი რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ გაიზარდა სანქციების პოლიტიკის მიმართ ერთიანი მიდგომის და პოლიტიკის განხორციელებაზე ზედამხედველობის ფუნქციების თვალსაზრისით. რუსეთის მხრიდან უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული სამხედრო ინტერვენციის შემდეგ, ევროკავშირის რეაგირება, მათ შორის სანქციების მიღება მოითხოვა სწრაფ გადაწყვეტილებებს სანქციების რეჟიმის დაწესების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ევროკომისია გადიოდა შესაბამის კონსულტაციების ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და საბოლოოდ სანქციების პაკეტების დამტკიცებას ევროპული საბჭოს ფორმატი ახდენდა, არაორდინალურმა ვითარებამ შექმნა ახალი რეალობა, როდესაც

ევროკომისიის რეკომენდაციები ფაქტიურად მექანიკურ რეჟიმში მტკიცდებოდა წევრი ქვეყნების მხრიდან. შესაბამისად ევროკომისია გახდა ერთადერთი მოთამაშე, რომელსაც ჰქონდა სრული და ყოვლისმომცველი ინფორმაცია სანქციების დაგეგმვის და განხორციელების პროცესში და ასევე წამყვანი როლი სანქციების შემუშავების თვალსაზრისით (ჰაკანსონი, 2023, 88). ევროკომისია ასევე წამყვან როლს თამაშობდა სანქციების პაკეტთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებულ შტატებთან კოორდინაციის თვალსაზრისით და ყველა ნაბიჯის შეთანხმება უშუალოდ, ევროკომისიის პრეზიდენტის კაბინეტსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის უსაფრთხოების მრჩეველს შორის ხდებოდა, სანამ წევრი ქვეყნებისთვის მოხდებოდა სანქციების პაკეტების წარდგენა (*Ibid*, 9-10). რუსეთ-უკრაინის ომის კრიზისი აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ბიძგი ნეო-ფუნქციონალისტური 'ფუნქციური' გადმოღვრის ეფექტით ევროკომისიის როლის გასაზრდელად და პროცესი, რომელშიც წამყვანი პოზიცია წევრ სახელმწიფოებს უნდა დაეკავებინათ, ცენტრალიზებული და სწრაფი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობამ ევროკომისიის ხელში გადაიტანა. თუმცა, როგორც შესაბამისი კვლევები აჩვენებს ეს უფრო დროებითი ეფექტი იყო და ომის გაგრძელებასთან ერთად, წევრი ქვეყნების როლი ევროკავშირის უკანასკნელი სანქციების პაკეტების შემუშავების პროცესში კვლავ გაძლიერდა. სამთავრობათაშორისო პროცესის დაბრუნებამ სანქციების შესახებ მოლაპარაკებების პროცესში კვლავ გაართულა საერთო მნიშვნელოვანი შეთანხმების პროცესი და მოლაპარაკებების საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა, როდესაც უნგრეთმა გადაწყვიტა დაებლოკა გადაწყვეტილებების მიღების პროცესი (*Ibid*, 10).

ევროკომისიის როლი ასევე გაძლიერდა ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის შემუშავების პროცესში. მაგალითად, 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდგომ ევროკომისიის ხელდასაყრდენი თანამშრომლობის სფეროში, რომელიც 500 მილიონიანი თავდაცვის ფონდის შექმნას და მომავალში თავდაცვის სფეროში უფრო მეტ ინტეგრაციას ითვალისწინებდა ევროპულ დონეზე, პირდაპირ აისახა სტრატეგიულ კომპასში, რომელიც 2022 წელს დამტკიცდა (European Commission, 19 July 2022).

მიუხედავად იმისა, რომ მომავალმა უნდა აჩვენოს, მოხდება თუ არა ინსტიტუციონალიზაცია იმ ცენტრალური როლისა, რომელიც კომისიამ რუსეთ-უკრაინის ომის კრიზისის დროს შეიძინა, ერთი რამ ცხადია, რომ ევროკომისიამ

წარმატებით მოახდინა კრიზისებზე რეაგირებისას ერთიანი და ცენტრალიზებული, ევროპული ინსტიტუციების შესაძლებლობების არსებობის აუცილებლობა.

შემდგომი გაფართოვების მოლოდინში ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩოს შესაძლო ცვლილებები

რუსეთ-უკრაინის ომმა, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის, როგორც ერთიანი საგარეო პოლიტიკური მოთამაშის შესაძლებლობები და, ევროპისთვის უპრეცედენტო ერთიანობის მაგალითები აჩვენა, ასევე გამოავლინა სერიოზული გამოწვევები, კონკრეტულად კი, ევროპული საბჭოს მიერ გადაწყვეტილების ერთხმად მიღების მოთხოვნასთან დაკავშირებული პრობლემები. ომის დაწყებიდან დღემდე, როგორც რუსეთისათვის სანქციების დაწესება, ასევე უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანების პროგრესი და მისთვის ფინანსური დახმარების მობილიზაცია ევროკავშირის ერთი წევრი ქვეყნის-უნგრეთის წინააღმდეგობას აწყდებოდა. (Maldovic and Magyar, *მაღდოვიჩი და მაგიარი 'Orban's Regime Strategy in the Russia-Ukraine War, 2023*) იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი წინაპირობა ყველა წევრი ქვეყნის თანხმობაა, უნგრეთის მიერ საკუთარი ვეტოს უფლების გამოყენების უქარა საფრთხეს უქმნის ევროკავშირის გადაწყვეტილებებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი წლის მანძილზე ევროკავშირმა შეძლო, სხვადასხვა გზით თავი აერიდებინა უნგრეთის მიერ გადაწყვეტილების დაბლოკისათვის, ამ გამოცდილებამ ისევ აქტუალური გახადა გადაწყვეტილების მიღების წესის გადახედვა. ამჟამად ევროკავშირის აქტიური განხილვის თემაა, როგორ შეიძლება ევროპული საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესის რეფორმა. ძირითადი ტენდენციები, რომელიც გამოიკვეთა არის, რომ გერმანიისთვის პრიორიტეტად გადაიქცა ევროკავშირის ინსტიტუციური რეფორმა, რომელიც ვეტოს დადების შესაძლებლობას არ მისცემს ერთი რომელიმე სახელმწიფოს და კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღება გავრცელდეს ერთიანი უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის სფეროზე. საფრანგეთი, გარკვეულწილად მხარს უჭერს ცვლილებების იდეას, მაგრამ საკუთარი ხედვა აქვს, ე.წ. 'სვადასხვა სიჩქარის' ევროკავშირის თეობაზე-სადაც ევროპის შიდა ვიწრო წრე უფრო ინტეგრირებულად შეკვრება. ევროპის ჩრდილოეთი, ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები უფრო სკეპტიკურად უყურებენ ევროკავშირის დამფუძნებელი შეთანხმების

ფუნდამენტურად გადახედვას. ამავე დროს ისინიც მიიჩნევენ, რომ კვალიფიციურ უმრავლესობის წესით გადაწყვეტილების მიღების წესი უნდა შეეხოს ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის და გაფართოვების საკითხებს, მაგრამ ისე, რომ არ დაზიანდეს ამ ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესები. მათ ასევე აზინებთ, რომ დისკუსია ხელშეკრულების გადახედვაზე მხოლოდ გადაავადებს შემდგომ გაფართოვებას, მისთვის ხელშეწყობის ნაცვლად. (*OSW, ოქტომბერი, 2023*)

ევროკავშირის შესაძლო გაფართოვება 27-დან 37 წევრამდე ცხადია, ინსტიტუციური მოწყობის თვალსაზრისით ევროკავშირს ახალი და ხელშესახები გამოწვევების წინაშე დააყენებს. მოითხოვს თუ არა ეს ცვლილებების ევროკავშირის დამფუძნებელი შეთანხმებების, მათ შორის ლისაბონის შეთანხმების გადახედვას, ჯერ უცნობია. თუმცა დისკუსია, ევროკავშირის ინსტიტუციურ რეფორმაზე დაწყებულია. ამ თვალსაზრისით დღემდე ყველაზე მოცულობითი და ყოვლისმომცველი კვლევა გერმანიისა და საფრანგეთის ხელისუფლების შეკვეთით გერმანელი და ფრანგი ექსპერტების მიერ მომზადდა და 2023 წლის 18 სექტემბერს გამოქვეყნდა (*Notre Europe. Jacques Delors Institute, 2023*). საინტერესოა, რომ აღნიშნული კვლევა, რომელიც ევროკავშირის ინსტიტუციური მოწყობის და ფუნქციონირების ყველა შესაძლო მიმართულებას მიმოიხილავს მომავალი გაფართოვების ჭრილში, საკმაოდ კონსერვატორული მიდგომით უდგება საგარეო და თავდაცვის მიმართულებით თანამშრომლობის ფორმატებს. მაგალითად, რეკომენდაციები ზოგადად მხარს უჭერს ერთხმად გადაწყვეტილების მიღების წესის გაუქმებას და კონსესუსის წესით გადაწყვეტილებების მიღების გადახედვას კვალიფიციური უმრავლესობის წესის სასარგებლოდ (QMV), რაც იმით არის გამოწვეული, რომ შემდგომი გაფართოვება კონსესუსის მიღწევას კიდევ უფრო გაართულებს. თუმცა, ეს მიდგომა არ ვრცელდება საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ყველა გადაწყვეტილებებზე (*Ibid, 23*). აღნიშნული ანგარიშის მიდგომაა, რომ რამდენადაც ევროკავშირის შეთანხმება გამორიცხავს ერთიანი და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე კონსესუსის წესის გაუქმებას, უკეთესია, რომ გარკვეული გადაწყვეტილებები რომელიც ეხება თავდაცვის სფეროს, როგორცაა მაგალითად ევროკავშირის მშვიდობის ინსტრუმენტის და ევროკავშირის თავდაცვის ინსტრუმენტის გამოყენების შესახებ, გადავიდეს კვალიფიციური უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებების რიგში, თუმცა რამდენადაც მათში მონაწილეობა დარჩება ნებაყოფლობითობით თანამონაწილეობის პრინციპზე, ეს არ შეზღუდავს წევრი ქვეყნების სუვერენულ უფლებებს (*Ibid, 24*). იგივე ანგარიში ასევე

ზღუდავს ევროპული სუპრა-ნაციონალური ინსტიტუციების გაძლიერების პოტენციალს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით, რამდენადაც რეკომენდაციას უწევს მიდგომას, რომ გარდა CSFP პოლიტიკის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებისა, ევროკავშირის ყველა პრინციპული გადაწყვეტილება მოითხოვდეს ევროპარლამენტის დამტკიცებას (*Ibid*, 23). ეს მიდგომა ფაქტიურად ზღუდავს ევროპარლამენტის როლის გაძლიერებას საგარეო პოლიტიკის მიმართულებით და მას ისევ წევრი სახელმწიფოების მიერ დომინირებულ სფეროდ დატოვებას უჭერს მხარს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ უცნობია ამ რეკომენდაციების რა ნაწილი გახდება გერმანიის და საფრანგეთის ოფიციალური მიდგომა ევროკავშირის ინსტიტუციური რეფორმის მიმართ, გერმანელი და ფრანგი ექსპერტული წრეების დამოკიდებულება საკითხის მიმართ ნიშანდობლივი ინდიკატორია, რომ რუსეთ-უკრაინის ომმა არ შეცვალა გერმანიისა და საფრანგეთის ტრადიციულად ფრთხილი მიდგომა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე სუვერენული მიდგომის სუპრა-ევროპული ინსტიტუციების გაძლიერების სასარგებლოდ გადახედვის თაობაზე.

იმ წინადადებებს შორის, რომელიც ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის რეფორმას შეეხება, რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ გააქტიურდა დისკუსია თემაზე, თუ რამდენად არის აუცილებელი და საჭირო, რომ ევროკავშირს ჰქონდეს ნატოსგან დამოუკიდებელი სამხედრო შესაძლებლობები. ევროკავშირის იმ წევრი ქვეყნების გადაწყვეტილებამ, რომლებიც ნატო-ს წევრები არ იყვნენ (ფინეთი და შვედეთი) ნატოში გაწევრიანებულიყვნენ (NATO, 2022) კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მხოლოდ ევროკავშირი არ მოიაზრება საკმარის უსაფრთხოების ჩარჩოთ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან. ის, რომ ევროკავშირი ტრადიციულად თავს იკავებს ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში სამხედრო შესაძლებლობების გამოყენებისგან, ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს. ამავე დროს, ევროკავშირის გლობალური როლის გასაძლიერებლად რუსეთ-უკრაინის შემდგომ გარემოში, ბევრი ექსპერტის აზრით მოითხოვს გაძლიერდეს ევროკავშირის, როგორც უსაფრთხოების მოთამაშის როლი. ამ თვალსაზრისით განიხილება სხვადასხვა შესაძლებლობები-მაგალითად PESCO-ის ჩარჩოს გაძლიერება, თავდაცვის სფეროში უფრო ინტეგრირებული თანამშრომლობის შექმნის მიზნით და ამისთვის ერთობლივი წვრთნების და ერთობლივი ინვესტიციების ჩადების შესაძლებლობა, ისევე, როგორც სამხედრო მისიების განლაგების სისწრაფის გაზრდა. ასევე განიხილება შესაძლებლობა, რომ ახლად დაარსებული ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობა (European Political

Community)-გამოყენებული იქნას ევროკავშირის გარეთ მყოფ ქვეყნებთან ერთიანი თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ფორმატების შექმნის მიზნითაც (Lowings, B./ლოვინგსი, 2022).

გაფართოვებულა ევროკავშირში საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის თემებზე გადაწყვეტილების მიღების ინსტიტუციური რეფორმის სხვადასხვა ინიციატივებში საინტერესოა წინადადება ევროკავშირის უსაფრთხოების საბჭოს ინსტიტუტის შექმნაზე, რომელიც ჯერ კიდევ რუსეთ-უკრაინის ომამდე განხილული ინიციატივა იყო, თუმცა აქტუალურობა გაეზარდა ევროკავშირის შემდგომი გაფართოვების კონტექსტში (Novaky, N./ნოვაკი, 2019). ინიციატივა მოიაზრება როგორც ევროკავშირის სტრატეგიული ავტონომიის გაძლიერებისკენ გადადგმული შესაძლო ნაბიჯი. ის გულისხმობს, რომ ევროკავშირის საბჭოში შეიქმნას 10 წევრი ქვეყნისგან შექმნილი ‘უსაფრთხოების საბჭო,’ რომელშიც 5 მუდმივმოქმედი და 5 მონაცვლეობის პრინციპით დანიშნული წევრი სახელმწიფო იქნება წარმოდგენილი. მუდმივმოქმედ წევრებად მოაზრება ხუთი ყველაზე გავლენიანი წევრი ქვეყანა-საფრანგეთი, გერმანი, იტალია, ესპანეთი და პოლონეთი, ევროკავშირის თამჯდომარე ქვეყნების ტრიო (სამი სახელმწიფო, რომელიც ერთმანეთის მიყოლებით არის რიგში ევროკავშირის თავჯდომარე ქვეყნის პოზიციის დასაკავებლად) და ორი სახელმწიფო, რომელიც იმის მიხედვით დაიკავებს პოზიციას საბჭოში, თუ რა თემაა დღის წესრიგში და შესაბამისად, რომელ წევრ სახელმწიფოს ინტერესებს ეხება ყველა მეტად. საბჭოში ასევე უნდა იყოს ევროკომისიის და სხვა სტრუქტურების შესაბამისი წარმომადგენლებია, ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის მისიების მმართველი საბჭოს CivCom-ის თავჯდომარე და ევროპარლამენტი (ნოვაკი, 2019). იდეა ამ წინადადების უკან არის, რომ ევროკავშირის ჰქონდეს ძლიერი ცენტრალური მართვის ინტერ-ინსტიტუციური ცენტრი, რომელშიც ასევე იქნება წარმოდგენილი წევრი სახელმწიფოების ინტერესები. მიუხედავად იმისა, რომ უცნობია, გაიზიარებს თუ არა ევროკავშირი ინსტიტუციური რეფორმის ამ წინადადებას, რამდენადაც ნაშრომის ან ნაწილის ამოცანაა იმ იდეების მიმოხილვა, რაც დღეს არსებობს მომავალი ინსტიტუციური რეფორმების თაობაზე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს იდეაც ცალსახად ადასტურებს ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის სამთავრობათაშორისო ბუნებას და გერმანიის და საფრანგეთის ცენტრალურ როლის შენარჩუნებას.

როგორც არ უნდა განვითარდეს მომავალში რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად დაწყებული პროცესები ევროკავშირის ინსტიტუციური მოწყობის თვალსაზრისით, ერთი

რამ ცხადია, რომ რუსეთ-უკრაინის ომმა ნათლად აჩვენა ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებით შემდგომი ინტეგრაციის აუცილებლობა.

ევროკავშირის, როგორც კოლექტიური პასუხისმგებლობის საგარეო პოლიტიკური მოთამაშის როლის გაძლიერება

რუსეთ-უკრაინის ომზე ევროკავშირის რეაგირებამ ასევე დაადასტურა, რომ მიუხედავად ყველა ინსტიტუციური და პოლიტიკური გამოწვევისა, ევროკავშირი გასული ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბდა, როგორც კოლექტიური პასუხისმგებლობის მატარებელი საგარეო პოლიტიკური მოთამაშე. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ნაშრომმა ინტენსიურად განიხილა, როგორც ინსტიტუციური, ასევე პოლიტიკური წინააღმდეგობები, რომელიც ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის შექმნას ხვდებოდა გზად, რუსეთ-უკრაინის ომზე ევროკავშირის რეაგირებამ დაადასტურა, რომ ევროკავშირში, გარდა ინსტიტუციური ჩარჩოებისა ჩამოყალიბდა საერთო პასუხისმგებლობის შეგრძნება უსაფრთხოების კრიზისზე რეაგირების თვალსაზრისით. მიუხედავად საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტების ამუშავების სამთავრობათაშორისო ხასიათისა, რუსეთ-უკრაინის ომმა ევროკავშირს მისცა შესაძლებლობა რომ დაედასტურებინა, რომ ინსტიტუციების, გადაწყვეტილებების მისაღებად დადგენილი პროცედურების და სხვა ხელშეკრულებით გაწერილი შეზღუდვების მიღმა, ჩამოყალიბდა კოლექტიური ინტერესის და პასუხისმგებლობის მიდგომა საგარეო პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით. ამ თვალსაზრისით, ევროკავშირი განსხვავდება კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციისგან, როგორც, მაგალითად არის ნატო-სადაც დამფუძნებელი ხელშეკრულება ადგენს პასუხისმგებლობის ალების და მოქმედების ვალდებულების ჩარჩოს. რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ არ განხორციელებულა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ და ამით არ გამოუწვევია ლისაბონის შეთანხმების (ევროკავშირის ხელშეკრულება, მუხლი 42.7) მიერ დადგენილი სოლიდარობის შესახებ ჩანაწერის ამოქმედების აუცილებლობა. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის პასუხი რუსეთის აგრესიაზე იყო კოორდინირებული და შეთანხმებული.

ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და მისი ინსტრუმენტები, როგორცაა ნაშრომში დეტალურად შესწავლილი აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა და ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა, წლების მანძილზე

ხელს უწყობდა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში საგარეო პოლიტიკური გამოწვევების კოლექტიურ განხილვას და კოლექტიური პასუხის/პოზიციის მომზადებას. ამან კი, თავის მხრივ დასაბამი მისცა ინსტიტუციურ კულტურას, რომელიც განაპირობებს კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპით მიდგომას საგარეო პოლიტიკურ გამოწვევებზე. ამ ინსტრუმენტებმა შექმნა როგორც კოლექტიური მოქმედების ჩარჩო, ასევე დინამიზმი საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების განვითარებაში და კოლექტიური სისტემა. ეს უკანასკნელი ჰაასმა განსაზღვრა, როგორც 'სისტემა, რომელშიც კონკრეტული ჯგუფები და ინდივიდები უფრო მეტ ლოიალურობას აჩვენებენ ცენტრალიზებული პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ, ვიდრე რაიმე სხვა პოლიტიკური ძალაუფლების მიმართ' (ჰაასი, 1958). ის, რომ ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა შეძლეს სანქციების შემუშავების პროცესში ცენტრალური როლის ევროკომისიისთვის გადაცემა-სწორედ კოლექტიური სისტემის წარმატებული მუშაობის მაგალითია. ის, რომ ევროკავშირმა პირველად მის ისტორიაში გასცა უზარმაზარი დახმარება სამხედრო მიზნით უკრაინისთვის-ევროპის სამშვიდობო ფონდიდან 2.5 მილიარდი ევროს ოდენობით, ასევე უპრეცედენტო კოლექტიური რეაგირების მაგალითი იყო ევროკავშირის მხრიდან. რამდენად გადაითარგმნება ეს არაორდინალური კოლექტიური პასუხისმგებლობის დემონსტრირება უფრო გაძლიერებულ ინსტიტუციური თანამშრომლობის გრძელვადიან მიდგომაში მომავალში გამოჩნდება. კრიზისი გამაერთიანებელი ფაქტორია და მისი გადავლის შემდგომ, ადვილი შესაძლებელია, რომ წევრმა ქვეყნებმა კვლავ მოინდომონ უფრო ავტონომიური პოლიტიკის გატარება, მაგალითად რუსეთთან მიმართებაში. თუმცა, რუსეთ-უკრაინის ომმა აჩვენა, რომ კრიზისის პირობებში ევროკავშირის პასუხი გამოწვევაზე არის კოლექტიური პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

დასკვნა და ძირითადი მიგნებები

ნაშრომის მთავარი კითხვა იყო, თუ როგორი ინსტიტუციური ჩარჩო არსებობს ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის განსახორციელებლად და, არის თუ არა ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში ჩამოშლილი უსაფრთხოების გარემო დაკავშირებული ამ ორი პოლიტიკური ინსტრუმენტის წარუმატებელ ათვისებასთან. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით ნაშრომმა ასევე განიხილა, თუ რა ზეგავლენა მოახდინა წევრი ქვეყნების-გერმანიის და საფრანგეთის პოზიციამ ამ ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნაზე, ევროკავშირის, როგორც გეოპოლიტიკური მოთამაშის როლი ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ-ამდღევს თუ არა არსებული ინსტიტუციური ჩარჩო კვლავ წევრ სახელმწიფოებს საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტების მართვისას საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პერეოგატივას. ასევე შესწავლილი იქნა. თუ როგორ შეცვალა ევროკავშირის ორი წამყვანი ქვეყნის პოზიცია 2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულმა ომმა და, შესაბამისად, რა პერსპექტივა არსებობს მომავალში აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკით გასაძლიერებლად, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური ამოცანების განხორციელების მიზნით.

როგორც ნაშრომის მე-3 თავში ინსტიტუციური მოწყობის დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, ლისაბონის შეთანხმებამ გააძლიერა ევროკავშირის, როგორც ერთიანი საგარეო პოლიტიკური აქტიორის შესაძლებლობები კრიზისების მართვის თვალსაზრისით. ამ მიზნით დისერტაციაში დეტალურად იქნა შესწავლილი ლისაბონის შეთანხმების ამოქმედების შემდგომ არსებული ინსტიტუციური მოწყობა, რომელიც როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის, ასევე ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის განსახორციელებლად გამოიყენება. ამ სიღრმისეულმა ანალიზმა აჩვენა, რომ სინერჯის შექმნის თვალსაზრისით, როდესაც სინერჯია განისაზღვრება როგორც ბიუროკრატიული პროცესების და რესურსების კოორდინირება საერთო ამოცანის, ამ შემთხვევაში ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში სტაბილურობის შენარჩუნების განსახორციელებლად-ევროკავშირის ინსტიტუციების შესაძლებლობები საგრძნობლად გაიზარდა. კერძოდ, ერთიანი საგარეო ქმედებათა სამსახურის შექმნა, რომელშიც ერთი ბიუროკრატიული ქოლგის ქვეშ გაერთიანდა ის სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომლებიც მუშაობენ ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკაზე და

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაზე; საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ევროკომისიის სტრუქტურაში ვიცე-პრეზიდენტის ფუნქციით შეყვანა; ევროპარლამენტის როლის გაძლიერება საგარეო პოლიტიკური ამოცანების განხორციელებაში-ყველა მნიშვნელოვანი მიღწევაა. ინსტიტუციური ანალიზი აჩვენებს, რომ ბიუროკრატიული ჩარჩო, მათ შორის კრიზისებზე სწრაფი რეაგირების მექანიზმების შექმნის თვალსაზრისით შეიქმნა და მათი ამოქმედება, სურვილის შემთხვევაში, სწრაფადაა შესაძლებელი. ამავე დროს, ინსტიტუციური გადაწყვეტილების მიღების პროცედურების ანალიზმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის სამთავრობათაშორისო სტრუქტურის შენარჩუნებამ კვლავ წევრი სახელმწიფოების ხელში დატოვა ზემოქმედების ძირითადი ბერკეტები. სწორედ ამიტომ, ევროკავშირის ინსტიტუციური მოწყობა, ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით, დაემსგავსა ხელსაწყოს, რომელსაც პოტენციურად შეუძლია ზუსტად და კარგად შეასრულოს მისთვის დასახული ამოცანები, მაგრამ ამისთვის სჭირდება შესაბამისი 'ჩამრთველი' მექანიზმი.

'ჩამრთველი' მექანიზმი, ევროპული საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სახით, კი, კვლავ წევრი სახელმწიფოების ხელში რჩება. შესაბამისად, იმისთვის, რომ გაანალიზდეს, რამდენად ეფექტიანად შეუძლია არსებულ ინსტიტუციურ მოწყობას იმუშაოს, აუცილებელია, პასუხი გაეცეს შეკითხვას, თუ რა ფაქტორები ახდენს ზეგავლენას პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე. ცხადია, დისერტაციის ამოცანა არ იყო და ვერ იქნებოდა ყველა იმ ფაქტორის ანალიზი, რომელიც ამ პოლიტიკური პროცესზე ზეგავლენას ახდენს. კვლევამ მიზნად დაისახა შეესწავლა ორი კონკრეტული სახელმწიფოს-გერმანიის და საფრანგეთის პოზიციების ზეგავლენა ინსტიტუციური ჩარჩოს მუშაობის პროცესზე. ამ კვლევამ კი, თავის მხრივ აჩვენა, რომ როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის, ასევე ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების ინსტრუმენტების გამოყენების თაობაზე, ასევე ევროკავშირის შემდგომი გაფართოვების მიმართულებით ევროკავშირის ამ ორი წამყვანი სახელმწიფოს ზემოქმედება ერთიანი პოზიციის შემუშავებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. დისერტაციის კვლევამ ასევე აჩვენა, რომ გადამწყვეტი ფაქტორი გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციის განსაზღვრისას აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის მიმართულებით, რუსეთისადმი გატარებული პოლიტიკა, რუსეთთან ურთიერთობებში

მათი ეროვნული ინტერესები იყო. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, ისევე, როგორც 2014 წლის ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია არ აღმოჩნდა საკმარისი მოტივატორი იმისთვის, რომ გერმანიას და საფრანგეთს საკუთარი პოლიტიკის ფუნდამენტური ცვლილებები განეხორციელებინა. 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომმა კი, საგრძნობლად შეცვალა ორივე ქვეყნის მიდგომა რუსეთის და შესაბამისად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიმართ. ეს აისახა ევროკავშირის მიერ გადადგმულ პოლიტიკური ნაბიჯებში, როგორცაა მაგალითად გაფართოვების მიმართ პოლიტიკის გადახედვა, ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული სამოქალაქო და სამხედრო მისიების როლის გაძლიერება აღმოსავლეთ სამეზობლოში.

რაც შეეხება აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის მომავალს-როგორც მე-4 თავში იქნა განხილული, ამ ეტაპზე ინიციატივის მომავალზე საუბარი სირთულეს წარმოადგენს, რადგან ექვსი პარტნიორი ქვეყნიდან სამი გაფართოვების პოლიტიკის მიმართულებით გადანაცვლდა, შესაბამისად, უცნობია, თუ რა სახით და შენარჩუნებ დება თუ არა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა. ამავ დროს, რუსეთ-უკრაინის ომმა გააძლიერა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დღის წესრიგში მის სამეზობლოში უსაფრთხოება და შეიძლება ითქვას, რომ პრიორიტეტად აქცია ის. შესაბამისად, ევროკავშირის მომავალი პოლიტიკა აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართ უსაფრთხოების კომპონენტის მიმართ უფრო დიდ კონცენტრაციას მოითხოვს. ომმა ასევე გაზარდა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის მიმართ მხარდაჭერა, რაც ასევე სავარაუდოდ აისახება აღმოსავლეთ პარტნიორებთან მიმართებაში გატარებული პოლიტიკის ფარგლებშიც.

დისერტაციის ჰიპოთეზა იყო, რომ ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა, (CSDP) ისევე, როგორც სამეზობლო ინიციატივა/აღმოსავლეთ პარტნიორობა (ENP/EAP) ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი პოლიტიკური ინსტრუმენტებია, შესაბამისად-მათი წარუმატებლობა, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის წარუმატებლობას ნიშნავს. ჰიპოთეზის ფარგლებში შეფასდა იყო თუ არა ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნები ის, რამაც დღის წესრიგში ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის შექმნის აუცილებლობა დააყენა. ჰიპოთეზის ამ ნაწილის დამოუკიდებელი ცვლადი ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების

პოლიტიკა, მასზე დამოკიდებული ცვლადები კი, შესაბამისად, ერთიანი თავდაცვის და უსაფრთხოების და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ინსტრუმენტებია.

როგორც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური ამოცანების დეტალურმა მიმოხილვამ და ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ანალიზმა აჩვენა, ევროკავშირის სამეზობლოში უსაფრთხოების განმტკიცება ევროკავშირის მთავარ სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენდა. ეს დადასტურებული იქნა არა ერთხელ, ევროკავშირის მიერ მიღებულ სტრატეგიულ დოკუმენტებში. ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა, ისევე, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა კი, ის პოლიტიკური ინსტრუმენტები იყო, რომელიც ევროკავშირმა სწორედ მის სამეზობლოში სტაბილურობის ხელშეწყობის მიზნით შექმნა. შესაბამისად, ე. წ. ფუნქციური გადმოღვრის ეფექტით, აღნიშნული პოლიტიკური ინსტრუმენტების შექმნის აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. შესაბამისად, ამ ინსტრუმენტების გამოყენების მიუხედავად ევროპის აღმოსავლეთ სამეზობლოში მძიმე უსაფრთხოების კრიზისი, შეიძლება ჩაითვალოს როგორც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში წარუმატებლობის მაგალითად.

ჰიპოთეზის მეორე ნაწილი იყო, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის უსაფრთხოების განზომილების 'ყველაზე დაბალ საერთო მნიშვნელზე' დაყვანის და ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკასა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივას წარუმატებლობის მიზეზი გერმანიის და საფრანგეთის პოზიცია იყო. ჰიპოთეზის მეორე ნაწილის დამოუკიდებელი ცვლადი ევროკავშირის ამ ორი წამყვანი წევრი სახელმწიფოს პოზიციაა, ხოლო დამოკიდებული ცვლადი ისევ ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ინსტრუმენტებია. ჰიპოთეზის ფარგლებში შეფასდება გერმანიისა და საფრანგეთის გეოპოლიტიკური ინტერესები და მათი როლი შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩოს შემუშავებაში; სუპრა-ნაციონალური ევროპული ინსტიტუტების როლი ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის პოლიტიკის მართვაში ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდგომ.

როგორც გერმანიისა და საფრანგეთის პოლიტიკის დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, კორელაცია მათ პოზიციას (დამოუკიდებელი ცვლადი) და ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივას (დამოკიდებული ცვლადი) ძლიერია, რამდენადაც სწორედ ამ ორი სახელმწიფოს პოზიცია ახდენს ყველაზე

დიდ გავლენას საერთო მნიშვნელის შემუშავების პროცესზე პოლიტიკის განსაზღვრისას. შესაბამისად, ლიბერალური ინტერგავარმენტალიზმის თეორიის წანამდვარი, რომ სწორედ წევრი სახელმწიფოების მიერ საკუთარი პოლიტიკური ინტერესების განსაზღვრა და შემდგომ ამ ინტერესების მოლაპარაკებების პროცესში დაცვა განსაზღვრავს იმ საბოლოო ნიშნულს, რომელზეც ევროკავშირის პოლიტიკა დადის, კიდევ ერთხელ იქნა დადასტურებული. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ პოლიტიკური გადმოღვრის ეფექტი-როგორცაა მაგალითად კერძო ბიზნესის, პოლიტიკური ელიტის ინტერესები რუსეთთან მიმართებაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ევროკავშირის მიერ რუსეთთან საერთო სამეზობლოში გატარებული პოლიტიკის განსაზღვრის პროცესზე. რუსეთის მიმართ გატარებული პოლიტიკა კი, თავის მხრივ პირდაპირ აისახა გერმანიისა და საფრანგეთის პოზიცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიმართ გატარებულ პოლიტიკაზე. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ სუპრა-ნაციონალური ინსტიტუციების როლი აღნიშნული პოლიტიკური ინსტრუმენტების მუშაობის პროცესში შეზღუდული რჩება, მიუხედავად ლისაბონის ხელშეკრულების მიერ გატარებული ინსტიტუციური ცვლილებებისა.

დისერტაცია სრულყოფილად ვერ სცემს პასუხს, ცხადია, კითხვას, თუ რა ფაქტორებმა განაპირობა გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციონირება და შესაბამისად, რა არის ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენების პროცესში წარუმატებლობის ძირეული მიზეზი. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოითხოვს დამატებით მრავალ ფაქტორის ანალიზს, რომელიც თავის მხრივ ზეგავლენას ახდენს საფრანგეთისა და გერმანიის პოზიციაზე, როგორცაა ეკონომიკური კავშირები, რუსეთის მიერ რბილი ძალის და საინფორმაციო საშუალებების ჰიბრიდული ომის იარაღად გამოყენების პროცესის, პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის მოხდენის და სხვა. კვლევა ასევე არ შეხება იმ ახალ დინამიკას, რომელიც ევროკავშირის შიგნით არის შექმნილი, მაგალითად დიდი ბრიტანეთი მიერ ევროკავშირის დატოვების შემდეგ და რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ პოლონეთის გავლენის გაზრდით. საინტერესო ანალიზი მომავალში შეიძლება იყოს ე. წ. 'ვაიმარის სამკუთხედის'-გერმანია, პოლონეთი და საფრანგეთის-ერთობლივი პოზიციონირების გაძლიერება და შესაბამისად როგორ შეცვლის ეს აღმოსავლეთ სამეზობლოსთან მიმართებით ევროკავშირის შიდა ინსტიტუციურ დინამიკას. შემდგომი გაფართოვების ზეგავლენა, ევროკავშირის, როგორც საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების მოთამაშის როლზე, ასევე მნიშვნელოვანი საკვლევი თემაა.

ის, რაც დისერტაციის კვლევამ დაადგინა, არის, რომ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა და მისი ინსტრუმენტები კვლავ სამთავრობათაშორისო პოლიტიკად რჩება,

რომელშიც წევრი სახელმწიფოები ინარჩუნებენ წამყვან ფუნქციას და გადაწყვეტილების მიღების პრეროგატივას. ამავე დროს, რუსეთ-უკრაინის ომმა აჩვენა, რომ ევროკავშირის, როგორც საგარეო პოლიტიკური მოთამაშის როლი გასული ათწლეულების მანძილზე გაძლიერდა. ევროკავშირის ინტეგრაციონალისტური მიდგომა უსაფრთხოების გამოწვევების გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ გაძლიერდება საგარეო პოლიტიკური მიმართულებით, თუმცა შემდგომმა გაფართოვებამ შესაძლოა დღის წესრიგში დააყენოს შემდგომი ინსტიტუციური რეფორმის აუცილებლობა, რათა პოლიტიკა უფრო მოქნილი გახდეს და გაძლიერდეს ცენტრალიზებული მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობები.

ევროკავშირის შემდგომი გაფართოვების ბედი, ასევე, დისერტაციაში შესწავლილი პოლიტიკური ინსტრუმენტების ინსტიტუციური რეფორმების მომავალი გამოიკვეთება 2024 წლის ევროპული არჩევნების შემდგომ. მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებ სავარაუდოა, რომ ევროსკეპტიკოსი პოპულისტური პარტიები უმრავლესობაში აღმოჩნდებიან, მაღალია იმის ალბათობა, რომ მათ ევროპარლამენტში მესამე, ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ჯგუფის ფორმირება შეძლონ. იმის გათვალისწინებით, რომ მცირდება ტრადიციული ევროპული ცენტრისტული-მემარჯვენე, ლიბერალური და მემარცხენე ძალების წარმომადგენლობა, ასევე, ევროპარლამენტის გაზრდილი უფლებამოსილებების გათვალისწინებით, შემდგომ ინსტიტუციურ ინტეგრაციას ექნება თუ არა მხარადაჭერა ევროპულ დონეზე, დღეს რთული სათქმელია. სავსებით შესაძლებელია, რომ როგორც გაფართოვება, ასევე ის პროცესი, რომელიც ლისაბონის შეთანხმების გადახედვას ისახავს მიზნად, შეჩერდეს. ამავე დროს, ნათელია, რომ ინსტიტუციური რეფორმის გარეშე ევროკავშირი გაფართოვების შემდგომ უფრო მოუქნელი გეოპოლიტიკური მოთამაშე გახდება. ევროკავშირის წევრი ქვეყნების გაზრდა თავისთავად გამოიწვევს საგარეო პოლიტიკური ინტერესების კიდევ უფრო დიდ დივერსიფიკაციას. მაგალითად-თუ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს დაემატა სერბეთი, რომელსაც რუსეთთან მიმართებაში საკუთარი დღის წესრიგი აქვს, გარკვეული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება კიდევ უფრო გართულდება. შესაბამისად, გაფართოვების წინაპირობად ყველა შემთხვევაში ინსტიტუციური რეფორმა იკვეთება.

დღეს ევროკავშირის ინსტიტუციური რეფორმის მთავარი ორთქმავალი გერმანიაა. გერმანიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები-კონკრეტულად კი, პოპულისტი მემარჯვენე ძალების გაძლიერება შესაძლოა მთავარ დაბრკოლებად იქცეს ევროკავშირისთვის. შესაბამისად, რუსეთი გააგრძელებს საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ევროსკეპტიკოსი პოპულისტების მხარდაჭერას. რუსეთ-უკრაინის ომმა

ცხადია ზეგავლენა მოახდინა რუსეთის შესაძლებლობებზე ამ თვალსაზრისით-როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური რესურსები, რომელიც ამ მიმართულებით დღეს რუსეთის არსენალში რჩება, შეზღუდულია. მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირმა გააგრძელოს რუსეთის, როგორც მისი გრძელვადიანი გამოწვევის აღქმა, მიუხედავად იმისა, თუ როგორ და როდის დასრულდება რუსეთ-უკრაინის ომი. ყველაზე დიდი გამოწვევა, რომელიც დღეს ევროპის უსაფრთხოების თვალსაზრისით დგას არის რუსეთი. შესაბამისად, ევროკავშირმა უნდაა გააგრძელოს გრძელვადიანი და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება, როგორც რუსეთის შეკავების (ეკონომიკური სანქციების, საკუთარი უსაფრთხოების განმტკიცების, თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების) გზით, ასევე რუსეთის გავლენის ორბიტაზე მყოფ ქვეყნებზე საკუთარი ინტერესების პროექციის გაძლიერებით. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გაგრძელდეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შემდგომი დაახლოვება ევროკავშირთან და შესაძლოა პოლიტიკის გეოგრაფიული არეალის გაფართოვება, კერძოდ კი, ცენტრალური აზიის ქვეყნებზე მისი გავცობაც განიხილოს შესაძლებლობად. გადამწყვეტი როლი ექნება ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ინსტრუმენტების ინტენსიურ და ფუნქციურ გამოყენებას, ევროკავშირის, როგორც უსაფრთხოების უზრუნველმყოფი მოთამაშის როლის გასაძლიერებლად მის აღმოსავლეთ სამეზობლოში. შესაბამისად, ევროკავშირის ინტერესებში შედის როგორც ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის შემდგომი ტრანსფორმაცია და თანამედროვე ევროპის გამოწვევებზე მათი უკეთ მორგება.

ბიბლიოგრაფია

წიგნები

Bhattacharjee, Anol 'Social Science Research-Principles, Methods and Practices' 2012 University of Florida Press

Biscomp, S. and J. J Anderson The European Union and the European Security Strategy: Forging Global Europe, 2008, London: Routledge

Bascom, S. and J.J. Anderson 'The European Union and the European Security Strategy: Forging Global Europe,' London, Routledge, 2008

Börzel, T.A. and Risse, T. 'When Europeanization hits home: Europeanization and domestic change', RSC Working Paper No. 2000/56, Robert Schuman Centre for Advanced Studies, European University Institute, Florence. 2000

Bradley, Megan, Fraihat, Ibrahim and Mzioudet, Houda 'Ibya's Displacement Crisis: Uprooted by Revolution and Civil War, 2016, Georgetown University Press

Brezinski, Zbigniew The Grand Chessboard: American Primacy and Its Geostrategic Imperatives, Basic Books, 1998, 61.

Bryman, Alan 'Social Research Methods' Fourth Edition, 2012, Oxford University

Bryman, Alan 'Social Research Methods', 4th Edition-Oxford University Press, 2012

Cameron, F. '*An Introduction to European Foreign Policy*', 2nd edition, 2012, London, Routledge

Carlsnaes, Walter, Sjursen, Helene & White, Helene Contemporary European Foreign Policy 2004, SAGE Publications

Checkel T., Jeffrey (ed) International Institutions and Socialization in Europe, Cambridge, Cambridge University Press, 2007

Christiansen, Thomas, Jørgensen, Knud Erik, Wiener, Antje - The Social Construction of Europe, Sage Publications, 2001, London

Cooper, Robert 'Breaking of Nations', 2003, Atlantic Books, 78.

Cooper, Robert *The Breaking of Nations: Order and Chaos in the Twenty-first Century* (London : Atlantic books, 2004)

Cornell, Svante E. *Getting Georgia Right*, Brussels: W. Martens Center for European Studies, 2013

Cross, David *Security Integration in Europe: How Knowledge-based Networks are Transforming the European Union* (University of Michigan Press, 2011)

Daviter, F. *Policy Framing in the European Union. 2011, Palgrave Macmillan. England*

Daviter, Falk *Policy framing in the European Union. 2011, Palgrave Macmillan. UK*

De France, Olivier and Witney, Nick 'Europe's Strategic Cocophony' 2013, Brussels: European Council on Foreign Relations

Delreux, T., Adriaensen, J. (eds) 'The Principal Agent Model and the European Union,' Palgrave Studies in European Union Politics. Palgrave Macmillan, 2017

Delreux, T., Adriaensen, J. Introduction. Use and Limitations of the Principal-Agent Model in Studying the European Union

Delreux, Tom, Keukeleire, Stephan *The Foreign Policy of the European Union*, 2014, London Palgrave Macmillan

Deutsch et al 'Political Community and the North Atlantic Area: International Organization in the Light of Historical Experience. 2007

Deutsch, K.W 'Political community at the international level-Problems of definition and measurement' Garden City, NY: Doubleday, 1954

Diamond, L. 'Facing up to the Democratic Recession', *Journal of Democracy* 26/1 (2015) 144.

Dijkstra, H. *Policy-Making in EU Security and Defense* (London, Palgrave, 2013)

Dijkstra, Hylke 'Policy-Making in EU Security and Defence: An Institutional Perspective' 2013 (London, Palgrave)

Dugin, Alexander *The Fourth Political Theory*, 2012

Etzioni, A '*Political unification: A comparative study of leaders and forces.*' NY, NY, Holt Rinehart and Winston, 1965

F. Duchene, 'Europe's Role in WorldPeace' in Europe's Tomorrow: Sixteen European looking ahead' edited by R. Maybe (London, Collins, 1972)

Fursdon, E. "The European Defence Community: A History' London, Macmillan, 1980

Gabmle, A. D. Lang, David (eds) The European Union and World Politics: Consensus and Division, 2009 (London: Palgrave Macmillan)

Gross, E 'Security Sector Reform in Afghanistan: The EU's Contribution,' European Institute for International Studies, Paris 2009

Gross, E. 'European Union Foreign Policy towards the Balkans.' In: Casarini, N., Musu, C. (eds) 'European Foreign Policy in an Evolving International System.' 2007, Palgrave Studies in European Union Politics. Palgrave Macmillan, London

Gross, E. 'Europeanization of National Foreign Polity' 2009 (London, Palgrave)

Haas, E.B. *'The Uniting Of Europe: Political, Social and Economic Forces, 1950-1957'* Stanford, CA: Stanford UP. 1958

Haas, Ernest B., et al. 'Uniting Of Europe: Political, Social, and Economic Forces,' 1950-1957. University of Notre Dame Press, 2004

Harnisch 'Germany's Uncertain Power,' Palgrave Macmillan, 2006, 98

Haroche, P. (2017), Art. cit., p. 239, see also 242–243; see also Sadoux, A. (2005) "La PESD: un moyen d'assurer la position de la France en Afrique?", *Défense nationale* (10), p. 67 – 77; Chafer, T., Cumming, G. (2010), 1134–1137.

Hill, C. and M. Smith (eds) (2011) *International Relations and the European Union* (Oxford: Oxford University Press)

Hill, C. and M. Smith, 'European Foreign Policy,' 2000

Hix, S., & Høyland, B. *The Political System of the European Union* (3rd ed.) 2011. Houndmills, Basingstoke: Palgrave Macmillan

Hoffman, S. 'Obstinate or Obsolete/ The Fate of the Nation-State and the Case for Western Europe' *Daedalus*, Vol.95, no3, 1966

- Hooghe and Marks, *Multi-Level Governance and European Integration*, 2001. ResearchGate
- Howorth, J. *Security and Defence Policy in the European Union*, 2007 (London: Palgrave Macmillan)
- Howorth, Jolyon 'The Political and Security Committee: a case study in supranational inter-governmentalism'
- Howorth, Jolyon. 'The Political and Security Committee: a case study in supranational inter-governmentalism', in Renaud Dehousse (ed.), *The Community Method in Perspective: New Approaches* (New York: Palgrave, 2009)
- Hughes, J. (ed.) *EU Conflict Management*, 2010 (London: Routledge)
- Jachtenfuchs 'Which Europe?: Conflicting Models of a Legitimate European Political Order' 1997: 17, Sage
- Jones, E. & Van Genugten, S. (eds.), *The Future of European Foreign Policy*, 2013, Abingdon, Routledge
- Jones, S. *The Rise of European Security Cooperation*, 2007 (Cambridge: Cambridge University Press)
- Jorgensen, K.E., Aarstad, K.A. and B. Tonra (eds.), *The SAGE Handbook of European Foreign Policy, London 2015*, "Sage"
- Jørgensen, Knud Erik, Tonra, Ben (et al.) *The SAGE Handbook of European Foreign Policy*, London 2015, "Sage"
- K.Yin, Robert 'Case Study Research-Design and Methods' Fourth Edition, Sage, 2009, pg.2.
- Kacowicz, Arie 'Case Studie Meothods in International Security Studies' 2004 in 'Nahmias-Wolinsky, Yael/Spritz, Detlef F (eds) *Modles, Numbers and cases: Methods for Studying International Relations*' University of Michigan press, Ann Arbor, pp. 107-125.
- Kelley: *Ethnic Politics in Europe: The Power of Norms and Incentives*, Princeton University Press 2006; Robert: *Europe in the 20th Century*. 2001, Boston; Tulmets: 2007b.
- Keukeleire, S. and MacNaughtan, J. 'Foreign Policy of the European Union' London, Palgrave Macmillan, 2008.

- Keukeleire, Stephan 'European Security and Defense Policy: From Taboo to a Spearhead of EU Foreign Policy?' in 'The Foreign Policy of the European Union' Edited by Federiga Bindi, 2010, Brookings Institution Press
- Kichrner and Sperling, 'EU Security Governance', 2007, Manchester University, UK
- Kirchner, Emil and Sperling, James EU security governance. Manchester University Press. 2007
- Klein, N. European Agents out of Control? Delegation and Agency in the Civil-Military Crisis Management of the European Union, 1999-2009, 2010 (Berlin: Nomos Publishers)
- Laatikainen, K. and K. Smith The European Union at the United Nations: Intersecting Multilateralisms, 2006 London: Palgrave Macmillan
- Larsen, H. The EU: A Global Military Actor?, Cooperation and Conflict: Journal of the Nordic International Studies Association, 2002, Vol. 37, No. 3, pp. 283–302 available on: <http://cac.sagepub.com/content/37/3/283>
- Lavenex & Schimmelfennig, EU rules beyond EU borders: theorizing external governance in European politics, 2007
- Lindberg, L.N. *The Political Dynamics of European Economic Integration*. 1963, Stanford: Stanford UP.
- Majone, 'Evidence, Argument, and Persuasion in the Policy Process'. 1989, New Haven, CT: Yale University Press
- Mearsheimer, J. John 'The Tragedy of Great Power Politics', NY, Norton and Company, 2001)
- Mearsheimer, J. Structural Realism In International Relations Theories: Discipline and Diversity in Dunne Tim, Kurki Milja și Smith Steve (eds.), 2006, Oxford: Oxford University Press, pp. 71-88.
- Merlingen, M. and R. Ostrauskite European Union Peacebuilding and Policing, 2008 (London: Routledge)
- Meyer, C. O. The Quest for a European Strategic Culture, 2006 (London: Palgrave Macmillan)
- Miskimmon, 'Germany and the Common Foreign and Security Policy of the European Union: Between Europeanization and National Adaptation' Palgrave Macmillan, 2007, 95-99

- Missiroli, Antonio (ed.). 'From Copenhagen to Brussels: European Defence: core documents'
- Mitrady, Davit 'The Functional Theory of Politics' London, St. Marin Press, 1975
- Moravcsik, A. *The Choice for Europe: Social Purpose and State Power from Messina to Maastricht*. 1998, Ithaca, New York: Cornell UP. Pg.18.
- Moravcsik, A. 'Federalism in the European Union: Rhetoric and Reality In The Federal Vision: Legitimacy and Levels of Governance in the US and the EU' eds. Kalypso Nicolaïdis and Robert Howse, 2001 Oxford: Oxford University Press. 177
- Moravcsik, A. '*The Choice for Europe*' 1998, Routledge Press, Pg.18.
- Moravcsik, A. Europe, the Second Superpower, 2010, ResearchGate, pgs.158-159.
- Moses, Jonathon W., Knutsen, Torbjørn L., *Ways of Knowing: Competing Methodologies in Social and Political Research* Second Edition, Revised, Palgrave Macmillan, 2012
- Nelsen and Stub 'The European Union: Readings on the Theory and Practice of European Integration', 2014 4th Edition pg. 99. Lynne Rienner publishers
- Niemann, A. *Explaining Decisions in the European Union*. Cambridge: Cambridge University Press., 2006
- Niemann, A., & Schmitter, P.C. *Neofunctionalism, European Integration Theory* (2nd ed.) 2009 Oxford: Oxford UP
- Niemann, A., & Schmitter, P.C. Neofunctionalism. In A. Wiener, & T. Diez (Ed.), *European Integration Theory* (2nd ed.) 2009, Oxford: Oxford UP
- Nuttall, Simon J. 'European Foreign Policy,' 2000, Oxford University Press
- Nye, J. S. 'Soft Power-Means to Success in World Politics,' 2004, New York Public Affairs, 78
- Panarin, Igor *Information Warfare for the Future of Russia*, Hotline – Telecom, Moscow, 2008
- Penksa, S.E. 'Security Cooperation, Complex Peace Support operation and the Blurring of Civil-Military Tasks' in C. Daase and C. Freisendorf 'Rethinking Security Governance: The Problems of Uintented Consequences' London Routledge, 2010
- Pohl, Benjamin 'EU Crisis Management Operations' 2013 (New York, Routledge)

- Popescu & Wilson, 'The Limits of the Enlargement, European and Russian Power in Troubled Neighbourhood' IFRI, 2009
- Rosamond, B. Neofunctionalism. In *Theories of European Integration* (pp. 51-73). 2000, New York: St. Martin's Press
- Rosato, Europe United: Power Politics and the Making of the European Community, Cornell University Press, 2010, 245.
- Rosato, Sebastian 'Europe United: Power Politics and the State of the European Project' *International Security* 35, no 4 (2011);47
- Rutten, M. 'From St-Malo to Nice: European Defence: Core Documents' Chaillot Paper, 47 (Paris, European Union Institute for Security Studies, 2001) pgs. 8-9.
- Rutten, M. 'From St-Malo to Nice' 2001, Institute for Security Studies, Western European Union. Pgs. 10-12.
- S. Keukeleire and J MacNaughtan 'Foreign Policy of the European Union' London, Palgrave Macmillan, 2008
- S. Lavenex and F, Schimmelfenning, *EU Democracy Promotion in the Neighbourhood: From Leverage to Governance?* 2011 (Lucerne:University of Lucerne)
- Schöllgen, Gregor *Die Außenpolitik der Bundesrepublik Deutschland* (Munich: C.H. Beck, 1999), pp. 87–137.
- Schwartz-Shea and Yanow *Interpretive Research Design Concepts and Processes*, Taylor Francis Publishing, 2012
- Simon. *L Command and Control? Planning for Eu Military Operations*, 2010 (Paris: European Union Institute for International Studies)
- Smith, Karen *European Union Foreign Policy in a Changing World*, Wiley Publishing, 2003 180-184
- Smith, M. E. '*Europe's Foreign and Security Policy: The Institutionalization of Cooperation*' 2004, Cambridge University Press
- Spence, David and Fluri, Philippe (eds.). *The European Union and Security Sector Reform*, Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces (London: John Harper Publishing, 2008)

Syssoyeva R.V. 'Intergovernmentalism Theory by Stanley Hoffman' Web of Scholar, Vol 5, February 2018

Telò, Mario, Ponjaert, Frederik - *The EU's Foreign Policy: What Kind of Power and Diplomatic Action?* 2013, Aldershot, Ashgate

Theorizing the European Neighbourhood Policy, 2017, edited by Sieglinde Gstöhl and Simon Schunz, Abingdon, Routledge

Tonra, B. & Christiansen, T. (eds.), *'Rethinking European Union Foreign Policy'*, 2004. Manchester University Press

Tulmets, Introduction: Identity and Solidarity in the Foreign Policy of East Central European EU Members: Renewing the Research Agenda, Sage, 2007, 29

Van Evera, Stephen, 'Primed for Peace; Europe After the Cold War' International Security 15, no 3; Stephen Walt, 'The coming erosion of the European Union' Foreign Policy, August 19, 2011

Verola, Nicola 'The New EU Foreign Policy under the Treaty of Lisbon' 41, in Binda 'The Foreign Policy of the European Union'

Wallace, William 'Foreign and Security Policy' in 'Policy-Making in the European Union, by Hellen Wallace, William Wallace, and Mark A. Pollack, Oxford University Press, 2005, Pg.451.

Wendt, A. Social Theory of International Politics, 1999, Cambridge: Cambridge University Press. Pg.242.

Whitman, Richard and Wolff, Stefan (eds) 'The European Union as a Global Conflict Manager' 2012, London Routledge

Wiener, Antje, Borzel, Tanja, and Risse, Thomas 'European Integration Theory.' (3rd ed.) 2019, Oxford University Press, Second Edition, 2009, Moravcsik and Schimmelfening 'Liberal Intergovernmentalism'

Witzleb, N., Martínez, A., and Winand, P., *The European Union and Global Engagement Institutions, Policies and Challenges, England, Cheltenham 2015, "Edward Elgar"*

Witzleb, Normann, Martínez, Arranz The European Union and Global Engagement Institutions, Policies and Challenges, England, 2015

Youngs, Richard *Balancing Interests and Values*, European Union, Institute for Security studies and European Union Global Strategy; (eds) , *Expert Opinion – Eu Global Strategy*”. Paris

სტატიები

‘Why We Will Soon Miss the Cold War’ *The Atlantic Monthly* 266, no2 (1990)

Amadio Viceré, M. G, ‘European Security and Defence Policy: The First 10 Years 1999–2009’, *Conflict, Security & Development*, 2014, 2-12.

Anderson. S. ‘Crafting EU Security Policy in Pursuit of a European Identity’, 2008 (Boulder, Lynne Rienner)

Art, Robert ‘Europe Headges its Security Bets’ in ‘Balance of Power: Theory and Practice in the 21st Century’ ed T.V.Pail, James Wirtze and Michael Formann (San Francisco, Standford University press, 2004)

Avery, Graham, Missiroli, Antonio et al. ‘The EU Foreign Service: how to build a more effective common policy’, *EPC Working Paper* no. 28, Brussels, November 2007

B. Schmitt ‘European Capabilities: How Many Divisions?’ in *EU Security and Defense Policy, the First Five years* edited by N.Hnesetto, 2004, Paris, European Union Institute for Security Studies

Baker, Pauline ‘Dilemma of Democrations in Fragile States.’ Available on:

<https://www.un.org/en/chronicle/article/dilemma-democratization-fragile-states>

Balfour & Rotta, ‘Beyond Enlargement, the European Neighbourhood Policy and Its Tools’ 2008, *The International Spectator*

Balfour & Rotta, *The International Spectator*, 2005 ; Börzel & van Hüllen, 2014; Cadier, 2013

Barbashin, A. and Thoburn, H. ‘Putin’s Brain – Alexander Dugin and the Philosophy Behind Putin’s Invasion of Crimea’ 2014, *Foreign Affairs*

Batora, J. & Mokre, M. (eds.), *Culture and External Relations: Europe and Beyond*, 2011, Oxford “Ashgate”

- Batora, Jozef and Mokre, Monika. (eds). 2011. Culture and External Relations: Europe and Beyond. Aldershot: Ashgate
- Bergmann, J. “Neofunctionalism and EU External Policy Integration: The Case of Capacity Building in Support of Security and Development (CBSD).” *Journal of European Public Policy* 26 (9), 2019, 1253–1272.
- Bergmann, J., and P. Müller. “Failing Forward in the Eu’s Common Security and Defence Policy: The Integration of EU Crisis Management.” *Journal of European Public Policy* 28 (10), 2021 1669–1687.
- Bergmann, J., and P. Müller. 2“Spillover Dynamics and Inter-Institutional Interactions Between CSDP and AFSJ: Moving Towards a More Joined-Up EU External Migration Policy?” *Journal of Ethnic and Migration Studies* 49 (12), 2023, 3005–3023.
- Bickerton, C. Hodson, D. and Puetter, U. ‘The New Intergovernmentalism: European Integration in the post-Maastricht era’-*JCMS,*’ *Journal of Common Market Studies*, 2015
- Bickerton, Hodson, and Puetter, ‘The New Intergovernmentalism’ Oxford University Press, 2015
- Bildt, Carl ‘Russia, the European Union and Eastern Partnership’ ECFR, Riga Series. Available on: https://ecfr.eu/archive/page/-/Riga_papers_Carl_Bildt.pdf
- Bond, I. ‘The EU and Russia: Uncommon Spaces’ Centre for European Reform. 2014, Center for European Reform.’
- Bono, Giovanna- ‘European Security and Defence Policy: theoretical approaches’, 2002, Badford University, UK
- Bubalo, A., in European Union Institute for Security Studies and European (eds.), *Towards The EU Global Strategy – Consulting the Experts*, 2016, Paris, 71–2.
- Burrell, G. and Morgan G., *Sociological Paradigms and Organisational Analysis: Elements of the Sociology of Corporate Life*. 1979. June 2019. ResearchGate. DOI:10.4324/9781315609751. ISBN: 9781315609751. Available on: [https://www.researchgate.net/publication/334765255 Sociological Paradigms and Organisational Analysis Elements of the Sociology of Corporate Life](https://www.researchgate.net/publication/334765255_Sociological_Paradigms_and_Organisational_Analysis_Elements_of_the_Sociology_of_Corporate_Life)

- Cadier, David 'France's Policies Towards Eastern Partnership Countries in Context' GIP
Commentary, April, 2017, Issue #13
- Cadier, David 'Russia 2030: potential impact on French policies', European Council on Foreign
Relations (ECFR), July 2016
- Callan/Harrison, 'Key Research Concepts in politics and International Relations'. 2017. SAGE
- Carlsnaes, W., Sjursen, H. & White, B. (eds.), *Contemporary European Foreign Policy*,
Contemporary European Foreign Policy, 2004, SAGE Publications Ltd.
- Casarini, N. and C. Musu (eds) *European Foreign Policy in an Evolving International System: The
Road Towards Convergence*, 2007 (London: Palgrave Macmillan)
- Chandler, Adam The End of CNN in Russia 2014, available on:
[http://www.theatlantic.com/international/archive/2014/11/CNN-to-stop-broadcasting-in-
Russia/382597](http://www.theatlantic.com/international/archive/2014/11/CNN-to-stop-broadcasting-in-Russia/382597)
- Clover, C. 'Russia Announces "Spheres of Interest"' 2008, Financial Times
- Collard-Wexler, S. Integration under Anarchy: Neorealism and the European Union, *European
Journal of International Relations*, 2006, Vol. 12, Issue 3, pp. 397-432
- Cornish, Paul and Edwards, Geoffrey 'Beyond the EU/NATO dichotomy: the beginning of a
European strategic culture' *International affairs*, 2001, published by Oxford University Press
- Cotta, Maurizio. 'Political Elites and a Polity in the Making: The Case of the EU.' *Historical Social
Research / Historische Sozialforschung*. 2012
- Cristescu, R. and Matveev, D., 'Peacebuilding and conflict prevention in Moldova: the role of the
EU', paper produced for discussion during the EPLO/Civil Society Dialogue Network meeting,
Bucharest, 28 June 2014
- Cross, David 'Security Integration in Europe', 2011, Ann Arbor. USA
- Cunha, Alberto 'Post-Brexit EU Defence Policy: Is Germany Leading towards a European Army?' *E-
International Relations*, 5 July 2020.
- D'amora, Dalphine Pro-Kremlin Media Sees Cuts as Russian Economy Slows', *Moscow Times*, 23
January 2015

- De Fler, Nicole Alecu, 'CFSP Watch 2004: Germany,' European Union's Common Foreign and Security Policy, 2004
- Delcour & Wolczuk, The EU's Policy in the South Caucasus », L'Europe en Formation, 2018/1 (n° 385), 2020, 7-25
- Denza, Eileen, 'CFSP Achievements and Weaknesses', The Intergovernmental Pillars of the European Union Oxford, 2002; online ed., Oxford Academic, 22 Mar. 2012
- Diamond, Larry Facing Up to the Democratic Recession, *Journal of Democracy* 26/1 1 (2015), 141–55.
- Diez 'European As Discourse Battleground, Discourse Analysis and European Integration Studies,' 2001 Cooperation and Conflict, 36.
- Duke, Simon. 'The Lynchpin COPS. Assessing the workings and institutional relations of the Political and Security Committee', *Working Paper 2005/W/05*, European Institute of Public Administration, Maastricht, 2005
- Fabbrini and Puetter 'Integration without Suprnationalization: Studying of European Council and the Council in Post-Lisbon Era' *Journal of European Integration*, 2016
- Facon, Isabelle 'La relation France-Russie à l'épreuve,' *Annuaire Français de Relations Internationales*, Bruylant, Vol. XVI, 2015
- Felgenhauer, P. Putin's Speech to Russian diplomats: The Time of US World Domination has Ended', *Eurasia Daily Monitor*, 2014
- Fernández, Óscar, Vandendriessche, Marie, Saz-Carranza, Angel, Agell, Núria & Franco, Javier 'The impact of Russia's 2022 invasion of Ukraine on public perceptions of EU security and defence integration: a big data analysis,' *Journal of European Integration*, 2023, 45:3
- Fischer and Forester, 'The Argumentative Turn in Policy Analysis,' ResearchGate, 1993
- Fix, Liana, Kirch, Anna-Lena 'German Position on Eastern Partnership After the Ukraine Crisis' 2016, IFRI. Available on:
https://www.ifri.org/sites/default/files/atoms/files/ndc_128_kirch_fix_en.pdf
- Frear, Thomas and Kearns, Ian 'Defusing future crises in the shared neighbourhood: Can a clash between the West and Russia be prevented?', European Leadership Network, March 2017.

- Freire, M. R., Simão, L., ‘Multilevel Dynamics in the EU’s Approach to Preventive Action in Armenia,’ Brussels: Initiative for Peacebuilding, 2011
- Fukuyama, F. ‘Why is Democracy Performing so Poorly?’, *Journal of Democracy* 26/1 (2015),12.
- Fukuyama, Francis Why is democracy performing so Poorly? *Journal of Democracy* 26/1, (2015), 12.
- Gebhard, C. & Norheim-Martinsent, ‘Making Sense of EU Comprehensive Security towards Conceptual and Analytical Clairty’ *European Security*, 20(2), 2011, 225
- Gegout, Catherine ‘European Foreign and Security Policy: States, Power, Institutions, and American Hegemony’, Toronto, University of Toronto Press, 2010
- Gegout, Catherine ‘The french and british change in position in the CESDP : a security community and historical -institutionalist perspective’ *Politique européenne*, 2002/4 (n° 8) 62-87.
